საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№14 (296)
22 - 28 აპრილი, 2015

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru




## ჭილოფში ამოცნობილი ძია სემი 4

### ანუ «ალ ქაიდადან» «ისლამურ სახელმწიფომდე»

„დღევანდელ ვითარებას სულ უფრო ხშირად ადარებენ გასული საუკუნის 70-იან წლებს, როდესაც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აშშ-მა „ალ ქაიდა“ შექმნა. ახლაც სწორედ ამერიკელებს ადანაშაულებენ „ისლამური სახელმწიფოს“ შექმნაში.“



## «ოთხი ამერიკული საწვრთნელი ცენტრი საქართველოში უკვე მოქმედებს» 5

ეინარს გრაუდინში:



## ევროკავშირში ინტეგრაციამ ლატვიას გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა 9

## ბატონო ყოფილო პრემიერო, რა გვარია თბილისის მერი? 7

მერიის სახელით გავრცელებულ ოფიციალურ წერილს, 2014 წლის 3 ივლისს დაპატიმრებული ყოფილი მერის, გიგი უგულავას, ფაქსიმილე ამშვენებს



## «მხოლოდ თბილისში 4 ათასამდე უსახლკაროა» 11

## რა დამსახურებისთვის მისცა ამერიკამ სააკაშვილს განსაკუთრებული ვიზა?! 7

ვაშინგტონი «ნაცრეჟიმის» პოლიტიკურ რეაბილიტაციას იწყებს

2 იმედ-გაცრუებული ივანიშვილის თითზე კბენანი...
3 თურქეთმა და ირანმა დოლარსა და ევროზე უარი განაცხადეს
6 «არ დაისჯება არავინ არც ქვეყნის შიგნით და არც გარეთ»
8 «ევროპის უკანა ეზო. რატომ კვდება ბალტიისპირეთი»
10 «საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ნატოსა და ევროკავშირის წინააღმდეგია»
12 უტიფართა მზე
14 როგორ აყალბებენ ისტორიას ჩვენი მეზობლები
18 ბერლინის შტურმი და ქართველთა წვლილი გერმანიის დედაქალაქის აღებაში
20 ევროპული შიში ისლამიზმის მიმართ: სად არის გამოსავალი?

**ამბები**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## თბილისში ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო ჩამოდის



**„ბელარუსის მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და არაღიარების პოლიტიკის მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვანია“, — განაცხადა პრეზიდენტის მრჩეველმა საგარეო ურთიერთობათა საკითხებში თენგიზ ფხალაძემ.** ამ ვიზიტს მართლაც განსაკუთრებული დატვირთვა აქვს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებში. ასეთი დონის ოფიციალური სტუმარი ბელარუსიდან არ გვყოლია. მაღალი დონისა და მრავალრიცხოვანი დელეგაცია ჩამოდის, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს საქართველოს მიმართ დიდ ინტერესზე და ასევე იმ დიდ რესურსზე, რომელიც ორმხრივ ურთიერთობებში არსებობს და რომელიც უნდა იქნას გამოყენებული.

ალექსანდრე ლუკაშენკო საქართველოს 22 აპრილს ორდღიანი ვიზიტით ეწვევა.



## სკანდალი! სააკაშვილი და რულოვსი ადამიანების ორგანოებით ვაჭრობენ – რა ფაქტებს ასაჯაროებს უკრაინული მედია

**ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა უკრაინაში სააკაშვილის საოჯახო ბიზნესი გახდა. ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინული საინფორმაციო პორტალი slovo.net.ua ავრცელებს.**

„ჩვენ მოვიპოვეთ სანდო ინფორმაცია, რომ იანვრის ბოლოს, 2015 წელს ტრანსპლანტოლოგების ჯგუფი სააკაშვილის მეუღლემ, ჰოლანდიელმა სანდრა რულოვსმა კიევში ჩაიყვანა. სანდრა რულოვსი ჯანდაცვის მინისტრ ალექსანდრე კვიტაშვილსა და უკრაინული სამხედრო მაღალჩინოსნების ხელმძღვანელობას შეხვდა. ხოლო მის მიერ ჩამოყვანილმა ექიმმა ტრანსპლანტოლოგებმა უკრაინელ ექიმებს შეასწავლეს რთულ სავალე პირობებში ორგანოების ტრანსპლანტაცია და ამისათვის საჭირო აპარატურის გამოყენება“, — წერს უკრაინული მედია.

მიხეილ სააკაშვილმა დაარწმუნა უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ხელმძღვანელი მუჟენკო წარმოდგენილი სქემის ეფექტიანობაში, რაზეც პოროშენკოს თანხმობაც მიიღო.

სქემა ასეთია: დაჭრილი და ახალმოკლული ჯარისკაცები ანტიტერორისტული ოპერაციის ზონიდან გამოჰყავთ საქართველოდან ჩასულ სამხედროებსა და ექიმებს, რომლებიც სააკაშვილმა ასეულობით ჩაიყვანა სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობისთვის. ისინი დაჭრილ ჯარისკაცებს ათავსებენ სპეციალიზირებულ ტრანსპორტში, რომლებშიც ევროპელი სპეციალისტების მიერ მომზადებული ექიმები გზაშივე სხეულიდან უღებენ ორგანოებს, უფრო რთულ ოპერაციებს ხარკოვსა და დნეპროპეტროვსკში განლაგებულ სტაციონარულ პუნქტებში აწარმოებენ.

შემდეგ ადამიანის ორგანოების პარტიას სწრაფად აგზავნიან ავიატრანსპორტით დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, ხოლო დაღუპულებს ოფიციალურად აღრიცხავენ, როგორც უგზო-უკვლოდ დაკარგულებს. ადამიანის ორგანოების ვაჭრობის რულოვსისეული სისტემა წარმატებით იქნა აპრობირებული წლეულს, თებერვალში დებალცევოდან უკრაინის შეიარაღებული ძალების უკანდახევის დროს, როდესაც უგზო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადდა 82 უკრაინელი ჯარისკაცი.

ეს ბიზნესი შარშან არაეფექტიანად განახორციელა იულია ტიმოშენკოს ადვოკატმა სერგეი ლისენკომ, რადგანაც ბატალიონ „აზოვის“ მეთაური სემენჩენკო მას გაფუჭებულ ორგანოებს აწვდიდა. ამ თემაზე ლისენკოსა და გერმანელ ექიმ ვიბერს შორის სატელეფონო საუბარი მედიაში გავრცელდა და სკანდალი გამოიწვია.

სანდრა რულოვსს დიდი გამოცდილება აქვს ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის ორგანიზებაში. სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში საქართველოს წამყავნი ადგილი ეკავა ადამიანის ორგანოების მიწოდებაში ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. სააკაშვილის მეუღლემ საკმაოდ სარფიანი სქემა ააწყო ადამიანის ორგანოების მისაღებად. პატიმრები ხვდებოდნენ ციხის საავადმყოფოებში, სადაც უღებდნენ ორგანოებს, სიკვდილის მიზეზად კი აღირიცხებოდა მძიმე დაავადება. საბუთებში იწერებოდა, რომ დაავადების დასადგენად ხდებოდა ორგანოების ამოღება სხეულის შემდგომი ბალზამირებისთვის. ამგვარად გადაეცემოდა დაღუპული პატიმრები მათ ნათესავებს. შავ ბაზარზე ადამიანის სხეული, ცალკეული ორგანოების მიხედვით, 1.7 მილიონი დოლარი ღირს. მიხეილ სააკაშვილი აღმოსავლეთ უკრაინაში საომარი მოქმედებების განახლების მოლოდინშია, ხოლო სანდრა რულოვსი ადამიანის ორგანოების ახალ პარტიას ელის.

marshalpress.ge

# იმედგაცრუებული ივანიშვილის თითზე კბენანი

**ყოფილმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა სატელევიზიო გადაცემა „კვირის 2030“-ში „თავისუფალი დემოკრატები“ და „ნაციონალური მოძრაობა“ ერთმანეთს შეადარა და გამაოგნებელი შეფასებები გააკეთა:**




**„ივნისში თუ ივლისში შევიდა პროკურატურა თავდაცვის სამინისტროში, სექტემბერში კი აცხადებს ალასანია, რომ დაინიშნება ყრილობა და ორი-სამი თვით ადრე აცხადებს, რომ თავდაცვის მინისტრი ბრუნდება პარტიის თავმჯდომარედ. ძალიან უხეში სვლაა პოლიტიკურად... ალასანიამაც გაიმეორა იგივე, რასაც ამბობენ გიგა ბოკერია და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები, რომ მე ქვეყნის მთავარი პრობლემა ვარ, მის ამ განცხადებას კი ჩემი გუნდიდან არავინ გამოეხმაურა, რამაც გამაოცა“,** — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ყოფილი პრემიერისა და ახლა უკვე პირველი მოქალაქის ეს განცხადება იმიტომ არის გამაოგნებელი, რომ ხელისუფლებაში მოსვლამდე ბევრი უკიჟინებდა, **გუნდის წევრები კარგად შეარჩია და „ნაცმოძრაობასთან“ თანამშრომლობაში შემჩნეული პარტიები და პოლიტიკოსები გვერდით არ დაეყენებინა,** მაგრამ მან არავის მოუსმინა და ქართველ ხალხს თავზე ურეიტინგო და უავტორიტეტო რესპუბლიკელები და „თავისუფალი დემოკრატები“ დაასვა, რომლებიც, მათ მხარდამჭერ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, არა ქართველი ხალხის, არამედ დასავლეთის, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების, ინტერესების დაცვას ემსახურებიან. **ამ ადამიანების ხელისუფლების სათავეში მოყვანას მოჰყვა ყბადაღებული კოაბიტაცია „ნაციონალურ მოძრაობასთან“, ანუ, ხალხისთვის დაპირებული სამართლიანობის აღდგენის ნაცვლად, ნაცდამნაშავეებისთვის ხელშეუხებლობის გარანტიების მიცემა, პრეზიდენტის პოსტზე „პლასტელინა“ მარგველაშვილის დანიშვნა, რომელიც სააკაშვილის მიერ აშენებული სასახლიდან არაფრის დიდებით არ გამოდის, ალასანიასა და მისი თანაგუნდელების ანტიოცნებისტური განცხადებები და დაუსჯელობის სინდრომით გათამამებული სააკაშვილისა და მისი გუნდის წევრების მუქარები — ხელისუფლებაში მალე დავბრუნდებით და სეირს მერე გაჩვენებთო...** დღეს კი ამჟამინდელი ხელისუფლების მიმართ ქართველი ხალხის მზარდი უკმაყოფილება და ყოფილი და მოქმედი პრემიერების წუწუნი მივიღეთ: ივანიშვილი იმაზე წუწუნებს, როცა გამლანძღეს (თანაც ივანიშვილის მიერ თავდაცვის მინიტრად დანიშნულმა ალასანიამ), ჩემი გუნდიდან მხარი არავინ დამიჭირაო. ღარიბაშვილი კი რაჭაში ყოფნისას საბოტაჟზე ალაპარაკდა... **კი მაგრამ, ვისი ბრალია, როცა შენ მიერვე შერჩეული გუნდის წევრები მხარს არ გიჭერენ ან მთავრობის მეთაური რა საბოტაჟზე ლაპარაკობს? თუ იცის, რომ ქვეყანაში საბოტაჟს აწყობენ, რატომ არ აღკვეთს, რატომ არ აპატიმრებს დამნაშავეებს?..**

## კი მაგრამ, ვისი ბრალია, როცა შენ მიერვე შერჩეული გუნდის წევრები მხარს არ გიჭერენ ან მთავრობის მეთაური რა საბოტაჟზე ლაპარაკობს? თუ იცის, რომ ქვეყანაში საბოტაჟს აწყობენ, რატომ არ აღკვეთს, რატომ არ აპატიმრებს დამნაშავეებს?..

აი, რას ამბობდა ამ საკითხზე 2013 წელს, ანუ 2 წლის წინათ ცნობილი პოლიტოლოგი **ალექსანდრე ჭაჭია:**

**„საქართველო ჩინეთი არაა და არც ივანიშვილია დენ სიაოპინი. ბიჭები, რომლებსაც იგი დაუტოვებს ძალაუფლებას, ორიოდე თვეში დაივიწყებენ მის არსებობას. ჩაიგდებენ თუ არა სახელმწიფო ბიუჯეტს ხელში, მათ აღარ დასჭირდებათ მისი სუბსიდიები. მას საჭიროების შემთხვევაში მოუწევს, მიმართოს ამერიკის ელჩს, რათა მისი მეშვეობით მოახდინოს გავლენა გარკვეული საკითხების გადასაწყვეტად, მაგრამ ელჩსაც ეს ყველაფერი მალე მობეზრდება** („საქართველო და მსოფლიო“, №31, 2013 წლის 21 აგვისტო-4 სექტემბერი).

ზემოხსენებულ გადაცემაში ყოფილმა პრემიერმა კიდევ ერთი აღიარებით გააკვირვა საზოგადოება, რომელსაც დღემდე ეგონა, რომ ერთ-ერთი ოდიოზური და უუნარო მინისტრი მაია ფანჯიკიძე ივანიშვილმა ალასანიას დაჟინებული თხოვნითა და აშშ-ის ელჩის მხარდაჭერით დანიშნა... აი, რა გვაუწყა ივანიშვილმა:

**„საქართველოში ნათესაობას პატივს ვცემთ და ვიცით, რას ნიშნავს სიძე და ცოლისდა და ა.შ. მაგრამ ამით მან დაუშვა უხეში შეცდომა. ასეთ დროს უნდა გამოსულიყო და უნდა ეთქვა: მე ვარ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, მე მოვედი „ქართული ოცნებიდან“. მაია არანაკლებს შრომობდა სხვებზე და მას ჰქონდა თავისი საკუთარი დამსახურება და ის არ მოსულა ალასანიას ხათრით... მე პირადად დავიფიცებ, რომ არავითარი ალასანიასთან კავშირის სანაცვლოდ არ დანიშნულა. იგი ამ თანამდებობაზე ჩემი დასახელებული იყო, მას ჰქონდა თავისი წვლილი შეტანილი. მაგრამ, როდესაც გამოდის და გახდა სხვა პარტიის წევრი, ამით მან გააფორმა ნეპოტიზმი. მე პირადად ძალიან დიდი იმედგაცრუება მივიღე“.**

ნაცვლად იმისა, რომ დაემალა თავისი წვლილი საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე მაია ფანჯიკიძის დანიშვნაში, რომლის მიმართაც სრულიად საქართველო (ოჯახის წევრებისა და ახლობლების გამოკლებით), რბილად რომ ვთქვათ, დადებითად არ არის განწყობილი, იფიცებს, ფანჯიკიძისა და ალასანიას ნათესაური კავშირი არაფერ შუაშია, ფანჯიკიძის დანიშვნა ჩემი გადაწყვეტილება იყოო...

**აქ უპრიანი იქნება კიდევ ერთი ამონარიდის მოყვანა ბატონი ალექსანდრე ჭაჭიას ინტერვიუდან, რომელიც მან 2 წლის წინათ მისცა გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“(№ 20. 2013 წლის 5-11 ივნისი):**

**„საგარეო საქმეთა მინისტრი არც ერთი პარამეტრით არ შეესაბამება სადღეისოდ ესოდენ მნიშვნელოვან თანამდებობას. გავიგე, როგორ განაცხადა მან, რომ მისთვის სტალინი და ჰიტლერი ერთნაირი ბოროტებაა. ასეთმა უვიცობამ, ასეთმა ცინიზმმა, აზროვნების ასეთმა დაბალმა დონემ, უბრალოდ, გამაოგნა! მან არამხოლოდ ისტორიისა და ადამიანური მორალის საკითხებში სრული უმეცრება გამოავლინა, არამედ საკუთარ ხალხს, განსაკუთრებით უფროსი თაობის წარმომადგენლებს, ყველაზე დამსახურებულ თაობას — დიდი სამამულო ომის ვეტერანებს შეურაცხყოფა მიაყენა. ნორმალურ სახელმწიფოში ასეთი თავხედური განცხადების შემდეგ მინისტრი თავის პოსტზე აღარ დარჩებოდა. მისი ადგილი არა მთავრობაში, არამედ იმ მაიმუნებს შორისაა, რომლებიც გორში სტალინის დაცემული ძეგლის ფონზე პოზირებდნენ...“**

აი, ასე: ჯერ კიდევ 2 წლის წინათ ითქვა იმ მოვლენებზე, რომლებიც აუცილებლად მოხდებოდა, თუ ბიძინა ივანიშვილი და მისი „ქართული ოცნება“ ხალხის აზრს არ გაითვალისწინებდა და უცხოელთა დაკრულზე იცეკვებდა.

ახლა კი, ალბათ, გვიანია თითზე კბენანი...

## ყოფილი პრემიერისა და ახლა უკვე პირველი მოქალაქის ეს განცხადება იმიტომ არის გამაოგნებელი, რომ ხელისუფლებაში მოსვლამდე ბევრი უკიჟინებდა, გუნდის წევრები კარგად შეერჩია და «ნაცმოძრაობასთან» თანამშრომლობაში შემჩნეული პარტიები და პოლიტიკოსები გვერდით არ დაეყენებინა, მაგრამ მან არავის მოუსმინა და ქართველ ხალხს თავზე ურეიტინგო და უავტორიტეტო რესპუბლიკელები და «თავისუფალი დემოკრატები» დაასვა



## ეგვიპტის ყოფილ პრეზიდენტს 20-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს

**ეგვიპტის ექსპრეზიდენტ მუჰამედ მურსის, რომელიც ქვეყანას 2012-2013 წლებში მართავდა, სასამართლომ 20 წლით ალუკვეთა თავისუფლება.** მურსის ბრალი ედება 2012 წელს პრეზიდენტის სასახლესთან ანტისამთავრობო დემონსტრაციის მიმდინარეობისას აქციის მონაწილეების დახოცვის ბრძანების გაცემაში. მასთან ერთად გაასამართლეს მოძრაობა „ძმები მუსლიმანების“ 14 წევრიც. პარალელურად, მოძრაობა „ძმები მუსლიმანები“, რომლის ლიდერიც იყო მურსი, ეგვიპტელებს მოუწოდებს, ყოფილი პრეზიდენტის მხარდასაჭერად ქუჩაში გამოვიდნენ.

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აშშ-სა და ევროკავშირს შორის თავისუფალი სავაჭრო ზონა ევროპის ეკონომიკის სიკვდილის ტოლფასია

**18 აპრილს ევროპის ბევრ ქვეყანაში გაიმართა საპროტესტო აქცია ევროკავშირსა და აშშ-ს შორის ტრანსატლანტიკური თავისუფალი სავაჭრო ზონის (TTIP) შექმნის წინააღმდეგ.**




**„ჩვენ არ გადავიხდით ამ შეთანხმების გამო!“ „შეაჩერეთ TTIP-ი, რადაც უნდა დაგიჯდეთ!“, „ეს შეთანხმება სახელმწიფო გადატრიალებაა!“** — სკანდირებდა მადრიდში აქციაზე გამოსული 50 ათასზე მეტი ადამიანი.

როგორც ვარაუდობენ, ამ სავაჭრო შეთანხმების შემდეგ შესაძლებელი იქნება ტარიფების შემცირება და ბიზნესში ევროკავშირსა და აშშ-ს შორის მარეგულირებელი ბარიერების გაუქმება. პროექტის მიზანია ტრანსატლანტიკური ეკონომიკური ბაზრის შექმნა ტერიტორიაზე, სადაც 820 მლნ ადამიანი ცხოვრობს.

პროექტის ინიციატორია აშშ, რომელიც ვარაუდობს, რომ ტრანსატლანტიკური ეკონომიკური ზონის შექმნით ევროპა უფრო დამოკიდებული იქნება მასზე და ეს მოხდება ევროკავშირ-რუსეთის ეკონომიკური ურთიერთობების მოშლის ხარჯზე.

საბაჟო ბარიერების გაუქმება ხელ-ფეხს გაუხსნის დიდ კონცერნებს როგორც აშშ-ში, ისე ევროპაში, რადგან მათთვის ხელმისაწვდომი იქნება გასაღების ახალი, დიდი ბაზრები. მცირე და საშუალო ბიზნესს კი გლობალიზაციის პირობებში გადარჩენის შანსი არ ექნება. შესაბამისად, მილიონობით ევროპელი სამუშაოს დაკარგავს.

**საბაჟო ბარიერების გაუქმება ხელ-ფეხს გაუხსნის დიდ კონცერნებს როგორც აშშ-ში, ისე ევროპაში, რადგან მათთვის ხელმისაწვდომი იქნება გასაღების ახალი, დიდი ბაზრები. მცირე და საშუალო ბიზნესს კი გლობალიზაციის პირობებში გადარჩენის შანსი არ ექნება. შესაბამისად, მილიონობით ევროპელი სამუშაოს დაკარგავს**

„არსებობს უზარმაზარი საფრთხე იმისა, რომ ტრანსატლანტიკური ეკონომიკური ზონა ჩვენს უფლებებს შეზღუდავს, რადგან კონცერნები მომავალში უფრო დიდ გავლენას მოიპოვებენ კანონების შედგენაზე“, — განაცხადა ორგანიზაცია Foodwatch-ის დირექტორმა ტილო ბოდემ.

ევროკავშირისთვის შეთანხმების მნიშვნელოვანი ხარვეზი არის ის, რომ სადავო საკითხები უნდა მოაგვაროს არა ნაციონალურმა მთავრობებმა, არამედ საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოებმა, რომლებსაც ტრანსნაციონალური კორპორაციები აკონტროლებენ. ამ კონტროლის სიმწარე იწვნია საფრანგეთმა. ამ ქვეყნის უდიდესი საბანკო ჯგუფი BNP Paribas-ი აშშ-ში 9 მლრდ დოლარით დააჯარიმეს რამდენიმე ქვეყნის მიმართ დაწესებული „სანქციების რეჟიმის დარღვევის გამო“, თანაც ეს გადაწყვეტილება ნიუ იორკის სასამართლომ მიიღო.

ევროპელთა აღშფოთებას იწვევს თვით მოლაპარაკებების ფორმატი, რომელიც შეთანხმების პროექტის გარშემო მიმდინარეობს: დიალოგი დახურულ კარს მიღმა იმართება და მისი დეტალები საზოგადოებისთვის უცნობია. კიდევ ერთი პრეტენზია ეხება სურსათზე ეკოლოგიური მოთხოვნებისა და სტანდარტების დონის შემცირებას იმ კომპანიებისთვის, რომლებიც იმუშავებენ ამ ეკონომიკურ ზონაში.

თუ ტრანსატლანტიკური ეკონომიკური ზონის შესახებ შეთანხმებას ხელს მოაწერენ, ევროკავშირი პოლიტიკურთან ერთად ეკონომიკურადაც დამოკიდებული იქნება ამერიკის შეერთებულ შტატებზე. ევროპული კომპანიები კონკურენციას ვერ გაუწევენ ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, და, რუსეთის ბაზრის დაკარგვის შემდეგ, ევროპულ ბაზარსაც გამოეთხოვებიან.




## კანადური გამოცემა: უკრაინიდან პუტინი კი არა, კანადის პრემიერი უნდა წავიდეს!

**„კანადის პრემიერი უკრაინის შეიარაღებულ კონფლიქტში ჩარევას ითხოვს, რაც ყოველგვარ ჩარჩოებს სცილდება,“ — წერს კანადური გამოცემა La Presse.**

უკრაინაში 200 კანადელი სამხედროს ყოფნა, მით უმეტეს — საომარი მოქმედებების ზონიდან 1000 კმ-ით დაშორებულ ადგილას, სამხედრო თვალსაზრისით არაფერს შეცვლის. უკრაინაში უკვე მოქმედებს 800 ამერიკელი და 75 ბრიტანელი, მოსკოვი კი ამას განიხილავს პროვოკაციად ნატოს მხრიდან, რომელმაც უკვე განალაგა თავისი სარაკეტო ბაზები ბალტიისპირეთში, ძალიან ახლოს რუსეთის საზღვართან. ამას გარდა, ევროკავშირმა ასოცირების შესახებ შეთანხმება გააფორმა უკრაინასთან, რომელიც ყოველთვის იყო რუსეთის გავლენის სფეროში. სწორედ ამ პროვოკაციებს უპასუხა პუტინმა ყირიმის დაბრუნებით, რომელიც 1954 წლამდე რუსეთის შემადგენლობაში იყო“, — წერს გამოცემის ჟურნალისტი.

შარშან G20-ის სამიტზე კანადის პრემიერმინისტრმა სტივენ ჰარპერმა პუტინს მოსთხოვა, „უკრაინიდან წასულიყო“. კანადელი ჟურნალისტი თავისი ქვეყნის პოლიტიკოსების მისწრაფებას, მხარი დაუჭირონ უკრაინის ამჟამინდელ ხელისუფლებას, იმით ხსნის, რომ კანადაში ცხოვრობს ბევრი უკრაინელი, რომელთა ხმებითაც მოახლოებულ არჩევნებზე გამარჯვებას აპირებს ქვეყნის პრემიერმინისტრი.

**„საარჩევნოდ ხმების მოპოვებაზე ზრუნვა პოლიტიკაში დასაშვები მოვლენაა, მაგრამ „უკრაინით შეშლილობა“ უკვე ყველანაირ ზღვარს სცილდება და „სახიფათო თამაშად“ იქცა. ახლა სწორედ მას მინდა, ვუთხრა: „წადით უკრაინიდან, ბატონო ჰარპერ!“** — წერს კანადელი ჟურნალისტი.



## ევროპას ეჭვი შეაქვს უკრაინაში მიმდინარე მოვლენების გაშუქების ობიექტურობაში

**ამა წლის 20 მარტიდან 9 აპრილამდე გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და საბერძნეთში ჩატარდა საერთაშორისო გამოკითხვა, რომელიც მულტიმედიური საagენტო Sputnik-ისა და ბრიტანული კომპანია ICM Research-ის მიერ იყო ორგანიზებული. გამოკითხვამ აჩვენა უკრაინული კრიზისის საკითხების გაშუქებისას თავიანთი ქვეყნების მედიასაშუალებების მიმართ მოქალაქეების ნდობის ხარისხი.** კვლევის შედეგების თანახმად **გერმანიაში** გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (57%), ხოლო **საბერძნეთში** — რესპონდენტების უმრავლესობა (76%) არ ენდობა წამყვანი მედიასაშუალებების ინფორმაციას უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებზე. ამ საკითხის გაშუქებისას ნაციონალური მედიის ობიექტურობაში ეჭვი შეაქვს გამოკითხული **ფრანგების** თითქმის ნახევარს (42%) და **ბრიტანელების** მესამედს (33%); თავიანთი ქვეყნების მედიის ობიექტურობაში დარწმუნებულია მხოლოდ ყველა გამოკითხული რესპონდენტის 4%.

## თურქეთმა და ირანმა დოლარსა და ევროზე უარი განაცხადეს



**თურქეთისა და ირანის პრეზიდენტები რეჯეპ ტაიპ ერდოღანი და ჰასან როუჰანი შეთანხმდნენ, რომ მათ სახელმწიფოებს შორის სავაჭრო ურთიერთობები ეროვნულ ვალუტებში განხორციელდება. ამით ამ ქვეყნებმა უარი თქვეს დოლარსა და ევროზე, როგორც სარეზერვო ვალუტებზე.** ორი ქვეყნის ლიდერმა შეთანხმებას ხელი თეირანში მოაწერეს. ერდოღანის თქმით, ირანსა და თურქეთს შორის წლიური სავაჭრო ბრუნვა 14 მილიარდი დოლარიდან 30 მილიარდ დოლარამდე უნდა გაიზარდოს, აშშ-ის სახელმწიფო ვალუტის ეკვივალენტი კი ეროვნული ვალუტები უნდა გახდეს. გარდა ამისა, თურქეთის პრეზიდენტი ირანის ბუნებრივი აირის შემცირებული ფასით შესყიდვასაც ცდილობს.



## ანგელა მერკელი რუსეთთან თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნას არ გამორიცხავს

**გერმანული საინფორმაციო პორტალის — „დოიჩე ველეს“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ანგელა მერკელმა გერმანიის ქალაქ შტრალზუნდში გამართულ ეკონომიკურ ფორუმზე განაცხადა, რომ ევროკავშირმა, შესაძლოა, რუსეთთან თავისუფალი სავაჭრო სივრცე შექმნას.**

„მომავალში ჩვენ ვუშვებთ იმას, რომ შესაძლოა, დიდი თავისუფალი სავაჭრო ზონა შეიქმნას ბევრ ქეყანასთან ერთად, მათ შორის, რუსეთთან. ჩვენ ვდგამთ ნაბიჯებს იმისათვის, რომ მივუახლოვდეთ საერთო ეკონომიკურ ზონას, რომელსაც ვლადიმერ პუტინმა ერთხელ „ვლადივოსტოკიდან ლისაბონამდე“ უწოდა“, — განაცხადა გერმანიის კანცლერმა.

**ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**დასავლური პრესა შეშფოთებულია იმით, რომ „ისლამური სახელმწიფო“ ნავთობის გაყიდვით ძლიერდება, მაგრამ თითქმის არავინ სვამს კითხვას – როგორ ახერხებენ ისლამისტები ნავთობის გაყიდვას, როცა ეს ბაზარი ყველაზე მკაცრად კონტროლდება და მისი უმსხვილესი მოთამაშეების თანხმობის გარეშე, არათუ ტანკერებს, კანისტრასაც ვერ გაყიდი?! აღარავისთვის არის საიდუმლო, რომ ბოლო 25 წლის განმავლობაში ატეხილ ომებს ნავთობის მკვეთრი სუნი ასდის. ყველა სამხედრო ინტერვენციაც სწორედ ნავთობის საბადოების გამო ხდებოდა და არა იმიტომ, რომ დემოკრატიის დეფიციტმა შეაწუხა ვინმე.**

# ჭილოფში ამოცნობილი ძია სემი ანუ «ალ ქაიდადან» «ისლამურ სახელმწიფომდე»

**ამ დღეებში თითქმის სანქციამოხსნილი ირანის სამხედრო ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ჰასან ფირუზაბადიმ სკანდალური განცხადება გააკეთა: „შეერთებულ შტატებს არ ეგების „ისლამური სახელმწიფოს“ დახმარება იარაღით, ფულითა და სურსათით, ხოლო შემდეგ მობოდიშება, თითქოს ეს შეცდომით ხდება. ამერიკელები სიტყვით გვარწმუნებენ, რომ „ისლამურ სახელმწიფოს“ უპირისპირდებიან, საქმით კი ჩანს, რომ ისინი დაკვირვებასა და რეკოგნოსცირებას ეწევიან“.**




ფირუზაბადიმ ივარაუდა, რომ უახლოეს მომავალში ევროპასა და აშშ-ს ტერორიზმის სასტიკი ტალღა გადაუვლის და იქვე დაამატა, თუ მოარულ ხმებს დავუჯერებთ, რომ „ისლამური სახელმწიფო“ სწორედ ამერიკელების შექმნილია, მაშინ მათ არ უნდა გაუჭირდეთ ამ ტერორისტული დაჯგუფების ალაგმვა თუნდაც საკუთარი ხალხის უსაფრთხოებისთვისო.

ცნობები იმის თაობაზე, რომ ამერიკის საჰაერო ჯარების თვითმფრინავები რეგულარულად სხდებიან აეროპორტებში, რომლებსაც „ისლამური სახელმწიფო“ აკონტროლებს, რეგულარულად ვრცელდება. 1 თებერვალს ერაყის პრემიერმინისტრმა განაცხადა, რომ „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ომი, ფაქტობრივად, მესამე მსოფლიო ომია, რადგან იგი მსოფლიო ხალიფატის შექმნისკენ ისწრაფვის.

მარტის დასაწყისში ერაყელმა სამხედროებმა „ისლამური სახელმწიფოს“ ოთხი ინსტრუქტორი დააკავეს, მათგან სამს ამერიკისა და ისრაელის პასპორტები აღმოაჩნდათ. რა თქმა უნდა, ეს პასპორტები არ ადასტურებს აშშ-ის ან ისრაელის პირდაპირ მონაწილეობას ისლამისტების დახმარებაში, მაგრამ ასოციაციებმა უმალ იფეთქა და ბევრი ექსპერტი თუ პოლიტიკოსი უკვე საჯაროდ ალაპარაკდა. **დღევანდელ ვითარებას სულ უფრო ხშირად ადარებენ გასული საუკუნის 70-იან წლებს, როდესაც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აშშ-მა „ალ ქაიდა“ შექმნა. ახლაც სწორედ ამერიკელებს ადანაშაულებენ „ისლამური სახელმწიფოს“ შექმნაში. როგორ დაუპირისპირდა „ალ ქაიდა“ შემქმნელს, ყველამ იცის. სავარაუდოდ, „ისლამური სახელმწიფოც“ ასე მოიქცევა, მაგრამ მანამდე კიდევ ბევრ სისხლს დაღვრის.**

შარშან თვით აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ ამერიკულმა დაზვერვამ სათანადოდ ვერ შეაფასა „ისლამური სახელმწიფოს“ სიმძლავრე სირიაში, ხოლო ერაყელი მოკავშირეების ძალებზე გადაჭარბებული წარმოდგენა ჰქონდათ ისლამისტებთან დაპირისპირების საკითხში. უბრალო ენით რომ ვთქვათ, „ისლამური სახელმწიფო“ გაცილებით ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე „დემოკრატიას ნაზიარევი“ ერაყის ჯარი.

უაღრესად ზედაპირული, მაგრამ გლობალური მედია ისლამისტებს რელიგიურ ფანატიკოსებად ხატავს: ერთ ხელში — ყურანით, მეორეში კი — „კალაშნიკოვით“. სისასტიკის ტირაჟირება, პრაქტიკულად, ყოველდღიურად ხდება ტელეეკრანებზე. ახლახან სოციალურ ქსელებში სირიელი ბავშვების ტრაგიკული კადრები გავრცელდა, რომლებმაც საზოგადოება შეძრა. აქციაც ჩატარდა და სატელევიზიო სიუჟეტებიც მომზადდა, მაგრამ ეს ყველაფერი დღეს არ დაწყებულა. **ასეთივე ბავშვები იხოცებოდნენ ერაყში „დემოკრატიის შეტანისას“ და განა მნიშვნელობა აქვს, რა აღმსარებლობისა იყვნენ ისინი? მუსლიმანები კი ამ სასტიკ ძალას ისლამის მტრად მიიჩნევენ. მართლაც, რამ შეიძლება მეტი ზიანი მოუტანოს ისლამს, ვიდრე მისი მიმდევრების ცივსისხლიან მკვლელებად, თანაც, ბავშვების მკვლელებად წარმოჩენამ? მუსლიმანები სწორედ ამიტომ მიიჩნევენ, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ შემქმნელნი და ხელშემწყობნი ფარულად სწორედ ისლამს ებრძვიან.**

ფანატიკოსების ქმედებაში რაციონალიზმი არ უნდა ეძებო, მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები ერთობ რაციონალურად ყოფენ ერაყს სამ ნაწილად, თანაც იმგვარად, რომ მისი წიაღისეულის ექსპლუატაცია მეტად მოსახერხებელია? ეს სამი ნაწილია — **ქურთისტანი, სუნიტური ერაყი და ე.წ. შიიტთა მიწა.**

ყველაზე მეტად სირია, ერაყი, ირანი და ჩინეთი დაზარალდება. მოიგებს — აშშ, თურქეთი, ისრაელი და საუდის არაბეთი. ერაყში „ისლამური სახელმწიფოს“ შეჭრის პოლიტიკური შედეგია ირანიდან დახმარების დერეფნის ბლოკადა ბაშარ ასადის ჩამოგდების მიზნით. არ ღირს იმის შეხსენება, რომ **„არაბული გაზაფხულის“ შედეგად არც ერთ ქვეყანაში აღარ არის მშვიდობა და სტაბილურობა, ხოლო საერო სახელმწიფოები სწორედ „დემოკრატიის ექსპორტის“ შემდეგ ისლამისტური ძალების თავშესაფრად იქცნენ.**

შარშან მოსკოვში ნავთობკომპანიების ყოველწლიური კონგრესი გაიმართა, რომელზეც მკაფიოდ ითქვა, რომ **„ალ ნუსრას“ არმიის მიერ სირიაში მოპარული ნავთობი ბაზარზე EXXON-MOBIL-ის (ყატარი) მიერ არის შეთავაზებული, ხოლო „ისლამური სახელმწიფოს“ ნავთობს ARAMCO (საუდის არაბეთი) იყენებს.**

„ისლამური სახელმწიფოს“ ყველაზე დიდ წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ იგი ორ მთავარ ნავთობსადენს აკონტროლებს: ერთი პორტ ბანიასისკენ მიემართება და სირიას ამარაგებს, მეორე – პორტ ჯეიჰანს. პირველი „ისლამურმა სახელმწიფომ“ გადაკეტა, მეორე კი შეუფერხებლად მუშაობს. **დასავლური პრესა შეშფოთებულია იმით, რომ „ისლამური სახელმწიფო“ ნავთობის გაყიდვით ძლიერდება, მაგრამ თითქმის არავინ სვამს კითხვას — როგორ ახერხებენ ისლამისტები ნავთობის გაყიდვას, როცა ეს ბაზარი ყველაზე მკაცრად კონტროლდება და მისი უმსხვილესი მოთამაშეების თანხმობის გარეშე, არათუ ტანკერებს, კანისტრასაც ვერ გაყიდი?!**

**აღარავისთვის არის საიდუმლო, რომ ბოლო 25 წლის განმავლობაში ატეხილ ომებს ნავთობის მკვეთრი სუნი ასდის. ყველა სამხედრო ინტერვენციაც სწორედ ნავთობის საბადოების გამო ხდებოდა და არა იმიტომ, რომ დემოკრატიის დეფიციტმა შეაწუხა ვინმე.**

ახლახან ცნობილი გახდა სკანდალური ფაქტები, თუ როგორ ცდილობდა აშშ-ის სახელმწიფო მდივანი **ჰილარი კლინტონი**, რადაც უნდა დაჯდომოდა, ლიბიაში ომი გაეჩაღებინა. **THE WASHINGTON TIMES-მა გამოაქვეყნა დოკუმენტები, რომელთა თანახმად სახელმწიფო დეპარტამენტი დამახინჯებულ ინფორმაციას აწვდიდა თეთრ სახლს. საიდუმლო აუდიოჩანაწერები მოწმობს, რომ პენტაგონი და დემოკრატი კონგრესმენები ისე უკმაყოფილო იყვნენ ქალბატონი კლინტონის 2011 წლის გადაწყვეტილებით საომარი მოქმედებების გაგრძელების თაობაზე, რომ დიპლომატიური არხებით კადაფის ვაჟს დაუკავშირდნენ.**

ისევე, როგორც **სადამ ჰუსეინის** შემთხვევაში, ოფიციალური განცხადებები კეთდებოდა, თითქოს **მუამარ კადაფი** საკუთარი ხალხის გენოციდს აპირებდა(?!). არც ეს დადასტურდა, როგორც — ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობა, მაგრამ სადამიც დაამხეს და კადაფიც. ახლა ქალბატონი კლინტონი პრეზიდენტობისთვის ემზადება. მშვენიერი ბექგრაუნდია!

**კიევის მაიდანზე დარიგებული ამერიკული ორცხობილების შემდეგ აღარავის უკვირს, რომ შეერთებული შტატები პირდაპირ უჭერს მხარს ამბოხებებს, სახელმწიფო გადატრიალებებს, მართვად ქაოსს და ქვეყნების აშკარა დეგრადაციას.** კადაფის დამხობამდე ჰილარი კლინტონი ამბოხებულთა წარმომადგენელს — მაჰმუდ ჯიბრილს შეხვდა, რათა გაერკვია, შეძლებდნენ თუ არა ისინი კადაფის დამხობას საკუთარი ძალებით. 45 წუთში იგი მიხვდა, რომ ამბოხებულთა იმედად ყოფნა არ შეიძლებოდა. საჭირო იყო სამხედრო ჩარევა.

„მე ვლაპარაკობდი იმაზე, რომ ვოცნებობ დემოკრატიულ საზოგადოებაზე, რომელშიც ლიბიელები თანაბრად მონაწილეობენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში გამონაკლისის გარეშე, კადაფის მომხრეებიც კი, იმ პირობით, თუ მათ დანაშაული არ აქვთ ჩადენილი ლიბიელი ხალხის წინააღმდეგ. ვლაპარაკობდი იმაზე, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ უნდა დაიცვას მშვიდობიანი მოსახლეობა შესაძლო(?!) გენოციდისგან. შეხვედრის დასასრულს მივხვდი, რომ გამოცდა ჩავაბარე. ბენღაზი გადარჩენილი იყო.“ — ჯიბრილმა ამ შეხვედრის შესახებ უამბო The Times-ს. ხომ არ გეცნოთ ეს რიტორიკა? საკუთარი სახელმწიფოს ინტერესები სწორედ ასე უნდა „შეფუთო“, რომ ამერიკელები შენს სამშობლოს დაესხნენ თავს და თანაც — დემოკრატიის სახელით!

თავის მხრივ, პრეზიდენტმა ობამამ სულ მალე ამერიკელი ერისადმი მიმართვაში განაცხადა: „კონკრეტულ მომენტში, კონკრეტულ ქვეყანაში, ლიბიაში ჩვენ შევეჯახეთ საშინელი მასშტაბის ძალადობის პერსპექტივას. ჩვენ მოგვეცა უნიკალური შესაძლებლობა, შევაჩეროთ ეს ძალადობა: ჩვენ მივიღეთ საერთაშორისო მანდატი ჩარევაზე, ფართო კოალიცია მზად არის, შემოგვიერთდეს, მხარს გვიჭერენ არაბული ქვეყნები, ხოლო ლიბიელი ხალხი გვემუდარება, დავეხმაროთ“.

**აი, ასე: კონკრეტული ჯიბრილი „ლიბიელი ხალხია“, ძალადობა მომავალში ივარაუდება, ოღონდ მისი საშინელი მასშტაბი წინასწარ არის ცნობილი, ამიტომ შევდივართ ლიბიაში და ვამხობთ ხელისუფლებას.**

რაკი შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვს, ვნახოთ, რას წერს აშშ-ის მიერ წარმოებულ ომებსა და „პერმანენტულ რევოლუციაზე“ The Washington Times-ის მიმომხილველი **მაიკლ როზეფი: „საზღვარგარეთ ამერიკის მიერ წარმოებული სამხედრო ოპერაციების რუკას რომ გადავხედოთ, გაგვიძნელდება, არ შევამჩნიოთ, რომ მათი გეოგრაფია ფართოვდება. საომარი მოქმედებები ხორციელდებოდა ევროპაში (იუგოსლავია და უკრაინა), აფრიკაში, ცენტრალურ აზიასა და ახლო აღმოსავლეთში. ამერიკამ წამოიწყო მთელი წყება ომებისა, რომელთაც დასასრული არ უჩანს. ყველა მათგანის მსვლელობისას აშშ დახმარებისთვის მოკავშირეებს, ნატოსა და იაპონიასაც კი მიმართავდა“.**

როზეფი ბოლო 25 წლის განმავლობაში წამოწყებულ ომებს (ერაყი, სომალი, ბოსნია, მაკედონია, ჰაიტი, ზაირი, სიერა-ლეონე, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, ლიბერია, ალბანეთი, ავღანეთი, სუდანი, სერბია, ლიბია, იემენი, პაკისტანი, სირია, უგანდა, იორდანია, თურქეთი, ჩადი, მალი, სომალი) მიმოიხილავს და ასკვნის: **„ტერორიზმის საფრთხე ჩინებული გამართლებაა სამხედრო ოპერაციისთვის. სამხედრო მოქმედებების მთავარ დასაბუთებად ამერიკელებისა და ეროვნული ინტერესების დაცვა იქცევა ხოლმე... ზოგიერთ შემთხვევაში ომს ეთნიკური წმენდისა და მასობრივი მკვლელობების საფრთხით ამართლებენ, რომელთაც თითქოს იმ ქვეყნების მთავრობები აპირებენ(?!)“.**

მართალია, დროთა განმავლობაში ირკვევა, რომ ამ საბაბებს სინამდვილესთან საერთო არაფერი აქვს, მაგრამ იმ დროისთვის ყველაფერი უკვე დამთავრებულია. სამაგიეროდ, რჩებიან ის „დამხმარენი“, რომელთა გარეშე უცხო ქვეყანაში არეულობის თუ დაპირისპირების მოწყობა ვერ ხერხდება. ასე იყო ავღანეთში, ასეა ახლა ერაყსა და სირიაში. **თუ დავიჯერებთ, რომ 11 სექტემბრის შემზარავი ტერაქტები „ალ ქაიდამ“ და ამერიკელების გამოზრდილმა ბენ ლადენმა განახორციელეს, ირანის გენერალური შტაბის მეთაურის გაფრთხილება ერთობ რეალისტური აღმოჩნდება. „ისლამური სახელმწიფო“, ადრე თუ გვიან, სწორედ აშშ-ს შეუტრიალდება.**

ეს არ მახარებს, პირიქით — ბავშვი ყველგან ბავშვია, ის არც სირიაში უნდა იღუპებოდეს, არც ერაყში და არც ამერიკაში, თუმცა ამაზე, პირველ რიგში, ამერიკელებმა უნდა იფიქრონ. მხედველობაში ხელისუფლება მყავს, თორემ ხალხს იქაც არავინ არაფერს ეკითხება.

**„მძიმე სოციალურმა ფონმა და ხელისუფლების ზედმეტად ლიბერალურმა პოლიტიკამ გამოიწვია ის, რომ პანკისში ვაჰაბიტური დაჯგუფებები გააქტიურდნენ, არ გამოვრიცხავ, რომ კვლავ გამოჩნდებიან არაბი ემისრებიც, რადგან სირიისათვის ახალგაზრდა მებრძოლების რეკრუტირებას ცდილობენ“.**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ოთხი ამერიკული საწვრთნელი ცენტრი საქართველოში უკვე მოქმედებს»

**სირიასა და ერაყში მიმდინარე საომარმა მოქმედებებმა პანკისის ხეობიდან უკვე 7 ახალგაზრდა შეიწირა. ადგილობრივების შეფასებით, სირიასა და ერაყში 50-მდე პანკისელი იბრძვის. დაზუსტება შეუძლებელია. საქართველოს ხელისუფლება აღიარებს, რომ ეს პრობლემა აქტუალურია: „ვცდილობთ, მაქსიმალურად გავაკონტროლოთ პანკისში არსებული ვითარება, მაგრამ საქმე არის ის, რომ იქაურები ჯერ ლეგალურად მიდიან თურქეთში, იქიდან კი სირიაში გადადიან და საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობენ“, — განაცხადა პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა. პანკისელებს დღეს ყველაზე მეტად მათი ხეობის ტერორიზმთან გაიგივება აწუხებთ. უცხოეთიდან დაფინანსებას ან სხვა სახის დახმარებას უარყოფს ადგილობრივი იმამი, თუმცა პანკისის ხეობის კავშირი ტერორიზმსა და საეჭვო ფონდებთან მაინც იკვეთება — წლების განმავლობაში ეს ხეობა ჩეჩენი თუ არაბი საველე მეთაურების თავშესაფარი იყო. ამასთანავე, ამერიკული სანქციების შავ სიაში „ალ ქაიდასთან“ თანამშრომლობაში ეჭვმიტანილი საქველმოქმედო ფონდების — „ალბირ ალ დავალიას“ და „ჯი-ერ-ეფის“ — სამოქმედო არეალად, მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებთან ერთად, დუისიცაა მითითებული. პანკისის ხეობაში მიმდინარე მოვლენებზე, რომლებიც ჩვენი ქვეყნისთვის სახიფათოა, კომენტარი იმ ადამიანებს ვთხოვეთ, რომლებმაც ეს ხეობა კარგად იციან და იქ არსებული პრობლემების შესახებ ინფორმაციაც აქვთ.**





**ვალერი ხაბურძანია, უშიშროების ყოფილი მინისტრი:**

— 1990-იანი წლების ბოლოდან პანკისის ხეობაში არეულობის დაწყება რუსეთში მიმდინარე ომმა გამოიწვია. ფედერალურმა ჯარებმა სეპარატისტ ჩეჩნებს შეუტიეს. რუსლან გელაევის დაჯგუფება ხალხთან ერთად საქართველო-რუსეთის საზღვარს მოადგა. საქართველოს მთავრობის იმჟამინდელი მეთაურის გადაწყვეტილებით, საქართველოს ტერიტორიაზე ლტოლვილი ჩეჩნები შემოუშვეს, მაგრამ მშვიდობიან მოსახლეობას შეიარაღებული დაჯგუფებებიც შემოჰყვნენ, მათი განცალკევება ვერ მოხერხდა. შეიარაღებულმა ხალხმა ყაზბეგის მოსახლეობა შეაწუხა, პრობლემებს ქმნიდნენ, ამიტომ მთავრობამ გადაწყვიტა, ჩეჩნები პანკისის ხეობაში გადაეყვანათ, რადგან იქ მათი მონათესავე ხალხი ცხოვრობდა. ყველა ფიქრობდა, რომ ისინი ძალიან მალე დატოვებდნენ ხეობას, მაგრამ რამდენიმე წელიწადს დარჩნენ.

**პანკისის ხეობაში შეიარაღებული დაჯგუფების არსებობამ გამოიწვია ის, რომ ნელ-ნელა სახელმწიფო ინსტიტუტები იქ შესვლას ვეღარ ახერხებდნენ. ქართველებსა და ჩეჩენ მოსახლეობას შორის წინააღმდეგობები გაჩნდა, ამიტომ საქართველოს იმჟამინდელმა ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, შემოესაზღვრა ხეობა და, ალბათ, გახსოვთ, რომ სოფელ მატანში და თელავთან ახლოს ბლოკ-პოსტები გაიხსნა. იმ პერიოდში უფრო მეტად კონტროლდებოდა ყველა შემომსვლელ-გამსვლელი, ვიდრე დღეს.**

დაძაბულობა და ხელისუფლების აღშფოთება იმან გამოიწვია, რომ პანკისში გამოჩნდნენ არაბი ემისრები, რომლებიც არა მხოლოდ ვაჰაბიზმს ქადაგებდნენ, არამედ წვრთნებსაც ატარებდნენ — მოსახლეობას აფეთქების „ხელოვნებაში“ წვრთნიდნენ.

**— საქართველოში ვაჰაბიტური მოძრაობა 1990-იანი წლების ბოლოდან დაიწყო?**

— ვაჰაბიზმი არაბებთან ერთად შემოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ რუსლან გელაევი იყო შეიარაღებული დაჯგუფების მეთაური, არაბები მეტ ძალაუფლებას ფლობდნენ. ერთი არაბი იყო — ამჟეტი, რომელიც აკონტროლებდა სიტუაციას.

**— წარმატებით დასრულდა სპეცოპერაცია, რომელიც თქვენი მინისტრობისას პანკისის ხეობაში ჩატარდა?**

— **ყველა ფიქრობს და ამბობს, რომ 2001 წელს პანკისის ხეობაში სპეცოპერაცია ირაკლი ალასანიამ ჩაატარა. წლები გავიდა და დღემდე ამბობენ, რომ პანკისის ხეობაში ვითარების დარეგულირებაში ალასანიამ დიდი წვლილი შეიტანა. არადა, ეს პრობლემა და თემა მე წამოვწიე, იმხანად ალასანია ჩემთან არც მუშაობდა. მინისტრობის პერიოდში პანკისის ხეობიდან თითქმის არ გამოვსულვარ. რაც შეეხება ირაკლი ალასანიას, ის მაშინაც ამერიკულ ობიექტებზე აქტიურობდა,** იქ იყვნენ რუსული ჯგუფებიც და მათ კოორდინაციას მე ვუწევდი. მოგვიანებით შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩაერთო და შინაგანი ჯარების შეყვანის შედეგად ხეობა გავათავისუფლეთ, რა თქმა უნდა, პატარ-პატარა ჯგუფები დარჩნენ, მაგრამ კონტროლს ექვემდებარებოდნენ. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ირაკლი ალასანია პანკისში იყო, მაგრამ მის სახელს სამინისტროს მიერ შესრულებული სამუშაოს 15%-იც კი არ მიეწერება.

**— თუ თქვენი მინისტრობისას დაცული იყო პანკისის ხეობის შემოსასვლელები, დღეს რამ გამოიწვია ასეთი უკონტროლობა?**

— **მძიმე სოციალურმა ფონმა და ხელისუფლების ზედმეტად ლიბერალურმა პოლიტიკამ გამოიწვია ის, რომ პანკისში ვაჰაბიტური დაჯგუფებები გააქტიურდნენ, არ გამოვრიცხავ, რომ კვლავ გამოჩნდებიან არაბი ემისრებიც, რადგან სირიისათვის ახალგაზრდა მებრძოლების რეკრუტირებას ცდილობენ.**

სახელმწიფომ სასწრაფოდ უნდა მიიღოს ზომები, რათა ახალგაზრდები დასაქმდნენ, დაეხმაროს ტრადიციულ რელიგიურ კონფესიებსა და უხუცესთა საბჭოებს.

**— ბატონო ვალერი, როგორ ფიქრობთ, დაგვეხმარება თუ არა საქართველოში ნატოს საწვრთნელი ცენტრის განთავსება თუ მეტი პრობლემების წინაშე აღმოვჩნდებით? ყოფილი თავდაცვის მინისტრი ალასანია ხსნას ნატოს ცენტრის განთავსებაში ხედავს.**

— როდესაც ჩემი მინისტრობისას პანკისში პრობლემა იყო, პროცესს სხვა სახე ჰქონდა... საქართველოში ხალხი ჩამოდიოდა, დღეს კი აქედან სხვაგან მიდიან საბრძოლველად. ადრე თუ გვიან, სირიაში საბრძოლო მოქმედებები დასრულდება და ეს მებრძოლებიც დაბრუნდებიან...

**რაც შეეხება ნატოს საწვრთნელ ცენტრს, რაღაც მოგონილი ბოდვა მგონია, რადგან ოთხი ამერიკული საწვრთნელი ცენტრი საქართველოში უკვე მოქმედებს. რა საჭიროა ნატოს ცენტრი, თუ არა ვიღაცის გასაღიზიანებლად?!**

**— ვის გააღიზიანებს — ვაჰაბიტებს?**

— დიახ, გააღიზიანებს ვაჰაბიტებს და ეს რუსეთისთვისაც არასასიამოვნო ფაქტია. არ მესმის, რა საჭიროა იმაზე ძალებისა და ენერგიის ხარჯვა, რაც არაფერში გამოგვადგება, სარგებელი არ გაქვს და საფრთხე მძაფრდება.



**ტრისტან წითელაშვილი, გენერალი, სამხედრო ექსპერტი:**

— არა მხოლოდ ის, რაც პანკისის ხეობაში ხდება, არამედ ყველაფერი, რაც დღეს ქვეყანაში ჩვენ თვალწინ ხდება, სახელმწიფოს ბრალია. ხელისუფლება ისეთი უნიათო აღმოჩნდა, რომ ყველა მიმართულებით ცუდი პროცესები მიმდინარეობს. ვერ შეძლეს, გადაედგათ სწორი ნაბიჯები, რომლის მილოდინიც ხალხს ჰქონდა და ეს მხოლოდ პანკისს არ ეხება. პანკისის ხეობიდან ადამიანები, ძირითადად, ეკონომიკური და სოციალური პრობლემის გამო მიდიან. ვფიქრობ, **ხელისუფლებას ეს ყველაფერი ძალიან ცუდად მოუბრუნდება და პანკისის ხეობის მსგავსმა პრობლემამ, შესაძლოა, სრულიად საქართველო მოიცვას.**

**— ბატონო ტრისტან, ეს ხელისუფლება რა შუაშია? მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაშია ეს პრობლემა. არ თვლით, რომ გარე ფაქტორების როლიც ძალიან დიდია?**

— დიახ, დიდია გარე ფაქტორების როლიც, მეც მაგას ვამბობ. რაც მსოფლიოში ხდება, ამერიკის პოლიტიკის ბრალია. „ისლამური სახელმწიფო“ ვისი შექმნილი გგონიათ? ამერიკელების ფულით ფინანსდებიან, პასუხისმგებლობაც მათ კისერზეა.

**ის, რაც პანკისში ხდება, გამოიწვია საქართველოს მთავრობის რიტორიკამ, რომელიც წინა მთავრობის რიტორიკისგან არაფრით განსხვავდება. აი, აქამდე მიგვიყვანა ირაკლი ალასანიას უპასუხისმგებლო განცხადებებმა, საკუთარ თავზე დიდმა წარმოდგენამ, თავნებობამ.**

თუ საქართველოში ნატოს ცენტრები განთავსდება, საფრთხე მოიმატებს. იქ, სადაც ნატოს ბაზები და ცენტრებია, ყველგან არასტაბილური ვითარებაა, სწორედ ეს ქვეყნებია მიმზიდველი „ისლამური სახელმწიფოსთვის“.

**— ეს ხეობა ადრე იმაზე მეტად დაცული თუ ყოფილა, ვიდრე დღეს არის?**

—**დღეს რომ არის, ასე უპატრონოდ, პანკისის ხეობა არასოდეს ყოფილა.** ვისაც უნდა, როგორც უნდა და როცა უნდა, მაშინ შემოდის საზღვარზე. რა დაცულობაზე მელაპარაკებით? პირტიტველა ბავშვები წაიყვანეს ქვეყნიდან, ამას ვინ მოახერხებდა და რომელ პერიოდში? ასეთი ვითარება პანკისში ედუარდ შევარდნაძის მმართველობისას არ ყოფილა, როცა იქ რუსლან გელაევი „დაჯირითობდა“.

ხელისუფლება ვალდებულია, მეტი კავშირი იქონიოს პანკისის ხეობის მოსახლეობასთან და ყველაზე მთავარი — გადახედოს ნატოში ინტეგრირების საკითხს; დაფიქრდეს, არის თუ არა ნატო საქართველოსთვის სიკეთის მომტანი. ერთდერთი გამოსავალია, — ჩატადრეს რეფერენდუმი და გაირკვეს, რა სურს საქართველოს მოსახლეობას.

**როდის გააქტიურდნენ ვაჰაბიტური დაჯგუფებები საქართველოში? — მას შემდეგ, რაც ირაკლი ალასანიამ საჰაერო თავდაცვით სისტემებსა და ნატოს ცენტრებზე დაიწყო ლაპარაკი და, არა მხოლოდ ალასანიამ, მის აზრს ხელისუფლების აზრიც ემთხვევა.**

მოლაპარაკება ვაჰაბიტებთანაც შეიძლება, თუ ხელისუფლება სწორ გზას დაადგება და გადადგამს იმ ნაბიჯებს, რომლებიც ქვეყანას სჭირდება. ამერიკელების მეთოდით მუშაობა არაფერში გამოგვადგება.

**ცნობისათვის:**

**პანკისის ხეობა მდინარე ალაზნის ველზე მდებარეობს. მას დასავლეთიდან ემიჯნება თიანეთის ზეგანი და ზემო არაგვის ველი, სადაც ხევსურები სახლობენ, აღმოსავლეთიდან კი — თუშეთის მაღალმთიანი ქვაბული.**

**პანკისის ხეობაში შევდივართ გომბორის უღელტეხილის გავლით, რომელიც კახეთის ადმინისტრაციულ და კულტურულ ცენტრამდე – თელავამდე მიდის.**

**ქართველი ქისტები (საქართველოში ჩეჩნებისა და ინგუშების სახელწოდება) — ვაინახები, ძირითადად, პანკისის რაიონში სახლობენ. ოფიციალური ცნობების მიხედვით, საქართველოში 12 000 ქისტი ცხოვრობს, მათი ნახევარი კი პანკისშია თავმოყრილი. 1970-1980-იან წლებში უმძიმესი ეკონომიკური და სოციალური პირობების გამო, ბევრი მათგანი წავიდა რუსეთში, თუმცა, ბოლო ათწლეულია, საქართველოში ქისტების რადენობა გაორმაგდა ჩეჩნეთიდან ლტოლვილების შემოდინების ხარჯზე.**

**1989 წლის სტატისტიკური მონაცემებით, პანკისში ქისტები მოსახლეობის 43 %-ს შეადგენდნენ, ქართველები — 29%-ს, ოსების წილი კი 28% იყო, თუმცა ეთნოდემოგრაფიული მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა 1990-იანი წლების დასაწყისიდან. ჩეჩნეთის ომების შედეგად ლტოლვილები და ოსების ემიგრაციის შედეგად ვაინახები ყველაზე დიდ ეთნიკურ ჯგუფად იქცნენ ხეობაში.**

მოამზადა **ეკა ნასყიდაშვილმა**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„კბილაშვილს, რომელსაც გამოცდილება არ ჰქონდა, მთავარ პროკურორად რომ დანიშნავ და მოადგილედ ნაცვლიშვილს მიუსვამ, იმას ნიშნავს, რომ თავიდანვე ბრიყვი ხელისუფლება გვყავდა ან უფრო უარესი — თავიდანვე ყველაფერი დაგეგმილი იყო და ქონების გადანაწილების პროცესში არჩევნებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა“.

# ლია მუხაშავრია: არ დაისჯება არავინ არც ქვეყნის შიგნით და არც გარეთ

**უკვე რამდენიმე დღეა, ქართული მედიის ყველა პოლიტიკური თოქშოუ ზურაბ ადეიშვილისთვის ძებნილის სტატუსის მოხსნის მიზეზის გარკვევას ცდილობს. საქართველოში ინტერპოლიდან მოვიდა წერილი. მასში ნათქვამია, რომ ზურაბ ადეიშვილი წითელი ცირკულარით აღარ იძებნება. მიზეზად დასახელდა, რომ რომელიღაც ქვეყანამ ის ლტოლვილად აღიარა.**

**სამართლიანობის აღდგენის მოლოდინში მყოფი საზოგადოება ამ ინფორმაციამ ძალიან გააღიზიანა, პასუხად კი იუსტიციის ამჟამინდელმა მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა: „ქართველ ხალხს აქვს უფლება, იცოდეს, რომელმა ქვეყანამ შეიფარა ადეიშვილი“. ის და მისი კოლეგები ამ დრომდე „იხვეწებიან“, რომ ვიღაცამ გააგებინოს, ვის კისერზეა ქართველი ხალხის ცოდვა და ვინ გადაგვიწურა დამნაშავე ადეიშვილის დაპატიმრებისა და საქართველოში ექსტრადიციის იმედი.**

**იუსტიციის ყოფილი მინისტრის — ზურაბ ადეიშვილის წინააღმდეგ საქართველოში სისხლის სამართლის 3 საქმეა აღძრული: ციხეში პატიმრის წამების, „ქართუ ბანკის“ გაკოტრებისა და 7 ნოემბრისა და ტელეკომპანია „იმედში“ უკანონო შეჭრის საქმეები. ბოლო საქმეში ყოფილ მინისტრს ბრალი 4 ყოფილ მაღალჩინოსანთან ერთად აქვს წარდგენილი.**

**მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არ არსებობს დაზარალებული ადამიანი, ბიზნესმენი იქნება ეს, მეცნიერი-მუშაკი, უბრალო მოქალქე თუ კრიმინალი, რომელთა საქმეშიც, თავად ამ ადამიანებს რომ ჰკითხოთ, ადეიშვილი არ ფიგურირებდეს, პროკურატურის გადაწყვეტილებით, აღმოჩნდა, რომ ადეიშვილი სამ საქმეზეა ბრალდებული, ისიც ირიბად და „მოსყიდული“ მოწმეებით.**

**როგორც ადეიშვილის ადვოკატი ოთარ კახიძე აცხადებს, ერთ საქმეში ირიბი მოწმე იყო, მეორე მოწმემ კი საჩივარი უკან გაიტანა; რაც შეეხება „ქართუ ბანკის“ საქმეს, გაგახსენებთ მისი მეპატრონის, ყოფილი პრემიერის — ბიძინა ივანიშვილის 2013 წლის წლის 2 ოქტომბრის განცხადებას: „ზურაბ ადეიშვილი ჩემს მთავრობაში ყველაზე კარგი ჩინოვნიკი იქნებოდა. წინა ხელისუფლებაში, ჩემი აზრით, ყველაზე საინტერესო და ნიჭიერი ადამიანი იყო ზურაბ ადეიშვილი. მე რომ ვყოფილიყავი მის დროს მთავრობის ხელმძღვანელი, დარწმუნებული ვარ, ადეიშვილი ყველაზე კარგი ჩინოვნიკი იქნებოდა დღეს სახელმწიფოში“.**

**როგორც ჩანს, ქვეყნის პირველმა მოქალაქემაც გადაწყვიტა, ზურაბ ადეიშვილისთვის, „კარგი ჩინოვნიკის, საინტერესო და ნიჭიერი ადამიანისთვის“ ყველაფერი ეპატიებინა.**

**არის დამნაშავე ზურაბ ადეიშვილი თუ მის მიმართ ზიზღი იმიტომ აქვს ხალხს, რომ ის „ნაციონალური მოძრაობის“ დროინდელი მაღალჩინოსანია? ამ და სხვა თემაზე სასაუბროდ უფლებათა დამცველ ლია მუხაშავრიას დავუკავშირდით.**

**— ქალბატონო ლია, აღმოჩნდა, რომ ადეიშვილი სამი საქმისთვის იძებნება, რომელთაგან ორი არ დაუმტკიცდა, თუმცა იმავე ბრალდებით 4 მაღალჩინოსანი უკვე საპყრობილეშია. იყო თუ არა დამნაშავე ზურაბ ადეიშვილი? იქნებ მოუგონეს დანაშაული და სინამდვილეში კარგი ადამიანია?**

— სწორედ მანდ არის „ძაღლის თავიცა და კატის კუდიც“ ჩამარხული. ადეიშვილის მიმართ პროკურატურას ძალიან უსუსური ბრალდებები ჰქონდა, ყველა ბრალდება ნაკლებად მძიმე დანაშაულის სახეს ატარებდა. სწორედ ამიტომაც ინტერპოლს ჰქონდა მიზეზიც და უფლებაც, დაინტერესებულიყო მისი ძებნის საკითხით. თუ აღმოჩნდებოდა, რომ ადეიშვილს მძიმე ბრალდებები ჰქონდა, ძებნას გააგრძელებდნენ.

**ადეიშვილის ძებნიდან მოხსნის საკითხი რამდენიმე დღის წინათ გახდა ცნობილი ჩვენი ხელისუფლებისთვის, თორემ პირადად მე, დიდი ხანია, ვეჭვობდი, რომ საქმე სწორედ ამ მიმართულებით წავიდოდა. დღეს ისეთ სიტუაციაში ვარ, რომ მის წინააღმდეგ რაიმეს მტკიცება არ შემიძლია. ყველამ ვიცით, რომ ადეიშვილი იყო ქვეყანაში მიმდინარე ყველა ცუდი პროცესის დამკვეთი, იდეური მამა, მაგრამ კარგი იურისტი იყო და იცოდა, როგორ გაეკეთებინა საქმე ისე, რომ მის წინააღმდეგ არაფერი ამოქექილიყო, თანაც გაითვალისწინეთ, ჩვენი უსუსური პროკურატურის მუშაობაც.**

**— იშვიათია დაზარალებული ადამიანი, რომელიც ადეიშვილს არ ახსენებს, მაგრამ ის დღეს დაუსჯელია... იქნებ ვიღაც ხელს აფარებს? მაგალითად, ბიძინა ივანიშვილმა მასზე თქვა, რომ კარგი „ჩინოვნიკი“ და ნიჭიერი ადამიანია...**



**«წინა ხელისუფლებაში, ჩემი აზრით, ყველაზე საინტერესო და ნიჭიერი ადამიანი იყო ზურაბ ადეიშვილი. მე რომ ვყოფილიყავი მის დროს მთავრობის ხელმძღვანელი, დარწმუნებული ვარ, ადეიშვილი ყველაზე კარგი ჩინოვნიკი იქნებოდა დღეს სახელმწიფოში»**

**ბიძინა ივანიშვილის ამ სიტყვების შემდეგ რა გასაკვირია, რომ ინტერპოლმა ზურაბ ადეიშვილი წითელი ცირკულარით ძებნილთა სიიდან ამოიღო**

**«გახმაურებულ საქმეებზე რომ დარღვევებია, პროკურორებმა და ხელისუფლების წარმომადგენლებმაც კარგად იციან, იციან ისიც, რომ ქვეყანაში უმაღლესი რანგის იურისტები ჩამოდიან ამ პროცესების მონიტორინგისთვის და ანგარიშებს წერენ, რომლებიც ქვეყნისთვის სავალალო შედეგის მომტანია»**



ლია მუხაშავრია

— დიახ, ადეიშვილს ხელს ბევრი აფარებს. ის გახლდათ იუსტიციის მინისტრი, მისი დანიშნული იყო ყველა პროკურორი, ისინი არსად წასულან. თითოეული მათგანი პერსონალურად, თანამდებობრივად დავალებულია ადეიშვილისგან, ისინი მას პატივს სცემდნენ, ალბათ, დღესაც ასეა...

როდესაც ადვოკატებმა დავიწყეთ საუბარი პროცესუალურ დარღვევებზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა მაღალი თანამდებობის პირების (ახალაიას, მერაბიშვილის და ა.შ.) საქმეებში, ყურადღება არავინ მოგვაქცია. **მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოში დამნაშავეების დიდი უმრავლესობა დაუსჯელია, დარღვევები, რომლებიც პროკურატურამ დაუშვა, გათვლილი იყო, ევროსაბჭოს რეზოლუციაში ჩაწერილიყო, რომ საქართველოში პოლიტიკური ოპონენტების დევნა მიმდიმარეობს. მათ ეს დაიჯერეს და ამას ველარაფერი შეცვლის.**

**— მოსახლეობის დიდი ნაწილი სამართლიანობის აღდგენის მოლოდინშია. ასეთი მნიშვნელოვანია, რას ჩაწერენ ევროსაბჭოს რეზოლუციაში?**

— დიახ, მნიშვნელოვანია, რადგან, როდესაც პოლიტიკური დევნა აღინიშნება, დაკავებულების ექსტრადირება არ ხდება. ქვეყანას, არც ერთ დამნაშავეს არ გადმოსცემენ. ადეიშვილის მაგალითი ამის ნათელი დასტურია. იგივე მოხდა დათა ახალიას, დავით კეზერაშვილისა და სხვა უამრავი დამნაშავის შემთხვევაშიც.

**— როგორ ფიქრობთ, რეალურად რაც ხდება, დევნაა? ნებისმიერი ქართველი იტყვის, რომ დევნა კი არა, სამართლიანობის აღდგენაა...**

— ვერავინ იტყვის, რომ საქართველოში დევნა არ არის. შესაძლებელია, ადამიანი წინასწარ პატიმრობაში გყავდეს ათი წელი, ვერც ერთი ბრალდება ვერ დაუდასტურო, შემდეგ ყველაში გამართლდეს, მაგრამ ეს ათი წელი ციხეში რომ ზის, დადგენილებით უკანონო პატიმრად ითვლება. სწორედ ასეთი ამბავია უგულავას, მერაბიშვილისა და ახალაიას თავს. 9-თვიანი პატიმრობის ვადის გასვლის შემდეგ ახალ ბრალს უყენებენ და ისევ 9 თვეს უმატებენ, ბრალს კი ვერ უმტკიცებენ.

ასეთ **გახმაურებულ საქმეებზე რომ ასეთი დარღვევაა, პროკურორებმა და ხელისუფლების წარმომადგენლებმაც კარგად იციან. იციან ისიც, რომ ქვეყანაში უმაღლესი რანგის იურისტები ჩამოდიან ამ პროცესების მონიტორინგისთვის და ანგარიშებს წერენ, რომლებიც ქვეყნისთვის სავალალო შედეგის მომტანია.**

**უგულავამ იცის და ამტკიცებს კიდეც, რომ 9 თვეზე მეტ ხანს არ შეიძლება, ადამიანი წინასწარ პატიმრობაში იყოს. ეს წერია კანონში. ამ პროცესს პროკურატურა შეგნებულად არღვევს, რადგან ხელს უწყობენ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში უგულავამ თავისი სიმართლე დაამტკიცოს. ამის შემდეგ კი მისი გამამართლებელი განაჩენი გავრცელდება ყველა იმ მაღალჩინოსან პატიმარზე, რომლებიც დღეს ციხეში სხედან.**

**— გამოდის, მერაბიშვილი, უგულავა და ახალია არ დაისჯებიან?**

— არა, რა თქმა უნდა, არ დაისჯებიან. **არ დაისჯება არავინ არც ქვეყნის შიგნით და არც გარეთ. ამისთვის ყველამ თავის საქმე აკეთა — ახალმა ხელისუფლებამაც და ძველმაც.** არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა, დაუსჯელი დარჩენილიყო პროცესუალური დარღვევები, რომლებიც ამ პროკურატურამ მაღალჩინოსნების დაკავებისას ჩაიდინა. ხელისუფლებას ამაზე რეაგირება რომ მოეხდინა, საერთაშორისო ორგანიზაციებს პასუხს გასცემდა, იტყოდა, რომ დარღვევებისთვის ყველამ პასუხი აგო, მაგრამ ეს არ გააკეთეს.

მაგალითისთვის გეტყვით: ბაჩო ახალაია საღამოს 9 საათზე მივიდა პროკურატურაში და შეუშვეს. რა საჭირო იყო მისი შეშვება არასამუშაო დროს, თანაც გაითვალისწინეთ, ის ძალით არ მიუყვანით, თავისი ფეხით მივიდა. არჩილ კბილაშვილს მისთვის უნდა ეთქვა: „მობრძანდი ხვალ, დილის საათებში“ და ბრალი წაეყენებინათ არა ღამის 3 საათზე, არამედ დღის 3 საათზე. ეს ფაქტი უკვე იყო დარღვევა, რომელსაც შედგომში საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან გამოხმაურება მოჰყვა. ასეთი **„პატარ-პატარა“ დარღვევები აიკინძა და დაიდო დასკვნა, რომ საქართველოში პოლიტიკური ნიშნით დევნიან ხალხს.**

**— საქმე თუ ასე ცუდად მიდის, აღდგება სამართლიანობა?**

— სამართლიანობა არ აღდგება. ახალი ხელისუფლების მოსვლიდან მესამე წელს პროკურატურა სამართლიანობის აღსადგენად დეპარტამენტს ქმნის, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ისინი ჯადოქრები არ არიან, ვერ გამოიძიებენ საქმეებს და არც სურთ ამის გაკეთება, უბრალოდ, ხალხის თვალის ასახვევად გაკეთდა.

**— ზურაბ ადეიშვილის წითელი ცირკულარით ძებნიდან მოხსნის შედეგ ხალხი ამბობს, რომ წინა და ახალი ხელისუფლება გარიგებულები არიან.**

— დიახ, გარიგებულები არიან. ზემოთ რაც მოგიყევით, როგორ ფიქრობთ, ეს ნათელი მაგალითი არ არის იმისა, რომ გარიგებულები არიან? კბილაშვილს, რომელსაც გამოცდილება არ ჰქონდა, მთავარ პროკურორად რომ დანიშნავ და მოადგილედ ნაცვლიშვილს მიუსვამ, იმას ნიშნავს, რომ **თავიდანვე ბრიყვი ხელისუფლება გვყავდა ან უარესი — თავიდანვე ყველაფერი დაგეგმილი იყო და ქონების გადანაწილების პროცესში არჩევნებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.**

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

## საკითხავია, შეცდა (უკვე მერამდენედ?!) თუ არა ივანიშვილი, როდესაც მერის პოსტზე ნარმანიას კანდიდატურა დაასახელა, ან, საერთოდ, იცის კი, ვინ არის დღეს თბილისის მერი, რა გვარისაა?..

ჩევლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბატონო ყოფილო პრემიერო, რა გვარია თბილისის მერი?

## მერიის სახელით გაგზავნილ ოფიციალურ წერილს, 2014 წლის 3 ივლისს დაპატიმრებული ყოფილი მერის, გიგი უგულავას, ფაქსიმილე ამშვენებს

**2014 წლის 15 მაისს ყოფილი პრემიერის — ბიძინა ივანიშვილის რეკომენდაციით დედაქალაქის მერად ზარ-ზეიმითა და ხმათა 45%-ით დავით ნარმანია ავირჩიეთ.**

**„მე თავშივე ვთქვი, როდესაც ნარმანია დავასახელე, რომ მერის კარგი კანდიდატი იქნებოდა. ვფიქრობ, რომ არ შევმცდარვარ. ის მეთოდურობა, ის პროფესიონალიზმი, რომელიც მას ახასიათებს, ვერ მოვიდა შესაბამისობაში თბილისის მერობასთან დასაწყისში. რაღაც ეტაპზე მას გაუჭირდა. ჩვენ უნდა შევეჩვიოთ, ნარმანია თავისთავად უნდა იყოს მაქსიმალურად ეფექტური და მაქსიმალურად ეცადოს, განახორციელოს ის ფუნქციები, რაც მას კონსტიტუციურად ევალება. მაგრამ საზოგადოებაც უნდა შევეჩვიოთ. მე მომწონს მისი მეთოდურობა, მისი ინერტულობაც კი, რაც ზოგჯერ წინააღმდეგობაში მოდის ქართულ ხასიათთან,“ — განაცხადა ყოფილმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა თბილისის მერად ნარმანიას არჩევიდან 2 დღის შემდეგ — 2014 წლის 17 მაისს.**

**მას შემდეგ თითქმის ერთი წელი გავიდა და საზოგადოებაც თითქმის „შეეჩვია“ ნარმანიას „მეთოდურობასა“ და „ინერტულობას“, მაგრამ საკითხავია, შეცდა (უკვე მერამდენედ?!) თუ არა ივანიშვილი, როდესაც მერის პოსტზე ნარმანიას კანდიდატურა დაასახელა, ან, საერთოდ, იცის კი, ვინ არის დღეს თბილისის მერი, რა გვარისაა?..**

ამბობენ, ბიძინა ივანიშვილი არც გაზეთებს კითხულობს და არც ტელევიზორს უყურებსო, მაგრამ ვფიქრობთ, ამ დოკუმენტს, რომელიც მეზობელი ქვეყნის მოქალაქემ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციაში მოიტანა, მისი ახლობლები ან გუნდის წევრები მაინც გაეცნობიან და ბიძინა ივანიშვილი საკითხისადმი — ვინა არის, რა გვარისაა თბილისის ამჟამინდელი მერი — გულგრილი არ დარჩება.

**ქვეყნის პირველ მოქალაქეს, შესაძლოა, ძალიან ხიბლავს ნარმანიას „ინერტულობა“, მაგრამ ასეთი? — დავით ნარმანის მერობიდან ერთ წლის თავზე მერიის სახელით გაგზავნილ ოფიციალურ წერილს 2014**



**წლის 3 ივლისს დაპატიმრებული ყოფილი მერის, გიგი უგულავას, ფაქსიმილე ამშვენებს. ეს უკვე ინერტულობა კი არა, გულგრილობაა ან უფრო ცუდი რამ...**

ამა წლის 21 აპრილს, 17 საათზე, აზერბაიჯანის მოქალაქემ, საქართველოში დაბადებულმა ალი ორუჯოვმა „თი-ბი-სი ბანკში“ „სი-თი პარკის“ პარკირების სტიკერი შეიძინა და ამისათვის მას მერიის სახელით გადასცეს სამადლობელი წერილი, რომელსაც ხელს აწერს... „თბილისის მერი – გიგი უგულავა“(?!)

აი, რა გვითხრა ბატონმა **ალი ორუჯოვმა:**

— ძალიან სასაცილო ამბავი გადამხდა, თუმცა, სიმართლე გითხრათ, სასაცილოც კი აღარ ჰქვია ამ ყველაფერს. სამადლობელი წერილის ბოლოს გიგი უგულავას ხელმოწერა რომ დავინახე, პირველი ის გავიფიქრე, ახლა ჩემს ადგილას სხვა, ამ ქვეყნისთვის უცხო ადამიანი რომ იყოს, რას მოიმოქმედებს-მეთქი. მერე სიცილის სურვილიც გამიქრა. **მსოფლიო ფეხზე დგას უგულავას პატიმრობის გამო, დედაქალაქის მერადაც დიდი ხანია უკვე, რაც დავით ნარმანიაა არჩეული, რაც ყველასთვის ცნობილია და ამ დროს მერიის სახელით გამოგზავნილ წერილს, დავით ნარმანიას ნაცვლად, გიგი უგულავა აწერს ხელს.**

როგორც ჩანს, არც ნარმანია და არც სხვა თავის საქმეს სერიოზულად არ აღიქვამს. მეცინება და მეტირება კიდეც.

ეს ქვეყანა ძალიან მიყვარს, აქ დავიბადე და გავიზარდე, მეუღლე ქართველი მყავს, ამიტომ ჩემს სამშობლოდ საქართველოს ვთვლი — მეც თქვენსავით დედასამშობლოს ვუწოდებ. სწორედ ამიტომ ჩავთვალე საჭიროდ ეს ფაქტი გამესაჯაროებინა, ვფიქრობ, ასეთ მნიშვნელოვან ამბავზე თვალი არ უნდა დავხუჭოთ.

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

# რა დამსახურებისთვის მისცა ამერიკამ სააკაშვილს განსაკუთრებული ვიზა?!

## ვაშინგტონი «ნაცრეჟიმის» პოლიტიკურ რეაბილიტაციას იწყებს

**„მეოცნებეების“ მთავარმა წინასაარჩევნო დაპირებამ — სამართლიანობის აღდგენამ — საბოლოოდ დალია ჩაილურის წყალი. ქართულ მართლმსაჯულებას პულსი, ფაქტობრივად, არ ესინჯება. დიაგნოზი ერთმნიშვნელოვანია — ასპროცენტიანი იმპოტენცია. ქვეყანაში დაუსჯელობის სინდრომი პიკს აღწევს და თემიდას სასწორს, სადაცაა, ისევ გადიდგულებული კრიმინალები, მოძალადეები და კაცისმკვლელები დაეპატრონებიან...**



პროკურატურა რომ უგერგილოა და არაფრის თავი არ აქვს, გასულ კვირას ვანო მერაბიშვილის სასამართლო პროცესზეც გამოჩნდა. შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა სხდომაზე თავის მოსამართლიან-პროკურორიანად ყველას ერთად თითი უქნია და დაემუქრა: პირობას გაძლევთ, დაუსჯელი არც ერთი დარჩებით, ჩემი და ჩემი თანამებრძოლების პოლიტიკური დევნისთვის პასუხს პირადად გაგებინებთო. მერაბიშვილმა ეს განცხადება ყოფილი სპეცრაზმელის, კახა ნაკანის, დაკავების გამო გააკეთა. მისი თქმით, იგი ივანიშვილის პირადი პატიმარია და ყოფილი პრემიერი ამით „ნაცმოძრაობის“, როგორც პარტიის, პოლიტიკური რადარებიდან გაქრობას ცდილობს:

**„მე მინდა, მივმართო ნაკანს და ვუთხრა, რომ მტკიცედ იდგეს, პატარა ადამიანების ოცნებას ნუ აასრულებს. ყველა ის ადამიანი, ვინც მონაწილეობდა ნაკანის ასეთ დევნაში, ის ადამიანები, რომლებიც მონაწილეობდნენ თემურ გუნავას წინააღმდეგ, ის ყველა ადამიანი, ვინც რიგითი თანამშრომლების წინააღმდეგ ახორციელებენ უკანონობას ან კანონს ამოფარებულები ძალადობენ, პირადად მე ყველა მათგანს პასუხს ვაგებინებ...“** (როგორც ხედავთ, „ვარდოსანთა“ რიტორიკა არ იცვლება).

**მიაქციეთ ყურადღება სიტყვებს: „პირადად მე პასუხს ვაგებინებ“. კრიმინალ მერაბიშვილს, რომელიც თხემით ტერფამდე სისხლშია ამოსვრილი და კისერზე უამრავი უდანაშაულო ადამიანის ცოდვა აწევს, შეეძლო, ფორმალურად მაინც ეთქვა, — როცა ხელისუფლებაში დავბრუნდებით, ჩვენს მდევნელებს გავასამართლებთ და კანონით დავსჯითო, მაგრამ მან ეს ელემენტარული ფორმალობაც არ დაიცვა. იგი პირდაპირ იმუქრება არა კანონითა და სამართლით, არა მართლმსაჯულებით, არამედ პირადი ანგარიშსწორებით.** ეს კი, არც მეტი, არც ნაკლები, იმას ნიშნავს, რომ სააკაშვილი და მისი კრიმინალური ბანდა დიდი რევანშისთვის ემზადება.

ცხადია, ამ რევანშის სამიზნე ივანიშვილი არ იქნება და არც მისი პოლიტიკური ნაშიერები. ოლიგარქი საფრთხეს თუ იგრძნობს, აიკრავს გუდა-ნაბადს და ღმერთმა იცის, სად გაქრება. რესპუბლიკელებსა და კოალიციაში შემავალ სხვა მოლიბერასტო ელემენტებს ნაცებთან ისედაც რა აქვთ გასაყოფი და ვინღა რჩება? ისევ და ისევ ქართველი ხალხი, რომელმაც 2012 წლის 2 ოქტომბერს სამართლიანობის აღდგენის იმედით მხარი დაუჭირა „ქართულ ოცნებას“. **სააკაშვილი, ისედაც დიდი ხანია, ქართველ საზოგადოებაზე აღრენილია და წარმოიდგინეთ, რა სასტიკად ამოიყრის ჯავრს ეს ორმეტრიანი პარანოიკი, თუ ამის საშუალება მიეცემა. ის ცხრა წელი, ჯოჯოხეთში რომ გავატარეთ, შეიძლება მრავალხმიან სიმღერად მოგვეჩვენოს, ცოცხი და „დუბინკა“ მერე ნახეთ, სისხლის გუბეებით რომ გაივსება ქვეყანა...**

სხვათა შორის, რაც კი ბოლო ხანს აქციები გაიმართა სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით (იქნებოდა ეს ორგანიზაცია „თავისუფალი ზონისა“ თუ „ნაცმოძრაობის“ სათაო ოფისთან), **მიშაიუგენდელები სახურავებზე ისხდნენ და მომიტინგეებს კამერებით ულებდნენ. ცხადია, ეს გართობის მიზნით არ კეთდებოდა, ისინი სახეებს აბეჭდავდნენ და ადგენდნენ ე.წ. შავ სიას, რომელშიც კონკრეტული მოქალაქეები შეჰყავდათ.** კულუარული ინფორმაციით, ამ სიაში უკვე შეყვანილია ასეულობით მოქალაქე და მიშაიუგენდელებს მათ შესახებ სრული ინფორმაცია აქვთ (სახელი, გვარი, მისამართი, სამუშაო ადგილი...), მოკლედ, საკმარისია, ხელსაყრელი ვითარება შეიქმნას, რეპრესიული მანქანა სრულ მზადყოფნაშია.

რაც შეეხება ხელსაყრელი ვითარების შექმნას, ვიცი, ახლა ბევრს ჰგონია, რომ სააკაშვილი პოლიტიკური გვამია და მის მობრუნებას მამაზეციერი ვერ შეძლებს, მაგრამ ნუ გავუსწრებთ მოვლენებს, **„თეთრი სახლი“ უკვე აქტიურ კამპანიას აწარმოებს „ვარდოსანთა ბელადის“ რეაბილიტაციის მიზნით, პირველ ეტაპზე — სამართლებრივად, შემდეგ კი — პოლიტიკურად. სწორედ სამართლებრივი რეაბილიტაციის მცდელობაა ის, რომ მას (სააკაშვილს) ახლახან ამერიკის განსაკუთრებული ვიზა მისცეს.** ამის თაობაზე მან წინა კვირას გამოცემა snob.ru-სთან ინტერვიუში განაცხადა და, ფაქტობრივად, მიანიშნა, რომ ქართული მართლმსაჯულება მის გასამართლებას ასი წელი ვერ შეძლებს: „მე მაქვს განსაკუთრებული ვიზა, რომელიც მხოლოდ ისეთ ადამიანებს ეძლევათ, ვინც გამორჩეულია თავისი ტალანტით, მაქვს ამერიკაში მუშაობის ნებართვაც, რომელსაც ხელი მოაწერა სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ. მე ეს ვიზა კანადაში, ამერიკის საელჩოში ავიღე. ვაშინგტონში არსებობს „ახალი საერთაშორისო ლიდერთა ინსტიტუტი“, მე ამ ინსტიტუტის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ვარ. იქ მუშაობენ ჩემი თანამშრომლები და ვიღებ ოფიციალურ ხელფასს...“

სააკაშვილი რომ მუცლითმეზღაპრეა და დემაგოგია მისი შინაგანი მოწოდებაა, სამი წლის ბავშვმაც იცის, მაგრამ, საუბედუროდ, იგი აღნიშნულ ინტერვიუში სიმართლეს ამბობს. ოკეანის გაღმელმა მამამარჩენალებმა მას მართლა მისცეს „განსაკუთრებული ვიზა“, მუშაობის უფლება და ეს ყველაფერი იმიტომ კი არ გააკეთეს, რომ ამ ორმეტრიან გიჟს მართლა რამე განსაკუთრებული ტალანტი აქვს, არა, ამით, უბრალოდ, ხაზი გაუსვეს მის ხელშეუხებლობას. ახლა შეგვიძლია, ვიძახოთ, რომ სამართლიანობა, ადრე თუ გვიან, აღდგება, რომ დამნაშავეებს მაინც ვიხილავთ საბრალდებო სკამზე, მაგრამ ეს ყველაფერი თავის მოტყუება იქნება; რეალობა ის არის, რომ **სააკაშვილიც, მერაბიშვილიც და სხვებიც, რომლებიც იმის ნაცვლად, რომ ციხეში გასუსულები ისხდნენ და ბალანდას თქვლეფთდნენ, აქეთ გვემუქრებიან, დავბრუნდებით და ყველას სათითაოდ გაგებინებთ პასუხსო...**

ღმერთმა ქნას, ვცდებოდე, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, ეს მუქარა არც მთლად უსაფუძვლოა, „ნაცების“ სამართლებრივი რეაბილიტაცია, ფაქტობრივად, შედგა (მათ უკვე პრაქტიკულად არავინ დევნის) და პოლიტიკური რეინკარნაციაც, სადაცაა, პირწმინდად განხორციელდება. რაც მთავარია, ამას ხელს უწყობს მთელი „ქოცკოლონა“, ზოგი — გულწრფელად, ზოგი — შიშით და ზოგიც — საკუთარი სტომაქის სიყვარულით. უნიათოების ჯოგი, ნებსით თუ უნებლიეთ, ბნელ წარსულში გვაბრუნებს, საკაშვილის ჯალათები კი კბილებს ილესავენ, როგორც ჩანს, მალე სავსე მთვარე იქნება, „ნადირობა“ იწყება...

**ჯაბა ჟვანია**

პრეზენტაცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ლატვიელთა 53% ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას აფასებს, როგორც უკიდურესად მძიმეს, დადებითად — მხოლოდ 4%. რაც შეეხება განათლებასა და მეცნიერებას, 2013-2014 წლებში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემებით, 14 173 მოსწავლე ყოველგვარი განათლების გარეშე რჩებოდა, ანუ დაახლოებით 15 ათასი ბავშვი არსად სწავლობს და ეს ხდება ევროპის ტერიტორიაზე?!“**

# «ევროპის უკანა ეზო. რატომ კვდება ბალტიისპირეთი»

## «რია ნოვოსტის» პრესცენტრში ალექსანდრე ნოსოვიჩის წიგნის პრეზენტაცია გაიმართა




**14 აპრილს „რია ნოვოსტის“ პრესცენტრში გაიმართა პრეზენტაცია ალექსანდრე ნოსოვიჩის წიგნისა — „ევროპის უკანა ეზო. რატომ კვდება ბალტიისპირეთი“. დისკუსიას ესწრებოდნენ რუსეთიდან და ლატვიიდან საგანგებოდ ჩამოსული სტუმრები: წიგნის ავტორი, ანალიტიკური პორტალის — rubaltic.ru-ს მიმომხილველი ალექსანდრე ნოსოვიჩი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ ხელმძღვანელი ტარიელ გაგნიძე, მიხეილ ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული პოსტსაბჭოთა სივრცის შემსწავლელი საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრის დირექტორი სერგეი რეკედა და ლატვიელი პოლიტოლოგი ეინარს გრაუდინში. წიგნის განხილვაში სკაიპის მეშვეობით ლატვიელი და ესტონელი პოლიტოლოგებიც მონაწილეობდნენ. დისკუსიაში ჩაერთვნენ ლატვიელი პოლიტოლოგი, ევროპული დემოკრატიისთვის ალიანსის რეგიონული ვიცეპრეზიდენტი ნორმუნდს გროსტინში და ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, ევროაკადემიის პროფესორი ესტონეთიდან — ედუარდ ტინი.**

ბალტიის ქვეყნები — ლიტვა, ლატვია, ესტონეთი — უკვე დიდი ხანია, ნატოსა და ევროკავშირის წევრები არიან და ხშირად საკუთარ თავს ევროინტეგრაციაზე დაფუძნებულ, პოსტსაბჭოთა განვითარებისა და წარმატების მაგალითად წარმოაჩენენ ხოლმე, ხოლო ადგილობრივი უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები უკრაინის, მოლდოვას, საქართველოსა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების პოლიტიკოსებს კონსულტაციებს ხშირად უწევენ. მაგრამ შეუძლიათ კი სინამდვილეში ბალტიის ქვეყნებს პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაგალითად იქცნენ? რით აიხსნება ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის მოსახლეობის მასობრივი ემიგრაცია დამოუკიდებლობის წლებში და, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყნები, უკვე ათი წელიწადია, ევროკავშირის წევრები არიან, რატომ რჩებიან კვლავ ულარიბესი ქვეყნების რიცხვში? ალექსანდრე ნოსოვიჩი სწორედ აღნიშნულ კითხვებზე სცემს პასუხს თავის წიგნში.

როგორც წიგნის ავტორი ამბობს, ბალტიის ქვეყნების შესახებ ეს მისი პირველი წიგნია, თუმცა სულ მალე იმავე თემაზე დღის სინათლეს მეორე წიგნიც იხილავს. ალექსანდრე ნოსოვიჩის განცხადებით, ბალტიის ქვეყნებს არც დემოკრატიული განვითარებისა და არც ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არ შეუძლიათ დანარჩენი ქვეყნებისთვის მაგალითის მიცემა.

**ალექსანდრე ნოსოვიჩი:**

— ბალტიის ქვეყნებს იდეოლოგიური რადიკალიზმი ახასიათებთ. მაგალითად, 1990-იანი წლების დასაწყისში მხოლოდ ბალტიის ქვეყნებმა თქვეს უარი საბჭოთა პერიოდის ისტორიაზე და განაცხადეს, რომ ეს იყო საბჭოთა ოკუპაცია. კომუნიზმი ნაციზმს გაუთანაბრეს და ქვეყანაში კომუნისტური იდეოლოგია ფაშისტური იდეოლოგიის მსგავსად აკრძალეს. შემდგომ იმავე გზას მიჰყვნენ მოლდოვა და უკრაინა.

არადა, სწორედ ამ „სამაგალითო დემოკრატიულმა ქვეყნებმა“ 1990-იან წლებში ყოველ მესამე ადგილობრივ მცხოვრებს მოქალაქეობა და კონსტიტუციური უფლებები წაართვეს და შემოიღეს ე.წ. არამოქალაქეობის ინსტიტუტი (институт негражданства), რომელიც უფლებებს მხოლოდ მას ანიჭებდა, ვინც ლატვიისა და ესტონეთის მოქალაქე 1940 წლამდე იყო. ყველა დანარჩენი, მეორეხარისხოვანი მოქალაქეების რიგში აღმოჩნდა. ამ ადამიანებს რეფერენდუმებში მონაწილეობაც აკრძალული ჰქონდათ.

ჩემი მთავარი მიზანი იყო, წიგნში მეჩვენებინა ბალტიის ქვეყნებში არსებული რეალობა, რათა ჩვენი ქვეყნების მოქალაქეებმა გააცნობიერონ, როგორ უნდა განვითარდეს ქვეყანა მომავალში. ვფიქრობ, ძალიან სასარგებლო იქნება სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების შედარება და გათვალისწინება. ვინაიდან მიმაჩნია, რომ **ბალტიის ქვეყნებში არსებული მითები დემოკრატიაზე, სიტყვის თავისუფლებაზე, ადამიანის უფლებებზე, ეკონომიკურ სიძლიერეზე სინამდვილეში მხოლოდ ფასადური და მოჩვენებითია.** დიახ, იქ არის პოლიტიკური კონკურენცია, მასმედიის თავისუფლება, მრავალპარტიულობა, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ქვეყანაში დარჩენილი ზრდასრული მოსახლეობის ორი მესამედისთვისაა.

ამას გარდა, როდესაც **საუბრობენ ბალტიისპირეთის დემოკრატიაზე, შეიძლება ითქვას, ეს დემოკრატია მხოლოდ ელიტისთვისაა განკუთვნილი. ეს არის ელიტური დემოკრატია. რეალურად, ეს ქვეყნები ყველა სფეროში სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ — მაღალია ემიგრაციის მაჩვენებელი, პრობლემაა სამუშაო ძალა. მხოლოდ დამოუკიდებლობის პერიოდში ლატვიამ მოსახლეობის 27% დაკარგა, ლიტვამ კი — 28%, შედარებით უკეთესი ვითარებაა ესტონეთში, სადაც მოსახლეობა მხოლოდ 18%-ით შემცირდა. ფაქტობრივად, ბალტიის ქვეყნების დეპოპულაცია ხდება, ბალტიისპირეთი ევროკავშირის უდაბნოს ემსგავსება. ადამიანები სამშობლოს ტოვებენ არა მხოლოდ გასამრჯელოსთვის, არამედ საკუთარი ოჯახებით სამუდამოდ მიდიან უცხოეთში საცხოვრებლად. ამას ემატება დემოგრაფიული კრიზისი, საკმაოდ დაბალია შობადობა. ბოლო ოცი წელია, მოკვდაობა სტაბილურად აჭარბებს შობადობას.**

**«ეს ხალხი ჩვენ რომ გვირჩევს და ლამის იმპერატიულად მოგვიწოდებს, ნატოსა და ევროკავშირში აუცილებლად უნდა შევიდეთო, როდესაც მათი ქვეყნები აღნიშნული ორგანიზაციების წევრები გახდნენ, რა შედეგები მიიღეს?»**



ალექსანდრე ნოსოვიჩი

მართალია, 1990-იან წლებში ბალტიის ქვეყნებმა თითქოს გააკეთეს ევრორემონტი, მაგრამ ეს იყო კოსმეტიკური. ახლა ისინი დაჟინებით ცდილობენ, დაამტკიცონ, რომ ევროპელებზე მეტი ევროპელები არიან. ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები ბალტიისპირეთის ქვეყნების განვითარების გზის პრაქტიკული შედეგებია. თუმცა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ბევრს მაინც სჯერა მათი და ცდილობს, მიბაძოს ამ ქვეყნებს, რაც ძალიან საშიშ ტენდენციად მიმაჩნია და დღევანდელი პრეზენტაციისა და დისკუსიის მიზანიც სწორედ ის არის, რომ ბალტიის ქვეყნების მაგალითზე სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა, საქართველომ, აგრეთვე, მოლდოვამ და უკრაინამ განასხვავონ მითები რეალობისგან და გააცნობიერონ, რომ მხოლოდ ევროკავშირში ინტეგრაცია თავისთავად ყველა პრობლემის გადაჭრას არ ნიშნავს. ბალტიის გზა — ეს არის მხოლოდ ევროპულობის ერთგვარი ფასადის შექმნის მცდელობა.

**სერგეი რეკედა:**

— ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ წიგნს წაიკითხავენ და გააანალიზებენ არა მხოლოდ რუსეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში, არამედ სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც, რადგან ის საკითხები, რომლებზეც საუბარია წიგნში, ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა ქვეყნისთვის აქტუალურია.

ბოლო ოცი წელიწადია, პიარისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების წყალობით ჩამოყალიბდა წარმოდგენა ევროინტეგრაციის შედეგად წარმატებული ბალტიის ქვეყნების შესახებ, რომელიც, ბუნებრივია, ამ ქვეყნების პოლიტიკური ელიტის ძალისხმევის გარეშე არ მომხდარა. ისინი ამ ყველაფერს ისე წარმოაჩენენ, როგორც აბსოლუტურ მაგალითს ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყნისთვის. თუმცა, რეალურად ეს ყველაფერი არ არის ისე ლამაზი, როგორც სურთ, აჩვენონ. ეს წინააღმდეგობებით სავსე პროცესია და, თუ როგორ ხორციელდება სინამდვილეში, ალექსანდრე ნოსოვიჩის წიგნშია მოთხრობილი.

**ტარიელ გაგნიძე:**

— როცა ვუსმენთ ევროკავშირის წარმომადგენლებს, რომლებიც საქართველოში ძირითადად ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან ჩამოდიან, ყოველთვის ჩნდება კითხვა: **ეს ხალხი ჩვენ რომ გვირჩევს და ლამის იმპერატიულად მოგვიწოდებს, ნატოსა და ევროკავშირში აუცილებლად უნდა შევიდეთო, როდესაც მათი ქვეყნები გახდნენ აღნიშნული ორგანიზაციების წევრები, რა შედეგები მიიღეს?** თუმცა აქამდე იმაზე არავინ საუბრობდა, რა დადებითი ან უარყოფითი მხარეები ახლდა ევროინტეგრაციას. დღეს კი ფაქტებსა და ციფრებზე დაყრდნობით მოვისმინეთ ყველაფერი; შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციას ბალტიის ქვეყნებისთვის კარგი არაფერი მოუტანია და არც საქართველოს მოუტანს, რამეთუ მეთოდი, მიდგომა, პოლიტიკა ყველა ქვეყნის მიმართ, ფაქტობრივად, ერთი და იგივეა. ალექსანდრე ნოსოვიჩის წიგნმა ეს ყველაფერი თვალნათლივ დაგვანახვა.

**ეინარს გრაუდინში:**

— როგორც ლატვიელმა, მინდა, დავადასტურო, რომ ყველაფერი, რაც ამ წიგნში წერია, სიმართლეა; უფრო მეტიც, სიტუაცია დღითიდღე რთულდება.

ლატვიის მოსახლეობის 10%-ს არანაირი სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის საშუალება არ აქვს. ამას ემატება ისიც, რომ სამედიცინო ინსტიტუტების კურსდამთავრებულთა უმრავლესობა სასწავლებლის დასრულებისთანავე მიდის ევროპაში, სამედიცინო პერსონალის არარსებობის გამო კი, ლატვია წელიწადში 6 ათას სიცოცხლეს კარგავს. ეს საკმაოდ დიდი რიცხვია, ანუ ლატვია ყოველწლიურად, სამედიცინო პერსონალის არარსებობის გამო, იმდენივე ადამიანს კარგავს, რამდენიც უკრაინის არმიამ ერთწლიანი ბრძოლის შედეგად დაკარგა.

ლატვიელთა 53% ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას აფასებს, როგორც უკიდურესად მძიმეს, დადებითად — მხოლოდ 4%. რაც შეეხება განათლებასა და მეცნიერებას, 2013-2014 წლებში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემებით, 14 173 მოსწავლე ყოველგვარი განათლების გარე- ▶

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„უკრაინაში მიმდინარეობს გლობალური წინააღმდეგობები, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის. აშშ სტანდარტული ამერიკული სქემის მეშვეობით ცდილობს, ზეგავლენა მოახდინოს რუსეთზე. ამერიკელები არასდროს არაფერს აკეთებენ საკუთარი ხელით, ისინი ყოველთვის სხვა ქვეყნებს იყენებენ“.**

**ეინარს გრაუდინში:**

# ევროკავშირში ინტეგრაციამ ლატვიას გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა

**საქართველოს მოსახლეობა უკეთესი მომავლის იმედით ელის ევროკავშირსა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციას. უკვე ათი წელიწადია, ლატვია ამ ორგანიზაციების წევრია, როგორ აისახა ბალტიისპირეთის ქვეყნების, კერძოდ კი, ლატვიის მოსახლეობის კეთილდღეობაზე აღნიშნული ორგანიზაციების წევრობა? — ამ საკითხზე „საქართველო და მსოფლიოს“ ლატვიელი პოლიტოლოგი ეინარს გრაუდინში ესაუბრა.**



**— უკვე ათი წელიწადია, ლატვია ნატოსა და ევროკავშირის წევრია. რა შეგიძლიათ, თქვათ, ლატვიის გამოცდილებიდან გამომდინარე, რა პლუსები აქვს აღნიშნული ორგანიზაციების წევრობას?**

— დარწმუნებული ვარ, **ევროკავშირში ლატვიის გაწევრებისას ეროვნული რეფერენდუმის შედეგები ფალსიფიცირებული იყო.** ეს ჩემი აზრია, ვინაიდან, **ვისაც კი ვესაუბრე, ყველა ამბობდა, რომ ევროკავშირში გაწევრების წინააღმდეგ მისცა ხმა,** თუმცა სრულიად საპირისპირო შედეგი მივიღეთ. საბოლოოდ ისე აღმოჩნდა, თითქოს მთელმა ქვეყანამ ევროკავშირის წევრობას დაუჭირა მხარი.

მიმაჩნია, **ევროკავშირში ინტეგრაციამ ლატვიას გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა. მძიმე სოციალ-ეკონომიკურ ვითარებაზე რომ არაფერი ვთქვათ, მან გზა გაუხსნა არნახულ მასობრივ ემიგრაციას, როგორიც ქვეყანაში არასდროს ყოფილა და დღეს ევროკავშირის წევრობის წყალობით, იმის წყალობით, რომ ევროკავშირის ძველი წევრი ქვეყნების მცხოვრებთა შემოსავლებსა და ლატვიის მოსახლეობის შემოსავლებს შორის არნახული განსხვავებაა, ჩვენ არა მხოლოდ შრომისუნარიანი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დავკარგეთ, არამედ, რაც ყველაზე საშიშია, ვკარგავთ ახალგაზრდებს. ფაქტობრივად, ლატვია ახალგაზრდების 90%-ს კარგავს. ამიტომ შემიძლია, ვთქვა, რომ ქვეყანას მომავალი არ აქვს და აღარც ექნება. სამწუხაროდ, ეს შეუქცევადი პროცესია.**

რაც შეეხება ნატოს, ეს ალიანსი ახალი წევრების მიმართ გადაწყვეტილებებს პოლიტიკურ დონეზე იღებს. მე, როგორც ყოფილმა ოფიცერმა, შემიძლია, ერთმნიშვნელოვნად განვაცხადო, რომ **ლატვიას ნატოს წევრობით არაფერი მოუგია. პირიქით, ჩვენი ჯარისკაცები საზარბაზნე ხორცის როლს ასრულებენ, დაწყებული იუგოსლავიიდან — ერაყითა და ავღანეთის სამხედრო ოპერაციებით დასრულებული, სადაც ჩვენი ჯარისკაცები ნატოს ეგიდით იბრძვიან.**

ამას გარდა, უნდა ითქვას ისიც, რომ ბოლო ორი-სამი წელიწადია, ლატვიის ტერიტორიას ამერიკელები აქტიურად იყენებენ სამხედრო პლაცდარმის შესაქმნელად, რომელიც მათ რუსეთთან ომის დაწყების შემთხვევაში დასჭირდებათ.

**— საქართველოში ნატო უსაფრთხოების გარანტად მიიჩნევა, თქვენი ქვეყნის მაგალითიდან გამომდინარე, რა შეგიძლიათ თქვათ?**

— ნატო არანაირი უსაფრთხოების გარანტიებს არ იძლევა, ვინაიდან ნატოში ამერიკელები წყვეტენ ყველაფერს და საბოლოო სიტყვა მათ ეკუთვნით. კარგად იცით, რა დაძაბული ვითარებაცაა დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის და **ყველა ახალ ქვეყანას (როგორც ისინი უწოდებენ ლატვიას, ლიტვას, ესტონეთს, მოლდოვას და ა.შ.), რუსეთთან სამხედრო კონფლიქტის დაწყების შემთხვევაში, ისინი სამხედრო ბაზების განსათავსებლად გამოიყენებენ.**

უნდა ვაცნობიერებდეთ: **თუ იქნება საომარი კონფლიქტი აშშ-სა და რუსეთს შორის, რუსეთის მხრიდანაც მოსალოდნელი იქნება საპასუხო დარტმა, მათ შორის, ატომური დარტმა და ამ შემთხვევაში, ავტომატურად ვხდებით სამიზნეები.** ჩვენ, როგორც ნატოს წევრი ქვეყანა, რუსეთის მხრიდან საპასუხო დარტყმის ქვეშ აღმოვჩნდებით, ანუ, შეიძლება ითქვას, რომ ახლა ჩვენ სიტუაციის მძევლები ვართ.

ვფიქრობ, ლატვიას 1990-იანი წლებიდანვე ნეიტრალიტეტის გზა უნდა აერჩია, ეს იქნებოდა ყველაზე ჭკვიანური გადაწყვეტილება. ლატვია არ უნდა შესულიყო ნატოსა და ევროკავშირში და არანაირ სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობა არ უნდა მიეღო.

**— საქართველოს, უკვე დიდი ხანია, ნატოს წევრობა სურს. აქვს კი საქართველოს ნატოში მიღების შანსი?**

— **დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ნატოში შესვლის რეალური შანსი არ აქვს. თუ ნატოს ძირითად დოკუმენტს გადავავლებთ თვალს, ვნახავთ, რომ იქ მკაფიოდაა ნათქვამი — ქვეყანას რომელსაც ტერიტორიული პრეტენზიები აქვს რომელიმე ქვეყანასთან, არ შეუძლია გახდეს ნატოს წევრი.** შესაბამისად, აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან პრობლემების გამო, საქართველოს იურიდიულად, უბრალოდ, არ შეუძლია ნატოს წევრობა, ვიდრე ეს ტერიტორიული პრობლემები არ მოგვარდება.

**— პოსტსაბჭოთა ქვეყნებში კვლავ მწვავეა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, რა ვითარებაა ამ მხრივ ლატვიაში?**

— ლატვიაში ეკონომიკური ვითარება ძალიან მძიმეა. სოციალური და ეკონომიკური პრობლემები რომ გადაჭრა, მოგეხსენებათ, ფულია საჭირო. ხოლო **იმისთვის, რომ ქვეყანაში იყოს ფული, აუცილებელია სამუშაო ადგილები, მაგრამ საკითხავია, როგორ იქნება ქვეყანაში სამუშაო ადგილები, როდესაც მოსახლეობა ქვეყნიდან მიდის?!**

თუ არ არის სამუშაო ადგილები და არ არის მოსახლეობა, ბუნებრივია, ბიუჯეტში თანხაც არ შედის, რადგან გადასახადებს არავინ იხდის. აქედან გამომდინარე, ქვეყანაში ვერც ეკონომიკა და ვერც სოციალური პოლიტიკა ვერ იარსებებს. **ლატვიაში დღეს სოფლები იცლება, ოჯახები ყიდიან ყველაფერს და სამშობლოდან სამუდამოდ მიდიან. ასეთ ვითარებაში კი ქვეყანაში ეკონომიკა ან კულტურა როგორ უნდა განვითარდეს?! ასე რომ, სიტუაცია ძალიან დაძაბული და მძიმეა.**

ლატვიის მოსახლეობის 10%-ს არანაირი სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის საშუალება არ აქვს. ამას ემატება ისიც, რომ სამედიცინო ინსტიტუტების კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი სასწავლებლის დასრულებისთანავე მიდის ევროპაში, რის შედეგადაც, სამედიცინო პერსონალის არარსებობის გამო, ლატვია წელიწადში 6 ათას სიცოცხლეს კარგავს. ჩვენთვის ეს საკმაოდ დიდი რიცხვია.

**— დღეს მსოფლიოს ყურადღება უკრაინისკენაა მიმპყრობილი. როგორ აფასებთ უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს?**

— ის, რაც დღეს უკრაინაში ხდება, უკრაინის ბრალი არ არის. **უკრაინაში მიმდინარეობს გლობალური წინააღმდეგობები ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის. აშშ სტანდარტული ამერიკული სქემის მეშვეობით ცდილობს, ზეგავლენა მოახდინოს რუსეთზე. ამერიკელები არასდროს არაფერს აკეთებენ საკუთარი ხელით, ისინი ყოველთვის სხვა ქვეყნებს იყენებენ.**

თუმცა, თუ გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ვიმსჯელებთ, მიმაჩნია, რომ ამერიკელებისთვის რუსეთი მაინც არ არის მთავარი სამიზნე. ამერიკის შეერთებული შტატების საბოლოო და მთავარი მიზანი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განადგურებაა. აშშ-ს სურს, გაანადგუროს ჩინეთი, როგორც მისი მთავარი მეტოქე, რომელმაც, ეკონომიკური თვალსაზრისით, თუნდაც გასული წლის საერთაშორისო ფონდის მონაცემებით, აშშ-ის მონაცემებს გადააჭარბა. ასე რომ, ეს არის მრავალმიზნიანი კომბინაცია, ხოლო უკრაინელების ნაციონალიზმს, მათ ნაციონალურ გრძნობებს ამ კონფლიქტში, უბრალოდ, იყენებენ.

**«ლატვიაში დღეს სოფლები იცლება, ოჯახები ყიდიან ყველაფერს და სამშობლოდან სამუდამოდ მიდიან. ასეთ ვითარებაში ქვეყანაში ეკონომიკა ან კულტურა როგორ უნდა განვითარდეს?! ასე რომ, სიტუაცია ძალიან დაძაბული და მძიმეა»**

**«ლატვიას ნატოს წევრობით არაფერი მოუგია. პირიქით, ჩვენი ჯარისკაცები საზარბაზნე ხორცის როლს ასრულებენ, დაწყებული იუგოსლავიიდან — ერაყითა და ავღანეთის სამხედრო ოპერაციებით დასრულებული, სადაც ჩვენი ჯარისკაცები ნატოს ეგიდით იბრძვიან»**

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

---

◀შე დარჩა, ანუ დაახლოებით 15 ათასი ბავშვი არსად სწავლობს და ეს ხდება ევროპის ტერიტორიაზე?! ამას გარდა, სკოლებისა და საავადმყოფოების რაოდენობა ყოველწლიურად მცირდება.

ჩემი აზრით, **ლატვია ევროკავშირის პოლიტიკურ არენაზე მოთამაშე დამოუკიდებელი სახელმწიფო არ არის, ის მხოლოდ გეოგრაფიული ტერიტორიაა.** საქართველოში არსებულ დიდ მოლოდინზე კი მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ მცდარია წარმოდგენა, თითქოს მთავარია, ევროკავშირის წევრი გახდეს ქვეყანა და რძის მდინარეები წამოვა. ასე ნამდვილად არ იქნება.

**ნორმუნდს გროსტინში:**

— უკვე ათი წელიწადია, ლატვია ევროკავშირისა და ნატოს წევრია, მიუხედავად მოლოდინისა, ნათელია, რომ ევროკავშირი ეს არის კავშირი, რომელიც მსხვილი ქვეყნებისა და კორპორაციების ინტერესებზეა ორიენტირებული. ბოლო პერიოდში ევროკავშირის ქვეყნებშიც, მათ შორის, მაგალითად, საფრანგეთსა და ბრიტანეთშიც, იზრდება ევროსკეპტიკოსების რაოდენობა, ვინაიდან ევროკავშირში შესვლისთანავე გაიზარდა გადასახადები, მაგრამ ამაზე რატომღაც არავინ საუბრობს. ამას გარდა, **ქვეყნის ხელისუფლებას დამოუკიდებლად მხოლოდ კანონების 20%-ის მიღება შეუძლია, ხოლო კანონების 80%-ს ევროკავშირის მითითების გარეშე ვერ იღებს. მთავრობას ამის უფლება არ აქვს.** ასეთია ჩვენი ცხოვრება ევროპული ღობის მიღმა.

**ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, ევროაკადემიის პროფესორი ესტონეთიდან — ედუარდ ტინი** ბევრ საკითხში არ დაეთანხმა კოლეგებს, განსაკუთრებით ესტონეთთან დაკავშირებით. მან ჯანდაცვის სფეროში, ბიზნესის წარმოებაში ესტონეთის წარმატებებზე ისაუბრა, ხოლო ნოსოვიჩის წიგნს პროპაგანდისტული უწოდა, რომელშიც მხოლოდ მინუსების შესახებაა მოთხრობილი.

„ეს წიგნი პროპაგანდისტულია. ასეთ წიგნში კი, როგორც წესი, ვერასდროს ვიპოვით სიმართლეს, რადგან ვსაუბრობთ მხოლოდ მინუსებზე, პლუსები კი გვერდზე გვრჩება. ასე არ შეიძლება. მას შემდეგ, რაც ევროკავშირისგან მივიღეთ ფული, ესტონეთის ინფრასტრუქტურა სულ სხვა გახდა. ესტონეთს არ აქვს სახელმწიფო ვალები. უფრო მშვიდად უნდა შევხედოთ მოვლენებს. **თქვენ გინდათ, თქვათ, რომ არ არის საჭირო და არ უნდა ვისწრაფვოდეთ ევროკავშირისკენ, მაგრამ იქ საქართველოს, სომხეთსა და ა.შ., სიმართლე ითქვას, არც არავინ ელოდება. რეალობა ეს არის!“**

პრეზენტაციის ორგანიზატორი მიხეილ ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული პოსტსაბჭოთა სივრცის შემსწავლელი საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრი იყო. უახლოეს მომავალში წიგნის პრეზენტაცია ერევანსა და მინსკში გაიმართება.

მოამზადა **შორენა ციცქარაშვილმა**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„დიდია რაოდენობა იმ ადამიანებისა, რომლებსაც არ სურთ ამერიკის პოლიტიკის გატარება საქართველოში. ბევრს დავდივარ რაიონებშიც და დედაქალაქშიც უამრავ ადამიანს ვხვდები, მათი უმრავლესობა ამერიკის წინააღმდეგია. ქართველმა საზოგადოებამ უკვე კარგად გააცნობიერა — ამერიკას სიკეთე არ მოაქვს და მისი მთავარი მიზანი საქართველოს ტერიტორიის რუსეთის წინააღმდეგ გამოყენებაა. მას სურს, აქ განალაგოს ბაზები და ძალის დემონსტრირება მოახდინოს.“

# ელიზბარ ჯაველიძე: საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ნატოსა და ევროკავშირის წინააღმდეგია

**საქართველოს 14 აპრილს დანიის, პოლონეთისა და შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრები ეწვივნენ. თბილისში ერთობლივი ვიზიტისას მათ კიდევ ერთხელ გამოხატეს მხარდაჭერა საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესის მიმართ და რეფორმების გაგრძელების საჭიროებას გაუსვეს ხაზი.**

ვიზიტი რამდენიმე კვირით უსწრებდა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის რიგის სამიტს, რომლისგანაც თბილისი ელოდება, რომ ევროკავშირმა საქართველოსთვის შენგენის ზონასთან უვიზო მიმოსვლა უზრუნველყოს.

მართალია, სამი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა განაცხადეს, ჩვენი ქვეყნები პოლიტიკურ მხარდაჭერას უცხადებენ საქართველოსთან ვიზების ლიბერალიზაციასო, მაგრამ მათ, ასევე, ხაზი გაუსვეს, რომ საბოლოო გადაწყვეტილება დამოკიდებული იქნება ევროკომისიის ანგარიშზე, რომელიც რიგის სამიტამდე იქნება წარმოდგენილი და რომელშიც დეტალურად აისახება, თუ როგორ ასრულებს საქართველო ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით აღებულ ვალდებულებებს რეფორმების განხორციელების კუთხით.

საქართველოს მთავრობა კმაყოფილი დარჩა მინისტრების ვიზიტითაც და საკუთარი მიღწევებითაც, სამაგიეროდ, უკმაყოფილება გამოხატეს საქართველოში მოქმედმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებსაც სამი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ძვირფასი დროის საკმაოდ დიდი ნაწილი დაუთმეს. როგორც გაირკვა, არასამთავრობოებისა და უცხოელი მინისტრების სასაუბრო თემა ქვეყანაში პრორუსული ძალების მომძლავრება იყო.

„თბილისი მერიოტში“ გამართული შეხვედრის შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ჟურნალისტებს განუცხადეს, რომ, საქართველოს ევროპული პერსპექტივისადმი პარტნიორი სახელმწიფოების მხარდაჭერის მნიშვნელობის გარდა, ქვეყანაში პრორუსული ჯგუფების გააქტიურების საკითხიც დააყენეს.

„სამართლიანი არჩევნების“ ხელმძღვანელის — **ნინო ლომჯარიას** განმარტებით, ამ კუთხით მათ კრიტიკული პოზიცია გამოხატეს და ხელისუფლების გააქტიურების აუცილებლობაზე ისაუბრეს. **„ჩვენ ვიყავით კრიტიკული იმ განცხადებებთან დაკავშირებით, რომლებიც ხელისუფლების ზოგიერთმა წარმომადგენელმა გააკეთა. ვფიქრობ, ხელისუფლება უფრო მეტად უნდა საუბრობდეს ევროინტეგრაციის მნიშვნელობასა და იმ სარგებელზე, რომელსაც ქვეყანას ევროპული პოლიტიკა მოუტანს. ვისაუბრე პრორუსულ ჯგუფებზე, რომლებთან დაკავშირებითაც ხელისუფლებას კითხვები არ გააჩნია, ამას ვერ ვიტყვით სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებზე, მათი კითხვები დასავლურ ღირებულებებს ეფუძნება. ჩვენ ხაზი გავუსვით, რომ არ ხდება დაგმობა იმ განცხადებების, რომლებიც თუნდაც კოალიციის წარმომადგენლების მხრიდან კეთდება და შეიცავს რუსულ პროპაგანდას. ჩვენი ზრით, ხელისუფლებამ უფრო მეტად უნდა ისაუბროს იმ სარგებელზე, რომელსაც ქვეყანას ევროპული კურსი მოუტონს,“** — განაცხადა ნინო ლომჯარიამ. მოგვიანებით კი სატელევიზიო ეთერში, ლომჯარიამ იერიში ბიზნესმენსა და საპარლამენტო უმრავლესობის წევრ გოგი თოფაძეზე მიიტანა და მის მიერ რამდენიმე თვის წინათ გაკეთებული განცხადება შეახსენა ხალხს: **„მე არ მომწონს, რომ ნატოა ჩვენი გეზი“...**

ნინო ლომჯარიას ამ განცხადებიდან ძალიან მალე, საინფორმაციო სააგენტო „ჯიეიჩ-ენის“ დამფუძნებელმა და მფლობელმა **გოჩა მირცხულავამ** განაცხადა: „ბოლო ორი კვირის განმავლობაში რუსეთმა საქართველოში 200-კაციანი დესანტი გადმოსხა. საინტერესოა ის გარემოება, რომ ამ 200 კაცში 200-ვე ქართველია და ისინი არ არიან შეიარაღებული ცეცხლსასროლი იარაღით. მათი მთავარი შეიარაღებაა ინსტრუქციები, ფული და ე. წ. ჩიპები, რომლებშიც საქართველოს მოქალაქეების, მათ შორის, პოლიტიკოსების, კომპრომატები „ინახება“. კომპრომატების დედნები კი „მყარად“ სხვაგან — კრემლისთვის უფრო საიმედო ადგილზეა ჩაკეტილი“.

გოჩა მირცხულავას მოსაზრებითვე, „ქართული წარმოშობის რუსული დესანტის მისია ადვილი გასაშიფრია, თუ მათ „დვიჟენიას“ დავაკვირდებით...“

2008 წლის იანვარში საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად ჩატარებულ პლებისციტში ნატოში გაწევრებას მოსახლეობის 77%-მა დაუჭირა მხარი.

ეს მონაცემები, მიუხედავად იმისა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბებაზე ბევრს საუბრობდნენ, არავის გაუპროტესტებია და თითოროლა ადამიანის მეტს არ დასცდენია, რომ ქართველ ხალხს არჩევანი გაუყალბეს.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ საქართველოში ბევრი რამ შეიცვალა, მათ შორის, როგორც ექსპერტები ამბობენ, ქვეყნის არჩეული კურსიც... ხელისუფლებების გარდა, საქართველოს ყველა მოქალაქის სურვილია, რომ ქვეყანაში ახალი პლებისციტი ჩატარდეს და გაირკვეს, – რა სურს ხალხს.

2014 წლის შემოდგომაზე ევრაზიული ინსტიტუტის ეგიდით ჩატარდა კვლევა, გამოკითხეს საქართველოს 1700-ზე მეტი მოქალაქე. **შეკითხვაზე — ხვალ რომ ნატოში საქართველოს შესვლის საკითხზე პლებისციტი იმართებოდეს, როგორი იქნებოდა თქვენი არჩევანი?** — შედეგი ასეთია:

**ა) დადებითად ვუყრიდი კენჭს: 32%**

**ბ) უარყოფითად ვუყრიდი კენჭს: 40%**

**გ) არ წავიდოდი ხმის მისაცემად: 16%**

**დ) მიჭირს პასუხის გაცემა: 12%**

რა თქმა უნდა, ევრაზიის ინსტიტუტის კვლევის შედეგები სარწმუნო არავისთვის აღმოჩნდა და, ერთი შეხედვით, უყურადღებოდ დარჩა, მაგრამ ამ კვლევამ, როგორც ჩანს, მაინც მიაღწია საქართველოს „კეთილის მსურველთა“ ყურამდე და 2014 წლის დეკემბერში აშშ-მა საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას დამატებით 10 მილიონი დოლარი გამოუყო, რათა გააქტიურდეს „რადიო თავისუფლებისა“ და „ამერიკის ხმის“ მაუწყებლობა რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ.



**როგორც ჩანს, ევროპასა და ამერიკას პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მართლაც ძალიან „ცუდად მისდით საქმე“, რადგან ახლახან ინტერნეტში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ევროსაბჭოში იწყება რუსულენოვანი ექსპერტების გადამზადება, რომლებსაც დაევალებათ სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში, უკრაინაში, ბელარუსსა და მოლდოვაში ყველა რუსულენოვანი გამოცემის გაკონტროლება, განსაკუთრებით — იმ მასალებისა, რომლებიც ევროპის პოლიტიკას შეეხება. ამ ინფორმაციის მიხედვით, რეკომენდებულია, რომ ყველა გამომცემლობამ, სულ ცოტა, ხუთი რუსულენოვანი ჟურნალისტი დაიქირავოს ყოველთვიური ანაზღაურებით 4350 ევრო. ამ თანხას ის ქვეყნები გადაიხდიან, რომლებიც კონკრეტულ თანამშრომელს დაიქირავებენ.**

„საქართველო და მსოფლიო“ ორი დღის განმავლობაში ცდილობდა „სამართლიანი არჩევნების“ ხელმძღვანელ ნინო ლომჯარიასთან დაკავშირებას, მაგრამ უშედეგოდ. როგორც ჩანს, ის უცხო ნომრიდან დარეკილ ზარს არ პასუხობს და სოციალურ ქსელშიც არ მეგობრობს იმ ადამიანებთან, რომელთა იდეოლოგიასაც კარგად არ იცნობს... არადა, ძალიან გვაინტერესებდა, რატომ დადგა დღის წესრიგში რამდენიმე თვის წინათ გამოყოფილი მილიონების შემდეგ დამატებითი თანხის მოთხოვნა? მოსახლეობის რამდენი პროცენტია ევრაზიული კავშირის მომხრე და აქვს თუ არა ეს ინფორმაცია ნინო ლომჯარიას? — ეს შეკითხვები ჯერჯერობით უპასუხოდ დაგვრჩა...

მიაღწია თუ არა „საშიშ“ ზღვარს პრორუსული ძალების რაოდენობამ და რამ შეაშფოთა არასამთავრობო ორგანიზაციები? — ამ საკითხზე სასაუბროდ ეროვნული მთავრობის წევრს, აკადემიკოს **ელიზბარ ჯაველიძეს** მივმართეთ:

— დიახ, **მართლაც დიდია რაოდენობა იმ ადამიანებისა, რომლებსაც არ სურთ ამერიკის პოლიტიკის გატარება საქართველოში. ხშირად დავდივარ რაიონებში, იქაც და დედაქალაქშიც უამრავ ადამიანს ვხვდები, მათი უმრავლესობა ამერიკის წინააღმდეგია. ქართულმა საზოგადოებამ უკვე კარგად გააცნობიერა, რომ ამერიკას სიკეთე არ მოაქვს და მისი მთავარი მიზანი საქართველოს ტერიტორიის რუსეთის წინააღმდეგ გამოყენებაა. მას სურს, აქ განალაგოს ბაზები და ძალის დემონსტრირება მოახდინოს.**

„ნატო-ნატოს“ ძახილი საქართველოს ძალიან აზარალებს. ყველამ კარგად იცის, რომ ნატოში არავინ მიგვიღებს, მაგრამ ეს არავის ადარდებს, პოლიტიკოსებისა და არასამთავრობოების მიზანი ფულის ხელში ჩაგდებაა, ისინი უცხოელთა დავალებას ასრულებენ.

**რაც შეეხება ნინო ლომჯარიას — ეს არის ერთი უწიგნური, უვიცი დედაკაცი, რომლის ტელეეკრანზე გამოჩენაც კი სირცხვილია. ნუთუ ასე დაეცა ქართველი საზოგადოება, რომ ლომჯარიას უსმენს? მარტო ეს დედაკაცი რომ იყოს, რაღა გვიჭირს. ასეთია გიგაურიც და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ყველა წარმომადგენელი. ეს ორგანიზაციები შექმნა ამერიკამ და დავალებასაც ის აძლევს; თვლიან, რომ „დემოკრატიას აშენებენ“, მაგრამ, აბა, ჰკითხეთ ლომჯარიას, იცის კი, რა არის დემოკრატია? ეს ქალი ძალიან ბნელია, საწყალმა პომადის წასმაც არ იცის.**

უნდა გავითვალისწინოთ, რომ მათი განცხადებები შემთხვევითი არ არის, ისინი გავლენის ფასიანი აგენტები არიან. მათი პირდაპირი მოვალეობა ანტისახელმწიფოებრივი და ანტიეროვნული მოქმედებებია.

**თუ ხელისუფლება ვერ ახერხებს, ქართველმა ხალხმა თვითონ უნდა განდევნოს ქვეყნიდან სააკაშვილის არასამთავრობოები.**

**— ნინო ლომჯარიამ უცხოელ სტუმრებს მოახსენა გოგი თოფაძის სიტყვები, ნატო არაფერში გვჭირდებაო, ამით მან ხელისუფლების დადანაშაულებაც შეძლო...**

— გოგი თოფაძე ერთ-ერთია, რომელმაც სიმართლის თქმა გაბედა. დიდი ხანია, ვიცნობ და ვიცი, მისი აზრი ამ საკითხზე. თოფაძეს აზრი არ შეუცვლია; პოლიტიკაშია თუ ბიზნესში, მაინც ასე ფიქრობს, მეც ვეთანხმები. ნატო საქართველოს ღუპავს, ის ამერიკის პოლიციაა. **თუ ვინმე დამისახელებს ერთ ქვეყანას მაინც, რომელშიც ნატომ დემოკრატია დაამყარა და თავისუფლება მოუტანა ხალხს, ხმას აღარ ამოვიღებ.**

მოშორდეს ნატო საქართველოდან, ჩვენ ჩვენი ქვეყანა გვინდა დამოუკიდებელი და არა — ვიღაცის პროვინცია. გვჭირდება ისეთი ხელისუფლება, რომელიც ქართველი ხალხის ნებას გაითვალისწინებს და უცხოელს არ დაემონება.

**— ფიქრობთ, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ევროკავშირისა და ნატოს წინააღმდეგია?**

— დიახ, **საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ნატოსა და ევროკავშირის წინააღმდეგია და მინდა, ამისთვის „დიდი მადლობა“ სააკაშვილს გადავუხადო. მან ახადა ფარდა ამერიკის საგარეო პოლიტიკას, მისმა სიბინძურემ ყველას დაანახვა, რისი გაკეთება შეუძლია აშშ-ს. სააკაშვილმა ამერიკასთან ერთად ქართველი ხალხის გენოციდი მოაწყო და ერი უზნეობის ჭაობში ჩაძირა, რაშიც ეს „ჭიაყელა“ არასამთავრობოები უწყობდნენ ხელს.**

ახლა, **რაც შეეხება პოლონეთის, შვედეთისა თუ ვიღაც-ვიღაცების საგარეო საქმეთა მინისტრებს, სჯობს, თავიანთ „მამიდებს“ მიხედონ, რადგან, როგორც ვიცი, „ძალიან უწესო ქალბატონები“ არიან.**

**სამწუხაროა, რომ ნინო ლომჯარია, რომლის არასამთავრობო ორგანიზაციის მხარდამჭერი ასი ადამიანიც არ მოიძებნება ქვეყანაში, ამდენს ბედავს.**

«მინდა სააკაშვილს «დიდი მადლობა» გადავუხადო. მან ახადა ფარდა ამერიკის საგარეო პოლიტიკას, მისმა სიბინძურემ ყველას დაანახვა, რისი გაკეთება შეუძლია აშშ-ს. სააკაშვილმა ამერიკასთან ერთად ქართველი ხალხის გენოციდი მოაწყო და ერი უზნეობის ჭაობში ჩაძირა, რაშიც ეს «ჭიაყელა» არასამთავრობოები უწყობდნენ ხელს»

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

„მხოლოდ თბილისში 136 ათას ოჯახს აქვს იპოთეკური სესხი აღებული. ეს ხალხი უკვე პოტენციურ უსახლკაროდ ითვლება. ამ 136 ათასი ოჯახიდან ნახევარი, სავარაუდოდ, ვერ გადაიხდის თანხას, რადგან სტაბილური შემოსავალი არ აქვს“.

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მხოლოდ თბილისში 4 ათასამდე უსახლკაროა

**მიტოვებულ, მიწისძვრით დაზიანებულ და ნახევრად დანგრეულ შენობებში თბილისში დღეს ბევრი უსახლკარო ოჯახი ცხოვრობს. ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობების არარსებობის გამო, ეს შენობები საცხოვრებლად არათუ უვარგისი, არამედ ადამიანის სიცოცხლისთვის სერიოზული საფრთხეა. ამის მიუხედავად, ეს ადამიანები სიცოცხლის რისკის ფასადაც კი იძულებულები არიან, უკიდურესად მძიმე პირობებში იარსებონ.**

**დღეს არსებული მონაცემებით, მხოლოდ თბილისის მასშტაბით, დაახლოებით 4 ათასამდე უსახლკაროა, თუმცა არასამთავრობო ორგანიზაციის — „უმუშევართა კავშირი დასაქმებისთვის“ ხელმძღვანელი თამარ იოვაშვილი ამბობს, რომ უსახლკაროების რაოდენობა გაცილებით მეტია, მაგრამ ვინაიდან საქართველოში მათ შესახებ რეალური მონაცემები არ არსებობს, ზუსტი რაოდენობის დადგენა შეუძლებელია. სწორედ ამ მიზნით უმუშევართა კავშირი თბილისის მასშტაბით უსახლკაროების აღწერას ახორციელებს.**



**თამარ იოვაშვილი:**

— დღეს საქართველოში უსახლკაროების რაოდენობაზე ოფიციალური მონაცემები არ არსებობს. ხელთ არსებული მონაცემებით, მათი რაოდენობა მხოლოდ თბილისში 4 ათასს აღწევს, მაგრამ ვეჭვობთ, რომ ეს რაოდენობა რეალობას არ შეესაბამება და გაცილებით დიდია.

**სოციალური დახმარების შესახებ კანონში წერია, რომ სახელმწიფო უნდა დაეხმაროს უსახლკაროს, მაგრამ არ არსებობს კონკრეტული განსაზღვრება, ვინ შეიძლება ჩაითვალოს უსახლკაროდ. ამ სტატუსით ადამიანებს აღრიცხავენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი სოციალურად დაუცველთა კატეგორიას მიეკუთვნებიან, მაგრამ, თუ ადამიანს ელემენტარული შემოსავალი აქვს, მაგალითად, 200-300 ლარზე მუშაობს და ამის გამო სოციალურად დაუცველის სტატუსი არ ეკუთვნის, მას არსად აღრიცხავენ.**

ამას გარდა, აუცილებელია უსახლკაროების კატეგორიების განსაზღვრა. არიან ოჯახები, რომლებიც პირდაპირი მნიშვნელობით, ქუჩაში ცხოვრობენ, და არიან ოჯახები, რომლებიც ან ახლობლებთან არიან შეკედლებული, ან ქირით ახერხებენ ცხოვრებას. უსახლკაროების სხვადასხვა კატეგორია არსებობს და თითოეულ მათგანს თავისებური მიდგომა სჭირდება. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში უსახლკაროები 5 კატეგორიად არიან დაყოფილნი. იქ ასევე არსებობს პოტენციური უსახლკაროს კატეგორია, ანუ ადამიანებისა, რომლებიც შეიძლება უახლოეს მომავალში უსახლკაროდ დარჩნენ.

სამოქალაქო რეესტრის სამსახურს მივმართეთ კითხვით, თუ რამდენ ოჯახს აქვს დღეს ბინა იპოთეკით დატვირთული და პასუხად მივიღეთ, რომ მხოლოდ თბილისში 136 ათას ოჯახს აქვს იპოთეკური სესხი აღებული. ეს ხალხი უკვე პოტენციურ უსახლკაროდ ითვლება. ამ 136 ათასი ოჯახიდან ნახევარი, სავარაუდოდ, ვერ გადაიხდის თანხას, რადგან სტაბილური შემოსავალი არ აქვს.

სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, ჯერჯერობით თბილისის მასშტაბით დაგვეწყო უსახლკაროების აღწერა. ჩვენ ვთანამშრომლობთ ორგანიზაცია FEANTSA-სთან, რომელიც ევროკავშირის ქვეყნებში მსგავს პრობლემებზე მუშაობს. მაისის დასწყისში ბრიუსელში ვარ მიწვეული და იქ წარვადგენ ანგარიშს. მათი რჩევები ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. პროექტი როზა ლუქსემბურგის ფონდისა და თბილისის საკრებულოს ხელშეწყობით საკმაოდ მწირი დაფინანსების პირობებში ხორციელდება, თუმცა მინდა, ბატონ ჯაბა სამუშიასა და სოსო მანჯავიძეს მხარში ამოდგომისათვის მადლობა გადავუხადო.

**— რა არის თქვენი მიზანი — მხოლოდ უსახლკაროების ზუსტი რაოდენობის დადგენა თუ აპირებთ, მიმართოთ ხელისუფლებას ან რომელიმე ორგანიზაციას ამ ადამიანების დასახმარებლად?**

— პირველ რიგში, ჩვენი მიზანი შესაბამისი საკანონმდებლო რეკომენდაციების შემუშავებაა. მოგეხსენებათ, სააკაშვილის ცხრაწლიანი რეჟიმის პერიოდში ლიბერალურმა შრომის კოდექსმა ბევრი ადამიანი უმუშევარი და ყველანაირი სოციალური დახმარების გარეშე დატოვა. ამას დაემატა ფასების ზრდა მედიკამენტებსა და პროდუქტებზე, სამედიცინო მომსახურებაზე, ოჯახის რომელიმე წევრის ავადმყოფობას ხშირად მთელი ოჯახი ეწირებოდა. ადამიანები ყიდდნენ ბინებს და, ფაქტობრივად, ქუჩაში რჩებოდნენ. ამას გარდა, საპროცესო შეთანხმების გამოც ბევრი შეიქნა იძულებული, ბინა გაეყიდა.



ამქამად თბილისის სხვადასხვა უბანში — კონიაკის დასახლებაში, ლიბანის ქუჩაზე, აფრიკაში, მუხიანში, გლდანში, ავჭალაში, ძირითადად, მიტოვებულ შენობებში, უსახლკაროები არაადამიანურ პირობებში ცხოვრობენ. მათ არ აქვთ შუქი, ბუნებრივი აირი, წყალი, კანალიზაცია. ამას გარდა, შენობები სავსეა ვირთხებით

ამჟამად **თბილისის სხვადასხვა უბანში — კონიაკის დასახლებაში, ლიბანის ქუჩაზე, აფრიკაში, მუხიანში, გლდანში, ავჭალაში, ძირითადად, მიტოვებულ შენობებში, უსახლკაროები არაადამიანურ პირობებში ცხოვრობენ. მათ არ აქვთ შუქი, ბუნებრივი აირი, წყალი, კანალიზაცია. ამას გარდა, შენობები ვირთხებით არის სავსე.** თანხაც რომ მოიძიონ, ვინაიდან უკანონოდ ცხოვრობენ, ამ შენობებში მრიცხველებსაც ვერ დააყენებენ.

**— თქვენთან ბევრი უსახლკარო მოდის, რას ამბობენ ისინი, ახალი ხელისუფლება თუ დაეხმარა ამ ადამიანებს?**

— როგორც ვიცი, რამდენიმე ოჯახს ქირის თანხას უხდიან, მაგრამ ეს გამოსავალი არ არის. ყველა უსახლკარო ოჯახს სახელმწიფო ხომ ვერ გადაუხდის ქირას? ამიტომ უფრო რეალური ნაბიჯები უნდა გადადგას ხელისუფლებამ მათ დასახმარებლად. თუ პრეტენზია გვაქვს, რომ ევროპული ქვეყანა ვართ, ცივილიზებული ქვეყნების მსგავსად უნდა მოვიქცეთ.

**— ქალაქის მერიამ ხომ გახსნა თავშესაფრები?**

— დიახ, როგორც ვიცი, ლილოში ახლაც აკეთებენ მსგავს თავშესაფარს, მაგრამ ეს თავშესაფრები ღამის გასათევი უფროა და საცხოვრებლად არ ვარგა. ისინი პრობლემას ვერ მოაგვარებს.

**გვესაუბრება ქალბატონი ლილი ჩოგოვაძე**, რომელიც, უკვე 12 წელიწადია, უსახლკაროდ ითვლება:

— თბილისის ძირძველი მცხოვრებლები ვართ. მე დამსახურებული პედაგოგი ვარ, მეუღლე კი კომკავშირის ცეკას თანამშრომელი იყო. ოჯახში ექვსი სული ვცხოვრობდით, მაგრამ 2003 წელს მეუღლის მძიმე ავადმყოფობის გამო იძულებული გავხდით, ბინა გაგვეყიდა — მეუღლეს ონკოლოგიური დაავადება ჰქონდა და ძვირად ღირებული მკურნალობა სჭირდებოდა, ამის საშუალება კი ოჯახს არ ჰქონდა. არ გვაქვს არც სოფელი, არც ავტომანქანა და, საერთოდ, არაფერი. ქალაქის ერთ-ერთ გარეუბანში, უკვე 12 წელია, ქირით ვცხოვრობთ, ჩვენი მდგომარეობა ყოველწლიურად რთულდება. მინდა, გაითვალისწინონ ჩვენი მდგომარეობა, გამოიჩინონ გულისხმიერება და ბინის შეძენაში დაგვეხმარონ.

**რატი და ია ინაშვილები 2011 წლიდან გლდანში ქირით ცხოვრობენ.**

**რატი ინაშვილი:**

— ჯერ თემქაზე, შემდეგ კი გლდანში 2-ოთახიან ბინაში 9 ადამიანი ვცხოვრობდით, მათგან 5 ბავშვი იყო, ასე თუ ისე, ცხოვრებას ვახერხებდით. შემდეგ ოჯახის მარჩენალი ბებია ავად გახდა, ინსულტი დაემართა და ვინაიდან საავადმყოფოში დღე-ღამეში 950 ლარს ვიხდიდით, ვალის აღება დაგვჭირდა.

რადგან შრომისუნარიანები ვართ და მუშაობა შეგვიძლია, სოციალურად დაუცველის სტატუსი მოგვიხსნეს, მაგრამ საქმე ის არის, რომ სამსახურში არავინ გვიღებს. **ყველგან გამოცდილებას ითხოვენ, მაგრამ, თუ არ დაიწყე მუშაობა, გამოცდილებას როგორ მიიღებ? თბილისში დავიბადეთ და გავიზარდეთ, სოფელიც არ გვაქვს, რომ წავიდეთ და ვიცხოვროთ.**

**ია ინაშვილი:**

— მოგეხსნებათ, ქვეყანაში სამუშაო ადგილების სიმცირეა. პერიოდულად თუ ვიშოვით სამუშაოს, თორემ სტაბილური სამსახური არ გვაქვს. ათი-თორმეტი ლარია საქართველოში დღიური ანაზღაურება და ლარის გაუფასურების ფონზე, ეს თანხა ნორმალური ცხოვრებისთვის საკმარისი არ არის. არ გვინდა სოციალურად დაუცველის სტატუსი, უბრალოდ, **ვითხოვთ, დაგვასაქმოს სახელმწიფომ, თორემ ქირასაც ვეღარ გადავიხდით. ავტობუსების კონტროლიორის ადგილზეც შევიტანე განცხადება, მაგრამ არავინ გამომხმაურებია. ბოლო ორი თვეა, ქირის ფული ვერ გადავიხადეთ და მიკროსაფინანსო ორგანიზაციიდან გამოვიტანეთ თანხა. მომავალ თვეში ცალკე ამ ორგანიზაციის ვალი გვაქვს და ცალკე ქირის თანხა საშოვნელი. შეიძლება, მალე ქუჩაში აღმოვჩნდეთ.**

კანონმდებლობაში ტერმინ „უსახლკაროს“ განმარტებაზე იურისტი **რუსიკო ნანავა** გვესაუბრება:

— ვინ შეიძლება იყოს უსახლკარო, დღესდღეობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი არ არის. უსახლკარო შეიძლება იყოს ადამიანი, რომელიც, ფაქტობრივად, ქუჩაში ცხოვრობს, რომელსაც აქვს დროებითი თავშესაფარი ან საცხოვრებელი სახლის დაკარგვის საფრთხის წინაშეა.

**— სოციალური დახმარების შესახებ კანონის მე-4 მუხლში „უსახლკარო“ ძალიან მოკლედ არის განმარტებული: ეს არის „მუდმივი განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილის არმქონე პირი“.**

— ეს არის ამ ტერმინის განმარტება ორიოდე სიტყვით, რომელიც არაფერს იძლევა. რას მივიჩნევთ ჩვენ საცხოვრებლად? პირის საკუთრებაში შეიძლება იყოს სახლი, მაგრამ ემუქრებდეს გასახლება, ასეთი ადამიანიც პოტენციურ უსახლკაროდ ითვლება.

ვინაიდან კანონმდებლობაში უსახლკაროს ცნება სათანადოდ არ არის განმარტებული, პრობლემების რეალური გადაჭრა შეუძლებელია.

მოამზადა **შორენა ციქარაშვილმა**

«სოციალური დახმარების შესახებ კანონში წერია, რომ სახელმწიფო უნდა დაეხმაროს უსახლკაროს, მაგრამ არ არსებობს კონკრეტული განსაზღვრება, ვინ შეიძლება ჩაითვალოს უსახლკაროდ. ამ სტატუსით ადამიანებს აღრიცხავენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი სოციალურად დაუცველთა კატეგორიას მიეკუთვნებიან, მაგრამ, თუ ადამიანს ელემენტარული შემოსავალი აქვს, მაგალითად, 200-300 ლარზე მუშაობს და ამის გამო სოციალურად დაუცველის სტატუსი არ ეკუთვნის, მას არსად აღრიცხავენ»

ბაჩუ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ჩვენი ქვეყნის მთავარი უბედურებაც სწორედ ის არის, რომ უტიფრები არა მხოლოდ ხელისუფლებაში ან მხოლოდ ოპოზიციაში გვყავს (ასეთ მდგომარეობას კიდევ ეშველებოდა რამე. დაუჭერდი მხარს არაუტიფრებს და ეგაა), არამედ ყველგან, ყველა „ნიშა" სწორედ და მხოლოდ უტიფრებს აქვთ ათვისებულ-დაკავებული და, არათუ პატიოსნისა და ნორმალურის, არამედ თუნდაც „მეტ-ნაკლებად ცუღლუტის" ადგილიც კი აღარ არის დარჩენილი — ძალიან დახვეწილი უტიფარი უნდა იყოს ადამიანი, რომ ამ ნიშათაგან რომელიმეში შეაყოფინონ თავი.

# უტიფართა მზე

**„სამშობლო, გჯეროდეს, ახალი მზე ამობრწყინდება!" — გვიმღერა 1990-მდე ერთი წლით ადრე სოსო პავლიაშვილმა. შუაგულ 90-ანებში კი თემურ ბაბლუანმა „უძინართა მზე" გადაგვიღო. მზე მართლაც „ამობრწყინდა" საქართველოში, მაგრამ ის არც ახალია, არც თავისუფლების და, მით უმეტეს — არც უძინართა. პირიქით — ეს „მზე" კარგად გამოძინებულთა, გამაძღართა, უსაქმურთა, ფარისეველთა, მატყუარათა და ყველა ჯურის უტიფართა მზეა.**

აქ ლოგიკურია კითხვა — განა უტიფრებიც არსებობენ სხვადასხვა ჯურისა და სხვადასხვანაირები? პასუხი მარტივია — არა! რა თქმა უნდა, უტიფარი უტიფარია და მას არ აქვს სქესი და მსოფლმხედველობა, უბრალოდ, მე ვიგულისხმე ის, რომ ეს ზუსტად ერთნაირი უტიფრები სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა მიზანს ემსახურებიან და იმ მიმართულებით უტიფრობენ ხოლმე, რა მიმართულებითაც უტიფრობაც იმ მოცემული მომენტისთვის აძლევთ ხელს.

მოკლედ შეიძლება, ასეც ითქვას: **დღეს საქართველო დაყოფილია უტიფართა სამ ბანაკად:**

**1. „ნაც-უტიფრები"**

**2. „ქოც-უტიფრები"**

**3. „ნანაცარ-ნაქოცარი უტიფრები"**

საბოლოო ჯამში, ყველა „ნამოქალაქეთაკავშირელ-ნაკომკავშირალ უტიფართა" განაყოფია და ჩვენი ქვეყნის მთავარი უბედურებაც სწორედ ის არის, რომ უტიფრები არა მხოლოდ ხელისუფლებაში ან მხოლოდ ოპოზიციაში გვყავს (ასეთ მდგომარეობას კიდევ ეშველებოდა რამე. დაუჭერდი მხარს არაუტიფრებს და ეგაა), არამედ ყველგან, ყველა „ნიშა" სწორედ და მხოლოდ უტიფრებს აქვთ ათვისებულ-დაკავებული და, არათუ პატიოსნისა და ნორმალურის, არამედ თუნდაც „მეტ-ნაკლებად ცუღლუტის" ადგილიც კი აღარ არის დარჩენილი — ძალიან დახვეწილი უტიფარი უნდა იყოს ადამიანი, რომ ამ ნიშათაგან რომელიმეში შეაყოფინონ თავი.

თუმცა არც „თავშეყოფილთა" ნაკლებობაა, ანუ ამ უტიფართა სამი ძირითადი განაყოფიდან არც ერთი განიცდის ინდივიდუალ-უტიფართა სიმცირეს.

მოდით, მივყვეთ თანმიმდევრობით:

## „ნაც-უტიფრები"

ამ მიმართულების უტიფრობა ჯერ კიდევ 2001 წლიდან შეინიშნება, ანუ იმ დროიდან, როდესაც სააკაშვილ-ჟვანიას დაჯგუფება ედუარდ შევარდნაძეს „განუდგა".

**„ხელმწიფის კარის გადატრიალებებისა" და „განდგომილების" მეტი რა ვიცით, მაგრამ ამ დაჯგუფებამ უტიფრობის პირველი ნიშნები მაშინ გამოავლინა, როდესაც შევარდნაძის დამცველები უწოდა განურჩევლად ყველას, ვინც კი მათ წინააღმდეგ თუნდაც ერთი სიტყვა წარმოთქვა.**

შევარდნაძის დამცველებად გასაღდნენ ისინიც კი, ვინც მანამდე, 6 წლის განმავლობაში (1995 „მოქალაქეთა კავშირის" დაარსების თარიღია) თავგამოდებით ებრძოდა შევარდნაძეს, ხოლო თვითონ ჟვანია-სააკაშვილის გუნდის წევრები კბილებით იცავდნენ „უდიდესი საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე" პრეზიდენტს.

და, როგორც კი უტიფართა ამ კასტამ „უცებ" აღმოაჩინა, რომ შევარდნაძე ცუდი ყოფილა, ნებისმიერი გაფართხალება მათ წინააღმდეგ იმწამს უტიფრად საღდებოდა „შევარდნაძისტობად".

უტიფრობის ეს უნიკალური თვისება „სახელოვნად" განაგრძეს „ნეონაცისტებმა", ანუ „ნაციონალების" განდგომილი ლიდერების ადგილზე აღმოცენებულმა ახალმა მოლიდერო ელემენტებმა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რა თქმა უნდა, არჩევნებში დამარცხების შემდგომი უტიფრობები: „როგორ შეიძლება ადამიანების დაპატიმრება, ადამიანების უფლებების შელახვა და უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა?" — ეს 2012 წლის შემდგომი „ნაც-უტიფრობის" ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მარგალიტია.

უფლებადარღვეულ, ნაცემ, ნაწამებ ადამიანებსა და გადავსებულ ციხეებზეც რომ აღარაფერი ვთქვათ, არა მხოლოდ წვრილი პარტიული ბოსები, არამედ თვით მათი „დიდი ბელადიც", ფაქტობრივად, ყოველდღიურად პირდაპირ ეთერში განუკითხავად უწოდებდა ადამიანებს მკვლელებს, ყაჩაღებს, აგენტებს, მოღალატეებს და უდანაშაულობის პრეზუმფციის დამრღვევ ათასგვარ ბრალდებას უყენებდა მათ.




**ყველაზე წარმოუდგენელი უტიფრობა კი, რაც შეიძლება «ნაც-უტიფრობათა» გამოვლინებას მივაკუთვნოთ, არის «ნაცთა» ბოლოდროინდელი დამოკიდებულება პატიმართა გაუპატიურების მიმართ. როგორც კი მათ ვინმე შეახსენებს ამ თემას, რომელიმე «ნაცი», ეს იქნება ტელესტუდიაში თუ სხვაგან, მოუბრუნდება და აბსოლუტურად უტიფრად ეკითხება: «აი, შენ, თვითონ ხარ გაუპატიურებული? მიდი, თქვი — გაუპატიურებული ხარ?»**

**ყველაზე წარმოუდგენელი უტიფრობა კი, რომელიც შეიძლება „ნაც-უტიფრობათა" გამოვლინებას მივაკუთვნოთ, არის „ნაცთა" ბოლოდროინდელი დამოკიდებულება პატიმართა გაუპატიურების მიმართ. როგორც კი მათ ვინმე შეახსენებს ამას, რომელიმე „ნაცი", ეს იქნება ტელესტუდიაში თუ სხვაგან, მოუბრუნდება და აბსოლუტურად უტიფრად ეკითხება: „აი, შენ, თვითონ ხარ გაუპატიურებული? მიდი, თქვი — გაუპატიურებული ხარ?"**

ამ უმძიმესი თემის მიმართ მსგავსი ირონიულ-უტიფრული დამოკიდებულება, თავმოყვარე საზოგადოების მხრიდან სრული მიუღებლობითა და მკვეთრად გამოხატული ზიზღით უნდა ისჯებოდეს, მათი ოჯახის წევრები სირცხვილით უნდა იწვოდნენ და ასეთ ადამიანებს საზოგადებაში გამოჩენის შიში უნდა ჰქონდეთ, წესით... **მაგრამ „უტიფრები" ხომ სწორედ იმ იშვიათი უნარით დაჯილდოებული ადამიანები არიან, არასოდეს არაფრის რომ არ რცხვენიათ და შარვალში ჩასვრილიც რომ იყვნენ და განავლის სუნი ასდიოდეთ, მაინც ამაყად და თავაწეული მიაბიჯებენ ქუჩაში...**

## „ქოც-უტიფრები"

ზემოთ შევარდნაძე და მისი პერიოდის საქართველო ვახსენეთ. საყოველთაოდ გავრცელებული აზრია, რომ იმჟამინდელი საქართველო კორუფციისა და ნეპოტიზმის მაღალი დონით გამოირჩეოდა. თუკი გავიხსენებთ, რა ხდებოდა საჯარო უწყებებში, რა თქმა უნდა, ძნელი იქნება, რაიმე წინააღმდეგობა გავუწიოთ ამ მოსაზრებას, მაგრამ ნებისმიერს შევეწინააღმდეგები, ვინც შეეცდება, დამიმტკიცოს, რომ იმდროინდელი ხელისუფლების „ნეპოტისტი" წარმომადგენლები უტიფრობის დონით ოდნავ მაინც გაუწევდნენ კონკურენციას „საოცნებო" ხელისუფალთა მძიმე უტიფრობებს.

ზუსტად მახსოვს, თუკი შევარდნაძისდროინდელ ან თუნდაც სააკაშვილისდროინდელ ხელისუფალთ ვინმე ნეპოტიზმის ფაქტებს წარუდგენდა და ბრალს დასდებდა, ისინი ან უხერხულად იშმუშნებოდნენ, ან ცდილობდნენ, რამენაირად გამომძვრალიყვნენ მდგომარეობიდან, ან კიდევ უარს ამბობდნენ პასუხზე და თავს არიდებდნენ ამ თემაზე მედიასთან საუბარს.

აი, **„ოცნების" ხელისუფლების ნეპოტისტი ფიგურები კი წარმოუდგენელი უტრიფრობით ცდილობენ, დაუმტკიცონ საზოგადოებას, რომ მათ მიერ აშკარად ჩადენილი ნეპოტიზმი სინამდვილეში სულაც არ არის ნეპოტიზმი!** ▶



## საყვარელიძეს მოსთხოვეს, დაასახელოს პირი, რომელმაც 10 მილიონი შესთავაზა

**„თუ გენპროკურორის მოადგილე ამბობს, 10-მილიონიან ქრთამს მთავაზობდნენო, სამართლიანი იქნებოდა, დაასახელოს იმ ადამიანის ვინაობა და აღძრას სისხლის სამართლებრივი საქმე მის წინააღმდეგ",** — განაცხადა უკრაინის პატლამენტის დეპუტატმა ვიქტორ ბალოგამ ადგილობრივ მედიასთან საუბრისას.

ბალოგას აზრით, სხვა უკრაინელებმაც უნდა მოსთხოვონ საყვარელიძეს, დაასახელოს პირი, რომელმაც მას ქრთამი შესთავაზა.

„კორუფციას ყოველთვის აქვს კონკრეტული გვარები. კორუფციის დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ გამოააშკარავებ პირებს, რომლებიც ამის უკან დგანან. საჯაროობა ასეთ საქმეებში საუკეთესო მოკავშირეა. პირველი ნაბიჯი საყვარელიძემ გადადგა, მაგრამ თუ არ გადადგამს მეორე ნაბიჯს, ეს ისტორია ბლეფს დაემსგავსება", — განაცხადა უკრაინელმა დეპუტატმა. ბალოგას თვალსაზრისს ოპოზიციური ბლოკის დეპუტატი ვადიმ რაბინოვიჩიც იზიარებს.

უკრაინის გენერალური პროკურორის მოადგილემ დავით საყვარელიძემ, რომელიც საქართველოში მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში ანალოგიურ თანამდებობას იკავებდა, განაცხადა, რომ უკრაინაში მისი მოსყიდვა სცადეს.



ვიქტორ ბალოგა

## ირაკლი ღარიბაშვილი: გთხოვთ, გაიაზროთ, რა თემებით ძაბავთ მოსახლეობას!

**პრემიერმინისტრი პანკისიდან სირიაში ახალგაზრდების წასვლის ფაქტებს კიდევ ერთხელ გამოეხმაურა და განაცხადა, რომ არაბუნებრივი ისტერიის ფონზე ამ თემების გაშუქება ქვეყნისთვის საზიანოა.** „ეს არის ეროვნული უსაფრთხოების საკითხები. გთხოვთ, გაიაზროთ, თუ რა თემებით ძაბავთ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას. ორი თუ სამი ადამიანი ცდილობს, რომ ახალგაზრდები სირიაში გადაიყვანონ, ამას სამართალდამცველები მიხედავენ. მე ვიცი, რომ ამაზე მუშაობა მიმდინარეობს. ასე რომ, არავითარი პრობლემა არ იქნება", — განაცხადა პრემიერმა.



# გამოვა ვინმე დავით საგანელიძის მსგავსი უტიფარი და დაგვიწყებს მტკიცებას, რომ, თურმე ნებისმიერი ადამიანი ბედნიერი იქნებოდა, ნანა ყეინიშვილის შვილისნაირი ანდა ანი მიროტაძის დისნაირი რომ ჰყოლოდა! და აქეთ აგვაგდებს ნამუსზე მთელ საზოგადოებას, რომ ჩვენ, შეუბრალებელები, უსამართლონი და ბოღმიანები, ვჩაგრავთ ამ დიდად განათლებულ და „უმაგრესსივიან" ადამიანებს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ „უბედურებს" „არ გაუმართლათ" და პარლამენტარების ოჯახის წევრები არიან!

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

აი, ეს მართლაც სიახლეა ქართულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში!

**თურმე ერთი პარლამენტარის დის დანიშვნა მერიის სტრუქტურებში ან მეორე პარლამენტარის შვილის დანიშვნა საგარეო უწყებაში სულაც არ ყოფილა ნეპოტიზმი, არამედ ყოფილა „პროფესიონალი კადრების ჩვეულებრივი დასაქმება"...**

მართლაც ამაზრზენი მოსასმენია დისა თუ დედის ენაგადმოგდებული მტკიცება, რომ თურმე საქმე უდიდეს პროფესიონალთან გვქონია. ასევე ამაზრზენია მითითება დისა თუ შვილის „სივი"-ზე, თითქოს ამ კონკრეტული თანამდებობისთვის შესაფერისი „სივი" მხოლოდ მათ ჰქონდეთ და სხვას არავის დედამიწის ზურგზე!

მართლაც ამაზრზენია მოსმენა არგუმენტისა — „აბა, რადგან ადამიანი პარლამენტარის ოჯახის წევრია, უნდა დაიჩაგროს და ვერსად იმუშაოს?"

გეგონება, ვინმე ან კერძო სექტორში მუშაობას უკრძალავს მათ ან კიდევ — კონკურსის ღირსეულად გავლით დასაქმებას.

აკი, თავად „ოცნებისტები" გაჰყვირიან ხოლმე, — ჩვენ თუ საჯარო უწყებებში არ გადმოვიბირეთ მაღალი ანაზღაურებითა და სახელფასო დანამატებით პროფესიონალები, ისინი კერძო სტრუქტურებში გაგვექცევიანო.

ჰოდა, **თუკი კერძო სექტორი საქართველოში ისეა აყვავებული, რომ მას „პროფესიონალებზე" ტაციაობა ჰქონია გამოცხადებული, წავიდნენ და იმუშაონ ამ პარლამენტარებისა და სხვა პარტიული მოღვაწეების დებმა, ძმებმა, შვილებმა, ბიძაშვილ-მამიდაშვილებმა, სიძეებმა და ცოლისძმებმა კერძო სექტორში, რა პრობლემაა?!**

არანაკლებად ამაზრზენია „ქოც-უტიფართა" „არგუმენტი" — „ისინი დროებით არიან დანიშნულები, მოგვიანებით გაიმართება კონკურსი და, ვინც გაიმარჯვებს, ის დაინიშნება".

ჯერ ერთი, საკითხავია, ასე „დროებით დანიშნულთა" უმეტესობა რატომ შერჩება ხოლმე ამ „დროებით" თანამდებობას წლების განმავლობაში?

და მეორეც — **რატომ „ემთხვევა" ხოლმე, რომ მაინცადამაინც პარლამენტართა ან სხვა პარტიულ მოღვაწეთა ოჯახის წევრები იკავებენ ამ თანამდებობებს „დროებით"?**

ხომ ყველამ ზუსტად იცის — საქმეც სწორედ ის არის, რომ ამ „მაგარსივიანმა" ნათესავებმა სინამდვილეში კონკურსის პირველი, ელემენტარული ეტაპიც კი ვერ გადალახეს და გამოცხადებული კონკურსებიც სწორედ იმ ერთადერთი მიზეზით (რა თქმა უნდა, სხვა საბაბით) უქმდება, რომ ეს „მაგარსივიანი ნათესავები" „კანონის დაურღვევლად" „დროებით" დანიშნონ თანამდებობებზე!

მერე კი, **გამოვა ვინმე დავით საგანელიძის მსგავსი უტიფარი და დაგვიწყებს მტკიცებას, რომ თურმე ნებისმიერი ადამიანი ბედნიერი იქნებოდა, ნანა ყეინიშვილის შვილისნაირი ანდა ანი მიროტაძის დისნაირი რომ ჰყოლოდა! და აქეთ აგვაგდებს ნამუსზე მთელ საზოგადოებას, რომ ჩვენ, შეუბრალებელები, უსამართლონი და ბოღმიანები, ვჩაგრავთ ამ დიდად განათლებულ და „უმაგრეს სივიან" ადამიანებს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ „უბედურებს" „არ გაუმართლათ" და პარლამენტარების ოჯახის წევრები არიან!**

აი, მსგავსი უტიფრობა მართლაც წარმოუდგენელია! თუმცა კიდევ უფრო უტიფარია მათი მტკიცება — „ნეპოტიზმი იმას ჰქვია, როდესაც თანამდებობაზე ინიშნება არაშესაბამისი კვალიფიკაციის ადამიანი, თორემ, თუკი ადამიანს გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია და დაინიშნა თანამდებობაზე, რა მნიშვნელობა აქვს, ვისი ნათესავია? ეს ნეპოტიზმი მაინც არ არის"-ო!

აი, მსგავსი უტიფარი და, პირდაპირ ვთქვათ, იდიოტური ტყუილი მართლაც აჭარბებს ყველა მანამდე ჩამოთვლილ უტიფრობას! **ანუ ნეპოტიზმი ყოფილა მხოლოდ და მხოლოდ ის, როდესაც, დავუშვათ, მეხანძრის კვალიფიკაციის მქონე ადამიანს ნიშნავ აგრონომად. ხოლო თუ აგრონომად დანიშნე პოლიტიკური ფიგურის აგრონომი ნათესავი, მაშინ, როდესაც გაცილებით უკეთესი აგრონომები ჰყავს ქვეყანას, ეს თურმე სულაც არ ყოფილა ნეპოტიზმი!**

რა თქმა უნდა, ახლა რომელიმე „ქოც-უტიფარი" შემეკამათება, — შენ რა იცი, ვინ უკეთესი აგრონომიაო?

არა, ბატონებო, მე არ ვიცი, კონკურსმა იცის, კონკურსმა!

და ამიტომაც, **მაგ თქვენი ნათესავების „სივების" ფრიალი და უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის ხარივით დაქაჩული თვალები, რომლებიც აქეთ გვადანაშაულებენ უსამართლობასა და ბოღმიანობაში, სულაც არ წარმოადგენს არანაირ არგუმენტს!**

**თქვენ სწორედაც ნეპოტიზმის უტიფარი დამამკვიდრებლები ხართ და, თუ არანაირად არ დაისჯებით, იმდენი სირცხვილ-ნამუსი მაინც უნდა შეგრჩეთ, რომ ტელეეთერში უტიფრად არ მიეთრიოთ და იქიდან ასე უტიფრად აქეთ არ შეეცადოთ საზოგადეობის გალანძღვასა და ნამუსზე აგდებას!**

ისე, რა უნდა გაგიკვირდეს იმ უტიფარი ადამიანებისგან, რომლებსაც საზოგადოებამ უკვე მრავალჯერ განუცხადა, მნიშვნელობა არ აქვს „პრემიას" დაარქმევთ თუ „დანამატს" — მთავარი ის არის, რომ ზედმეტ ფულს იღებთ ბიუჯეტიდან, თორემ სახელწოდებაზე არავინ გედავებათო!

და მიუხედავად ამისა, მაინც უტიფრად იმეორებენ უკვე მეასედ — „2013 წლის გადაწყვეტილების მერე არც ერთ ჩვენგანს პრემია არ აუღია!". მიუხედავად ამისა, გასულ კვირაში მაინც მოახერხეს უტიფრობით გამორჩეულიყვნენ **გიორგი ვოლსკი** და **ეკატერინე ბესელია**. ვოლსკიმ „გაბედულად" მოუწოდა „სახელმწიფო უწყებებში „ნაციონალების" ნარჩენების განადგურებისკენ", ოღონდ ვის — მე თუ ჩემს მეზობელ თამაზას, გაურკვეველია...

ხოლო ბესელიამ უტიფრადვე განაცხადა, — ცნობილი „მიშისტი" და „ნაცგამპრავებელი" ირაკლი მაისურაძე იმიტომ ავიყვანე ჩემთან სამუშაოდ, რომ მომწონდა ეგ ადამიანი, როდესაც „რუსთავი 2"-ს ვუყურებდი ხოლმეო! და წამსვე უტიფრად განაგრძო საუბარი ქართულ მედიაში არსებულ „ნაც-ნარჩენებზე"...

## „ნანაცარ-ნაქოცარი უტიფრები"

უტიფართა ამ მესამე მიმდინარეობის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები **ირაკლი ალასანია** და მისი გუნდის წევრები არიან. ამ ხალხმა მხოლოდ ახლაღა აღმოაჩინა, რომ თურმე ქვეყანას მართავს ბუა-ოლიგარქი, ხოლო საქართველო კრემლისკენ მიექანება...

თქმა არ უნდა, ამ ადამიანებმა მიხეილ სააკაშვილის „ბუაობაც" მხოლოდ მას შემდეგ დაინახეს, როცა მიშამ უარი განაცხადა მათ „წინ წაწევაზე" და „მემკვიდრედ" ირაკლი ალასანია არ დაასახელა. თორემ აგერ, **ვიდრე 2009 წლამდე, მიხეილ სააკაშვილი და მთელი „ნაციონალური მოძრაობა" მხოლოდ ქვეყნის აღმშენებლობით იყვნენ დაკავებულნი, ხოლო საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს გიგანტური წარმატებები მხოლოდ იმიტომ ჰქონდა, რომ იქ თვით „მისი უდიდებულესობა" ალასანია იღვწოდა!**

როგორც კი ალასანია ამ ასპარეზს ჩამოშორდა, საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტმაც რღვევა დაიწყო და თანაც ეს ორჯერ მოხდა: ერთხელ — მიშას დროს და ერთხელაც — ბიძინას დროს!

ხელისუფლებიდან ალასანიას ჩამოშორებას ყველა ჯერზე საერთაშორისო ასპარეზზე გამოუსწორებელი ზიანი მოჰყვება ხოლმე საქართველოსთვის!

საზოგადოდ, **„თავისუფალი დემოკრატების" გუნდის ყოფილი თუ მოქმედი წევრებისთვის ძალიან დამახასაიათებელია საკუთარი თავის დაყვედრება საზოგადოებისთვის, სამშობლოს ინტერესებისთვის მსხვერპლად შეწირულის როლში გამოსვლა და „საერთაშორისო" ზღაპრების მოყოლა!**

განა მთელმა საქართველომ უკვე ზეპირად არ იცის „სტრასბურის დედოფლის" — **თეა წულუკიანის** „სამშობლოსთვის მსხვერპლად შეწირვის" ამბავი?

**განა უკვე არ დაგვაჯერეს, რომ თეა წულუკიანს, მილიონიც რომ მოითხოვოს ბიუჯეტიდან, უნდა გადავუხადოთ, რადგან მან რაღაც წარმოუდგენელ პირობებზე თქვა უარი და თავგანწირულად გამოემართა სამშობლოსკენ?**

**მართალია, ვერავინ ამბობს, ვინ ეხვეწებოდა წულუკიანს ამოდენა „მსხვერპლის" გაღებას და რა უფლებით გვაყვედრის ამ სისულელეს კვირაში სამჯერ, მაგრამ ფაქტია, რომ, მათ შორის „შავი კატის" გარბენის მიუხედავად, ირაკლი ალასანიამ ნანუკასთან სტუმრობისას მაინც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი წულუკიანის „მსხვერპლობას"...**

ბიძინა ივანიშვილის ადგილას მე ამ პასაჟს უფრო მეტად ჩავუფიქრდებოდი, რათა მერე კიდევ ერთხელ არ დამწყვეტოდა გული, — „ალასანიას იმ განცხადების შემდეგ, რომელიც ჩემ წინააღმდეგ იყო მიმართული, ჩემი გუნდის არც ერთმა წევრმა არ ამოიღო ხმა"—ო! (ამონარიდი ბიძინა ივანიშვლის საჯარო განცხადებიდან).

მაგრამ კესირისა ისევ კეისარმა იკითხოს და მიიღოს კიდეც!

ჩვენ ისევ უტიფარ და ტრაბახა „ნანაცარ-ნაქოცრებს" მივუბრუნდეთ.

გარდა „სტრასბურის დედოფალ წულუკიანისა", „ნანუკას შოუში" კიდევ „ალიგატორის ზღაპარი" იყო მეტად საინტერესო, რომელიც ალასანიას ფრიად აქტიურმა მეუღლემ **ნათია ფანჯიკიძემ** მოგვიყვა.

**„როდესაც ირაკლი ამერიკაში სამხედრო წვრთნებზე იმყოფებოდა, ერთხელ დავურეკე და ცუდ ხასიათზე იყო. რომ ჩავაცივდი, მითხარი, რატომ ხარ ცუდ ხასიათზე-მეთქი, მითხრა, — ჩემი მეგობარი წვრთნების დროს ალიგატორებმა შეჭამესო... თურმე, რაღაც ჭაობები უნდა გადაელახათ სწავლებებზე. დარღვეულა უსაფრთხოების ნორმები და ამ ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე ასე ტრაგიკულად დასრულებულა. აი, ასეთ უმკაცრეს პირობებში აქვს ირაკლის წვრთნები გავლილი..."**

ვერ გეტყვით, როგორ და რანაირად გამორჩა მსოფლიო მედიას ყურადღებიდან ისეთი სკანდალური და მძიმე ფაქტი, როგორიცაა წვრთნების დროს ამერიკის არმიის ჯარისკაცის ალიგატორტებისაგან სადილად მირთმევა...

ეს უტიფრობა უფრო იმას ჰგავს, რომ „თავისუფალ დემოკრატთა" „დიდი ბელადი" ცოლს „ემარიაჟებოდა", — აი, ასეთი „რემბო" გყავარო! ხოლო ცოლი ქმრის თვალში მომგებიან პოზას იჭერდა, — თვალთმაქცობდა, შენი ტყუილებისა მჯერაო... საბოლოოდ, შთაბეჭდილება ისეთია, რომ ტყუილები და პოზიორობა ამ ადამიანებისთვის სულაც არ არის უცხო ხილი და ახლა მთელი საზოგადეოების მოტყუებასაც უკვე მერამდენედ შეეცდებიან...

**ხო არ გაგახსენდათ მიშასა და სანდრას ცნობილი ამბავი, როდესაც ისინი თურმე ოკეანეში ცურავდნენ და უცებ „ფსკერზე მჯდომი" ორი ზვიგენი დაინახეს?**

თუმცა რა არის გასაკვირი?!

აკი, დასაწყისშივე ვთქვი, — ყველანი ერთი და იმავე „მოქალაქეთა კავშირ-კომკავშირიდან" ამოზრდილნი არიან და უტიფრობაც ზუსტად ერთნაირად და ერთნაირი ხარისხით ახასიათებდეთ?!

ჰოდა, ამიტომაც, ამობრწყინდება კი არა, უკვე დიდი ხანია, ამობრწყინდა ეს ახალი მზე საქართველოს ცაზე — უტიფართა მზე!



**«ოცნების» ხელისუფლების ნეპოტისტი ფიგურები კი წარმოუდგენელი უტიფრობით ცდილობენ, «დაუმტკიცონ» საზოგადოებას, რომ მათ მიერ აშკარად ჩადენილი ნეპოტიზმი სინამდვილეში სულაც არ არის ნეპოტიზმი!.. თურმე ერთი პარლამენტარის დის დანიშვნა მერიის სტრუქტურებში ან მეორე პარლამენტარის შვილის დანიშვნა საგარეო უწყებაში სულაც არ ყოფილა ნეპოტიზმი, არამედ ყოფილა «პროფესიონალი კადრების ჩვეულებრივი დასაქმება»...**

აქცია

## 20 აპრილიდან 20 ივნისის ჩათვლით ახალი პირადობის მოწმობა უფასოდ გაიცემა

**საქართველოს იუსტიციის მინისტრის ინიციატივით, 20 აპრილიდან 20 ივნისის ჩათვლით ახალი ტიპის პირადობის მოწმობა უფასოდ გაიცემა მათთვის, ვინც არის 16 წლის ან მეტის და არასოდეს აულია ეს დოკუმენტი.**

პირადობის მოწმობის ასაღებად მოქალაქეებმა იუსტიციის სახლების ფილიალებს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებს ან საზოგადოებრივ ცენტრებს უნდა მიმართონ.

აქციის ფარგლებში, მოქალაქე გათავისუფლდება პირადობის მოწმობის საფასურისგან, ფოტოსურათის გადაღებისა და ბანკის მოსაკრებლისგან. დაკარგული ან დაზიანებული მოწმობის ნაცვლად ახალი პირადობის მოწმობა უფასოდ არ გაიცემა.

აქციის თაობაზე დამატებით ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სერვისების განვითარების სააგენტოსა (sda.gov.ge) და იუსტიციის სახლის ვებ-გვერდებზე (psh.gov.ge); ასევე, skype-მისამართზე (sda.ge) და ტელეფონის ნომერებზე: 2 405 405 და 240 10 10.



მეზობელი ქარისათ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნონსენსი — ბრიტანული საიტი წერს სიძველეზე და აქვეყნებს ფოტოს, რომელზეც 1958 წელს აშენებული ერევნის რესპუბლიკის მოედანია გამოსახული. გასაკვირი არც არის, სომხეთის დედაქალაქში ხომ სიძველეები მხოლოდ შუა საუკუნეების აზერბაიჯანული ხუროთმოძღვრების ძეგლები იყო, რომლებიც სომხებმა პირისაგან მიწისა აღგავეს, რათა მათთვის არ შეეხსენებინათ, რომ მოსულები იყვნენ უძველესი ოგუზების მიწაზე.**

# «ეს ინჩა კატარვუმ?!»

# ანუ როგორ აყალბებენ ისტორიას ჩვენი მეზობლები

**ჩვენი მეზობელი სომხეთის ვაიმეცნიერთა მხრიდან ისტორიის ფალსიფიცირებასა და ქართული კულტურის ძეგლების სომხეთის კუთვნილებად გამოცხადებაზე არაერთხელ წერდა „საქართველო და მსოფლიო“. ბოლო სტატია (იხ. №9, 11-17 მარტი, 2015 წ.) ეხებოდა სომხეთის სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიის წინამძღოლის, ეპისკოპოს ვაზგენ მირზახანიანის კონფიდენციალურ წერილს, რომელიც მან საქართველოს პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს გაუგზავნა 2014 წლის 12 დეკემბერს საქართველოში სომხეთის პრემიერმინისტრის — ოვიკ აბრამიანის სტუმრობის შემდეგ.**



წერილში გამოთქმულია **თხოვნა: „დაუბრუნოს (საქართველომ — რედ.) ჩამორთმეული ტაძრები, მონასტრები (მოქმედი და არამოქმედი), მათი ნანგრევები, აგრეთვე, მიწის ნაკვეთები, რომლებზეც ისინი არის ან იყო განლაგებული — სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის დანართის სახით გაწვდით სომეხთა ეპარქიისთვის ჩამორთმეული 442 ტაძრის, მონასტრის (მოქმედი და არამოქმედი) და მათი ნანგრევების სიას“.**

**თუ სიას გადავხედავთ, მივხვდებით, რომ ლაპარაკია საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კოლოსალური რაოდენობის საკუთრებაზე, რომელთა საქართველოს იურისდიქციიდან გამოყვანა და ეჩმიაძინისთვის დაქვემდებარება სურს სომხურ ეკლესიას.**

**აღსანიშნავია, რომ ამ სიაში სომხეთის ეკლესიამ (მთავრობამ) არ შეიტანა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე არსებული 211 ეკლესია, ამით ეს ტერიტორიები საქართველოს შემადგენელ ნაწილებად არ ცნო.**

**აღარაფერს ვამბობთ ქართული „საფერავის“, ხაჭაპურის, მაწვნის, ჩურჩხელის სომეხი ერის კუთვნილებად და სოფიკო ჭიაურელისა და ქეთი მელუას სომხებად გამოცხადებაზე.**

სომხებმა, როგორც ისტორიკოსი და პუბლიცისტი სიმონ ქვარიანი წერს, დიდი როლი ითამაშეს ქართული სახელმწიფოს დაცემაში, განსაკუთრებით — 1795 წელს საქართველოში აღა-მაჰმად-ხანის შემოსევისას, რომელსაც საქართველოს ასაოხრებლად სომეხი იაკობ ბებუთოვი მოუძღოდა. აღა-მახმად-ხანის მიერ თბილისის აოხრების შემდეგ სომხები ძარცვავდნენ მტრისგან გაქცეული ქართველების სახლ-კარს.

**„ყარაბაღელმა სომხებმა მელიქ აბოვმა, მელიქ ჯიმშიდიმ და მელიქ ფრიდონმა ქვეშევრდომებიანად თავი შეაფარეს საქართველოს. მელიქ აბოვმა ერეკლე მეორისგან მიიღო პრივილეგიები და დასახლდა მეფისგან ნაბოძებ ბოლნის-დმანისთან, სადაც ჩამოიყვანა და დაასახლა 700-ზე მეტი კომლი ყარაბაღელი სომეხი. მელიქ აბოვი თავისი რაზმებით თავს ესხმოდა ჯავახეთს, მიჰქონდა ნადავლი და მოჰყავდა ხალხი, ასახლებდა თავის სამფლობელოში და ისინი გრიგორიანულ სარწმუნოებაზე გადაჰყავდა“** (შოთა ლომსაძე. „სამცხე-ჯავახეთი“. თბილისი „მეცნიერება“. 1975 წ.).

აი, რას წერდა სომეხთა უმადურობით აღშფოთებული **ივანე ჯავახიშვილი: „უეჭველია, ეს სრულიად შეუწყნარებელი საქციელი იყო — საქართველოს დამოუკიდებელი არსებობის წყალობით საქართველოში სომხები აუცილებელი განადგურებისგან თავშესაფარს პოულობდნენ, მადლობის მაგიერ კი საქართველოს საშინაო საქმეებში გარეშე ძალის ჩარევას ცდილობდნენ და რუსეთის ქვეშევრდომობისა და მფარველობის მიღებით ჩვენში მიწა-წყლის მიღება სურდათ. მათი საქციელი საქართველოს დამოუკიდებლობას ძირს უთხრიდა“** (ივ. ჯავახიშვილი. „საქართველოს საზღვრები“. გვ. 38).

**«უწოდო ერევანს უძველესი ქალაქი — ეს ნიშნავს, რომ გადახაზო ისტორია ერივანის ციხესიმაგრისა, რომლითაც დაიწყო აზერბაიჯანული ქალაქი ირავანი და რომელსაც, ჩვენდა სამწუხაროდ, 1936 წელს სახელი გადაარქვეს და ერევანი უწოდეს. ერევნელი ცრუმეცნიერები კი თავიანთ მოგონილს, დიდი ხანია, ნერგავენ დასავლეთის სამეცნიერო წრეებში»**

სომეხთა კათალიკოსმა იოსებ არღუთინსკიმ ხომ „მთელი მოძრაობა შექმნა ძველი, დაკარგული „არმენიის“ ნაწილობრივ მაინც საქართველოში გადმოსატანად. მას, რა თქმა უნდა, წინ საქართველოს სამეფოს არსებობა ეღობებოდა და სომხების კათალიკოსმაც აქეთ მიიტანა იერიში (თამარ და აკაკი პაპავები. „მარიამ — უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი“. ბუენოს-აირესი. 1956 წ. გვ. 86).

სომეხთა მიერ ისტორიის გაყალბებასა და უსაფუძვლო პრეტენზიებზე არა მხოლოდ ქართული, არამედ აზერბაიჯანული პრესაც წერს.

**გთავაზობთ აზერბაიჯანელი მეცნიერის — შელალე ჰასანოვას წერილს „ერევანი — უძველესი ქალაქი“, რომელიც აზერბაიჯანულ საიტზე — haqq.az-ზე — გამოქვეყნდა:**



შელალე ჰასანოვა

დასანანია! მტკივნეულია! საწყენია! ბრიტანული The Telegraph-ის დანართის — „მოგზაურობის“ ვერსიით, ერევანი ევროპის 16 ყველაზე ძველი ქალაქის სიაშია. ეს ხომ სიცრუეა! ფალსიფიკაცია! ჩვენ ბევრს ვწერდით იმის შესახებ, რომ ერევანი 500 წლის წინათ შაჰ ისმაილის ბრძანებით აშენებული შუასაუკუნეების აზერბაიჯანული ქალაქია, ფაქტებით უარვყოფდით სომეხთა ვერსიას, რომ ერევანი 29 წლით ძველია რომზე და ა.შ., მაგრამ — ამაოდ!

რაც უნდა საწყენი იყოს, უნდა ვაღიაროთ, რომ ვერ შევძელით სიმართლის გატანა აზერბაიჯანული მედიის საზღვრებს გარეთ. არავინ შეისმინა ჩვენი ნათქვამი არც დასავლურ პოლიტიკურ ისტებლიშმენტში, არც ავტორიტეტულ საზღვარგარეთულ მედიასაშუალებებში, არც დასავლურ სამეცნიერო წრეებში. ამის მტკიცებულებაა The Telegraph-ის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ცნობა, რომელშიც გვარწმუნებენ, რომ თითქოს **„პირველი მცხოვრებლები ერევანში ჩვ.წ. აღმდე 782 წელს გამოჩნდნენ, რომის დაარსებამდე 30 წლით ადრე ქალაქი აზიიდან ევროპაში მიმავალი ქარავნების გადასასვლელი მნიშვნელოვანი პუნქტი იყო“.**

**ნონსენსი — ბრიტანული საიტი წერს სიძველეზე და აქვეყნებს ფოტოს, რომელზეც 1958 წელს აშენებული ერევნის რესპუბლიკის მოედანია გამოსახული. გასაკვირი არც არის, სომხეთის დედაქალაქში ხომ სიძველეები მხოლოდ შუა საუკუნეების აზერბაიჯანული ხუროთმოძღვრების ძეგლები იყო, რომლებიც სომხებმა პირისაგან მიწისა აღგავეს, რათა მათთვის არ შეეხსენებინათ, რომ მოსულები იყვნენ უძველესი ოგუზების მიწაზე.**

The Telegraph-ი, აგრეთვე, ცდილობს, დაგვარწმუნოს, რომ „ქალაქი დაიპყრეს ასირიელებმა, ბიზანტიელებმა, რომაელებმა, სპარსელებმა, არაბებმა, სელჩუკებმა, მონგოლებმა და თურქებმა, და საბჭოთა წითელმა არმიამ 1920 წელს“. ბოლო ფრაზა ყველაზე პიკანტურია! აი, თურმე რა — სომხეთში უკვე „დაავიწყდათ“, რომ სწორედ საბჭოთა ხელისუფლებამ შეუქმნა მათ სახელმწიფო ძირძველი აზერბაიჯანული მიწების ხარჯზე, და ინგლისურ საიტზე სსრკ დამპყრობელ იმპერიად გამოჰყავთ. აი, კიდევ ერთი ღალატი სომხებისა რუსეთის მიმართ. როგორც ჩანს, მათ ძალიან უნდათ, ისტორიული მეხსიერებიდან ამოშალონ ფაქტი, რომელიც ამტკიცებს, რომ XX საუკუნის დასაწყისამდე კავკასიაში სომხეთი არ არსებობდა. და, როგორც ვხედავთ, სომხები ტარანის მეთოდით მიილტვიან დასახული მიზნისკენ.

როგორ მოვიქცეთ? კვლავინდებურად განვაგრძოთ მუშტების ქნევა და ვწეროთ უარყოფის სტატიები ადგილობრივ მედიასაშუალებებში? თუ აქტიურობასა და სიფრთხილისკენ მოვუწოდოთ დიასპორულ ორგანიზაციებს, საელჩოებს, პრეზიდენტთან არსებულ სტრატეგიული კვლევების ცენტრს, დიასპორების კომიტეტს, კულტურისა და ტურიზმის სამინისტროსა და სხვებს? ამასთანავე, დრო ხომ არ დადგა, გავაძლიეროთ მუშაობა ავტორიტეტულ ლობისტურ ორგანიზაციებთან და უარი ვთქვათ დილეტანტების მომსახურებაზე? და, რაც მთავარია, **უნდა შევიმუშაოთ ქვეყნის პიარის ეფექტიანი კონცეფცია და თავი დავანებოთ საკუთარი თავის ქებას უცხოეთში განხორციელებული ერთჯერადი ღონისძიების გამო, რომლებიც სტუმრებს უფრო ფლავით, ქაბაბითა და ფაჰლავით ამახსოვრდებათ, ვიდრე აზერბაიჯანისთვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური თეზისებით.**

ათეულობით მაგალითიდან მოვიყვან ერთს: **2012 წელს შევადგინეთ წინასწარი სია 67 ქრისტიანული ალბანური ეკლესიისა, რომლებიც სომხურმა გრიგორიანულმა ეკლესიამ მიიტაცა. მათი ნაწილი წარდგენილი იყო ბრიტანეთის პარლამენტში გამართულ კონფერენციაზე „ტოლერანტუ-** ▶

---

მოკლედ

## დააპატიმრეს საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოფილი დირექტორი

**საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოფილი განმკარგულებელი დირექტორი, ესპანეთის მთავრობის ყოფილი ვიცეპრემიერი როდრიგო რატო მადრიდში დააპატიმრეს.**

მადრიდის პროკურატურა ყოფილ მაღალჩინოსანს გადასახადებისგან თავის არიდებაში, თანხების გათეთრებასა და მართლსაწინააღმდეგო გზით ქონების მითვისებაში ადანაშაულებს. ესპანურ გაზეთ El País-ში გამოქვეყნდა ცნობები, რომ დაპატიმრებამდე მცირე ხნით ადრე როდრიგო რატომ ესპანეთის მთავრობის მიერ გამოცხადებული ფინანსური ამნისტიით ისარგებლა და საეჭვო წარმოშობის მქონე კაპიტალის დეკლარირება მოახდინა.



მეზობელი ქარისათ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ერევნის დაძველება სომხებს რამდენიმე მიზეზით სჭირდებოდათ. პირველი — მათ მოსვენებას არ აძლევდა ის, რომ 1958 წელს საქართველომ აღნიშნა თბილისის დაარსების 1500 წლისთავი; მეორე — აუცილებელი იყო, მოეძებნათ სომხური ბაზა სიტყვა „ირევანის" წარმოშობის დასასაბუთებლად. ასე მომწიფდა პოლიტიკური მიზნები, რომელთა მისაღწევადაც საბჭოთა სომხეთის ზოგიერთმა ხელმძღვანელმა არქეოლოგიური აღმოჩენების გამოყენება გადაწყვიტა.

**ლოგის აზერბაიჯანული მოდელი ევროპულ მულტიკულტურიზმში". მოკლედ, დიდი მუშაობა გავწიეთ, მაგრამ მისი გამოძახილი აქამდე არ ჩანს.** და იცით, რატომ? იმიტომ, რომ არავინ დაინტერესდა ამ დოკუმენტის ბედით, არავინ იბრძოლა, სიმართლე მიეტანათ ბრიტანეთის პოლიტიკურ ელიტამდე. ამის გამო ხომ არავის სჯიან. მოხსენება გააკეთეს, გაისეირნეს და მორჩა.

უწოდო **ერევანს** უძველესი ქალაქი — ეს ნიშნავს, რომ გადახაზო ისტორია **ერივანის** ციხესიმაგრისა, რომლითაც დაიწყო აზერბაიჯანული ქალაქი **ირავანი** და რომელსაც, ჩვენდა სამწუხაროდ, 1936 წელს სახელი გადაარქვეს და ერევანი უწოდეს. ერევნელი ცრუმეცნიერები კი თავიანთ მოგონილს, დიდი ხანია, ნერგავენ დასავლეთის სამეცნიერო წრეებში. ისინი ხმას არ იღებენ სეფევიდების პერიოდში აზერბაიჯანელი ბეგლარბეგების არსებობაზეც კი. იმხანად ერივანი და ნახიჭევანი წარმოადგენდა ულკეს, ანუ ყიზილბაშური ტომის — უსტაჯლუს — საცხოვრებელს. **იმ პერიოდში ამ აზერბაიჯანულ მიწებს ჩუხურსაადი ეწოდებოდა. სეფევიდების დინასტიის დასუსტების შემდეგ იმპერიის ბეგლარბეგები 20 აზერბაიჯანულ სახანოდ დაიყო, მათგან ერთ-ერთი იყო ერივანის სახანო. მოკლედ, ამ მიწაზე არასოდეს ყოფილა აღმოსავლეთი სომხეთი.**

მაგრამ წაიკითხეთ ვიკიპედიაში სტატია „ერივანის სახანო" და წააწყდებით ასეთ ფრაზას: „სახანო მდებარეობდა აღმოსავლეთ სომხეთის ისტორიულ ტერიტორიაზე" და სხვა ტყუილებს. და კვლავ შეკითხვა, რომელიც შეიძლება რიტორიკულ შეკითხვად დარჩეს: რა ვუყოთ ვიკიპედიას, რომელიც სავსეა სომხური ფალსიფიკაციებით?

აღარაფერს ვამბობ ანტიაზერბაიჯანული სტატიის ინგლისურენოვან ვერსიაზე, რომელიც ძრწოლის მომგვრელია. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ ახალაშენებული ერევანი ბრიტანელებს ევროპის ყველაზე ძველ ქალაქად მოეჩვენათ, ბაქო კი მისი გობუსტანით, ქალწულის კოშკით, იჩერი-შეხერით, გარეუბნებში მდებარე უძველესი კოშკებით ბორტს მიღმა დარჩა.

ირევანს საფუძველი ჩაეყარა XVI საუკუნის დასაწყისში, როგორც სეფევიდების, ანუ თურქულ-აზერბაიჯანული იმპერიის ციხესიმაგრეს ოსმალეთის იმპერიის საზღვარზე. ცნობილი თურქი მოგზაურის **ევლიე ჩელების** მემუარების მიხედვით, შაჰმა ისმაილ I სეფევიმ 1504 წელს გასცა ბრძანება, მდინარე ზენგზე აეგოთ ციხესიმაგრე აღმოსავლეთით ოსმალების გადაადგილების შესაჩერებლად. მშენებლობა დაევალა ვეზირ რევან-ღულუ ხანს, აქედან მომდინარეობს ციხესიმაგრის სახელწოდებაც — რევან-ყალა, რომელიც ტრანსფორმირდა ერევნად. 7 წლის შემდეგ 850 მ სიმაღლეზე აიგო 7 ჰა ფართობის ციხესიმაგრე.



ერებუნი

> **«სომხეთში უკვე «დაავიწყდათ», რომ სწორედ საბჭოთა ხელისუფლებამ შეუქმნა მათ სახელმწიფო და ინგლისურ საიტზე სსრკ დამპყრობელ იმპერიად გამოჰყავთ. აი, კიდევ ერთი ღალატი სომხებისა რუსეთის მიმართ. როგორც ჩანს, მათ ძალიან უნდათ, ისტორიული მეხსიერებიდან ამოშალონ ფაქტი, რომელიც ამტკიცებს, რომ XX საუკუნის დასაწყისამდე კავკასიაში სომხეთი არ არსებობდა»**

1655 წელს ირევანში ჩავიდა ფრანგი მოგზაური **ჟან ბატისტ ტავერნიე**, 10 წლის შემდეგ კი — **ჟაკ შარდენი**, რომელმაც ის აღწერა, როგორც აზერბაიჯანული ქალაქი. მოგზაური წერს, რომ ციხესიმაგრეში იყო 800 სახლი, რომელშიც მხოლოდ მუსლიმანები ცხოვრობდნენ. მან აღწერა მეჩეთები, მარმარილოს აუზები შადრევნებით, ბაღები, სარდარის სარკეებიანი სასახლე, აზერბაიჯანელთა წეს-ჩვეულებები და ცხოვრება. ეს ფაქტები იმიტომ არის ფასეული, რომ შემონახულია სარწმუნო ცნობები ქალაქზე, რომელიც 1679 წელს მიწისძვრის შედეგად დაინგრა, სტიქიური უბედურების შემდეგ მმართველმა ზალ ხანმა სხვა აზერბაიჯანელ ხანებთან ერთად სწრაფად აღადგინა ქალაქი და კიდევ უფრო გააძლიერა ციხესიმაგრე.



> **2014 წლის 12 დეკემბერს საქართველოში სომხეთის პრემიერმინისტრის სტუმრობის შემდეგ სომხეთის სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიის წინამძღოლმა, ეპისკოპოსმა ვაზგენ მირზახანიანმა საქართველოს პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს გაუგზავნა კონფიდენციალური წერილი და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული 442 ტაძრისა და მონასტრის სომხეთისთვის გადაცემა მოითხოვა**

არსებობს კიდევ უფრო სარწმუნო არგუმენტი იმისა, რომ ერევანი აზერბაიჯანს ეკუთვნის. ის შემონახულია 1918 წლის 29 მაისით დათარიღებულ წერილში, რომელიც აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის პირველმა მეთაურმა **ფათალი ხან ხოისკიმ** საგარეო საქმეთა მინისტრ **გაჯინსკის** მისწერა: **„ჩვენ სომხებთან ყველა სადავო საკითხი მოვაგვარეთ, ისინი მიიღებენ ულტიმატუმს და დაასრულებენ ომს. ჩვენ მათ დავუთმეთ ირავანი".**

საქმე ის არის, რომ 1918 წლის 28 მაისს სომხებმა ისე გამოაცხადეს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის შესახებ, არც ტერიტორია ჰქონდათ და არც პოლიტიკური ცენტრი. 1918 წლის 29 მაისს ახალგამოცხადებულმა აზერბაიჯანის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ძირძველი აზერბაიჯანული ქალაქი ირევანი და მის გარშემო ტერიტორია, დაახლოებით 9,5 ათასი კვ.კმ ფართობი, სომხებს დაუთმო.

ის, რომ ერევანი 500-ზე ოდნავ მეტი წლისაა, უარყოფს სომხების ვარაუდს, რომლებმაც ქალაქის დაარსების თარიღად უსაფუძვლოდ გამოაცხადეს 782 წელი ჩვ.წ. აღრიცხვამდე. **ერევნის დაძველება სომხებს რამდენიმე მიზეზით სჭირდებოდათ: პირველი — მათ მოსვენებას არ აძლევდათ ის, რომ 1958 წელს საქართველომ აღნიშნა თბილისის დაარსების 1500 წლისთავი; მეორე — აუცილებელი იყო, მოეძებნათ სომხური ბაზა სიტყვა „ირევანის" წარმოშობის დასასაბუთებლად. ასე მომწიფდა პოლიტიკური მიზნები, რომელთა მისაღწევადაც საბჭოთა სომხეთის ზოგიერთმა ხელმძღვანელმა არქეოლოგიური აღმოჩენების გამოყენება გადაწყვიტა.**

საუბარია ლურსმნული ანბანით დაწერილ ფილაზე, რომელიც 1950 წელს იპოვეს ერევნის გარეუბანში. მასზე იყო მხოლოდ სამი ნიშანი **„რბნ"** (ადრე ხმოვნები არ იყო) და თარიღი 782 წ. ჩვ.წ. აღ-მდე. **ეს ფილა 8 წლის განმავლობაში არავის უხსენებია და მხოლოდ 1958 წელს, ანუ ძველი თბილისის იუბილიდან ძალიან მალე, სომხებმა არტეფაქტი ლურსმნული ანბანის გაშიფრულ ძეგლად წარმოადგინეს, რომელიც თითქოს ამტკიცებდა, რომ ძველ ქალაქს ეწოდებოდა ერებუნი. არადა, მათთვის სასურველი ხმოვნების ჩასმით, მიიღეს სიტყვა „ერებუნი", და ასე ახსნეს ეტიმოლოგიურ კავშირი ერევანთან.** მიუხედავად იმისა, რომ უძველეს წარწერაზე მითითებული არ ყოფილა ქალაქ „რბნ"-ის გეოგრაფიული მდებარეობა, სომეხმა ფალსიფიკატორებმა ეს არქეოლოგიური აღმოჩენა საკმარისად ჩათვალეს ერევნის ისტორიის დასაძველებლად.

აღსანიშნავია, რომ **იუნესკოს (განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხების გაეროს ორგანიზაცია) აქამდე არ უღიარებია ლურსმნულ-დამწერლობიანი ბაზალტის ქვა უძველესი ქალაქის — ერებუნის — არსებობის მტკიცებულებად.** თვითონ განსაჯეთ: ერევანი მართლა რომ ყოფილიყო სომხური კულტურის ნაწილი, ეს აუცილებლად აისახებოდა სომეხთა ისტორიაში და ისინი აუცილებლად აღნიშნავდნენ თავიანთი ქალაქის დაარსების თარიღს.

როგორც ხედავთ, არგუმენტები საკმაოდ ბევრია, რომლებიც უარყოფენ ერევნის, როგორც უძველესი ქალაქის, არსებობას, მაგრამ ვინ უნდა აგოს პასუხი ტყუილზე?

ვის უნდა მოეკითხოს, რომ ზემოხსენებულ სარეიტინგო სიაში, ქართულ მცხეთასთან და ქუთაისთან ერთად, არ იცის კავკასიური ალბანეთის ცენტრის დედაქალაქი — აზერბაიჯანული ქალაქი გაბალა ან შეკი უძველესი ეკლესიით, რომელიც 1244 წელს არქიდიაკონმა სერაფიმემ აღადგინა?

**ვიდრე კითხვებს ვსვამთ, უძველესი ძეგლების არმქონე ერევანი მართლაც უძველესი ევროპული ქალაქების სიაში მოხვდა, საბერძნეთის, ბულგარეთის, კვიპროსის, პორტუგალიის, ესპანეთისა და ხორვატიის ქალაქების გვერდით.**

**მტკივნეულია! საწყენია!**

**შელალე ჰასანოვა**
**haqqin.az**
**14.04.2015 წ.**

მოკლედ

## გაეროს გენმდივანი უკრაინელი ჟურნალისტისა და ოპოზიციონერი პოლიტიკოსის მკვლელობების სასწრაფოდ გამოძიებას მოითხოვს



**გაეროს გენერალური მდივანი პან გი მუნი შეშფოთებას გამოთქვამს უკრაინელი ჟურნალისტის — ოლეს ბუზინასა და ოპოზიციონერი პოლიტიკოსის — ოლეგ კალაშნიკოვის მკვლელობების გამო.**

პან გი მუნის თქმით, საჭიროა ორივე შემთხვევის სწრაფად გამოძიება, ქვეყანაში კანონის უზენაესობის დაცვა და დამნაშავეების დასჯა.

ჟურნალისტი ოლეს ბუზინა, რომელიც მოქმედ ხელისუფლებას აქტიურად აკრიტიკებდა, რამდენიმე დღის წინათ მოკლეს. ოპოზიციონერი ოლეგ კალაშნიკოვი კი კიევში საკუთარ სახლში გარდაცვილი იპოვეს. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით.

ბოლო სამი თვის განმავლობაში იანუკოვიჩის, სულ მცირე, რვა მოკავშირე დაიღუპა საეჭვო ვითარებაში.

## გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ვიდრე სტალინის სამშობლოდან სტალინის დიდება და სიმღერა ისმოდა, საქართველო, მსოფლიოში თუ არა, ევროპაში მაინც ერთ-ერთი წარჩინებული ქვეყანა იყო მეცნიერებით, მწერლობით, მხატვრობით, ფოლკლორით, სპორტითა და ხელოვნების სხვადასხვა დარგით. საქართველოში წარმოებული პროდუქციის 18 სახეობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გადიოდა. გურიის მხოლოდ ერთ სოფელში, შრომაში, სოციალისტური შრომის 27 გმირი ცხოვრობდა და შრომობდა. ქვეყანა ყვაოდა, მიუვალ სოფლებში სკოლის კედლები ბავშვებს ვერ იტევდა.**

# დიდი იოსებ სტალინი დიდ სამამულო ომში

**ომის შემდგომ სკკპ ცკ-ის მდივანმა დიმიტრი შეპილოვმა სტალინურ პრემიაზე წარსადგენად მწერალ-ისტორიკოსის წიგნი შეიტანა საბჭოეთის ბელადთან, რათა წინასწარ გაეგო მისი აზრი წიგნის თაობაზე. სტალინმა შეპილოვს ჰკითხა:**

**„— მე ვერ მოვასწარი ამ წიგნის წაკითხვა, შენ თუ წაიკითხე?**

**— დიახ, წავიკითხე, — უპასუხა შეპილოვმა.**

**— რა აზრისა ხართ წიგნის პრემირებაზე, რას შემოგვთავაზებთ?**

**— „აგიტპრომი“ მხარს უჭერს პრემიაზე წარდგენას.**

**— მითხარით, ამხანაგო შეპილოვ, ამ წიგნში არის რამე ბაქოს კომისრების შესახებ?**

**— დიახ, არის.**

**— და მათ ქმედებას დადებითად აფასებს ავტორი?**

**— დიახ, აუცილებლად.**

**— მაშინ, ამხანაგო შეპილოვ! არ შეიძლება ამ წიგნს მიენიჭოს სტალინური პრემია. ბაქოელი კომისრები არ იმსახურებენ დადებით შეფასებას. არ ეკუთვნის მათ სახელს განდიდება. მათ მოისროლეს ხელისუფლება და უბრძოლველად ჩააბარეს მტერს. დასხდნენ გემზე და წავიდნენ, ჩვენ კი შევინდეთ, არ ვაკრიტიკებთ. ისინი მოწამებრივად დაიხოცნენ, დახვრიტეს ინგლისელებმა. ჩვენ ვინახავთ მათ ხსოვნას, თუმცა იმსახურებდნენ მკაცრ შეფასებას, ისინი ცუდი პოლიტიკოსები აღმოჩნდნენ. როცა ისტორია იწერება, უნდა დაიწეროს და ითქვას სიმართლე: ერთი მხრივ, შევინახოთ ხსოვნა, ჩვენ ამას ვაკეთებთ; მეორე მხრივ, სწორი შეფასება მივცეთ ფაქტებსა და მოვლენებს“ („სტალინის ენციკლოპედია“. მოსკოვი, 2007წ გვ. 50).**



> **«როცა ისტორია იწერება, უნდა დაიწეროს და ითქვას სიმართლე: ერთი მხრივ, შევინახოთ ხსოვნა, ჩვენ ამას ვაკეთებთ; მეორე მხრივ, სწორი შეფასება მივცეთ ფაქტებსა და მოვლენებს»**

ძვირფასო მკითხველო, ამ მიუკერძოებელი და სრულიად სამართლიანი შეფასებით, მსურდა, დამეწყო ჩემი წერილები ქართული განძის გატაცება-დაბრუნების თაობაზე, რომლებიც ამას წინათ გამოვაქვეყნე გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“, მაგრამ არ მინდოდა, გეფიქრათ, რომ სტალინის შეფასების მხოლოდ გენერალურ ხაზს მივყვები. მაგრამ ახლა, როდესაც გადავდივართ სხვა, უფრო დიდ და ფართომასშტაბიან თემაზე — „სტალინური ომის ქრონიკებზე“, რა თქმა უნდა, მომიწევს სტალინის ზემოთ მოყვანილი შეგონების გათვალისწინება და თქვენთვის მხოლოდ და მხოლოდ სიმართლისა და დადასტურებული ფაქტების მოწოდება.

ჩემს მომავალ წერილებში სტალინს არ განვიხილავ „ქართველ პატრიოტად“ და, როგორც ქართველებს გვიყვარს თქმა, „ქართველ ვაჟკაცად“. ის ზოგიერთის თვალში, შეიძლება, არც პატრიოტია და არც — ვაჟკაცი, მაგრამ ისევე, როგორც არ შეიძლება ილიას, ვაჟას, აკაკის, შოთას, გალაკტიონის, დავითის, ერეკლესა და სხვა მრავალთა გამომწყვდევა ვიწრო ქართულ გალიაში, ასევე მიუღებელია ვიწრო ქართული სარკმლიდან შეფასება კაცისა, რომელსაც „კრემლში ბინადარ ღმერთსაც“ უწოდებდნენ.

თუ სტალინი ქართველებისათვის არ ვარგოდა, იქნებ სხვა ხალხებისთვის იყო მისაღები?!

ჩემი ერთი მეგობარი, გვარს არ დავასახელებ, ბებიამ გაზარდა აკვნიდან, როცა მისი დედა სხვის შვილებს ზრდიდა და უვლიდა. ეს მეგობარი, რომელმაც გენერლობას მიაღწია, ხშირად არის დიდი სუფრის თამადა, ყველაზე ლამაზად და გულიანად კი დედის სადღეგრძელო გამოსდის. ერთხელ შევბედე და ვუთხარი ქართული ანდაზა: „ვიღაცას დედა დაავიწყდა და დედინაცვალს იფიცებდაო“. მეგობარი მიმიხვდა, ვის ბოსტანშიც ვისროდი კენჭებს და მიპასუხა: „სხვის დედებს რას ვერჩი, დედა ხომ დედაა. დედის გულს მე და შენ ვერ განვსჯით, რომ განვსაჯოთ, ჩვენც დედები უნდა ვიყოთ“. სიმართლე თქვა.

როგორც არ უნდა მოგწონდეთ ჩემი „გადაჭარბებული“ ქება-დიდება დიდი სტალინისა, უნდა შეეგუოთ — წაკითხვით მაინც უნდა წაიკითხოთ. იქნებ გონება გაგინათდეთ და სტალინის ღვაწლი ახლა მაინც დააფასოთ.

მორწმუნე კაცი არ ვარ, მაგრამ ერთ რამეში ვრწმუნდები: **ვიდრე სტალინის სამშობლოდან სტალინის დიდება და სიმღერა ისმოდა, საქართველო, მსოფლიოში თუ არა, ევროპაში მაინც ერთ-ერთი წარჩინებული ქვეყანა იყო მეცნიერებით, მწერლობით, მხატვრობით, ფოლკლორით, სპორტითა და ხელოვნების სხვადასხვა დარგით. საქართველოში წარმოებული პროდუქციის 18 სახეობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გადიოდა. გურიის მხოლოდ ერთ სოფელში, შრომაში, სოციალისტური შრომის 27 გმირი ცხოვრობდა და შრომობდა. ქვეყანა ყვაოდა, მიუვალ სოფლებში სკოლის კედლები ბავშვებს ვერ იტევდა. მას შემდეგ, რაც სტალინის გინება და შეურაცხყოფა დავიწყეთ, ღმერთმაც თითქოს პირი იბრუნა და ქვეყანაც ხელიდან გვეცლება: ტერიტორიულად დავპატარავდით, მორალურად ვინგრევით და დემოგრაფიულად ვიღუპებით, ღმერთისგან მოდის ყველაფერი. ქართველებს დიდი ცოდვა გვაწევს მადლიერების დაკარგვის გამო და ღმერთიც და ბუნებაც ამიტომ გვსჯის. იქნებ ვცადოთ და კიდევ გავიხსენოთ სტალინის სახელი, აღვადგინოთ სტალინური შრომა და სამართლიანობა, იქნებ ღმერთმაც მოგვხედოს და ქვეყანამაც გაიბრწყინოს.**

## ომის დაწყების ღამეს

1941 წლის 21 ივნისის საღამოს კუნცევოს აგარაკზე სტალინის პირადი ექიმი პროფესორი **ბორის პრეობრაჟენსკი** გამოიძახეს, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მკურნალობდა საბჭოთა კავშირის პირველ პირს. პროფესორმა პაციენტის გასინჯვისთანავე განაცხადა, რომ სასწრაფოდ უნდა მოხდეს მისი გადაყვანა საავადმყოფოში, — უმძიმესი ჩირქოვანი ანგინაა ჩამოყალიბებული და ტემპერატურა 40 გრადუსს აღემატებაო. სტალინმა საავადმყოფოში გადაყვანაზე სასტიკი უარი განაცხადა. პროფესორმა პირველადი დახმარება გაუწია სტალინს და შეწუხებული იდგა იმის გამო, რომ პაციენტი არ დაემორჩილა. სტალინმა კი პროფესორს თხოვნით მიმართა, ხვალ დასვენების დღის მიუხედავად, ქალაქიდან არ გახვიდეთო, თანაც მკაცრად გააფრთხილა, დიაგნოზის შესახებ არავის არაფერი სცოდნოდა.

ცოტა ხნის შემდეგ სტალინი მარშალ **სემიონ ტიმოშენკოს** ელაპარაკა. რის შემდეგაც სასწრაფოდ იხმო მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ალექსანდრე შერბაკოვი** და აღმასკომის თავმჯდომარე **ვასილ პრონინი**.

სტალინმა სტუმრებს კატეგორიულად განუცხადა:

**„გააფრთხილეთ მოსკოვის ყველა რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი და რაიაღმასკომის თავმჯდომარე, რომ ხვალ, კვირას, ქალაქიდან არ გავიდეს არც ერთი მათგანი. მოსალოდნელია გერმანელების თავდასხმა“.**

3 საათსა და 40 წუთზე თავდაცვის მინისტრმა, მარშალმა სემიონ ტიმოშენკომ უბრძანა გენშტაბის უფროს **გიორგი ჟუკოვს**, ეცნობებია სტალინისთვის, რომ გერმანელები ბომბავენ ჩვენს ქალაქებს და რომ ომი დაიწყო.

ტელეფონის აპარატთან მისულმა სტალინმა, ჟუკოვის მოხსენების მოსმენის შემდეგ, მას უბრძანა, ტიმოშენკოსთან ერთად გამოცხადებულიყო კრემლში. და დასძინა: **„უთხარით პოსკრებიშევს, სასწრაფოდ გამოიძახოს პოლიტბიუროს ყველა წევრი“.**

პროფესორის გაფრთილების მიუხედავად, ავადმყოფმა სტალინმა მანქანა გამოიძახა და კრემლისაკენ გაეშურა. ერთი საათის შემდეგ, 4 საათსა და 40 წუთზე, უკვე პოლიტბიუროს სხდომა მიმდინარეობდა, რომელსაც სტალინი უძღვებოდა.

— სასწრაფოდ დაუკავშირდით გერმანიის ელჩს, — მიმართა მან მოლოტოვს.

მოლოტოვმა უპასუხა, რომ გერმანიის ელჩი, გრაფი **ფონ შულენბურგი** თვითონ ითხოვს საგარეო უწყებაში მოსვლას. მოლოტოვს დაევალა, სასწრაფოდ მიეღო და დალაპარაკებოდა ელჩს.

ჟუკოვმა სთხოვა სტალინს, სასწრაფოდ მიეცა მათთვის დირექტივა, სამხედრო ძალების ასამოქმედებლად.

— დაველოდოთ მოლოტოვს, — მშვიდად უპასუხა სტალინმა.

ცოტა ხანში მოლოტოვმა შეაღო პოლიტბიუროს კარი და თქვა:

— გერმანიამ ომი გამოგვიცხადა!

სხდომაზე სიჩუმე ჩამოვარდა. დუმილი დიდხანს გაგრძელდა. ჟუკოვმა გარისკა და სტალინს კვლავ მოსთხოვა დირექტივა, რათა დროულად დაეწყო მოქმედება მოწინააღმდეგის შესაჩერებლად.

— კი არ შევაჩეროთ, გავანადგუროთ, — შეუსწორა ტიმოშენკომ.

— მომეცით დირექტივის პროექტი, ოღონდ ერთი პირობით: ჯარებმა, ავიაციის ჩათვლით, არსად დაარღვიონ გერმანიის საზღვარი, — განაცხადა სტალინმა.

ამ შემთხვევაში სტალინი ხავსს ეჭიდებოდა, როგორმე თავიდან აეცილებინა უდიდესი კატასტროფა, მაგრამ მშვენივრად იცოდა, რომ ეს შეუძლებელი იყო.

**22 ივნისს, 9 საათსა და 30 წუთზე, სტალინმა თავდაცვის მინისტრ ტიმოშენკოსა და გენშტაბის უფროს ჟუკოვთან ერთად ჩაასწორა ბრძანების ტექსტი და ხელი მოაწერა ბრძანებას საბჭოთა კავშირის ევროპულ ნაწილში მობილიზაციისა** ▶

---

მოკლედ

## ავტომობილის გაყიდვით მიღებული შემოსავალი, 20%-ის ნაცვლად, 5%-ით დაიბეგრება

**21 აპრილს გამართულ მთავრობის სხდომაზე „საგადასახადო კოდექსში“ შესატან ცვლილებებს მხარი დაუჭირეს. ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ლაშა ხუციშვილმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა, რომ ცვლილებების თანახმად, ფიზიკური პირის მიერ ბინის გაქირავებით მიღებული შემოსავალი, 20%-ის ნაცვლად, 5%-ით დაიბეგრება.**

მისივე ინფორმაციით, ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელი ბინის თუ ავტომობილის რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალიც, 20%-ის ნაცვლად, 5%-ით დაიბეგრება.

„ცვლილებებით, ჯარიმები და საურავები მნიშვნელოვნად მცირდება. შეღავათები გათვალისწინებულია ავტოიმპორტიორებისთვისაც. კერძოდ, მოხდება განბაჟების ვადების დაუცველობის გამო დაკისრებული ჯარიმების ამნისტია, განბაჟების ვადა კი 60 დღემდე გახანგრძლივდება,“ — განაცხადა ლაშა ხუციშვილმა.



**მას შემდეგ, რაც სტალინის გინება და შეურაცხყოფა დავიწყეთ, ღმერთმაც თითქოს პირი იბრუნა და ქვეყანაც ხელიდან გვეცლება: ტერიტორიულად დავპატარავდით, მორალურად ვინგრევით და დემოგრაფიულად ვიღუპებით, ღმერთისგან მოდის ყველაფერი. ქართველებს დიდი ცოდვა გვაწევს მადლიერების დაკარგვის გამო და ღმერთიც და ბუნებაც ამიტომ გვსჯის. იქნებ ვცადოთ და კიდევ გავიხსენოთ სტალინის სახელი, აღვადგინოთ სტალინური შრომა და სამართლიანობა, იქნებ ღმერთმაც მოგვხედოს და ქვეყანამაც გაიბრწყინოს.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **და სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ. იქვე გადაწყდა, რომ 12 საათზე საგარეო საქმეთა მინისტრი მოლოტოვი მიმართავდა ხალხს საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის შესახებ. პოლიტბიუროს არც ერთ წევრს აზრადაც არ მოსდიოდა, რომ მათ წინაშე იდგა და ბრძანებებს იძლეოდა მძიმე ავადმყოფი იოსებ სტალინი.**

მოლოტოვიც კი, რომელიც სტალინის უახლოეს ადამიანად ითვლებოდა, ვერ მიხვდა სტალინის მძიმე მდგომარეობას და იკითხა: „რატომ — მე და არა სტალინი?“.

სტალინის ბრძანება შესრულდა. საბჭოთა ხალხს მოლოტოვმა მიმართა, ხოლო წითელმა არმიამ და გამწვევმა პუნქტებმა სტალინის რკინის ხელით ხელმოწერილი ბრძანება მიიღეს ქვეყნის სამხედრო ყაიდაზე გადასვლის შესახებ.

22 ივნისმა, ომის პირველმა დღემ, კრემლში ყოველგვარი პანიკის, ხმაურის და კამათის გარეშე ჩაიარა. მხოლოდ სტალინის პირადი მდივანი პოსკრებიშევი მოძრაობდა ჩვეულებრივზე მეტად — აზუსტებდა წუთებსა და წამებს, თუ ვინ და როდის უნდა შესულიყო და გამოსულიყო სტალინთან.

საღამოს ერთ-ერთ რიგით შემსვლელად გამოცხადებული პროფესორი პრეობრაჟენსკი გაოცებული გამოვიდა სტალინის კაბინეტიდან და უმალვე თავის დღიურში ჩაწერა: „22 ივნისი, საღამოს 11 საათი, სტალინი აბსოლუტურად ჯანმრთელია“.

ასე გადაიტანა რკინის კაცმა უმძიმესი ანთება 16 საათში და სრულიად ჯანმრთელი ჩაუდგა სათავეში ქვეყნის თავდაცვას.

## 1941 წელი, 22 ივნისი

ომის პირველ დღეზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს არქივებში შემონახული თვით გერმანელი მებრძოლების მიერ ბრძოლის ველიდან ახლობლებისთვის გაგზავნილი წერილები:

*„ჩემს თვალებს არ უნახავს და არ წაუკითხავს, რასაც მე აქ ბრძოლის პირველ დღეს ვუყურებ. ეს საფრანგეთი არ არის, ჩვენ სულ სხვა ძალას ვებრძვით“, — წერდა ქმარი მეუღლეს ბერლინში.

***„ჩვენ ვებრძვით ადამიანებს, რომლებიც იბრძვიან არა სიცოცხლისათვის, არამედ სიკვდილისათვის. ვნახე, როგორ წაართვა რუსმა მებრძოლმა გერმანელ ოფიცერს იარაღი და როგორ მოკლა იგი თავისივე იარაღით. ეს იყო პირველი გერმანელი ოფიცერი, რომელიც მკვდარი ვნახე რუსულ მიწაზე, ბაჯაღლო ოქროს ბეჭდით ხელდამშვენებული,“ — უგზავნის უნტეროფიცერი დეპეშას ადოლფ ჰიტლერს.**

ადოლფ ჰიტლერმა კი იმავე დღეს მოაწყო მაშტაბური შეხვედრა და განაცხადა: „მივიღე ცნობა პირველი გერმანელი ჯარისკაცის დაღუპვის თაობაზე, გაფრთხილებთ! ჩვენ ვუპირისპირდებით არმიას, რომელშიც იბრძვიან მხეცები და ცხოველები“.

***„წარმოუდგენელია ბრძოლაში ასეთი თავგანწირვა. სატანკო ბატარეას მედგარ წინააღმდეგობას გვიწევდა ოთხი რუსი ჯარისკაცი, რომლებიც სრულიად დაუცველ ტერიტორიაზე, პურის ყანებში იყვნენ ჩამალული“, — ატყობინებდა შვილი მამას გერმანიაში“.**

*„საბჭოთა ტანკისტმა, როდესაც მისი ტანკი ალყაში მოვაქციეთ და ტყვია-წამალიც გაუთავდა, ლუკიდან თავი ამოყო, ამოვიდა და რევოლვერიდან აგვიტეხა სროლა. ეს კი მეტისმეტი თავგანწირვაა“, — წერს გერმანელი ოფიცერი თავის მეგობარს ბერლინში.

**ომის პირველ დღეს ბრესტის ციხესიმაგრეს გერმანელთა რჩეული ქვეითების 45-ე დივიზია მიადგა. ალყაში მოქცეული ჯარისკაცები, მძიმე შეიარაღების გარეშე, შაშხანებით იცავდნენ ციხესიმაგრეს. ბოლოს ოთხი ჯარისკაცი და ერთი პოლიტხელი დარჩა ციტადელში, გარშემო კი 483 გერმანელი ოფიცრისა და ჯარისკაცის გვამები ეყარა.**

ბრესტის ციხესიმაგრის ტრაგედიით შეძრწუნებულმა გენერალ-ფელდმარშალმა **ფონ ბოკმა** განკარგულება გასცა, გამოეყვანათ მებრძოლები ციხესიმაგრის მიმდებარე ტერიტორიიდან და ბლოკადა გაემაგრებინათ.

22 ივნისს ბრესტთან გამართულ ომს შეეწირა 483 გერმანელი ოფიცერი, უნტერ-ოფიცერი და ჯარისკაცი. ეს რაოდენობა სამჯერ აღემატება პოლონეთის, ხოლო ექვსჯერ საფრანგეთის ექვსთვიან სამხედრო კამპანიაში დაკარგულ გერმანელ ოფიცერთა და ჯარისკაცთა რაოდენობას.

***„ხელჩართულ ბრძოლაში უიარაღო და ტანსაცმელდაფლეთილი ჯარისკაცი ჩვენკენ გამოიქცა, გვეგონა, ტყვედ გვბარდებოდა, ახლოს რომ მოვიდა, სწრაფად შემოიხსნა მესანგრის ნიჩაბი და ძლიერად გვესროლა შეძახილით: „ზა სტალინა, ზა როდინუ“. ეს არ იყო ვინმეს შიშითა და აგიტაციით ჩადენილი ქმედება, მას სხვა საფუძველი ჰქონდა“, — ჩაწერა თავის დღიურში გერმანელმა ოფიცერმა“.**

1941 წლის 3 ივლისს სტალინმა რადიოთი მიმართა საბჭოთა ხალხს:




**«ხელჩართულ ბრძოლაში უიარაღო და ტანსაცმელდაფლეთილი ჯარისკაცი ჩვენკენ გამოიქცა, გვეგონა, ტყვედ გვბარდებოდა, ახლოს რომ მოვიდა, სწრაფად შემოიხსნა მესანგრის ნიჩაბი და გვესროლა შეძახილით: «ზა სტალინა, ზა როდინუ». ეს არ იყო ვინმეს შიშით და აგიტაციით ჩადენილი ქმედება, მას სხვა საფუძველი ჰქონდა», — ჩაწერა თავის დღიურში გერმანელმა ოფიცერმა»**

**„ამხანაგებო! მოქალაქენო! ძმებო და დებო! არმიისა და ფლოტის მეომრებო! თქვენ მოგმართავთ, ჩემო მეგობრებო!**

**ჰიტლერული გერმანიის მუხანათური სამხედრო თავდასხმა ჩვენს სამშობლოზე, რომელიც 22 ივნისს დაიწყო, გრძელდება. მიუხედავად წითელი არმიის გმირული წინააღმდეგობისა, მიუხედავად იმისა, რომ მტრის საუკეთესო დივიზიები და მისი ავიაციის საუკეთესო ნაწილები უკვე დამარცხდნენ და სამარე პოვეს ბრძოლის ველზე, მტერი კვლავ წინ მოძვრება და ახალ-ახალი ძალები მოყავს ფრონტზე. ჰიტლერულმა ძალებმა მოახერხეს, ხელში ჩაეგდოთ ლიტვა, ლატვიის მნიშვნელოვანი ნაწილი, ბელორუსიის დასავლეთი ნაწილი, დასავლეთ უკრაინის ნაწილი. ფაშისტური ავიაცია აფართოებს თავის ბომბდამშენთა მოქმედების რაიონებს, ბომბავს მურმანსკს, ორშას, მოგილიოვს, სმოლენსკს, კიევს, ოდესას, სევასტოპოლს. ჩვენი სამშობლო სერიოზული საფრთხის წინაშეა...**

**... მტერი სასტიკი და ულმობელია, იგი მიზნად ისახავს, ხელთ იგდოს ჩვენი ოფლით მორწყული ჩვენი მიწა-წყალი, ხელთ იგდოს ჩვენი ხელით მოპოვებული ჩვენი პური და ჩვენი ნავთობი. იგი მიზნად ისახავს აღადგინოს მემამულეთა ძალაუფლება, აღადგინოს ცარიზმი, დაანგრიოს რუსთა, უკრაინელთა, ბელორუსთა, ლიტველთა, ლატვიელთა, ესტონელთა, უზბეკთა, თათართა, მოლდაველთა, ქართველთა, სომეხთა, აზერბაიჯანელთა და საბჭოთა კავშირის სხვა თავისუფალ ხალხთა ნაციონალური კულტურა და ნაციონალური სახელმწიფოებრიობა. გააგერმანელოს ისინი, გერმანელი თავადებისა და ბარონების მონებად აქციოს ისინი.**



**ამრიგად, საქმე ეხება საბჭოთა სახელმწიფოს სიკვდილ-სიცოცხლეს, სსრ კავშირის ხალხთა სიკვდილ-სიცოცხლეს; საქმე ეხება იმას, — თავისუფალი უნდა იყვნენ საბჭოთა კავშირის ხალხები თუ მონობაში უნდა ჩავარდნენ. საბჭოთა ადამიანებმა უნდა შეიგნონ ეს და უკუაგდონ უდარდელობა, რათა მოახდინონ მობილიზება და გარდაქმნან მთელი თავიანთი მუშაობა საომარ ყაიდაზე, რომლისთვისაც უცხოა მტრის დანდობა...**

**...წითელმა არმიამ, წითელმა ფლოტმა და საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქემ უნდა დაიცვას ყოველი მტკაველი საბჭოთა მიწა-წყლისა. უკანასკნელ სისხლის წვეთამდე უნდა იბრძოლონ ჩვენი ქალაქებისა და სოფლებისათვის, უნდა გამოიჩინონ ჩვენი ხალხის დამახასიათებელი გამბედაობა, ინიციატივა და გამჭრიახობა...**

**... ჩვენ უნდა მოვაწყოთ ულმობელი ბრძოლა ზურგის ყოველგვარ დეზორგანიზატორებთან, დეზერტირებთან, პანიკიორებთან, ხმების გამავრცელებლებთან, უნდა მოვსპოთ ჯაშუშები, დივერსანტები, მტრის პარაშუტისტები და ყოველივე ამაში სწრაფად დავეხმაროთ ჩვენ მიერ შექმნილ გამანადგურებელ ბატალიონებს. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მტერი ვერაგი და ცბიერია, გამოცდილია მოტყუებასა და ცრუ ხმების გავრცელებაში. უნდა გავითვალისწინოთ ყოველივე ეს და არ ავყვეთ პროვოკაციას. საჭიროა, დაუყოვნებლივ გადავცეთ სამხედრო ტრიბუნალს ყველა ის, ვინც თავისი პანიკიორობითა და ლაჩრობით ხელს უშლის თავდაცვის საქმეს...**

**ფაშისტურ გერმანიასთან ომი ჩვეულებრივ ომად არ შეიძლება ჩაითვალოს. იგი არამხოლოდ ორი არმიის ომია, ამასთანავე, არის საბჭოთა ხალხის დიდი ომი გერმანელთა ფაშისტური ჯარების წინააღმდეგ, ფაშისტ მჩაგვრელთა წინააღმდეგ. ამ საყოველთაო სახალხო სამამულო ომის მიზანია, არამხოლოდ ჩვენი ქვეყნისთვის შექმნილი საფრთხის ლიკვიდაცია, არამედ ისიც, რომ დაეხმაროს ევროპის ყველა ხალხს, რომლებიც გერმანიის ფაშიზმის უღელქვეშ გმინავენ...**

**... იმ მიზნით, რომ სწრაფად მობილიზირებულ იქნან საბჭოთა კავშირის ხალხთა ძალები მტრის უკუსაგდებად, რომელიც მუხანათურად თავს დაესხა ჩვენს სამშობლოს, შექმნილია თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი, რომლის ხელშიც ახლა თავმოყრილია მთელი ძალაუფლება სახელმწიფოში. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი შეუდგა მუშაობას და მოუწოდებს ხალხს, დაირაზმოს ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, საბჭოთა მთავრობის გარშემო, იმისათვის, რომ თავდადებით დაეხმაროს წითელ არმიასა და ფლოტს, გაანადგუროს მტერი, მოიპოვოს გამარჯვება“.**

## გმირები საქართველოდან

1939 წლის 22 თებერვლის ბრძანებულებით, საბჭოთა კავშირის გმირის წოდება საქართველოდან პირველს მიენიჭა თბილისელ **სიდორ ვასილის ძე სლიუსარევს,** რომლის გმირობის ოქროს ვარსკვლავის ნომერი იყო 125. ქართველთაგან ეს საპატიო წოდება 1941 წლის 21 მარტს პირველებს მიენიჭათ პოლკოვნიკ (შემდგომში — ავიაციის გენერალ-ლეიტენანტს) **ვლადიმერ ვარდენის ძე ნანეიშვილს,** ტანკისტ **ალექსანდრე სერგოს ძე სულაბერიძესა** და უმცროს პოლიტხელ **ილია გიორგის ძე ხმალაძეს.** ფინეთის ომში გამოჩენილი სიმამაცისთვის — ჯაველ მფრინავ **ალექსი იაგორის ძე ოსტაკაევსა** და თბილისელ **ივანე ვასილის ძე ხარპოვს.** საქართველომ 164 საბჭოთა კავშირის გმირი გამოზარდა, რომელთაგან ბრძოლის ველზე გმირულად დაეცა 41. დანარჩენმა ოქროსვარსკვლავიანებმა თავიანთი გმირული გზა ომის შემდგომ ქვეყნის აღმშენებლობაში განაგრძეს.

შემდგომ წერილებში შემოგთავაზებთ მოკლე ცნობებს იმ გმირების შესახებ, რომელთა მკერდზეც აკიაფდა საბჭოთა კავშირის გმირის ოქროს ვარსკვლავი.

---

მოკლედ

## ევროპარლამენტის დეპუტატი: მაიდანზე დემონსტრანტები და პოლიციელები პოლონელმა სნაიპერებმა დახოცეს!

პოლონეთის პრეზიდენტობის კანდიდატმა, ევროპარლამენტის დეპუტატმა იანუშ კორვინ-მიკემ პოლონური გამოცემა Wiadomosci-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ სნაიპერებს, რომლებიც 2014 წლის თებერვალში მაიდანზე შეკრებილ ხალხს ესროდნენ, პოლონეთში წვრთნიდნენ.

„მაიდანიც ჩვენი ნახელავია. **სნაიპერებს პოლონეთში წვრთნიდნენ. ტერორისტებმა მაიდანზე 40 დემონსტრანტი და 20 პოლიციელი დახოცეს, ეს, უბრალოდ, იმისთვის რომ არეულობა გამოეწვიათ. ყველაფერი იმიტომ გაკეთდა, რომ ამერიკელების კეთილგანწყობა მოგვეპოვებინა,“** — განაცხადა იანუშ კორვინ-მიკემ, რომელმაც უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს რუსეთის წინააღმდეგ აშშ-ის აგრესია უწოდა.



დიადი გამარჯვება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**8 მაისს, ცენტრალური ევროპის დროით, 22 საათსა და 43 წუთზე (მოსკოვის დროით 0 საათი და 43 წუთი). გენერალ-ფელდმარშალმა ვილჰელმ კეიტელმა, გენერალ-პოლკოვნიკმა შტუმპფმა და ადმირალმა ჰანს ფონ ფრიდებერგმა ხელი მოაწერეს გერმანიის უპირობო კაპიტულაციის კიდევ ერთ აქტს, რომელიც ძალაში შევიდა 9 მაისის 1 საათიდან (მოსკოვის დროით).**



# ბერლინის შტურმი და ქართველთა წვლილი გერმანიის დედაქალაქის აღებაში

**შტურმი ბერლინზე — საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ბოლო სტრატეგიული შეტევითი ოპერაციის დასკვნითი ნაწილია სამხედრო მოქმედებების ევროპული თეატრის სცენაზე. ამ ოპერაციის შედეგად წითელმა არმიამ დაიკავა გერმანიის დედაქალაქი ბერლინი და გამარჯვებით დაასრულა მეორე მსოფლიო ომი ევროპაში. სტრატეგიული ოპერაცია მიმდინარეობდა 23 დღის განმავლობაში — 1945 წლის 16 აპრილიდან 8 მაისამდე, ამ პერიოდში საბჭოთა ჯარებმა დასავლეთისკენ 100-220 კმ-ის მანძილზე წაიწიეს. საომარი მოქმედებების ფრონტი 300 კმ-ს შეადგენდა. თვითონ ბერლინის შტურმი კი 1945 წლის 25 აპრილს დაიწყო და 2 მაისს დასრულდა.**



1945 წლის მარტში საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ნაწილებმა მდინარე ოდერისა და ნეისეს ნაპირებს მიაღწიეს. მოკლე გზით ბერლინამდე 60 კმ რჩებოდა. ბრიტანეთისა და აშშ-ის ჯარები კი მდინარე ელბის ნაპირებზე გამაგრდნენ. დიდი დანაკარგების მიუხედავად, გერმანიის შეიარაღებული ძალები მაინც მნიშვნელოვანი ძალა იყო — აპრილის შუა რიცხვებისთვის ვერმახტს 223 დივიზია და ბრიგადა ჰყავდა.

სსრკ-ის, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის ლიდერების 1944 წლის შემოდგომის შეთანხმების მიხედვით, საბჭოთა საოკუპაციო ზონის საზღვარს ბერლინიდან 150 კმ-ის დაშორებით (დასავლეთით) უნდა გაევლო. მიუხედავად შეთანხმებისა, დიდი ბრიტანეთის ლიდერს — **უინსტონ ჩერჩილს** განზრახული ჰქონდა, დაესწრო საბჭოთა არმიისთვის ბერლინის დაკავება.

ნაცისტური გერმანიის ხელმძღვანელობა ცდილობდა ომის გაჭიანურებას და სეპარატული ზავის დადებას ბრიტანეთთან და აშშ-თან. ამ მიზნით ფაშისტები გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საომარი მოქმედებების გაგრძელებას.

**1945 წლის აპრილში შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ვითარება საბჭოთა სარდლობისგან სამხედრო ოპერაციის უმოკლეს ვადაში შემუშავებასა და განხორციელებას მოითხოვდა ბერლინის მიმართულებით გერმანელთა სამხედრო დაჯგუფებების გასანადგურებლად, ბერლინის ხელში ჩასაგდებად, მდინარე ელბაზე გასასვლელად და ანტიჰიტლერული კოალიციის ჯარებთან გასაერთიანებლად.** ამ სტრატეგიული ამოცანის შესრულებამ ჩაშალა ჰიტლერელთა მიერ ომის გასაჭიანურებლად შემუშავებული გეგმა. ოპერაციის განხორციელებაში მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების შემდეგი ნაწილები: ბელორუსიის პირველი და მეორე, აგრეთვე, უკრაინის პირველი ფრონტები; შორი მოქმედების ავიაციის მე-18 საჰაერო არმია; დნეპრის სამხედრო ფლოტილია და ბალტიის ფლოტის ნაწილი.

**ოპერაცია დაიგეგმა საბჭოთა კავშირის გენერალურ შტაბში (უფროსი ალექსეი ანტონოვი) მხედართმთავარ იოსებ სტალინის მითითებებით.**

ბელორუსიის 1-ელ ფრონტს ხელმძღვანელობდა მარშალი **გიორგი ჟუკოვი**; ბელორუსიის მეორე ფრონტს — მარშალი **კონსტანტინე როკოსოვსკი**; უკრაინის 1-ელ ფრონტს — მარშალი **ივანე კონევი**; მე-18 საჰაერო არმიას — ავიაციის მარშალი **ალექსანდრე გოლოვანოვი**, დნეპრის სამხედრო ფლოტილიას — კონტრ-ადმირალი **ბესარიონ გრიგორიევი**; ბალტიის ფლოტს — ადმირალი **ვლადიმერ ტრიბუცი.**

**სტრატეგიულ ოპერაციაში საბჭოთა კავშირის მხრიდან მონაწილეობდა 1,9 მლნ ადამიანი, 155 900 პოლონელი სამხედრო, 6250 ტანკი, 41 600 საარტილერიო დანადგარი, 7500 თვითმფრინავი.**

გერმანელები თავს იცავდნენ შემდეგი შემადგენლობით: არმიების ჯგუფი „ვისლა“ (სარდალი — გენერალ-პოლკოვნიკი **გოტჰარდ ჰეინრიცი.** 28 აპრილიდან — გენერალ-პოლკოვნიკი **კურტ შტუდენტი**); არმიების ჯგუფი „ცენტრი“ (სარდალი — ფელდმარშალი **ფერდინანდ შერნერი**); მე-4 და მე-6 საჰაერო ფლოტები, საჰაერო ფლოტი „რაიხი“.

**სულ გერმანელთა მხრიდან: 1 მლნ კაცი, 10 400 საარტილერიო დანადგარი, 1500 ტანკი და 3300 თვითმფრინავი.**

## ოპერაციის გეგმა

**ოპერაციის გეგმით გათვალისწინებული იყო ბელორუსიისა და უკრაინის პირველი ფრონტების ერთდროული შეტევა 1945 წლის 16 აპრილს. ბელორუსიის მეორე ფრონტი, ძალების გადაჯგუფების შემდეგ, ოპერაციაში უნდა ჩართულიყო 20 აპრილს.**

* ბელორუსიის პირველ ფრონტს მთავარი როლი მიენიჭა ბერლინზე შტურმის ოპერაციაში. მარშალმა ჟუკოვმა მთავარი მიმართულებით დარტყმის გარდა, ორი შემოვლითი ოპერაცია დაგეგმა: ბერლინის ჩრდილოეთიდან შემოვლის — ებერსვალდედან და ზანდაუდან; და მარცხნიდან — ბონსდორფზე.

* უკრაინის 1-ელ ფრონტის მთავარი დარტყმა მიმართული იყო შპრემბერგზე. ქალაქ დრეზდენზესთვის უნდა შეეტია 52-ე არმიას და პოლონელ სამხედროებს. ბელორუსიის მე-2 ფრონტის სარდალს კი მთავარი დარტყმა ნეისტრელიცის მიმართულებით უნდა განეხორციელებინა.

* სადაზვერვო ავიაციამ 6-ჯერ გადაუღო ბერლინისა და გერმანელთა დაცვით პოზიციებს ფოტოები — სულ 15 ათასი ფოტო, და შეადგინა დაწვრილებითი სქემები, რომლებიც საბჭოთა არმიამ შტურმისას გამოიყენა.

* საინჟინრო ჯარებმა, რომელთაც ხელმძღვანელობდა გენერალ-ლეიტენანტი **ნიკოლაი ანტიპენკო**, მდინარე ოდერზე 15 017 მ სიგრძის 25 საავტომობილო ხიდი ააგო; ამას გარდა, მდინარე ნეისესა და ოდერზე გადასასვლელად დაამზადა 2440 ნავი, ტივი და პონტანი.

* ბელორუსიის მე-2 ფრონტის ნაწილების გადაჯგუფებაში პოლონეთის ქალაქებიდან (დანციგი და გდინია) მდინარე ოდერის ნაპირებთან მონაწილეობდა 1900 ავტომობილი.



საბჭოთა ჯარისკაცის ძეგლი ბერლინში

## ბერლინის ციტადელი

გერმანიის მხედართმთავრობა გულმოდგინედ მოემზადა საბჭოთა არმიის შეტევის მოსაგერიებლად. მდინარე ოდერიდან ბერლინამდე აიგო ეშელონირებული თავდაცვითი ნაგებობები, თვითონ ბერლინი კი გადააქციეს მძლავრ ციტადელად. თავდაცვის წინა ხაზი შეივსო ახალი ძალებითა და ტექნიკით. ბერლინში და მის ახლომდებარე ტერიტორიებზე ტოტალური მობილიზაციის შედეგად შეიქმნა ბატალიონ ფოლკსშტურმის (სახალხო ლაშქარი) 700-მდე ბატალიონი. დაცვაში მონაწილეობდნენ ჰიტლერიუგენდის რაზმებიც. ქალაქში აიგო ბარიკადები, გაჩნდა რამდენიმეზონიანი საცეცხლე წერტილები, რომლებშიც გამოყენებული იყო ტყვიამფრქვევები, საარტილერიო დანადგარები, ნაღმსატყორცნები, ტანკები. მთავარი თავდაცვითი ზოლი, რომელიც 30-40 კმ სიღრმის იყო, ხუთი ტრანშეისგან შედგებოდა და მისი წინა ხაზი მდინარეების — ოდერისა და ნეისეს ნაპირებზე გადიოდა. 10-15 კმ-ის დაშორებით იყო თავდაცვის მეორე ზოლი, რომელიც საინჟინრო ნაგებობებით იყო გამაგრებული. მესამე ზოლი წინა ხაზისგან 30-40 კმ-ით იყო დაშორებული. ამასთანავე, გერმანელები ბუნებრივ წინაღობებსაც იყენებდნენ — ტყეებს, ტბებს, არხებს. ბერლინის გარშემო არსებული ყველა დასახლებული პუნქტი მძლავრ საცეცხლე პუნქტად იქცა. ყველაზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი განლაგებული იყო ბელორუსიის პირველი ფრონტის პირისპირ — 175 კმ-იან ზოლზე, ბელორუსიის მეორე ფრონტის შეტევის მოსაგერიებლად 120 კმ სიგანის ზოლზე გერმანელთა 7 დივიზია და 13 პოლკი განლაგდა, უკრაინის პირველი ფრონტის წინააღმდეგ კი 390 კმ სიგანის ზოლზე — გერმანელთა 25 დივიზია.

## საომარი მოქმედებები

16 აპრილს, 5 საათზე, გათენებამდე 2 საათით ადრე, ბელორუსიის პირველი ფრონტის საარტილერიო დანადგარებიდან 25 წუთის განმავლობაში იბომბებოდა გერმანელთა მოწინავე პოზიციები, შემდეგ საბჭოთა არმიამ ცეცხლი გადაიტანა გერმანელთა თავდაცვის სიღრმეში, შეტევის შედეგად, რომელიც მიმდინარეობდა 147 საზენიტო პროჟექტორის დამაბრმავებელ შუქზე, გერმანელთა თავდაცვის ხაზი 27 კმ-ზე გაირღვა.

ალყის შემორტყმის რეალური საფრთხის გამო გერმანელთა არმიამ უკან დაიხია — ბერლინის მისადგომებთან.

## შტურმი

**1945 წლის 25 აპრილს, 12 საათზე, უკრაინის პირველი ფრონტის მე-6 გვარდიული მექანიკური კორპუსის მე-4 სატანკო არმიამ მდინარე ჰაფელი გადალახა და ბელორუსიის პირველი ფრონტის 47-ე არმიის ნაწილებს შეუერთდა, ამით ბერლინი საბჭოთა ჯარების ალყაში მოექცა.**

25 აპრილს ბერლინის გარნიზონი მხოლოდ 325 კვ.კმ-ს იცავდა. ფრონტის ხაზის სიგრძე 100 კმ-ს შეადგენდა.

ბერლინში გერმანელთა სამხედრო დაჯგუფება დაახლოებით 200 ათას ჯარისკაცს შეადგენდა, მათ შორის იყვნენ ფოლკსშტურმისა და ჰიტლერიუგენდის (ფაშისტური ახალგაზრდული ორგანიზაცია) წარმომადგენლები. ისინი თავს იცავდნენ 3000 საარტილერიო დანადგარითა და 250 ტანკით. ქალაქის დაცვა გულმოდგინედ იყო მოფიქრებული და კარგად ორგანიზებული, მის საფუძველში იდო ძლიერი ცეცხლი საყრდენი პუნქტებიდან და წინააღმდეგობის კვანძებიდან. ქალაქის ცენტრში კი თავდაცვა უფრო მჭიდრო და მტკიცე იყო, რომელსაც ხელს უწყობდა სქელკედლიანი მასიური ნაგებობები. თითქმის ყველა სახლის ფანჯარა და კარი საცეცხლე ამბრაზურად იყო ქცეული.

ქუჩები გადაკეტილი იყო 4 მ სისქის ბარიკადებით. გერმანელებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მიწისქვეშა ნაგებობებსაც, რომლებსაც მანევრირებისთვის იყენებდნენ, აგრეთვე, — თავის შესაფარებლად საავიაციო და საარტილერიო დაბომბვებსაც.

**26 აპრილს ბერლინის შტურმში მონაწილეობდა ბელორუსიის პირველი ფრონტის 6 (47-ე, მე-3, მე-5, მე-8 გვარდიელი, პირველი და მეორე სატანკო არმიები) და უკრაინის პირველი ფრონტის 3 არმია (28-ე, მე-3 და მე-4 სატანკო).**

**27 აპრილს** ამ ორი ფრონტის არმიები ღრმად შეიჭრნენ ბერლინში. ბრძოლები დღე და ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა. საბჭოთა არმიის ჯარისკაცებმა ნაბიჯ-ნაბიჯ გაარღვიეს ფაშისტების თავდაცვა და 28 აპრილს რაიხსტაგს (გერმანიის პარლამენტი) მიუახლოვდნენ.

**29 აპრილის** ღამეს მოწინავე ბატალიონებმა კაპიტან **სტეპან ნეუსტროევისა** და უფროსი ლეიტენანტის — **კონსტანტინე სამსონოვის** მეთაურობით ►

**30 აპრილს, 21 საათსა და 30 წუთზე, 150-ე მსროლელი დივიზიის ნაწილებმა გენერალ-მაიორ ვასილ შატილოვის მეთაურობით და 171-ე მსროლელი დივიზიის მეომრებმა პოლკოვნიკ ალექსეი ნეგოდას მეთაურობით შტურმით აიღეს რაიხსტაგის ძირითადი ნაწილი. გადარჩენილი ჰიტლერელები შეუპოვრად ეწინააღმდეგებოდნენ საბჭოთა არმიელებს, რომლებსაც ხელჩართული ბრძოლა უწევდათ თითოეული შენობის დასაკავებლად.**

# დიადი გამარჯვება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ხელში ჩაიგდეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მოლტკეს ხიდი; **30 აპრილს** — გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობა, რომელიც რაიხსტაგის გვერდით მდებარეობდა.

**30 აპრილს, 21 საათსა და 30 წუთზე, 150-ე მსროლელი დივიზიის ნაწილებმა გენერალ-მაიორ ვასილ შატილოვის მეთაურობით და 171-ე მსროლელი დივიზიის მეომრებმა პოლკოვნიკ ალექსეი ნეგოდას მეთაურობით შტურმით აიღეს რაიხსტაგის ძირითადი ნაწილი.** გადარჩენილი ჰიტლერელები შეუპოვრად ეწინააღმდეგებოდნენ საბჭოთა არმიელებს, რომლებსაც ხელჩართული ბრძოლა უწევდათ თითოეული შენობის დასაკავებლად.

## გამარჯვების დროშა რაიხსტაგზე

**1945 წლის 1 მაისს, 3 საათზე, კუტუზოვის II ხარისხის ორდენოსანი 151-ე მოიერიშე მსროლელი დივიზიის მებრძოლებმა — მიხეილ ეგოროვმა და მელიტონ ქანთარიამ — რაიხსტაგის გუმბათზე გამარჯვების დროშა ააფრიალეს.**

151-ე მსროლელი დივიზიის დროშა, რომელიც შემდეგ გამარჯვების დროშად იქცა, მეოთხე იყო იმ დროშებს შორის, რომლებიც რაიხსტაგის სხვადასხვა ადგილას აფრიალდა. სამი დროშა გერმანელების საარტილერიო ცეცხლის შედეგად ჩამოაგდეს, მეოთხე — ეგოროვმა და ქანთარიამ, თავდაპირველად, რაიხსტაგის მთავარი შესასვლელის ფრონტონზე აიტანეს და გერმანიის იმპერატორ ვილჰელმ I ცხენიან სკულპტურაზე მიამაგრეს, 2 მაისს კი, დღის მეორე ნახევარში, დროშა რაიხსტაგის გუმბათზე გადაიტანეს.

ამჟამად გამარჯვების დროშა მოსკოვში სსრკ-ის შეიარაღებული ძალების ცენტრალურ მუზეუმში ინახება.

1 მაისის ღამეს მე-8 არმიის შტაბში მივიდა გერმანიის სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის უფროსი **გენერალი კრებსი**, რომელმაც საბჭოთა არმიის სარდალს, გენერალ **ვასილ ჩუიკოვს** ჰიტლერის თვითმკვლელობის შესახებ აცნობა და გერმანიის ახალი მთავრობის სახელით ზავის დადება შესთავაზა. ეს ამბავი გადასცეს მარშალ გიორგი ჟუკოვს, რომელმაც მყისვე სტალინს დაურეკა. სტალინმა გერმანელებისგან უპირობო კაპიტულაცია მოითხოვა, მაგრამ გერმანელებმა უარყვეს ეს მოთხოვნა, რის შემდეგაც საბჭოთა ჯარებმა განაახლეს შტურმი.

**2 მაისს, ღამით, ბელორუსიის პირველი ფრონტის რადიოსადგურებმა მიიღეს ცნობა რუსულ ენაზე: „გთხოვთ, შეწყვიტოთ ცეცხლი. ვგზავნით წარმომადგენლებს პოტსდამის ხიდზე".** დანიშნულ ადგილას მისულმა გერმანელმა ოფიცრებმა ბერლინის დაცვის სარდლის, გენერალ **ვეიდლინგის** სახელით, წინააღმდეგობის შეწყვეტის შესახებ მზადყოფნა გამოთქვეს. 2 მაისს, 6 საათზე, გენერალი ვეიდლინგი სამ სხვა გერმანელ გენერალთან ერთად საბჭოელ მეომრებს ტყვედ ჩაბარდა. ერთი საათის შემდეგ კი კაპიტულაციის შესახებ ბრძანება დაიწერა, რომელიც გაამრავლეს და ბერლინის ცენტრის დამცველებს თვითმფრინავებიდან გადაუყარეს. დღის ბოლოს მე-8 არმიამ თითქმის მთლიანად გაწმინდა ბელინის ცენტრალური ნაწილი.

**1945 წლის 1 მაისს, 3 საათზე, კუტუზოვის II ხარისხის ორდენოსანი 151-ე მოიერიშე მსროლელი დივიზიის მებრძოლებმა — მიხეილ ეგოროვმა და მელიტონ ქანთარიამ — რაიხსტაგის გუმბათზე გამარჯვების დროშა ააფრიალეს. 151-ე მსროლელი დივიზიის დროშა, რომელიც შემდეგ გამარჯვების დროშად იქცა, მეოთხე იყო იმ დროშებს შორის, რომლებიც რაიხსტაგის სხვადასხვა ადგილას აფრიალდა. სამი დროშა გერმანელების საარტილერიო ცეცხლის შედეგად ჩამოაგდეს, მეოთხე — ეგოროვმა და ქანთარიამ, თავდაპირველად, რაიხსტაგის მთავარი შესასვლელის ფრონტონზე აიტანეს და გერმანიის იმპერატორ ვილჰელმ I ცხენიან სკულპტურაზე მიამაგრეს, 2 მაისს კი, დღის მეორე ნახევარში, დროშა რაიხსტაგის გუმბათზე გადაიტანეს**


მელიტონ ქანთარია (მარცხნივ) და მიხეილ ეგოროვი


გამარჯვების დროშა, თავდაპირველად, ვილჰელმ II ცხენიან ქანდაკებაზე აღმართეს

**ბერლინისთვის სსრკ-ის სხვა ხალხებთან ერთად გმირულად იბრძოდნენ ქართველებიც. განსაკუთრებული სიმამაცე გამოავლინა ტანკისტმა ამირან დანელიამ, მას ფაშისტებმა ტანკი აუფეთქეს, 4 მებრძოლი მოუკლეს, მაგრამ დაჭრილმა ტყვიამფრქვევით 70-მდე მოწინააღმდეგე გაანადგურა. გმირულად იბრძოდა უფროსი სერჟანტი ვალერიან ოსეფაშვილი, რომელმაც პეტრე ბელიკოვთან ერთად აღმართა საბჭოთა დროშა ბრანდერბურგის კარიბჭეზე. ბერლინის სხვადასხვა რაიონში იბრძოდნენ ძმები უჩუმბეგაშვილები — ტანკისტი მიხეილი და მეზენიტე ვასილი**

ბერლინის დაცემამ ფაშისტების მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის შეწყვეტა გამოიწვია, თუმცა უპირობო კაპიტულაციის გამოცხადებამდე ლოკალური შეტაკებები მაინც ხდებოდა.

1945 წლის 7 მაისს რეიმსში (საფრანგეთი) 2 საათსა და 41 წუთზე გენერალმა იოდლმა გენერალ **ივანე სუსლოპაროვის** (საბჭოთა სარდლობის წარმომადგენელი), გენერალ **ბრედელ სმიტისა** (მოკავშირეთა ძალების წარმომადგენელი) და გენერალ **ფრანსუა სევეზის** (საფრანგეთის არმია) თანდასწრებით ხელი მოაწერა გერმანიის უპირობო კაპიტულაციის აქტს.

**8 მაისს, ცენტრალური ევროპის დროით, 22 საათსა და 43 წუთზე (მოსკოვის დროით 0 საათი და 43 წუთი) გენერალ-ფელდმარშალმა ვილჰელმ კეიტელმა, გენერალ-პოლკოვნიკმა შტუმპფმა და ადმირალმა ჰანს ფონ ფრიდებურგმა ხელი მოაწერეს გერმანიის უპირობო კაპიტულაციის კიდევ ერთ აქტს, რომელიც ძალაში შევიდა 9 მაისის 1 საათიდან (მოსკოვის დროით).**

## ქართველების წვლილი ბერლინის შტურმში

ბერლინისთვის სსრკ-ის სხვა ხალხებთან ერთად გმირულად იბრძოდნენ ქართველებიც. განსაკუთრებული სიმამაცე გამოავლინა ტანკისტმა **ამირან დანელიამ**, მას ფაშისტებმა ტანკი აუფეთქეს, 4 მებრძოლი მოუკლეს, მაგრამ დაჭრილმა ტყვიამფრქვევით 70-მდე მოწინააღმდეგე გაანადგურა. გმირულად იბრძოდა უფროსი სერჟანტი **ვალერიან ოსეფაშვილი**, რომელმაც **პეტრე ბელიკოვთან** ერთად აღმართა საბჭოთა დროშა ბრანდერბურგის კარიბჭეზე.

ბერლინის სხვადასხვა რაიონში იბრძოდნენ ძმები **უჩუმბეგაშვილები** — ტანკისტი **მიხეილი** და მეზენიტე **ვასილი**.

ბერლინისთვის ბრძოლაში თავიანთი სახელები უკვდავყვეს გენერალ-ლეიტენანტებმა **ვლადიმერ ჯანჯღავამ, ვასილ მჟავანაძემ, ვლადიმერ ნანეიშვილმა**; გენერალ-მაიორებმა: **კირილე ჯახუამ, ნიკოლოზ კალაძემ, ერმოლოზ კობერიძემ, ილია რაზმაძემ**; პოლკოვნიკებმა: **გარი მერკვილაძემ** და **იოსებ ბაჩაკაშვილმა**; მაიორებმა: **ალექსანდრე ბუკიამ; კირილე უკლებამ** და **ოთარ ჩეჩელაშვილმა.** ბერლინისთვის ბრძოლებში დაეცნენ მაიორი, საბჭოთა კავშირის გმირი **კონსტანტინე ცუცქირიძე** და კაპიტანი **ივანე დემეტრაშვილი.**


კეიტელი ხელს აწერს კაპიტულაციის აქტზე


გამარჯვების დროშა რაიხსტაგის თავზე

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დასავლეთ ევროპის 3,5-დან 3,95 ათასამდე მკვიდრი ან უკვე იბრძვის ერაყსა და სირიაში ისლამისტური დაჯგუფებების რიგებში, ან ამავე დაჯგუფებების სახელით მოქმედებს საკუთარ სამშობლოში.**

# ევროპული შიში ისლამიზმის მიმართ: სად არის გამოსავალი?

**2015 წლის იანვარი — ისლამისტების მიერ განხორციელებული ტერაქტები საფრანგეთში; თებერვალი — ტერაქტები დანიაში. იმავე თვეში ქვეყნის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისთვის გამოეყო 150 მილიონი დოლარის ექვივალენტური თანხა. მარტის დასაწყისში საფრანგეთის ხელისუფლებაში განაცხადეს, რომ ტერორის წინააღმდეგ საბრძოლველად დაახლოებით მილიარდ ევროს დახარჯავდნენ. მარტის დასასრულისთვის ისლამისტების წინააღმდეგ ბრძოლა გააააქტიურა ბრიტანეთმა და გადაწყვიტა, რომ ბოლო მოუღოს მუსლიმანი მქადაგებლების მავნე მოღვაწეობას. უახლესი მონაცემების თანახმად, საფრანგეთიდან, ბრიტანეთიდან, დანიიდან და სხვა ევროპული ქვეყნებიდან ოთხი ათასამდე ადამიანი იბრძვის ამჟამად სირიასა და ერაყში ისლამისტი ბოევიკების მხარეს. ევროპის ქვეყნების ხელისუფლებებს ესეც სერიოზულად აშინებს.**



**ბელგია, საფრანგეთი და ბრიტანეთი მართლაც დგანან ისლამიზაციის საფრთხის წინაშე. ბოევიკების რადიკალური იდეოლოგია უკვე თვით სახელმწიფოებრიობასაც კი ემუქრება**



ევროპამ 7 იანვარს წაიშინა თავში ხელი, მაშინ, როდესაც ტერორისტმა ისლამისტებმა სისხლიანი თავდასხმა განახორციელეს სატირულ ჟურნალ Charlie Hebdo-ს ოფისზე პარიზში. ყუმბარმტყორცნის, ავტომატებისა და პისტოლეტების საშუალებით განხორციელებულ თავდასხმაზე პასუხისმგებლობა ერთდროულად აიღეს საკუთარ თავზე „ალ ქაიდამაც“ და „ისლამურმა სახელმწიფომაც“. სროლის შედეგად 12 ადამიანი გარდაიცვალა, 11 — დაიჭრა. ტერაქტის განხორციელებაში ძირითადი ეჭვმიტანილი ძმები, საიდი და შერიფ კუაშები, მოგვიანებით ფრანგმა სპეცრაზმელებმა გამოასალმეს სიცოცხლეს.

პრეზიდენტმა ოლანდმა საფრანგეთში სამდღიანი გლოვა გამოაცხადა. საერთაშორისო საზოგადოებამ განიკითხა ტერაქტები. პარიზის ხელისუფლებამ ჟურნალ Charlie Hebdo-ს ქალაქის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭა.

მომდევნო ორი დღის მანძილზე საფრანგეთში ტერაქტები გრძელდებოდა. 8 იანვარს ბოევიკმა მონრუჟში მუნიციპალური პოლიციის თანამშრომელი მოკლა და საგზაო სამსახურის თანამშრომელი დაჭრა.

**9 იანვარს შეიარაღებულმა ამედი კულიბალიმ, რომელიც ძმები კუაშების მოკავშირე იყო, ქაშერული პროდუქტების მაღაზიაში მძევლად აიყვანა თხუთმეტი ადამიანი. ხსენებულმა კულიბალიმ დარეკა ტელეარხ BFM-ზე და განაცხადა, რომ „ისლამურ სახელმწიფოს“ წარმოადგენდა. ამედი კულიბალიც სპეცრაზმელებმა მოკლეს.**

პოლიციის წარმომადგენლებმა პრესას აცნობეს, რომ მაღაზიაზე თავდასხმა განახორციელა იმავე ადამიანმა, რომელმაც მონრუჟში პოლიციელი მოკლა.

ტერორიზმის სამწუხარო შედეგი: ტერორისტული აქტების შედეგად 7-დან 9 იანვრამდე 17 ადამიანი დაიღუპა, 19 — დაიჭრა.

დაახლოებით ერთი თვის შემდეგ ევროპა ახალმა ტერაქტმა შეძრა, ამჯერად დანიაში.

14 თებერვალს კოპენჰაგენში ბოევიკმა ცეცხლი გახსნა სემინარზე „ხელოვნება, ღვთის გმობა და სიტყვის თავისუფლება“. ღონისძიება Charlie Hebdo-ს ტერაქტის მსხვერპლთა პატივსაცემად იმართებოდა. სემინარში მონაწილეობდა შვედი მხატვარი ლარს ვილკსი, რომელმაც თავის დროზე (2007-ში) კარიკატურულად გამოსახა წინასწარმეტყველი მუჰამედი. იგი არ დაზარალებულა, მაგრამ ტყვიები სხვა ადამიანებს მისწვდა: ერთი სამოქალაქო პირი გარდაიცვალა, სამი პოლიციელი კი დაიჭრა.

იმავე დღეს კოპენჰაგენში კიდევ ერთი შემთხვევა მოხდა — ამჯერად დიდ სინაგოგაში. დაიღუპა მცველი, დაიჭრა ორი პოლიციელი. მომდევნო დღის დილით ეჭვმიტანილი სადგურ Norrebro-ს მიმდებარედ მოკლეს. მან თვითონ მოახდინა ცეცხლის გახსნის პროვოცირება — სათვალთვალო კამერებით აღჭურვილ შენობაში შევიდა და სროლა ატეხა. პოლიცია მიიჩნევს, რომ მოკლული დამნაშავეა კოპენჰაგენში მომხდარ ორივე ინცინდენტში.

მარტის დასაწყისში ცნობილი გახდა, რომ საფრანგეთში იგეგმება ახალი პროგრამის ამოქმედება ტერორიზმის წინააღმდეგ ქმედებათა აქტივიზაციის მიზნით. ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ამ მიზნებისთვის 940 მილიონი ევრო გამოყოს. ჟურნალისტებს ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა მიშელ საპენმა უამბო.

ცნობილი გახდა ისიც, თუ რაზე დაიხარჯება ფული.

მაღაზიები, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, გამომცემლობათა რედაქციები და რელიგიური დაწესებულებები იანვრიდან გაძლიერებულ დაცვაზეა აყვანილი. ამგვარი დაცვა მოითხოვს არა მხოლოდ პოლიციის, არამედ სამხედრო თანამშრომლების შტატების ზრდასაც. საპენის განცხადებით, პოლიციის ქვეგანყოფილებები იზრდება, მიიზიდავენ ახალ სპეციალისტებს, რომელთა ამოცანებშიც შედის ტერორისტებისა და მათი დაფინანსების აღრიცხვა. გარდა ამისა, იქმნება სპეციალური ქვედანაყოფები, რომელთა როლიც მინისტრს არ დაუკონკრეტებია.

რაც შეეხება დანიის ხელისუფლების რეაქციას მომხდარ ტერაქტებზე, ის გეგმავს, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის გამოყოს 150 მილიონი დოლარის ეკვივალენტური თანხა. სამომავლო გეგმების სიაშია ნაციონალური პოლიციის, უშიშროების სამსახურებისა და კონტრდაზვერვის მუშაობის გაძლიერება. ამ უწყებების ახალი ამოცანებია ცალკეული პირებისა და კრიმინალური დაჯგუფებების თვალთვალი არა მხოლოდ დანიის ტერიტორიაზე, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. ჰელე ტორნინგ-შმიტმა — დანიის პრემიერმინისტრმა — პირდაპირ განაცხადა, რომ „დანიას ჰყავს მტრები“ და ქვეყანა იძულებულია, თავი დაიცვას მათგან.

დანიური სპეცსამსახურების თანამშრომლების განსაკუთრებული ამოცანაა კონტროლის გაძლიერება იმ პირებზე, რომლებსთაც სურთ, საზღვარგარეთ გაემგზავრონ და „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკებს შეუერთდნენ.

ამ საკითხის გამო ღელავენ და გარკვეულ ზომებს მიმართავენ არა მხოლოდ დანიელები, არამედ სხვა ევროპელებიც.

24 მარტს ცნობილი გახდა, რომ დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ტერეზა მეიმ სპეციალური განცხადება გააკეთა. მისი თქმით, ქვეყანაში მკაცრდება ისლამური რადიკალიზმის იდეოლოგიის საწინააღმდეგო ზომები.

ტერეზა მეის თქმით, ხელისუფლება აკრძალვას დააწესებს იმ მუსლიმანი მქადაგებლების მოღვაწეობაზე, რომლებიც სიძულვილისაკენ მოუწოდებენ ხალხს. გარდა ამისა, მეი აპირებს, ინგლისსა და უელსში „შარიათის სასამართლოების“ ინსპექტირება ჩაატაროს.

ეს ყველაფერი არ არის. ლონდონი აპირებს, სრულად აკრძალოს ექსტრემიზმისკენ მიდრეკილი ის დაჯგუფებებიც კი, რომელთა მოღვაწეობაც არ ექვემდებარება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონს. ამჟამად ბრიტანეთის ხელისუფლება ხელახლა განიხილავს დამოკიდებულებას საგვარეულო შურისძიების, ღირსების მკვლელობების მიმართ, აგრეთვე, არასრულწლოვანი გოგონების იძულებით გათხოვების მიმართ. ასევე იგეგმება უფრო მკაცრად გაკონტროლდეს ბრიტანეთის მოქალაქეობის მინიჭების საკითხები — ამიერიდან ქვეყნის მოქალაქეობას მიანიჭებენ მხოლოდ მათ, ვინც, მინისტრის განცხადებით, პატივს სცემს ბრიტანულ ღირებულებებს.

ტერეზა მეიმ მწუხარებით დააზუსტა, რომ ასობით ბრიტანელი ამჟამად სირიასა და ერაყში „ისლამური სახელმწიფოს“ მხარეს იბრძვის.

რადიკალიზაციისა და პოლიტიკური ძალადობის შესწავლის საერთაშორისო ცენტრის მონაცემებით, **დასავლეთ ევროპის 3,5-დან 3,95 ათასამდე მკვიდრი ან უკვე იბრძვის ერაყსა და სირიაში ისლამისტური დაჯგუფებების რიგებში, ან ამავე დაჯგუფებების სახელით მოქმედებს საკუთარ სამშობლოში.**

ეს ქმედება განსაკუთრებულ მღელვარებას იწვევს ხელისუფლებაში.

იმ ადამიანებს, რომლებიც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში უკვე შეუერთდნენ ისლამისტებს, საფრანგეთი ლიდერობს: ამჟამად 1200 ფრანგი მონაწილეობს დაჯგუფებების მოღვაწეობაში.

მეორე და მესამე ადგილზე არიან ბრიტანეთი და გერმანია. იქ ისლამისტების მხარეს დაახლოებით ▶

---

მსოფლიო

## ნატომ რუსეთი სეპარატისტების სამხედრო მხარდაჭერაში დაადანაშაულა

**გერმანული გამოცემა Frankfurter Allgemeine Sonntagszeitung-ის ცნობით, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი აცხადებს, რომ მინსკის შეთანხმების მიუხედავად, რუსული იარაღი კვლავ მასობრივად შედის აღმოსავლეთ უკრაინაში.** გამოცემას მოჰყავს ციტატა ნატოს წარმომადგენელთა განცხადებიდან: **„ჩვენ ვაკვირდებით რუსეთის მხრიდან სეპარატისტების უწყვეტ მხარდაჭერას შეიარაღებით, მებრძოლებითა და სამხედრო მომზადებით“.** ალიანსის მონაცემებით, სეპარატისტები რუსეთიდან თანამედროვე შეიარაღებასაც იღებენ, მათ შორის, T-80 და T-90 ტიპის უახლოეს ტანკებს, ჯავშანმანქანებს, არტილერიას და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებს. ბრიუსელში აცხადებენ, რომ სეპარატისტებს ახლა გაცილებით მეტი შეიარაღება აქვთ, ვიდრე მინსკის შეთანხმების გაფორმებამდე ჰქონდათ, რაც სამშვიდობო ხელშეკრულების უხეში დარღვევაა.



**„ფეისბუქი“ მომხმარებლების თანხმობის გარეშე უთვალთვალებს მათი კომპიუტერების აქტივობას იმ შემთხვევაშიც კი, თუ მომხმარებელი არ შესულა „ფეისბუქზე“ ან საერთოდ არ არის მასზე დარეგისტრირებული, ან დარეგისტრირებულია, მაგრამ ჩართული აქვს ევროპაში თვალთვალზე უარის ფუნქცია.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

500-დან 600-მდე ადამიანი გადავიდა.

მოსახლეობის მილიონ სულზე ისლამისტების მომხრეთა რაოდენობით პირველ ადგილზე ბელგიაა. იქ მილიონი მოსახლიდან 40 ისლამისტური დაჯგუფების მომხრეა.

ბელგიას მოსდევს დანია მილიონ მოსახლეზე ისლამისტების 27 მომხრით და შვედეთი, სადაც იგივე მაჩვენებელი 19-ს უტოლდება.

**ბელგია, საფრანგეთი და ბრიტანეთი მართლაც დგანან ისლამიზაციის საფრთხის წინაშე. ბოევიკების რადიკალური იდეოლოგია უკვე თვით სახელმწიფოებრიობასაც კი ემუქრება.** თუ სხვადასხვა წყაროს გადავხედავთ, სურათი ნათელი იქნება: ბოლო ათწლედის მანძილზე „ტიტულოვანი ერები“ ამ სამ ქვეყანაში შეიკუმშნენ, იმიგრანტები კი გაცილებით მომრავლდნენ. და ჯერ კიდევ საკითხავია, ვინ არიან ეს „იმიგრანტები“.

რადიკალური ისლამის ძირითადი ბაზა უდავოდ დიდი ბრიტანეთია. ლონდონი ჯერ კიდევ ცივი ომის დროიდან რჩება არა მხოლოდ ათასი ჯურის ბოევიკების თავშესაფრად, არამედ რადიკალიზმის ერთგვარ ევროპულ ცენტრად, რომელიც ერთ დროს მოწოდებული იყო, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტად ქცეულიყო. სინამდვილეში ისლამიზმის იდეაც ლონდონში დაიბადა, ცხადია, ვაშინგტონთან თანამშრომლობით.

**ისლამისტების გადაბირება ახლო აღმოსავლეთში, კავკასიაში საომრად სწორედ ბრიტანეთის დედაქალაქში ხორციელდებოდა.**

**ამ ქალაქში უსამა ბენ ლადენის ფულით შეიქმნა ორგანიზაცია „ანსარ აშშარია“ („შარიათის მომხრეები“).**

ლონდონში მოქმედებდა სხვა ორგანიზაციაც „ალ-მუჰაჯირუნი“, რომელსაც ხელმძღვანელობდა მსოფლიო ხალიფატის მომხრე, სირიელი ვაჰაბისტი ომარ ბაკრი მუჰამედი. ამ ყველაფრის პარალელურად ხალიფატის მომავალ დედაქალაქად სწორედ ლონდონი მოიაზრებოდა.

ომარ ბაკრის ბრალად სდებდნენ 2007 წელს ლონდონში მომხდარ აფეთქებას. იმ პერიოდში იგი უკვე გაძევებული იყო ქვეყნიდან. ბაკრიმ იმდენად დაკარგა შიშის გრძნობა, რომ მოგვიანებით ბრიტანეთში აპირებდა დაბრუნებას და, შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემების თანახმად, საკუთარ თავს პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად მიიჩნევდა. საქმე ისაა, რომ ლიბანში, სადაც ბოევიკი 2005 წლიდან ცხოვრობდა, იგი ციხეში ჩასვეს ტერორისტული დაჯგუფების შექმნის ბრალდებით. კამერაში ვითომ ნაწამები ლონდონს უნდა მიეღო, როგორც პოლიტიკური დევნილი. მაგრამ ბრიტანეთმა ომარს გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე შესვლა აუკრძალა ფორმულირებით „დაძველების ვადის გარეშე“, რადგან „ალ ქაიდასთან“ კავშირში იყო ეჭვმიტანილი.

დაჯგუფება „ჰიზბ-უტ-ტახრირ ალ-ისლამი“ („ისლამური განმათავისუფლებელი პარტია“) ასევე მოქმედებს ბრიტანეთში. იქ ეს ორგანიზაცია, დიდი ხანია, დაკავებულია ისლამიზმის აქტიური პროპაგანდით. 1994 წელს დიდი ხმაური გამოიწვია ახმედ ისრარას გამოსვლამ კონფერენციაზე „ხალიფატი“. ეს „ფორუმი“ აღმოჩნდა დასავლეთში გამართული პირველი ღონისძიება, რომელსაც ამგვარი თემატიკა ახასიათებდა. ფორუმის ჩატარების ადგილი იყო ლონდონი, „უემბლი“, დახურული არენები.

ღია წყაროების მონაცემებით, ფორუმს დაესწრო 10 000-მდე ადამიანი. მორიგი კონფერენცია თემაზე „ხალიფატი: პოლიტიკური ერთობის აუცილებლობა“ ლონდონში 2008-ში ჩატარდა. 2009 წელს კი გაიმართა კიდევ ერთი კონფერენცია, ლონდონში დიდი ოცეულის სამიტის დასრულების მეორე დღეს.

რაც შეეხება ბელგიას, იქ მუსლიმანები მოსახლობის მეათედს შეადგენენ. დემოკრატიული და ტოლერანტული ბრიუსელის მესამედი ტუნისელი და მაროკოელი იმიგრანტებისგან შედგება.

ანალოგიური მდგომარეობაა საფრანგეთშიც, სადაც მუსლიმანების რაოდენობა მოსახლეობის 9 პროცენტს შეადგენს. იქ მშვენივრად მოეწყვნენ არაბული სახელმწიფოების წარმომადგენლები ჩრდილოეთი, დასავლეთი და ცენტრალური აფრიკიდან.

ისლამიზმის, ასევე, რადიკალური იდეების, მათ შორის ხალიფატის იდეის მიმართ ეფექტიანი წინააღმდეგობის სირთულე ისაა, რომ ევროპას კოლონიზაციის გასული პერიოდის გამო დანაშაულის განცდის ფონზე ტოლერანტულობის ჩვევა ჩამოუყალიბდა. შედეგად „მოსულებმა“ გარკვეული თვალსაზრისით ოკუპირება მოახდინეს ახალ სამშობლოში და საკუთარი იდეოლოგიური და რელიგიური ღირებულებები მოიტანეს.

ჩამოსახლებულებიდან ყველას როდი სურს ევროპულ საზოგადოებასთან შერწყმა. **ევროპელ პოლიტიკოსებს კი ეშინიათ ისლამოფობიისა და რელიგიური უმცირესობების დევნის ბრალდებების, რომელთა გამოც მოქმედებებში სიფრთხილის შენარჩუნებას ამჯობინებენ.**

სპეცსამსახურების, არმიისა და პოლიციის სპეციალური ქვედანაყოფების შტატების გაბერვა, ტოტალური თვალთვალი, დაფინანსების გაზრდა — ევროპული ხელისუფლებები, სავარაუდოდ, სამომავლოდაც ამ გზებით ივლიან...

topwar.ru




# «ფეისბუქი» ყველა მომხმარებელს უთვალთვალებს



**„ფეისბუქი“ შეისწავლის ნებისმიერი ადამიანის ინტერნეტაქტივობას, თუკი რაიმე გვერდს გახსნის „ფეისბუქის“ საიტზე. ამაში გვარწმუნებს ის ფართომასშტაბიანი კვლევის შედეგები, რომლებიც ბელგიის ინფორმაციის დაცვის სამმართველოს დაკვეთით ჩატარდა. უთვალთვალებენ მათაც კი, ვისაც „ფეისბუქზე“ ექაუნთი არ აქვთ, ან აქვთ და ჩართეს ფუნქცია „არ მითვალთვალო“.**

ანგარიში მომზადებულია ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტის მკვლევარების მიერ. კვლევა მას შემდეგ შეუკვეთეს, რაც წინასწარი ანგარიშიდან გაირკვა, რომ „ფეისბუქის“ პოლიტიკა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სფეროში ევროპულ კანონმდებლობას არღვევს.

ახლა მკვლევარები ირწმუნებიან, რომ **„ფეისბუქი“ მომხმარებლების თანხმობის გარეშე უთვალთვალებს მათი კომპიუტერების აქტივობას იმ შემთხვევაშიც კი, თუ მომხმარებელი არ შესულა „ფეისბუქზე“ ან საერთოდ არ არის მასზე დარეგისტრირებული, ან დარეგისტრირებულია, მაგრამ ჩართული აქვს ევროპაში თვალთვალზე უარის ფუნქცია.**

ეს სოციალური ქსელი იყენებს ისეთ პლაგინებს, როგორიცაა, მაგალითად, ღილაკი Like, რომელიც ანთავსებულია 13 მილიონზე მეტ საიტზე.

თუ მომხმარებელი დომეინში facebook.com ნებისმიერ საიტზე შედის (მათ შორის ფანკლუბების ან სხვა გვერდებზე, რომელთა გახსნისთვისაც „ფეისბუქის“ ექაუნთი არაა აუცილებელი) „ფეისბუქი“ მათ კომპიუტერებზე განათავსებს კუკი-ტრეკერებს.

როდესაც მომხმარებელი შედის საიტზე, რომელზეც „ფეისბუქის“ პლაგინებია განთავსებული, საიტი აღმოაჩენს კუკი-ტრეკერს და კვლავ „ფეისბუქზე“ გზავნის მას, მიუხედავად იმისა, შევა თუ არა მომხმარებელი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე ან გამოიყენებს თუ არა მოწონების ღილაკს.

ამ ყველაფრის პარალელურად, ევროკავშირის კანონების თანახმად, კუკი-ფაილების განთავსება და თვალთვალი დასაშვებია მხოლოდ მომხმარებლის თანხმობის საფუძველზე ან სხვა ორი გამონაკლისის დროს: თუ ეს აუცილებელია მომსახურების მისაღებად (კრიტერიუმი A) და თუ ეს აუცილებელია იმ მომსახურების მისაღებად, რომელიც სპეციალურად მოითხოვა მომხმარებელმა (კრიტერიუმი B).

კანონის თანახმად, მომხმარებლებს უნდა შეატყობინონ, როდესაც საიტი კუკებს იყენებს და მათგან თანხმობა ითხოვოს.

**მკვლევარებმა ასევე შეისწავლეს ფუნქციის „არ მითვალთვალო“ მექანიზმი. ამ ფუნქციას „ფეისბუქი“, „გუგლი“, „მაიკრსოფტი“ და სხვა მრავალი კომპანია იყენებს. მომხმარებლებს გზავნიან სპეციალურ საიტზე, მაგალითად, აშშ-ში საიტზე Digital Advertising Alliance, რომელიც საშუალებას იძლევა, 100 კომპანიას აეკრძალოს თვალთვალი.**

ანგარიშის თანაავტორი გიუნეს აკარი ხსნის: „თუ ადამიანები, რომელთაც „ფეისბუქი“ არ უთვალთვალებს, რთავენ ფუნქციას „არ მითვალთვალო“, რომელიც განკუთვნილია ევროკავშირისათვის, „ფეისბუქი“ მათ კომპიუტერებზე აყენებს გრძელვადიან უნიკალურ კუკი-იდენტიფიკატორს, რომელიც ორი წლის განმავლობაში შეიძლება იქნეს გამოყენებული თვალთვალისათვის“.

ნიშანდობლივია, რომ „ფეისბუქი“ საიტებზე, რომელთაც აშშ-ისა და კანადის მომხმარებლებს სთავაზობს, ამ ფუნქციის ჩასართავად არ განათავსებს გრძელვადიან კუკი-იდენტიფიკატორებს.

თავის მხრივ „ფეისბუქის“ ანონიმმა წარმომადგენელმა განაცხადა: „ეს ანგარიში ფაქტობრივ უზუსტობებს შეიცავს“. მისი თქმით, ავტორები არც ერთხელ არ დაკავშირებიან კომპანიას და არ უთხოვიათ ანგარიშის კომენტირება მის გამოქვეყნებამდე.

theguardian.com

# ამერიკელი მოჯაჰედი სამხედრო ბაზის აფეთქებას ცდილობდა

**აშშ-ის ფორტ-რაილის სამხედრო ბაზაზე ტერაქტის მზადებისათვის დააპატიმრეს 20 წლის ჯონ ბუკერ-უმცროსი, რომელიც ისლამისტურ წრეებში ცნობილია, როგორც მოჰამედ აბდულა ჰასანი. ოპერაცია გამოძიებათა ფედერალურმა ბიურომ ჩაატარა.**

ბიურო აღნიშნავს, რომ ამერიკელი სამხედროების სიცოცხლე და ჯანმრთელობა უშუალო საფრთხის ქვეშ არ დამდგარა. ჯონ ბუკერს გასული წლის 20 მარტს ამერიკულ ჯარში მიღებაზე უარი უთხრეს „ფეისბუქზე“ დატოვებული სტატუსების გამო. „მე ვგეგმავ ჯიჰადში ჩაბმას და იმედი მაქვს, მოვკვდები“ და „ჯიჰადი უზარამაზარი ადრენალინია“ — ამ სტატუსების გამო ჯონს არამარტო სამხედრო სამსახურზე უთხრეს უარი, ის ამერიკული სპეცსამსახურების ყურადღების ცენტრშიც მოექცა.

FBI-ის აგენტი მას დაუმეგობრდა და მის თანამოაზრედ გაასაღა თავი. ბუკერმა აგენტს უამბო, რომ სურს, მიბაძოს მაიორ ნიდალ ჰასანს — სამხედრო ექიმს, რომელმაც 2009 წელს ფორტ-ჰუდის სამხედრო ბაზაზე ისლამის სახელით 13 თანამებრძოლი დახვრიტა. ახალგაზრდა მოჯაჰედმა აგენტს გაანდო, რომ თავიდან ქუჩებში სამხედროების ცალ-ცალკე დახოცვას გეგმავდა, თუმცა მოგვიანებით ფორტ-რაილში დანაღმული ავტომობილით შევარდნა და თავის აფეთქება გადაწყვიტა.




მარტის დასაწყისში ბუკერი და FBI-ის აგენტი გავიდნენ ქალაქგარეთ, სადაც ახალგაზრდა მოჯაჰედმა წინასასიკვდილო ვიდეომიმართვა ჩაწერა და „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერ აბუ ბაქრ ალ-ბაღდადს ერთგულება შეჰფიცა.

ბუკერი ამერიკის მე-5 მოქალაქეა, რომელიც დაპატიმრებულია „ისლამური სახელმწიფოს“ სასარგებლოდ მოქმედებისათვის. მარტის დასაწყისში ნიუ იორკში 2 ისლამისტი ქალი დააპატიმრეს, ხოლო თვის ბოლოს ჩიკაგოში იმავე ბრალდებით 2 მამაკაცი დააკავეს.

მთავარი



# ბრიტანეთში ნავთობის უზარმაზარი მარაგი აღმოაჩინეს



**ბრიტანეთში ნავთობის უზარმაზარი მარაგი აღმოაჩინეს. ამის შესახებ კომპანია UK Oil & Gas Investments (UKOG)-მა გაავრცელა ინფორმაცია.** მათი განცხადებით, მარაგი ლონდონის გეტვიკის აეროპორტთან აღმოაჩინეს. მარაგმა, შესაძლოა, 100 მილიარდ ბარელს მიაღწიოს, რაც ნიგერიისა და ლიბიის ერთად აღებულ მარაგებზე მეტი გამოდის. როგორც UKOG-ის აღმასრულებელმა დირექტორმა BBC-ს განუცხადა, 100 მილიარდი ბარელის მოპოვება ვერ მოხერხდებოდა, რადგან მარაგები საკმაოდ ღრმადაა განთავსებული. მისივე თქმით, თუ შევადარებთ იმავე სიღრმის აღმოჩენებს აშშ-ში, შეიძლება იმის თქმა, რომ არსებული ტექნოლოგიებით შესაძლებელია მარაგების 3%-დან 15%-მდე მოპოვება.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამჟამად მწარედ ხუმრობენ, რომ ამერიკა უკანასკნელ უკრაინელამდე იომებს რუსეთთან, ადრე კი ვაშინგტონი მადრიდთან უკანასკნელ ფილიპინელამდე ომობდა. იმ ომს 600 000 ფილიპინელი ემსხვერპლა. გადაწყვიტეს, ბარემ კუბაც წაერთმიათ ესპანელებისთვის და წართმევით კი წაართვეს, მაგრამ ვერ „გადაყლაპეს“.**

# ამერიკული ღვეზელი: როგორ ჭრის მსოფლიოს აშშ

**ამჟამად უკრაინაში მიმდინარე მოვლენები აეჭვებს ადამიანებს — საიდან უნდა მომდინარეობდეს ასეთი რამ, საიდან უნდა გაჩენილიყო შუღლი სლავურ ხალხებს შორის? რა აკავშირებს ამ ყველაფერთან აშშ-ს? უახლესი ისტორია აჩვენებს, რომ ამერიკა პირველად არ ანაწევრებს სუვერენულ სახელმწიფოს ნაწილებად და ის, რაც დღეს უკრაინაში ხდება, კარგად დამუშავებული და აპრობირებული პროცესია.**




**მაკკინლის მოულოდნელად ესროლეს, გუანტანამო კი რამდენიმე ასეული ათასი მოქალაქის ჯუჯა სუვერენული სახელმწიფოს ნაცვლად ამერიკულ ციხედ და სამხედრო ბაზად იქცა. ასეა თუ ისე, კუბაში მოხდა პირველად ქვეყნის ამერიკულად გახლეჩა**

გასულ ასწლეულში იანკებმა დიდი წარმატებით გაყვეს კოლუმბია, გერმანია, ეთიოპია, ჩინეთი და კორეა, მოამზადეს საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის დაშლა, დღეს კი ასევე წარმატებულად ჩეხავენ ერაყს, სირიასა და უკრაინას. და ყოველ ჯერზე ამერიკელები საკუთარ ქმედებებს სიკეთისა და დემოკრატიის დანერგვის იდეალებით ხსნიან. არადა, სინამდვილეში ძია სემი სხვათა ქვეყნებს მხოლოდ იმის გამო ასახიჩრებს, რომ მათი რესურსებით მოიკლას შიმშილი.

იანკების პირველი წარმატებული გამოცდილება სუვერენული ქვეყნების დანაწევრების საქმეში ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასასრულს განხორციელდა. 1898 წელს ამერიკელები მიხვდნენ: იმისათვის, რომ მოახდინონ საკუთარი ინტერესების რეალიზება სხვათა ტერიტორიებზე, სულაც არაა აუცილებელი ამა თუ იმ ქვეყნის მთლიანად დაპყრობა.

ერთ მშვენიერ დღეს, უფრო ზუსტად კი შუაღამეს, პრეზიდენტმა უილიამ მაკკინლიმ, დადიოდა რა თეთრი სახლის დერეფნებში, უფალი იხილა. უფალმა უთხრა პრეზიდენტს: დაიპყარი ესპანური კოლონია, ფილიპინების კუნძულები, რათა მათი მკვიდრნი ქრისტიანობას აზიარო და ცივილიზაციის სიკეთეები აჩუქო.

პრეზიდენტმა უფალთან თავისი სასწაულებრივი საუბრის შესახებ კონგრესს უამბო, კონგრესმენები მოიხიბლნენ იდეით, მაგრამ ვერა და ვერ პოულობდნენ საბაბს, ესპანეთისთვის ომის გამოსაცხადებლად. დაბოლოს, 1989 წლის 15 თებერვალს ამერიკულ ხომალდ „მენზე“ აფეთქება მოხდა — გემი ჩაიძირა, დაიღუპა ეკიპაჟის 266 წევრი. 100 წლის შემდეგ ამოიღეს წყლიდან და აღმოაჩინეს, რომ გემი შეიგნიდან ააფეთქეს და არა გარედან. მაგრამ მაშინ, 1898-ში, აშშ-ის ხელისუფლებამ მშვენიერი მიზეზი იპოვა და დაუყოვნებლივ დაგმო ესპანელების დივერსია. ასე დაიწყო ომი.

**ამჟამად მწარედ ხუმრობენ, რომ ამერიკა უკანასკნელ უკრაინელამდე იომებს რუსეთთან, ადრე კი ვაშინგტონი მადრიდთან უკანასკნელ ფილიპინელამდე ომობდა. იმ ომს 600 000 ფილიპინელი ემსხვერპლა. გადაწყვიტეს, ბარემ კუბაც წაერთმიათ ესპანელებისთვის და წართმევით კი წაართვეს, მაგრამ ვერ „გადაყლაპეს“** (სხვათა შორის, ვერც ფილიპინები).

საბოლოო ჯამში, ამერიკელების ძალისხმევით კუბაში რესპუბლიკა გამოცხადდა, ხოლო მისი მცირე ნაწილი, გუანტანამო, მაკკინლის ჩანაფიქრის თანახმად, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ უნდა ქცეულიყო.

მაგრამ ისტორია სხვაგვარად განვითარდა: **მაკკინლის მოულოდნელად ესროლეს, გუანტანამო კი რამდენიმე ასეული ათასი მოქალაქის ჯუჯა სუვერენული სახელმწიფოს ნაცვლად ამერიკულ ციხედ და სამხედრო ბაზად იქცა. ასეა თუ ისე, კუბაში მოხდა პირველად ქვეყნის ამერიკულად გახლეჩა.**

## როგორ გაყო ამერიკამ კოლუმბია

თავდაპირველად ვაშინგტონში არ აპირებდნენ ქვეყნის „ამტვერებას“ — ამის საჭიროება არ არსებობდა. თუ ბოგოტაში თვითნებობას იწყებდნენ, ამერიკელებს იქ ჯარი შეჰყავდათ და საკუთარი სურვილის მიხედვით ამყარებდნენ წესრიგს. XIX საუკუნეში ასე მოხდა სამჯერ. უეცრად პანამელებმა პანამის არხის მშენებლობა ჩაიფიქრეს, მაგრამ 1888 წელს, ჩაყარეს რა მშენებლობაში 300 მილიონი დოლარი და შეასრულეს სამუშაოების მხოლოდ მესამედი, სადღაც აორთქლდნენ.

კარგად დაითვალეს რა პროექტის ყველა მოსალოდნელი სარგებელი, ფრანგების მიერ მიგდებულ მშენებლობაში ამერიკელები ჩაერთნენ. ერთი შეხედვით სულ ცოტაღა იყო დარჩენილი — პროექტიდან ინგლისელების გაძევება. ინგლისელები წარმატებით განდევნეს ლონდონთან ჰეიას-პაუნსფორტის შეთანხმების გაფორმებით, რომლის თანახმადაც აშშ-მა მიიღო არხზე სრული უფლებები, ბრიტანეთი კი უნდა დაჯერებოდა არხის ფორმალურად ნეიტრალურად გამოცხადებას. როდესაც ფრანგები და ამერიკელები ბორტს მიღმა დარჩნენ, აღმოჩნდა, რომ არხის ერთობლივ მართვაზე პრეტენზია აქვს კოლუმბიასაც.

ერთხელაც **სწორედ კოლუმბიაში მოაწყვეს იანკებმა პირველი „ნარინჯისფერი რევოლუცია“ ან თუნდაც მაიდანი.** ყველასათვის მოულოდნელად რევოლუციის ორგანიზატორი გახდა ფილიპ ბიუნო-ვარილია — სწორედ ის ფრანგი ინჟინერი, რომელმაც საფრანგეთის სახელით დაიწყო პანამის არხის მშენებლობა და შემდეგ ჩააფლავა საქმე ხარჯების ორჯერ გადაჭარბებით.

საერთოდ, ბიუნო-ვარილიას ისტორია ჯერ კიდევ ელოდება გამოძიებას: საეჭვოა, რომ იგი უბრალო ინჟინერი ყოფილიყო, როგორც ამ დრომდეც მოიხსენიებენ ისტორიულ ლიტერატურაში. სავარაუდოდ, იგი აშშ-ის აგენტი გახლდათ. ვიდრე ამერიკელი ჯარისკაცები კოლუმბიის პროვინციებში დემოკრატიას ნერგავდნენ მთელი თავიანთი შეიარაღებითა და ზარბაზნებით, ბიუნო-ვარილია კოლუმბიის პრეზიდენტს ბომბავდა ტელეგრამებით და მოუწოდებდა, უარი ეთქვა პანამის არხთან დაკავშირებულ გეგმებზე.

მას შემდეგ, რაც კოლუმბიელებმა უარით უპასუხეს ბიუნო-ვარილიას ზეწოლას, ეს უკანასკნელი დაუკავშირდა „პანამელი სეპარატისტების“ ლიდერს — მანუელ ამადორ გერეროს, რომელიც შემდეგ პანამის პირველ პრეზიდენტად იქცა. ფრანგმა ამადორს 500 ათასი ფრანკი გადაუხადა და დაარწმუნა, რომ ამერიკული ჯარები სეპარატისტების დასახმარებლად ადგილზე იქნებოდნენ არაუგვიანეს 48 საათში, მას შემდეგ, რაც იგი დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა.

ბიუნო-ვარილიამ ამადორი აღჭურვა არა მხოლოდ მოქმედების დეტალური გეგმით, არამედ დამოუკიდებლობის დეკლარაციით, კონსტიტუციითა და პანამის მომავალი რესპუბლიკის დროშითაც კი.

კოლუმბიის პროვინციაში, რომელსაც პანამა წარმოადგენდა, რევოლუცია 1903 წლის 3 ნოემბერს მოხდა, უკვე 6 ნოემბერს კი ამერიკამ პანამა სუვერენულ სახელმწიფოდ აღიარა. შედეგად ვაშინგტონმა მუდმივ მფლობელობაში მიიღო მიწის ზონა და წყალქვეშა მიწა შენობებისთვის, ექსპლოატაციისთვის, სანიტარული წესრიგის დამყარებისა და პანამის არხის დაცვისათვის. გაჩნდა ასიათასობით მონა — მიიღეს რა დამოუკიდებლობა, პანამის ნახევრად მოშიმშილე მოქალაქეებმა იგრძნეს, რას ნიშნავს სიღატაკე. მთელი ქვეყანა გროშების სანაცვლოდ ემსახურებოდა ამერიკელებს.

ამ ყველაფრის პარალელურად ამერიკა გახდა კოლუმბიისგან თავხედურად გამოგლეჯილი პანამის დამოუკიდებლობის გარანტი. თუმცა, ამ ისტორიაში ყველაზე კარგი იყო ის, რომ პანამის დელეგაცია, რომელიც არხის სტატუსთან დაკავშირებით შეთანხმების ხელმოსაწერად ვაშინგტონში მიემგზავრებოდა, გზად სადღაც შეყოვნდა და ცერემონიაზე ორი საათით დააგვიანა. **ვიდრე ცერემონიაზე ოფიციალური პირები მივიდოდნენ, დამოუკიდებელი პანამის სახელით აშშ-თან შეთანხმებას ხელი მოაწერა ბიუნო-ვარილიამ — საფრანგეთის მოქალაქემ, რომელსაც იმ მომენტისათვის არანაირი ოფიციალური უფლებამოსილება არ ჰქონდა.**

## როგორ გაყო ამერიკამ გერმანია

40 წელზე სულ ოდნავ მეტი გავიდა და ისტორია განმეორდა. ამჯერად დასაჭრელ „ღვეზელად“ გერმანია იქცა. მიღებულია, რომ მესამე რეიხი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკად და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკად მოსკოვმა გაყო, მაგრამ ეს ასე არ არის. პირიქით, საბჭოთა ხელისუფლება, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებებისგან განსხვავებით, ცდილობდა, გერმანიის ერთიანობა შეენარჩუნებინა.

გამარჯვებამდე დიდი ხნით ადრე თეირანის 1943 წლის კონფერენციაზე აშშ-ის პრეზიდენტმა ფრანკლინ რუზველტმა წამოაყენა წინადადება, ომის შემდეგ რაიხი დაეყოთ ხუთ სახელმწიფოდ — პრუსია, ჰანოვერის რესპუბლიკა, საქსონია, ჰესენი და ვესტფალია, ასევე ბადენი, ბავარია და ვიურტემბერგი. გარდა ამისა, რურსისა და საარის ოლქები, კილის არხი საბჭოთა კავშირის, აშშ-ისა და ბრიტანეთის პირდაპირ მმართველობაში უნდა გადასულიყო. ჰამბურგი „თავისუფალ ქალაქად“ უნდა გამოცხადებულიყო. ბრიტანეთის პრემიერმა უინსტონ ჩერჩილმა მხარი დაუჭირა რუზველტის გეგმას, მაგრამ სტალინმა არ მოიწონა, რადგან, მისი აზრით, გახლეჩილ გერმანელებს გაუმძაფრდებოდათ ეროვნული თვითშეგნება და ამას, შესაძლოა, რაიხის აღორძინების მცდელობები მოჰყოლოდა.

მოკლედ, თეირანში მხარეებმა ასეც ვერა- ▶



## ეგვიპტის სასამართლომ 51 ადამიანს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა

**ეგვიპტის სასამართლომ „ძმები მუსლიმანების“ ერთ-ერთ ლიდერს — მუჰამედ ბადისა და 13 წევრს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა.** მათ ბრალი სახელმწიფოს წინააღმდეგ თავდასხმების ორგანიზებაში ედებათ. იგივე სასჯელი მიუსაჯეს წარმოშობით ამერიკელ მოქალაქესა და კიდევ 36 ადამიანს. ამერიკელ ეგვიპტელს „ძმები მუსლიმანების“ მხარდაჭერაში ადანაშაულებენ. მას შემდეგ, რაც 2013 წელს ისლამისტი პრეზიდენტი მუჰამედ მურსი გადააყენეს, ეგვიპტეში მისი არაერთი მხარდამჭერი და მომხრე გაასამართლეს. მათ დიდ ნაწილს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. ერთ-ერთი მათგანი კი უკვე დასაჯეს კიდეც.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 1945 წლის 9 მაისის გამარჯვებასთან დაკავშირებით საბჭოთა ხალხისადმი მიმართვისას სტალინმა ხაზი გაუსვა, რომ „საბჭოთა კავშირი არ აპირებდა გერმანიის არც დანაწევრებას და არც განადგურებას“. საბოლოოდ პოტსდამის კონფერენციაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გერმანიის ერთიანობის შესახებ.

◀ ფერს მიაღწიეს, მაგრამ ლონდონმა და ვაშინგტონმა, არ ჰქონდათ რა იმის იმედი, რომ სტალინს დათრგუნავდნენ, დაიწყეს საგარეო საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის — ლიტვინოვის დამუშავება და გამოუვიდათ კიდეც.

იალტის „დიდი სამეულის“ შეხვედრის წინ, 1945 წლის თებერვალში დიდი ბრიტანეთის ყოფილმა ელჩმა მაისკიმ ლიტვინოვის კარნახით მოლოტოვს წარუდგინა ჩანაწერი „მომავალი მსოფლიოს სასურველი საფუძვლების შესახებ“, რომელიც შეიცავდა გერმანიის სამ სახელმწიფოდ გაყოფის წინადადებას. იალტის კონფერენციაზე იდეა გერმანიის გაყოფასთან დაკავშირებით სტალინმა და მოლოტოვმა უკიდურეს ზომად შეაფასეს. **1945 წლის 9 მაისის გამარჯვებასთან დაკავშირებით საბჭოთა ხალხისადმი მიმართვისას სტალინმა ხაზი გაუსვა, რომ „საბჭოთა კავშირი არ აპირებდა გერმანიის არც დანაწევრებას და არც განადგურებას“. საბოლოოდ პოტსდამის კონფერენციაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გერმანიის ერთიანობის შესახებ.**

მაგრამ ამერიკელების რეალურ გეგმებში ერთიანი გერმანია საერთოდ არ ფიგურირებდა. **კანცლერმა კონრად ადენაუერმა გერმანიის გაყოფაზე განაცხადა: „ჯობს ნახევარი გერმანია მთლიანად, ვიდრე მთლიანი გერმანია სანახევროდ“ და ეს ცნობილ ფრაზად იქცა. ანგლო-ამერიკელების ვასალმა პირველად ეს ბრძანა 1946 წლის იანვარში, ბრიტანეთის საოკუპაციო ზონაში, სადაც მომავალი კანცლერი ქმნიდა თავის პარტიას — ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირს.**

მაგრამ როგორ უნდა მოეხერხებინათ გერმანიის გაყოფის პროვოცირება? ეს ხომ პოტსდამის გადაწყვეტილებების საწინააღმდეგო ქმედება იქნებოდა? როგორც ეს ხშირად ხდება, ამერიკელებმა პროვოკაციას მიმართეს: მათ დაბლოკეს საგზაო მიმოსვლა საბჭოთა საოკუპაციო ზონასთან. სასაზღვრო საგუშაგოებზე დააყენეს სასოფლო მეურნეობის პროდუქტებით სავსე სატვირთო მანქანები, ქვეყნის დასავლეთ ოლქებში კი ამ პერიოდში შიმშილის საფრთხე გაჩნდა. და, ცხადია, ამ ყველაფრის გამო მოსკოვს დასდეს ბრალი.

ამრიგად, გერმანიის მომავლის შესახებ ოთხმხრივი შეთანხმების დარღვევით 1946 წლის დეკემბერში გაჩნდა ბიზონია (გაერთიანებული ტერიტორიული ერთეული, რომელიც ბრიტანული და ამერიკული საოკუპაციო ზონების საზღვრებში შეიქმნა). შემდგომში ბიზონია იქცა ტრიზონიად — ვაშინგტონსა და ლონდონს შეუერთდა პარიზიც, 1949 წელს კი მის ტერიტორიაზე ფედერალური რესპუბლიკა გამოაცხადეს.

ამრიგად, **გერმანია დაიშალა და ამერიკამ მიიღო „მთლიანი ნახევარი გერმანია“. მხოლოდ მას შემდეგ, რაც გერმანიის გახლეჩა უკვე ფაქტად იქცა, 1949 წლის 7 ოქტომბერს ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში გამოცხადდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შესახებ.**

## როგორ გაყო ამერიკამ ჩინეთი

ჩინეთის კონფლიქტის ერთ მხარეს იყო „საბჭოთა კავშირის მეგობარი“ მაო ძედუნი, მეორე მხარეს — ასევე „საბჭოთა კავშირის მეგობარი“ გენერალი ჩან კაიში. საბოლოოდ ბედმა ორივე საბჭოთა კავშირის მტრად აქცია. შესაძლოა, გენერალსა და თავმჯდომარეს შეთანხმება მოეხერხებინათ და ამ შემთხვევაში 40-იანი წლების დასასრულს ჩინეთი არ გაიხლიჩებოდა, მაგრამ საბჭოთა კავშირის ორ მეგობარს შორის ამერიკელები ჩადგნენ.

მოსკოვი ყველანაირად ეხმარებოდა „მეგობარ“ ჩან კაიშის ჯერ კიდევ 20-30-იან წლებში — მისი სამხედრო მრჩეველი ლეგენდარული საბჭოთა მარშალი ვასილი ბლიუხერი გახლდათ. ვიდრე მეორე მსოფლიო ომი მიმდინარეობდა, ჩან კაიში ერთდროულად უპირისპირდებოდა იაპონელებსაც და ვან ძინვეის ადგილობრივ პროიაპონელ მარიონეტებსაც და არაფერი მოასწავებდა საბჭოთა კავშირთან განხეთქილების მოახლოებას.

მაგრამ ომი დასრულდა, იაპონიამ კაპიტულაცია გამოაცხადა, პარალელურად კი ყოფილ კორუფცირებულ ტერიტორიებზე დაიწყო ჩინეთის კომუნისტური სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ფორმულირება.

უჭერდა რა მხარს ერთდროულად მაოსაც და ჩან კაიშისაც, მოსკოვი ყველანაირად





ცდილობდა მათ დაახლოებას და შერიგებას. ასე რომ, შეიარაღებული დაპირისპირება არც თუ დიდი აქტივობით მიმდინარეობდა: ჩან კაიშის გომინდანელების ჯარი ფაქტობრივად არ იბრძოდა მაო ძედუნის ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელ არმიასთან და პარტიზანების დევნას ანიჭებდა უპირატესობას.

მაგრამ 1947 წელს ჩან კაიშიმ შეცდომა დაუშვა: კრემლისთვის რჩევის უკითხავად შეთანხმება გააფორმა ამერიკელ გენერალ ვედემეიერთან. ამ შეთანხმების თანახმად, რამდენიმე სამხედრო ბაზა (მათ შორის ტაივანში მდებარე ორი სამხედრო ბაზაც) აშშ-ს გადაეცა. მოსკოვში ესოდენ არამეგობრული ჟესტი არავის გახარებია და გენერალს იარაღის მიწოდება შეუწყვიტეს. ამ დროს მაოს არმია შეტევაზე გადავიდა და აიღო კიდეც ნანკინი — გომინდანელების დედაქალაქი, ჩან კაიში კი ტაივანში გაიქცა, მაგრამ ქვეყანა ჯერ კიდევ ერთიანი იყო. ამ დროს მოსკოვი მთელი ძალისხმევით ცდილობდა, მაო და ჩან კაიში შეერიგებინა.

თავის მხრივ, ამერიკელებმა ჩინეთის გაყოფა გადაწყვიტეს, რადგან ესმოდათ, რომ სინამდვილეში მათგან იდეოლოგიურად შორს მდგომმა კომუნისტებმა გაიმარჯვეს.

1950 წელს აშშ-ის პრეზიდენტმა ტრუმენმა გამოაცხადა, რომ მის ქვეყანას „არანაირი გეგმები არ აქვს ტაივანის ოკუპაციასთან დაკავშირებით“, მაგრამ სინამდვილეში ტაივანი სწორედ ოკუპაციის მსხვერპლი გახდა. მისი ოკუპაცია მოხდა აშშ-ის მე-7 ფლოტის ძალებით და ამით ფაქტობრივად განხორციელდა კიდეც ჩინეთის გაყოფა.

თებერვლის დასაწყისში ამერიკულმა ავიაციამ გადაუფრინა შანხაის, რომელსაც მაო და ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმია აკონტროლებდა: განადგურდა უამრავი შენობა, დაიღუპა ათასზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე. მაგრამ რა იყო მიზეზი, რომლის გამოც ვაშინგტონმა მდგომარეობის ღიად გამწვავება გადაწყვიტა და ჩინეთის ორად გაყოფის პროვოცირება მოახდინა?

აი, მიზეზიც: **1948-1949 წლებში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეთანხმება გააფორმა ჩან კაიშისთან. ამ შეთანხმების მიხედვით, იანკებმა მონოპოლიური უფლება მიიღეს ტაივანში ბოქსიტების, ნავთობის, ნახშირის, ვოლფრამის, ოქროს და სხვა ლითონების მოპოვებაზე. ამერიკული ფირმის — „რეინოლდს მეტალის“ კონტროლს დაექვემდებარა ალუმინის წარმოება.** ასე რომ, სავსებით გასაგებია, თუ რატომ ითხოვდნენ ჯერ კიდევ 1949 წლის დეკემბერში სენატორები სმიტი და ნოულენდი პრეზიდენტი ტრუმენისაგან, რომ „ფორმოზა ამერიკის სამხედრო ბაზად ქცეულიყო“.

ამერიკელების ცინიზმი ნამდვილად დასაფასებელია: ტრუმენის განცხადებით, ტაივანის ოკუპაცია მხოლოდ იმის გამო განხორციელდა, რომ „გომინდანელების არმიას ჩინეთის კონტინენტური ნაწილის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციები არ განეხორციელებინათ“.





## როგორ გაყო ამერიკამ ეთიოპია

იმის შესახებ, თუ როგორ „დაჭრა ნაწილებად“ ამერიკამ სხვა ქვეყნები, დაუსრულებლად შეიძლება საუბარი: იანკები იდგნენ კორეის გახლეჩვის უკან, ცდილობდნენ, ორად გაეყოთ ვიეტნამი, ლამის აგურებად დაშალეს ფედერაციული იუგოსლავია...

დღეს მათი ძალისხმევით ნაწევრდება ერაყი, ლიბია; ალავიტებისა და დრუზების ქვეყნებად იხერხება სირია. ამერიკა იარაღითა და ფულით ამარაგებს ქურთ სეპარატისტებს, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი ნატოში მისი მოკავშირეა, ქურთების წარმოდგენებში კი თურქეთიც მათი სამომავლო ქურთისტანის ნაწილია.

მიუხედავად ამ არაერთი მაგალითისა, განსაკუთრებულ **აღნიშვნას იმსახურებს ეთიოპიის გახლეჩვის და მისგან ერითრიის გამოყოფის ისტორია. ეთიოპიის გაყოფის გამო შავი კონტინენტის ერთადერთმა ქრისტიანულმა ქვეყანამ ზღვაზე გასასვლელი დაკარგა.**

ოგადენისათვის (ტერიტორია ეთიოპიის ჩრდილოეთით) ომმა 70-იანი წლების დასასრულს საბჭოთა კავშირი სომალთან წააჩხუბა, მაგრამ ეთიოპიასთან დაამეგობრა — ამ ქვეყნის ძველი „კურატორები“, ამერიკელები, გაცოფებულები იყვნენ. ვაშინგტონმა გულში ჩაიდო ეს წყენა და მერყევი ადის-აბებუ მკაცრად დასაჯა — მიიღო „ასიმეტრიული ზომები“ — მდორედ ეთიოპიასა და ერითრეელ მეამბოხეებს შორის მიმდინარე კონფლიქტს მხარი დაუჭირა. 80-იანი წლების დასასრულს საბჭოთა კავშირს აფრიკისთვის აღარ ეცალა, ამერიკის შეერთებული შტატების ვასალი მელეს ზენაუი სათავეში ჩაუდგა შეიარაღებულ ფორმირებას — ერითრიის „მეამბოხე დაჯგუფებების ფრონტს“ და 1991 წელს მათთან ერთად შევიდა ადის-აბებუში.

ამრიგად, ზენაუი გახდა ეთიოპიის პრეზიდენტი და პროსაბჭოთა ლიდერი მენგისტ ჰაილე მარიამი ჩაანაცვლა. ორი წლის შემდეგ ახალმა პრეზიდენტმა ერითრიის დამოუკიდებლობის რეფერენდუმი ჩაატარა. და ქვეყანა დაიშალა.

დღეისათვის ერითრეა ყველანაირად მხარს უჭერს სომალელ ისლამისტებს და აფრიკის აღმოსავლეთ სანაპიროზე არასტაბილურობას თესავს. არის თუ არა ამაში დამნაშავე ამერიკა, რომელიც ვითომდა სომალელი ისლამისტების წინააღმდეგ იბრძვის?

versia.ru

მოკლედ

## ცუკერბერგი შემთხვევით ლათინური ამერიკის ლიდერების შეხვედრას დაესწრო



**სოციალური ქსელ „ფეისბუქის“ დამაარსებელი მარკ ცუკერბერგი შემთხვევით ლათინური ამერიკის ლიდერების შეხვედრას დაესწრო.** სამიტი, რომელშიც მონაწილეობას აშშ-ის პრეზიდენტთან ერთად ჩრდილოეთ და სამხეთ ამერიკის ლიდერები იღებენ, პანამაში იმართება. მარკ ცუკერბერგი სამიტის დროს შემთხვევით იმ ოთახში შევიდა, რომელშიც ქვეყნის ლიდერები შეხვედრებს მართავდნენ. ინციდენტის ამსახველი ვიდეო მალე გავრცელდა ინტერნეტში.

## Time: პუტინი — ყველაზე გავლენიანი ადამიანების სიაში



**ამერიკული ჟურნალის Time-ის რეიტინგის მიხედვით, მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი ადამიანების სიაში რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მეორე ადგილი დაიკავა.** აშშ-ის პრეზიდენტი, ბარაკ ობამა მე-11 ადგილზეა. გამოკითხვის შედეგები 13 აპრილს გამოქვეყნდება. პირველ ადგილზეა სამხრეთ კორეელი მომღერალი CL, ჯგუფიდან 2NE1.

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ომის დაწყებისას წითელი არმიის რიგებში მსახურობდა 130 ათასზე მეტი ჩვენი თანამემამულე. მათ მიიღეს მტრის პირველი დარტყმები. 1941 წლის 1 ივლისისათვის საქართველოში ჩატარდა პირველი საყოველთაო მობილიზაცია და შემდგომში პერიოდულად, ომის დასრულებამდე, ხორციელდებოდა ეს პროცესი. საქართველოდან სულ გაწვეული იქნა 700 ათასამდე მეომარი, მათგან —16 ათასი ქალი. 300 ათასი მებრძოლი ვერ დაბრუნდა მშობლიურ კერაზე.**

# 9 მაისი — დიადი გამარჯვების დღესასწაული!

**70 წლის წინათ, 1945 წლის 8 მაისს, ბერლინ-კარლჰორსტში (გერმანია), ცენტრალური ევროპის დროით, 22 საათსა და 43 წუთზე (მოსკოვის დროით — 9 მაისს, 00 სთ. და 43 წთ-ზე) ხელი მოეწერა ფაშისტური გერმანიის კაპიტულაციის აქტს. ხელისმოწერის ადგილად შერჩეული იქნა შენობა, სადაც განთავსებული იყო მე-5 საბჭოთა არმიის (სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ნ. ე. ბერზარინი — შემდგომში ბერლინის პირველი კომენდანტი) შტაბ-ბინა. აქტს ხელი მოაწერეს ვერმახტის მთავარსარდლობის შტაბის უფროსმა ფელდმარშალმა გუსტავ კეიტელმა, გერმანიის სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარსარდალმა ადმირალმა ჰანს გეორგ ფრიდენბურგმა და ლუფტვაფეს გენშტაბის უფროსმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ჰანს იურგენ შტუმპფმა. კაპიტულაცია ჩაიბარა საბჭოთა კავშირის მარშალმა გიორგი ჟუკოვმა და დიდი ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების მარშალმა არტურ უილიამ ტედერმა. მოწმის სახით კაპიტულაციის გაფორმებას ესწრებოდნენ და ასევე ხელისმოწერით დაადასტურეს ეს აქტი აშშ-ის საჰაერო ძალების შტაბის პირველმა უფროსმა გენერალმა კარლ ენდრიუ სპატსმა და ფრანგმა მარშალმა ჟან მარი ლატრ დე ტასინიმ.**

ამ ისტორიული დოკუმენტით დამთავრებულად გამოცხადდა სამხედრო კონფლიქტი გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის, რაც ნიშნავდა, აგრეთვე, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებას ევროპის კონტინენტზე.

**ეს იყო კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი სისხლისმღვრელი, მასშტაბური ომი მასში ჩართული ადამიანური რესურსებითა და საბრძოლო სამხედრო ტექნიკით. იგი საბჭოთა და რუსულ ისტორიოგრაფიაში ცნობილია სახელწოდებით „დიდი სამამულო ომი“, რომელიც გაგრძელდა 1418 უმძიმესი დღე და ღამე.**

ამ ომის დაწყების წინა პირობა გერმანიის სათავეში ნაციონალურ-სოციალისტური მუშათა პარტიის მოსვლის შემდეგ (1933 წ.) შეიქმნა. „სასიცოცხლო არეალის“ ძიებაში გერმანელი ნაცისტებისათვის საბჭოთა კავშირი, თავისი ბოლშევიკური იდეოლოგიით, ნომერი პირველი ხელისშემშლელი რეალობა იყო ევროპის კონტინენტზე. სამხედრო კონფლიქტი ამ ორ ქვეყანას შორის გარდაუვალი იყო. 1939 წლის ზაფხულიდან გერმანიამ ზედიზედ დაიპყრო ევროპის 11 ქვეყანა და მიუახლოვდა საბჭოთა სახელმწიფოს საზღვრებს. ეს პროცესი საბოლოო ფაზაში შევიდა 1941 წლის დამდეგს. გერმანია სამხედრო ძლიერების ზენიტში იმყოფებოდა.

1940 წლის ივნისში რეიხსკანცლერმა **ადოლფ ჰიტლერმა** გასცა ბრძანება, შეემუშავებინათ სსრკ-ზე თავდასხმის გეგმა. 1940 წლის 22 ივლისს ვერმახტი (გერმანიის სახმელეთო ჯარების მთავარსარდლობა) შეუდგა ამ გეგმის შემუშავებას, რომელმაც მიიღო კოდური სახელწოდება ოპერაცია „ბარბაროსა“. იგი დამტკიცდა 1940 წლის 18 დეკემბერს. ამ დირექტივით სამხედრო სამზადისი უნდა დასრულებულიყო 1941 წლის 15 მაისისათვის.

თავის მხრივ, საბჭოთა კავშირიც გამალებით ზრდიდა სამხედრო პოტენციალს. რა გეგმები ჰქონდა იმხანად საბჭოთა კავშირს, უცნობია. იმდროინდელი საბჭოთა სამხედრო გეგმების ამსახველი დოკუმენტები მკაცრად არის გასაიდუმლოებული. ერთი რამ ნათელია: საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის გათვლით, ფაშისტური გერმანიის უღელქვეშ მოქცეული ევროპის ხალხები აუცილებლად მიმართავდნენ საბჭოთა სახელმწიფოს ხსნისათვის, როგორც ბოლო იმედს. ამისთვის კი საჭირო იყო სათანადო სამხედრო მზადყოფნა. საბჭოთა მთავრობა რეალურად აფასებდა ორივე ქვეყნის სამხედრო ძალების შეფარდებას (ამ დროისათვის ჰიტლერელთა მიერ დაპყრობილი ევროპის ქვეყნების ეკონომიკა დამატებით მუშაობდა გერმანიის სამხედრო მანქანის სასარგებლოდ) და თვლიდა, რომ ვერმახტის საბრძოლო მომზადება ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად სჭარბობდა საბჭოთა სამხედრო ძალების შესაძლებლობებს, ამიტომ იგი, თავის მხრივ, ყოველ ღონეს ხმარობდა მოახლოებული სამხედრო კონფლიქტის ვადის გადასაწევად, დროის მოსაგებად. გატარდა უმნიშვნელოვანესი ღონისძიებები მრეწველობის, ტრანსპორტის, თავდაცვის, შეიარაღებული ძალების უკეთ ორგანიზებისა და ტექნიკური აღჭურვილობის თანამედროვე დონეზე მიყვანის მიზნით. 1941 წლისთვის საბჭოთა კავშირის სამხედრო ბიუჯეტმა მიაღწია 43,3%-ს.

**1941 წლის ივნისის შუა რიცხვებში ვერმახტმა და მისმა მოკავშირეებმა (იტალია, უნგრეთი, რუმინეთი, ფინეთი) საბჭოთა კავშირის დასავლეთ საზღვრებთან თავი მოუყარეს ისტორიაში მანამდე არნახულ ძალებს — 190 დივიზიას (5,5 მილ. კაცი), 3700-ზე მეტ ტანკს, 4950 თვითმფრინავს, 47 460 ქვემეხსა და ნაღმსატყორცნს, 193 საბრძოლო ხომალდს. ვერმახტის ჯარები ტექნიკურად საუკეთესო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ევროპის კონტინენტზე ჩატარებული ოპერაციების შედეგად ოფიცრებსა და ჯარისკაცებს მდიდარი საბრძოლო გამოცდილება ჰქონდათ მიღებული. მათი საბრძოლო სულისკვეთება მეტად მაღალი იყო. ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ, სულ რაღაც, 3-4 თვეში საბჭოთა კავშირს ბოლოს მოუღებდნენ.**

**1941 წლის 22 ივნისს, 03 საათსა 45 წუთზე, როგორც კი ამომავალმა მზემ ცენტრალური ევროპის ცარგვალზე სრული ბადროს სახე მიიღო, ოკულტიზმის მოძღვრებით შეპყრობილი ადოლფ ჰიტლერის ბრძანებით, ვერმახტის სამხედრო ძალებმა დაიწყეს შეტევა საბჭოთა კავშირზე.**



**165 ქართველ მეომარს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. 244 700 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჯილდოვდა სსრკ ორდენებითა და მედლებით. საქართველოს 333 344 მშრომელი დაჯილდოვდა მედლით «მამაცური შრომისათვის 1941-45 წლების დიდ სამამულო ომში», 46 191 მშრომელი კი — მედლით «კავკასიის დაცვისათვის»**

ომის პირველი დღეები დაიწყო საბჭოთა შეიარაღებული ძალებისთვის კატასტროფული შედეგებით. მიუხედავად წითელი არმიის გმირული წინააღმდეგობისა, პირველი სამი კვირის განმავლობაში მოწინააღმდეგემ შეძლო ქვეყნის შიგნით ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით შეჭრა 500 კმ-ის მანძილზე: დასავლეთის მიმართულებით — 550 კმ-ზე, სამხრეთ-დასავლეთით — 300-350 კმ-ზე. მტერმა დაიკავა ქვეყნის ევროპული ნაწილის მნიშვნელოვანი ტერიტორიები. **ფრონტის ხაზი გადაიჭიმა ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე. ვერმახტის ჯარებმა შეძლეს, ალყაში მოექციათ და შემდეგ ტყვედ აეყვანათ დასავლეთის ფრონტზე მოქმედი წითელი არმიის მსხვილი შენაერთები. ფაშისტების მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე არა მხოლოდ სამხედრო ობიექტები აღმოჩნდა, არამედ მთელი რიგი მსხვილი ქალაქებისა და რეგიონებისა თავისი ინფრასტრუქტურებითა და ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის სამრეწველო ფაბრიკა-ქარხნებით. უდიდესი იყო მსხვერპლიც. საბჭოთა სახელმწიფო სასიკვდილო საფრთხის წინაშე დადგა.**

1941 წლის 3 ივლისს სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ იოსებ სტალინმა ქვეყნის მოსახლეობას რადიოთი მიმართა. ეს მიმართვა იქცა ბრძოლის პროგრამად გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ, როგორც ფრონტის წინა ხაზზე, ისე ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

**10 ივლისს შეიქმნა მთავარსარდლობის ბანაკი (სტალინი — თავმჯდომარე; წევრები — ვიაჩესლავ მოლოტოვი, სემიონ ტიმოშენკო, სემიონ ბუდიონი, კონსტანტინე ვოროშილოვი, ბორის შაპოშნიკოვი, გიორგი ჟუკოვი).**

19 ივლისს სტალინი თავდაცვის სახალხო კომისრად დაინიშნა, ხოლო 8 აგვისტოს — საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლად. აღსანიშნავია, რომ უმაღლესი მთავარსარდლობა, ნაცვლად დღეს დამკვიდრებული აზრისა, ყველა გადაწყვეტილებას კოლექტიურად იღებდა, შესაბამისი ფრონტებისა და არმიების სარდლებთან და სხვა პასუხისმგებელ პირებთან შეთანხმებით. იგი შესრულების პერსონალურ პასუხისმგებლობას ეფუძნებოდა. ბრძანების შესრულების კოორდინაციას უმაღლესი მთავარსარდლობის წარმომადგენლები ახდენდნენ.

წარმოუდგენლად მოკლე დროში, ომის უმძიმეს პირველ თვეებში, ქვეყანამ შეძლო, სახალხო მეურნეობა ომის ყაიდაზე გადაეწყო. სამხედრო პროდუქციის საწარმოებლად საჭირო მანქანა-დანადგარები, ჩარხები გაზიდულ იქნა ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში — ურალში, სადაც პირდაპირ საველე პირობებში იწყებოდა მათი მონტაჟი და პროდუქციის გამოშვება. ამ ომში მთავარი ორგანიზატორი და მამოძრავებელი პოლიტიკური ძალა კომუნისტური პარტია იყო. ეს ისტორიული სიმართლეა.

გერმანულ ფაშიზმზე გამარჯვებაში თავისი ღირსეული წვლილი შეიტანა საქართველოს მოსახლეობამაც. **ომის დაწყებისას წითელი არმიის რიგებში მსახურობდა 130 ათასზე მეტი ჩვენი თანამემამულე. მათ მიიღეს მტრის პირველი დარტყმები. 1941 წლის 1 ივლისისათვის საქართველოში ჩატარდა პირველი საყოველთაო მობილიზაცია და შემდგომში პერიოდულად, ომის დასრულებამდე, ხორციელდებოდა ეს პროცესი. საქართველოდან სულ გაწვეული იქნა 700 ათასამდე მეომარი, მათგან — 16 ათასი ქალი. 300 ათასი მებრძოლი ვერ დაბრუნდა მშობლიურ კერაზე.**

შეიძლება ითქვას, რომ ესოდენ დიდი მსხვერპლი არ გაუღია არც ერთ მეომარ ქვეყანას (პროცენტული შეფარდებით), რომლის ტერიტორიაზედაც უშუალოდ არ მიმდინარეობდა საბრძოლო მოქმედებები. სამწუხაროდ, დღეს მეორე მსოფლიო ომის ოფიციალურ სტატისტიკაში მნიშვნელოვანი დაკნინებით არის წარმოდგენილი ზემოთ მოყვანილი მონაცემები, რაც დიდი უსამართლობა და უპატივცემულობაა იმ მსხვერპლის მიმართ, რომელიც გაიღო ჩვენმა ხალხმა.

**ფართო იყო ქართველი მეომრების მოქმედების არეალი. ისინი გმირულად იბრძოდნენ კავკასიის მისადგომებთან, რუსეთის ევროპულ ნაწილებში, უკრაინაში, ბელორუსიაში, ბალტიისპირეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, ჩეხეთში, პოლონეთში, რუმინეთში, ბულგარეთში, აღმოსავლეთ პრუსიაში. მონაწილეობა მიიღეს ბერლინის შტურმში.**

„საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მარადიული დიდების წიგნში“ შეტანა, საპატიო სახელის მინიჭება („ტამანის“, „კრივოი როგის“, „ანაპის“, „სევასტოპოლის“ და სხვ.), წითელი დროშის ორდენით დაჯილდოება, გვარდიელის წოდება და სხვ. — ეს ის ჯილდოებია, რომლებიც მიენიჭათ ქართულ სამხედრო ფორმირებებს დიდ სამამულო ომში.

**მტრის ზურგში იბრძოდნენ ქართველი პარტიზანები — დავით ბაქრაძე, პეტრე გვალია, სანდრო ჩაჩხიანი, ზოია რუხაძე, ნოე კუბლაშვილი, ქრისტეფორე მოსულიშვილი, ოთარ იშხნელი და სხვ.**

ომის პირველ წლებში ტყვედ ჩავარდნილი ბევრი ჩვენი თანამემამულე მიმოფანტული აღმოჩნდა ევროპაში, განსაკუთრებით — გერმანიაში, საფრანგეთსა და იტალიაში. ისინი ყოველმხრივ ცდილობდნენ ნაცისტური ტყვეობიდან თავის დაღწევას. გათავისუფლების შემთხვევაში აქტიურად ერთვებოდნენ ადგილობრივი მოსახლეობის მხარდამხარ ანტიფაშისტური წინააღმდეგობის მოძრაო- ▶

**1941 წლის ბოლოს საქართველოს ქარხნები უშვებდნენ ავტომატებს, ნაღმსატყორცნებს, ქვემეხის ჭურვებს, რეაქტიული ნაღმსატყორცნის ნაწილებს, არემონტებდნენ ტანკებს, თვითმფრინავებს, ავტომატებს, შაშხანებს. ლითონგადამამუშავებელმა მრეწველობამ ომის წლებში 1738 მლნ მანეთის პროდუქცია შექმნა და გადასცა სახელმწიფოს. კვების მრეწველობამ წითელ არმიას მიაწოდა 2,5 მლნ მანეთის პროდუქცია, 1942-43 წლებში საქართველოს მუშებმა ამიერკავკასიის ფრონტს გადასცეს 135 ათასი ავტომატი, 8500 ნაღმსატყორცნი, ასობით ავიაგამანადგურებელი, მილიონობით ვაზნა, ნაღმი, ქვემეხის ჭურვი, ხელყუმბარა, ტყვიამფრქვევი და სხვ. ომის წლებში საქართველოს მშრომელებმა თავდაცვის ფონდში შეიტანეს 3 340 293 500 მანეთი.**

ფოსტა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

...ბაში. ბევრი მათგანი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე სამშობლოდან შორს. მათ ღირსეულად წარმოაჩინეს ევროპის ქვეყნების ხალხთა თვალში ქართველი ადამიანის ვაჟკაცური ბუნება. **ერთ მათგანს — ქრისტეფორე მოსულიშვილს, მიენიჭა იტალიის ეროვნული გმირის სახელი სიკვდილის შემდეგ.**

შევჩერდებით ერთ საყურადღებო ისტორიულ ფაქტზე ქართველთა მონაწილეობით:

1941-45 წლებში ვერმახტმა ჩამოაყალიბა საბჭოთა კავშირის ხალხების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული სამხედრო ფორმირებები. ინტენსიური ანტისაბჭოთა პროპაგანდით დამუშავებულები, ისინი, ძირითადად, იბრძოდნენ „აღმოსავლეთის ფრონტზე" მესამე რეიხის მხარეზე. ასევე იქნა შექმნილი ქართული ლეგიონიც (30 ათასი კაცი). იგი დააკომპლექტეს 1921 წელს საქართველოდან პოლიტიკური ნიშნით დევნილი და ქვეყნიდან გადახვეწილი ქართველებით. მათ დაუმატეს ომში ტყვედჩავარდნილები, რომლებიც ინტერნირებულები იყვნენ გერმანიასა და მის სატელიტ ქვეყნებში. **სხვა ნაციონალური ლეგიონებისგან განსხვავებით, ქართულ ბატალიონებს არ მიუციათ ერთგულების ფიცი მესამე რეიხისადმი. მოგვიანებით ქართული ლეგიონი მოიცვა დეზერტირობამ. იმპერიის სხვადასხვა რეგიონში განთავსებული ქართული ბატალიონებიდან გამოქცეულები უერთდებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, მონაწილეობდნენ ანტიფაშისტურ შეიარაღებულ ბრძოლებში (საფრანგეთში, იტალიაში და სხვ.). „აღმოსავლეთის ფრონტზე" შექმნილი მდგომარეობის გამო 1945 წლის თებერვალში, რაიხსკანცლერის ბრძანებით, ქართული ლეგიონის თამარ მეფის სახელობის 822-ე ბატალიონი გადასროლილ იქნა საფრანგეთიდან კუნძულ ტექსელზე (ნიდერლანდები). იგი შედგებოდა 800-მდე ქართველისა და 400-მდე გერმანელისგან (ძირითადად, ოფიცრებისგან).**

**1945 წლის 4 აპრილს დაიწყო ქართველთა აჯანყება. 5 აპრილს ისინი თავს დაესხნენ გერმანელ ოფიცრებს. მალე აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა თითქმის მთელი კუნძული. გერმანელებმა სასწრაფოდ გადასხეს ტექსელზე დამატებითი სამხედრო ძალები. ქართული ბატალიონის ხელმძღვანელობამ დახმარებისთვის მიმართა ინგლისის მთავრობას, მაგრამ უშედეგოდ. გერმანელებმა ჩაახშეს ამბოხი. უმძიმეს ბრძოლებში დაიღუპა 800 გერმანელი, 565 ქართველი და 117 ადგილობრივი პატრიოტი.** დაიღუპა ქართველთა მეთაურიც — **შალვა ლოლაძე** (1945 წ. 25 აპრ.) ის იყო საბჭოთა მფრინავი, სამხედრო საჰაერო ძალების კაპიტანი, საჰაერო ესკადრონის მეთაური. 1942 წელს მისი თვითმფრინავი ჩამოაგდეს უკრაინაში. ფაშისტებმა ლოლაძე ტყვედ აიყვანეს. მოგვიანებით ის ჩარიცხეს საფრანგეთში დისლოცირებულ 822-ე ქართულ ბატალიონში ლეიტენანტის ჩინით.

**შალვა ლოლაძე დაკრძალულია კუნძულ ტექსელზე მისივე სახელობის ქართველთა სამხედრო სასაფლაოზე.**

ჩვენი აზრით, კუნძულ ტექსელზე ქართველთა შეიარაღებული აჯანყება (1945 წ. 4 აპრ. — 20 მაისი) იყო ევროპის კონტინენტზე უკანასკნელი საბრძოლო მოქმედება მეორე მსოფლიო ომის დროს და ეს უნდა ჩაიწეროს სამხედრო ისტორიოგრაფიაში.

არანაკლები გმირული შრომა და თავდადება გამოიჩინა ზურგში დარჩენილმა საქართველოს მოსახლეობამაც. 1941 წლის სექტემბრიდან, გერმანელ ფაშისტთა საქართველოში შემოჭრის საშიშროების ჟამს, ჩვენი ქვეყნის 46 რაიონის მოსახლეობა აქტიურად შეუდგა თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობას დასავლეთ საქართველოში და 1942 წლის გაზაფხულზე დაამთავრა. ასევე დიდი სამუშაოები ჩაატარეს საქართველოს მშრომელებმა დარიალის ხეობისა და კავკასიის უღელტეხილების გასამაგრებლად. უმოკლეს ვადაში აითვისეს თავდაცვითი პროდუქციის წარმოება რესპუბლიკის ინჟინრებმა და მუშებმა. უკვე **1941 წლის ბოლოს საქართველოს ქარხნები უშვებდნენ ავტომატებს, ნაღმსატყორცნებს, ქვემეხის ჭურვებს, რეაქტიული ნაღმსატყორცნის ნაწილებს, არემონტებდნენ ტანკებს, თვითმფრინავებს, ავტომატებს, შაშხანებს. ლითონგადამამუშავებელმა მრეწველობამ ომის წლებში 1738 მლნ მანეთის პროდუქცია შექმნა და გადასცა სახელმწიფოს.**

კვების მრეწველობამ წითელ არმიას მიაწოდა 2,5 მლნ მანეთის პროდუქცია, **1942-43 წლებში საქართველოს მუშებმა ამიერკავკასიის ფრონტს გადასცეს 135 ათასი ავტომატი, 8500 ნაღმსატყორცნი, ასობით ავიაგამანადგურებელი, მილიონობით ვაზნა, ნაღმი, ქვემეხის ჭურვი, ხელყუმბარა, ტყვიამფრქვევი და სხვ. ომის წლებში საქართველოს მშრომელებმა თავდაცვის ფონდში შეიტანეს 3 340 293 500 მანეთი.**

ასევე დიდი იყო სოფლის მეურნეობის მუშაკთა წვლილი წითელი არმიის საკვებით მომარაგებაში. საქართველო გადაიქცა დაჭრილი საბჭოთა მეომრების სამკურნალო მძლავრ ბაზად. საქართველოში მოქმედებდა 90-ზე მეტი ჰოსპიტალი, რომლებშიც იმკურნალა 1 მლნ-ზე მეტმა მებრძოლმა, მათგან 700 ათასზე მეტი კვლავ დაუბრუნდა ფრონტს.

საქართველოს მეცნიერებმა, საკვლევ-სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტებმა მთელი თავისი საქმიანობა დაუმორჩილეს ფრონტის ინტერესებს. საქართველო იყო ჯავშანფოლადის საწარმოებლად ვოლფრამისა და მოლიბდენის ერთადერთი მიმწოდებელი. 1941-43 წ.წ. ქართველმა გეოლოგებმა მრეწველობას გადასცეს სასარგებლო წიაღისეულის 40-ზე მეტი საბადო. სამეცნიერო სფეროში მოღვაწეობდა გამოჩენილ მეცნიერთა მთელი პლეადა.

მრავალმა ქართველმა მწერალმა, პოეტმა, მხატვარმა, ჟურნალისტმა, დრამატურგმა, კინორეჟისორმა, კომპოზიტორმა თავისი შემოქმედება მტერზე გამარჯვების თემას დაუკავშირა. ბრძოლის ველზე დაეცა ქართული ინტელიგენციის ბევრი წარმომადგენელი. **ფრონტზე იბრძოდა საქართველოდან წარგზავნილი 46 გენერალი და ადმირალი, 23 ათასი ოფიცერი.** უშუალოდ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მხედართთავრებმა: **კონსტანტინე ლესელიძემ, პორფილე ჩანჩიბაძემ, ვლადიმერ ჯანჯღავამ, ვლადიმერ ნანეიშვილმა, ნიკოლოზ თავართქილაძემ, გიორგი ყურაშვილმა** და სხვ.

**165 ქართველ მეომარს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. 244 700 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჯილდოვდა სსრკ ორდენებითა და მედლებით. საქართველოს 333 344 მშრომელი დაჯილდოვდა მედლით „მამაცური შრომისათვის 1941-45 წლების დიდ სამამულო ომში", 46 191 მშრომელი კი — მედლით „კავკასიის დაცვისათვის".**

უდიდესი განსაცდელის ჟამს ქართველმა ხალხმა, ისევე, როგორც საბჭოთა კავშირის მოწინავე ერებმა, გამოავლინა საუკეთესო თვისებები: გმირული სული, გამძლეობა, თავდადება, საბოლოო გამარჯვების რწმენა.

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღეს — 1945 წლის 9 მაისს, ქართველი ხალხი საბჭოთა კავშირისა და ანტიფაშისტურ კოალიციაში შემავალი ქვეყნების ხალხებთან ერთად უდიდესი სიხარულით შეხვდა. მანამდე კი იყო ბერლინის დაცემა. 1945 წლის 30 აპრილს საბჭოთა ჯარებმა რაიხსტაგი აიღეს და მასზე წითელი დროშა აღმართეს საბჭოთა კავშირის გმირებმა რუსმა **მიხეილ ეგოროვმა** და ქართველმა **მელიტონ ქანთარიამ.** მოსკოვმა ბერლინის დაცემა 324 ქვემეხიდან 24 საარტილერიო ზალპით აღნიშნა. დამთავრდა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი სამხედრო კონფლიქტი ორ ქვეყანას შორის. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე განადგურდა ან ტყვედ **ჩავარდა მოწინააღმდეგის 607 დივიზია, მწყობრიდან გამოყვანილ იქნა ვერმახტის სამხედრო ტექნიკის 75%. სხვადასხვა მონაცემით, გერმანიამ დაკარგა 13,7 მლნ ადამიანი, საბჭოთა კავშირმა კი 27 მლნ. მათ შორის, 11,3 მლნ ფრონტზე. ფაშისტების მიერ შექმნილ სიკვდილის ბანაკებში დაიღუპა 5 მლნ ადამიანი, ოკუპირებულ ტერიტორიებზე — 7,4 მლნ-ზე მეტი მშვიდობიანი მოსახლე. გერმანიაში სამუშაოდ იძულებით იქნა გადაყვანილი 5 269 500 საბჭოთა მოქალაქე. მათგან ომის შემდეგ რეპატრიაციით დაბრუნდა 2 540 100 კაცი. მიზეზთა გამო ქვეყანაში არ დაბრუნდა და ემიგრანტებად დარჩა 451 100 კაცი. 2 164 300-ზე მეტი დაიღუპა ტყვეობაში. 114 000 ადამიანზე არ არის მონაცემები.**

70 წელი გავიდა ამ სისხლისმღვრელი ომის დამთავრებიდან, მაგრამ დღემდე არ შეწყვეტილა დისკუსიები და სამეცნიერო კონფერენციები, იბეჭდება ასობით სტატიები და წიგნები გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის მიზეზებსა და შედეგებზე. სამხედრო ისტორიკოსების, პოლიტოლოგების, სოციოლოგებისა და ექსპერტების მთელ თაობებს ვერ გაუციათ ამომწურავი პასუხი ერთ მარტივ კითხვაზე — **რა მოხდა 1941-45 წლებში, ანუ რა იყო მესამე რეიხის დამარცხების და საბჭოთა კავშირის გამარჯვების მიზეზები?** ამ კითხვაზე პასუხები განსხვავებულია. მაგალითად, ჰიტლერული გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა **იოაჰიმ ფონ რიბენტროპმა** დაასახელა 3 ძირითადი მიზეზი:

*საბჭოური წინააღმდეგობის სიძლიერის მოულოდნელობა(?!);

*შეიარაღებისა და ტექნიკის მიწოდების მასშტაბები აშშ-ის მიერ;

*დასავლელი მოკავშირეების წარმატებები საჰაერო ბრძოლებში.

ამერიკელი პოლიტოლოგი და სოციოლოგი, ცნობილი ანტისაბჭოთა იდეოლოგი **ზბიგნევ ბჟეზინსკი** კი ეწინააღმდეგება აშშ-ის როლის გაზვიადებულ წარმოდგენას. ის წერს: „პარადოქსალურია, რომ ნაცისტური გერმანიის განადგურებამ აამაღლა ამერიკის საერთაშორისო სტატუსი, თუმცა მას არ უთამაშია გადამწყვეტი როლი ჰიტლერიზმზე სამხედრო გამარჯვებაში. აღიარებულ უნდა იქნას, რომ დამსახურება ამ გამარჯვებაში ეკუთვნის სტალინურ საბჭოთა კავშირს..." და ეს ჭეშმარიტებასთან ყველაზე უფრო ახლოა.

ორიოდე სიტყვა ამ გამარჯვების მთავარ შემოქმედზე — იოსებ სტალინზეც.

ყველა ისტორიული პიროვნების პოლიტიკური მოღვაწეობა სავსეა შუქ-ჩრდილებით. იგივე შეიძლება ითქვას სტალინზეც, მაგრამ 1941-45 წლებში ფაშისტური აპოკალიფსის წინააღმდეგ ბრძოლაში მისი პიროვნება წარმოჩნდა აღმატებულ ხარისხში. კომუნისტური იდეოლოგიის უბადლო პროპაგანდისტმა შექმნილ ურთულეს სიტუაციაში შეძლო, დაერწმუნებინა ქვეყნის მრავალეროვანი მოსახლეობა, რომ ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა იყო „წმიდა ომი". საბჭოთა ხალხმა ირწმუნა მისი მოწოდება: „სიმართლე ჩვენს მხარესაა, ჩვენ გავიმარჯვებთ!". სტალინმა შეძლო, საბჭოთა სახელმწიფო გადაექცია ერთ მუშტად შეკრულ სამხედრო ბანაკად. მას იმედის თვალით შეჰყურებდნენ ფაშიზმის უღელქვეშ მყოფი ევროპის ხალხებიც.

როგორც უმაღლესმა მთავარსარდალმა, სტალინმა ფრონტებისა და არმიების სარდლებად დააწინაურა უნიჭიერესი მხედართმთავრების მთელი პლეადა ***(გიორგი ჟუკოვი, კონსტანტინე როკოსოვსკი, ალექსანდრე ვასილევსკი, ივანე კონევი, ანდრეი გრეჩკო, როდიონ მალინოვსკი, ივანე ბაგრამიანი, ნიკოლაი ვატუტინი, ვასილ ჩუიკოვი და სხვ.),*** რომელიც წარმატებითართმევდა თავს ურთულეს სამხედრო ოპერაციებს. მისი ხელმძღვანელობით შემუშავებული და განხორციელებული მრავალი სტრატეგიული და ტაქტიკური ოპერაცია სამხედრო ხელოვნების ნიმუშად დარჩება. უმაღლესი მთავარსარდლის მოვალეობის შესრულების პარალელურად სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა ქვეყანამ წარმატებით შეძლო უმძიმეს პირობებში ეკონომიკის სამხედრო ბაზის შექმნა და ომის გამარჯვებამდე მიყვანა.

# ომის პირველივე დღეებში სტალინმა ფრონტზე გაგზავნა უფროსი ვაჟიშვილი იაკობი და შვილობილი არტემ სერგეევი. მე-20 არმიის ბატარეის მეთაური არტილერიის უფროსი ლეიტენანტი იაკობ ჯუღაშვილი, ერთი ვერსიით, გმირულად დაიღუპა 1941 წლის ივლისში ვიტებსკთან ბრძოლებში. იგი დაჯილდოებულია სამამულო ომის I ხარისხის ორდენით (სიკვდილის შემდეგ). მოგვიანებით, 1943 წელს, ფრონტზე წავიდა სტალინის უმცროსი ვაჟიშვილიც — ვასილი სტალინი, რომელიც წარმატებული მფრინავი იყო. მას ბედმა გაუღიმა და ომის დამთავრების შემდეგ შინ მშვიდობით დაბრუნდა, ისევე, როგორც არტემ სერგეევი



უმაღლესი მთავარსარდლის ერთი მახასიათებელი შტრიხი: **ომის პირველივე დღეებში სტალინმა ფრონტზე გაგზავნა უფროსი ვაჟიშვილი იაკობი და შვილობილი არტემ სერგეევი. მე-20 არმიის ბატარეის მეთაური არტილერიის უფროსი ლეიტენანტი იაკობ ჯუღაშვილი, ერთი ვერსიით, გმირულად დაიღუპა 1941 წლის ივლისში ვიტებსკთან ბრძოლებში. იგი დაჯილდოებულია სამამულო ომის I ხარისხის ორდენით (სიკვდილის შემდეგ). მოგვიანებით, 1943 წელს, ფრონტზე წავიდა სტალინის უმცროსი ვაჟიშვილიც — ვასილი სტალინი, რომელიც წარმატებული მფრინავი იყო. მას ბედმა გაუღიმა და ომის დამთავრების შემდეგ შინ მშვიდობით დაბრუნდა, ისევე, როგორც არტემ სერგეევი.**

უნდა ითქვას, რომ მეორე მსოფლიო ომში ჩართული 70-მდე ქვეყნის არც ერთ ლიდერს არ დაუდევს ასე ბედის სასწორზე თავისი შვილების სიცოცხლე.

ტერმინებს — „დიდი სამამულო ომი" და „9 მაისი — დიადი გამარჯვების დღესასწაული" — პოსტსაბჭოთა ქვეყნებში აღარ იყენებენ. ზოგან ის კანონმდებლობითაც კი აიკრძალა.

ჩვენი აზრით, ვიდრე საქართველოში ცოცხლობს ომისდროინდელი თაობის თუნდაც ერთი წარმომადგენელი, საკითხისადმი ასეთი მიდგომა, არაეთიკური და მიუღებელია. ეს არ შეესაბამება ქართულ მენტალიტეტს! იმედია, მომავალ თაობებს ეყოფათ სიბრძნე, გონიერება და მოერიდებიან ისეთი გადაწყვეტილების მიღებას, რომლებიც შეაწუხებს ომში დაცემული ასეულათასობით ქართველ გმირთა სულებს. **დიახაც, „დიდი სამამულო ომი!" დიახაც, „9 მაისი — დიადი გამარჯვების დღესასწაული!"**

**სამარადისო დიდება დიდ სამამულო ომში გმირულად დაღუპულ საქართველოს შვილებს!**

**იაგო გოგსაძე,**
**გადამდგარი პოლკოვნიკი;**
**თენგიზ სირაძე,**
**გადამდგარი პოლკოვნიკი**

მსოფლიოს გარშემო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95








# ეთიოპია — ერთადერთი ტრადიციული ქრისტიანული ქვეყანა აფრიკაში



წმ. გიორგის სახელობის ეკლესია ლალიბეში

## გეოგრაფიული და დემოგრაფიული მონაცემები

ეთიოპია (ოფიციალური სახელწოდება — ეთიოპიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკა) აღმოსავლეთი აფრიკის სახელმწიფოა, რომელიც ადრე აბისინიად იწოდებოდა.

ეთიოპია ჩრდილო-აღმოსავლეთით ესაზღვრება ჯიბუტის, აღმოსავლეთით — სომალისა და აუღიარებელ სახელმწიფო სომალილენდს, სამხრეთით — კენიას, სამხრეთ-დასავლეთით — სამხრეთ სუდანს, ჩრდილო-დასავლეთით — სუდანს, ჩრდილოეთით — ერითრეას. 1993 წელს ერითრეას გამოყოფის შემდეგ ეთიოპიას ზღვაზე გასასვლელი აღარ აქვს.

სახელწოდება ეთიოპია ძვ. ბერძნულიდან მომდინარეობს და ნიშნავს: **„ადამიანი მზეზე დამწვარი/გარუჯული სახით“.** ძველქართულად — აბაშეთი.

ეთიოპია, რომელიც, როგორც სახელმწიფო ჩვ.წ.აღ. X საუკუნეში ჩამოყალიბდა, ერთ-ერთი ძველი ქრისტიანული ქვეყანა და სახელმწიფოა მსოფლიოში. ჩვ.წ.აღ. VII საუკუნეში ასირიის იმპერიისგან დამარცხებამდე, ეთიოპიური დინასტიები მართავდნენ ნუბიას, ეგვიპტესა და ქანაანს.

ეთიოპია აფრიკის კონტინენტის ყველაზე მთიანი ქვეყანაა. მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი უკავია ეთიოპიის მთიანეთს. უმაღლესი წერტილია **რას-დაშენი** (4620 მ).

**უდიდესი მდინარეა ნილოსის მარჯვენა შენაკადი აბაი, ანუ ცისფერი ნილოსი (1600 კმ.). უდიდესი ტბა — ტანა.**

კლიმატი. ეთიოპიის ტერიტორია განლაგებულია ეკვატორულ და სუბეკვატორულ ზონებში, მაგრამ ზღვის დონიდან 1800 მ-ზე. სწორედ ამით აიხსნება შედარებით რბილი კლიმატი ქვეყანაში. აქ ტემპერატურა წლის განმავლობაში **+25-დან +30** გრადუსამდე მერყეობს.

**ფლორა**. ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით ნახევარი ტყით არის დაფარული. ხარობს აკაცია, კომიფორა, ტერმინალია, ბამბუკი, რკინის ხე, ძელქვა, ფიკუსი, კედარი, ევკალიპტი, ყავა, ზეთოვანი კულტურები და სხვ.

**ფაუნა**. ეთიოპიაში ბინადრობს ჟირაფი, ლეოპარდი, ჰიპოპოტამი, ლომი, სპილო, ანტილოპა, მარტორქა,ზებრა, მაიმუნი.

ფრინველები: არწივი, შევარდენი, სირაქლემა.

მწერებიდან აღსანიშნავია **ბუზი ცეცე** და **სარანჩა**.

ეთიოპიის **ტერიტორია 1,1 მლნ კვ.კმ-ს შეადგენს** (27-ე მსოფლიოში).

**მოსახლეობა:** 2014 წლის აღწერით, ეთიოპიაში 93 მლნ კაცი ცხოვრობს (მე-13). 100-ზე მეტი ეთნიკური ჯგუფიდან ყველაზე მრავალრიცხოვანია ორომო — 32,6%, შემდეგ — ამჰარა — 30,1%, ტიგრაი — 6,25%, სომალი — 5,9%, გურაგე — 43%, სიდამო — 3,5%, უოლაიტა — 2,4%, სხვები — 15,4%.

**დედაქალაქი: ადის-აბება** (3,5 მლნ). დიდი ქალაქები: **დირე-დაუა** (400 ათასი), **ნაზრეთი** (300 ათასი), **გონდერი** (260 ათასი).

**ოფიციალური ენა: ამჰარული.**



ციხესიმაგრე გონდერში



ადის აბება

## მმართველობის ფორმა და რელიგია

ეთიოპია ფედერალური რესპუბლიკაა, რომელიც შედგება 9 ეთნიკური კილილისგან (შტატი).

სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რომელიც პარლამენტი 6 წლით ირჩევს. ამჟამად ეთიოპიის პრეზიდენტია **მულატუ ტეშომე.**

პრემიერმინისტრი — **ჰაილემარიამ დესალენი.**

საკანონმდებლო ორგანოა ორპალატიანი პარლამენტი.

**რელიგია.** ეთიოპია აფრიკის ერთადერთი ტრადიციული ქრისტიანული ქვეყანაა. მისი ძირითადი რელიგიაა აღმოსავლური ქრისტიანობა (ეთიოპიის მართლმადიდებელი ეკლესია). პერიფერიებში ძლიერი პოზიციები აქვს ისლამს. ორომოელთა ეთნიკურ ჯგუფში ბოლო ხანს მოიმატა ლუთერანელთა რაოდენობამ.

1994 წლის მონაცემებით, მოსახლეობის 60,8% ქრისტიანია (50,6% — ეთიოპიური ეკლესიის ადეპტი, 10,1% — პროტესტანტი, 0,9 — კათოლიკე), 32,8% — მუსლიმანი (სუნიტები), აფრიკული კულტების წარმომადგენლები — 4,6%; სხვები — 1,8%.

## ეკონომიკა

ეთიოპია აგრარული ქვეყანაა, სადაც მთავარ როლს დაბალშემოსავლიანი სამომხმარებლო სოფლის მეურნეობა თამაშობს.

მთავარი საექსპორტო კულტურა არის ყავა, რომლის წარმოებითაც ეთიოპია მსოფლიოში მე-7 ადგილზეა. მოჰყავთ, აგრეთვე, ხორბლის სხვადასხვა სახეობა, შაქრის ლერწამი, კარტოფილი და ბამბა. გარდა ამისა, ეთიოპიას საექსპორტოდ გააქვს საქონლისა და ცხვრის ხორცი, ტყავის ნაწარმი და ოქრო (მცირე რაოდენობით). ეს ქვეყანა წამყვან პოზიციაზეა აქლემების მოშენებისა და ექსპორტის მხრივ. გადამამუშავებელი წარმოება სუსტად განვითარებულია. აწარმოებენ სასმელებს, წამლებს, საპონს და ა.შ.

ეთიოპიის **მთლიანი შიგა პროდუქტი 51 მლრდ დოლარია** (93-ე), ერთ სულ მოსახლეზე — 570 დოლარი.

**ვალუტა — ეთიოპიური ბირი** (1 ბირი = 0,05 დოლარს).

**ინტერნეტდომენი: et**

**სატელეფონო კოდი: +251**

**საათობრივი სარტყელი: UTC +3**

## კულტურა

ეთიოპიის მრავალფენიანი კულტურის საფუძველი ბიბლიური ცივილიზაციაა. მასზე დიდი გავლენა იქონია ახლო აღმოსავლეთის უძველესმა კულტურებმა.

ეთიოპიის ლიტერატურა დაახლოებით 2 ათას წელს ითვლის. VIII საუკუნემდე ეს, ძირითადად, იყო წმინდა წერილები, რომლებიც ძველეთიოპიურ ენაზე (გეეზე) იწერებოდა. ახლა ამ ენას მხოლოდ ღვთისმსახურებისას იყენებენ. საუკუნეების განმავლობაში მთავარ საგანმანათლებლო ცენტრებს წარმოადგენდნენ მონასტრები, სადაც მისდევდნენ ხელოსნობას, ამზადებდნენ საიუველირო ნაკეთობებსა და ხატებს. მათი ნაწილი დღემდეა შემორჩენილი. საერთოდ კი, ეთიოპიის კულტურა სემიტური ტომებისა (ჰაბაშათი და გეეზი) და ადგილობრივი შავკანიანი მოსახლეობის შერწყმის შედეგად შეიქმნა. უძველესი ეთიოპიური წარწერები, რომლებიც ჩვ.წ.აღ. IV საუკუნეს მიეკუთვნება, არაბულ კულტურასთან არის დაკავშირებული. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ კი დაიწყო ბიბლიის თარგმნა ბერძნული და სირიული ენებიდან გეეზეს ენაზე. XVI საუკუნიდან კი იწყება ამჰარიული ლიტერატურის შექმნა. ეთიოპიური მწერლებიდან აღსანიშნავია **აფევორკ გაბრე იესუსი** (1868-1947), რომლის „გულით შექმნილი ისტორია“ ეთიოპიური კლასიკური ლიტერატურის ნიმუშად ითვლება.

**ღირსშესანიშნაობები:** ადის-აბებაში — იმპერატორ მენელიკ II სასახლე;; აფრიკის სასახლე; არქეოლოგიური მუზეუმი; სამხატვრო მუზეუმი. ლალიბელაში — XIII საუკუნის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი. გონდერში — მონასტრების კომპლექსი და მეფის სასახლე; ჰარერში — გუბერნატორის სასახლე; კოპტური ეკლესია; აქსუმის სამეფოს ქვის სასახლე. ბალეში — 15,1 კმ სიგრძის სოფ ომარის გამოქვაბული.

## ტიბსი

**ეთიოპიაში ყველაზე პოპულარული კერძია ტიბსი, რომელსაც საქონლის ან ცხვრის ხორცისგან ამზადებენ.**

**ინგრედიენტები:**

*ხორცი (ხბოს ან ცხვრის) — 0,5 კგ.
*ზეითუნის ზეთი — 100 მლ
*წიწაკა — 1 ც.
*ნიორი — 2 კბილი
*ხახვი — 2 ც
*ლუდი — 100 მლ
*ხორბლის ფქვილი — 300 გრ
*წითელი წიწაკა (დაფქული) 1 ს/კ
*ქინძი — 50 გრ
*კოჭა — 1 ჩ/კ
*მიხაკი — 1 ჩ/კ



**მომზადება:**

*თავდაპირველად მოზილეთ ცომი და გამოაცხვეთ თხელი ინჯერა (კვერი).

*ტაფაზე დაასხით ზეთი და დაყარეთ წვრილად დაჭრილი ხახვი, წიწაკა, ნიორი და ნელ ცეცხლზე მოხრაკეთ.

*პატარა ქვაბში ჩაყარეთ წითელი წიწაკა, ქინძი, მიხაკი, კოჭა, დაასხით წყალი და კარგად აურიეთ. მიღებული მასის (სოუსი ბერბერე) 3/4 გადაიტანეთ ტაფაზე და დააყარეთ წვრილად დაჭრილი ხორცი.

*ხორცი მაღალ ცეცხლზე შებრაწეთ, წვის პროცესში დაუმატეთ ზეთი, ბოლოს კი — ლუდი. მიღებული მასა გადაიტანეთ ინჯერაზე და მოასხით დარჩენილი ბერბერე. კერძი შეგიძლიათ, მორთოთ სალათის ფოთლებითა და მოხარშული კვერცხით.

## სამზარეულო

ეთიოპიური სამზარეულო, როგორც წესი, ბოსტნეულისა და ხორცეულისგან შედგება, რომლებსაც დებენ ინჯერაზე — 50 სმ დიამეტრის ტეფის (მარცვლეული) ფქვილისგან გამომცხვარ კვერზე. კოვზებისა და ჩანგლების ნაცვლად კი იყენებენ ინჯერას ნაჭრებს, რომელსაც მთლიანი კვერიდან ტეხენ. ძალიან პოპულარულია სანელებლები: ქინძი, მდოგვი, წითელი წიწაკა, ზაფრანა, მიხაკი.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

სასიკეთო პერიოდია რთული და ჩახლართული ვითარების ეფექტიანად მოსაგვარებლად. წარმატებას მიაღწევენ შემოქმედებითი სფეროს წარმომადგენლები: მხატვრები, მუსიკოსები, მწერლები, განსაკუთრებით — კუროსა და მშვილდოსნის ნიშნებით დაბადებულები.

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

22 - 28 აპრილის ასტროლოგიური პროგნოზი

## ვერძი
21 მარტი — 20 აპრილი

მოგიწევთ ფინანსური საკითხების მოგვარება. არ არის გამორიცხული დამატებითი შემოსავლების მიღება, თუმცა გასავალიც საკმაოდ გექნებათ, რაც საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებასთან იქნება დაკავშირებული.

გაგიჩნდებათ პროფესიულ საქმიანობაში წინსვლის შანსი, თუმცა გაფრთხილდით კოლეგებთან ურთიერთობისას, რადგან თქვენმა წინდაუხედავად ნათქვამმა, შესაძლოა, კონფლიქტი გამოიწვიოს.

მარტოხელა ვერძებმა, შესაძლოა, მომავალი მეუღლე გაიცნონ ან საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთან მეგობრობა სიყვარულში გადაეზარდოთ.

თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს და შეეცადეთ, დაასვენოთ ორგანიზმი, განსაკუთრებით — თვალები.

**დადებითი დღე: 22 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 25 აპრილი.**

## კურო
21 აპრილი — 21 მაისი

ამ პერიოდში რეკომენდებული არ არის ახალი პროექტების დაწყება. უმჯობესია, თქვენი ენერგია საყვარელი ადამიანის, შვილების, ოჯახის წევრების პრობლემების მოსაგვარებლად გამოიყენოთ.

წინდახედულობა და მომჭირნეობა დადებითად აისახება თქვენს ფინანსურ მდგომარეობაზე.

მოიმატებს თქვენი მომხიბვლელობა და საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლების ყურადღებას მიიპყრობთ. მარტოხელა კუროებს ახალი სიყვარული ეწვევათ. დაქორწინებულების ოჯახში კი ჰარმონია დაისადგურებს.

გაიძლიერეთ იმუნიტეტი ვიტამინებით მდიდარი საკვებით.

**დადებითი დღე: 24 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 22 აპრილი.**

## ტყუპი
22 მაისი—21 ივნისი

ამ პერიოდში ყველა მივლინება თუ მოგზაურობა წარმატებით დასრულდება. გაიცნობთ ახალ ადამიანებს, რომლებიც თქვენს მომავალზე დიდ გავლენას მოახდენენ.

მოგზაურობაში საკმაო თანხის დახარჯვა მოგიწევთ, მაგრამ ეს ყველაფერი დაკავშირებული იქნება თქვენს მომავალთან, ამიტომ ნუ იძუნწებთ. გაგიჩნდებათ დამატებითი შემოსავლის მიღების შანსი, თუმცა ვალებიც უნდა დააბრუნოთ.

მარტოხელა ტყუპმა შეიძლება გაიცნოს საწინააღმდეგო სქესის საინტერესო წარმომადგენელი, რომელთან ურთიერთობაც მგზნებარე რომანში გადაიზრდება.

სიფრთხილე გამოიჩინეთ ელექტროხელსაწყოების გამოყენებისას და ავტომობილის მართვისას, რადგან დიდია ტრავმირების ალბათობა.

**დადებითი დღე: 22 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 28 აპრილი.**

## კირჩხიბი
22 ივნისი—22 ივლისი

სამსახურში საქმე თავზე საყრელად გექნებათ, მაგრამ უნდა გაუმკლავდეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი პოზიციები შეირყევა.

თუ თავგამოდებით იმუშავებთ და ყველა დავალებას შეასრულებთ, კოლეგებისა და ხელმძღვანელების პატივისცემას დაიმსახურებთ, რაც შესაბამისად აისახება თქვენს მატერიალურ მდგომარეობაზე.

დატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო პირადი ცხოვრებისთვის დრო აღარ დაგრჩებათ და შეიძლება, უთანხმოება შეგექმნათ საყვარელ ადამიანთან. ამიტომ შეეცადეთ, მას ყველაფერი კარგად აუხსნათ.

ამ პერიოდში მაღალია ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა. გაუფრთხილდით სახსრებსა და ტერფებს!

**დადებითი დღე: 24 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 27 აპრილი.**

## ლომი
23 ივლისი —22 აგვისტო

რამდენიმე საინტერესო შემოთავაზებას მიიღებთ უცხოელი კოლეგებისგან და მომგებიან პროექტებში ჩაერთვებით, თუმცა დასახულ მიზნებს მხოლოდ თავდაუზოგავი შრომით მიაღწევთ.

გულდასმით დაგეგმეთ ხარჯები და შეეცადეთ, არ ჩაერთოთ სარისკო ფინანსურ ოპერაციებში.

თქვენმა იმპულსურობამ შეიძლება უთანხმოება წარმოშვას საყვარელ ადამიანთან ან ახლობლებთან, ამიტომ მოთოკეთ ემოციები და გადაწყვეტილებები მათი თვალსაზრისის გათვალისწინებით მიიღეთ.

ამ პერიოდში მაღალია ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა, რადგან თქვენი იმუნიტეტი დაქვეითებულია. მიიღეთ ვიტამინებით მდიდარი საკვები.

**დადებითი დღე: 28 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 26 აპრილი.**

## ქალწული
23 აგვ. —23 სექტემბ.

შესაძლოა, გაგირთულდეთ ურთიერთობა პარტნიორებთან. შექმნილი ვითარების გამო მოგიწევთ გადაწყვეტილებების სწრაფად მიღება. სიტუაციის გასაკონტროლებლად გამოავლინეთ თქვენი საუკეთესო თვისებები — ორგანიზებულობა და ანალიზის უნარი. პრობლემების მოსაგვარებლად დახმარება გამოცდილ და მცოდნე ადამიანებს სთხოვეთ.

მეტი დრო დაუთმეთ ოჯახის წევრებს, განსაკუთრებით — შვილებს. მათ ახლა ძალიან სჭირდებათ თქვენი ყურადღება და მზრუნველობა.

ამ პერიოდში დიდია ქრონიკული დაავადებების გამწვავების რისკი, რადგან დაქვეითებულია თქვენი იმუნიტეტი.

მიიღეთ ვიტამინებით მდიდარი საკვები და ფიზიკურად მეტად დაიტვირთეთ.

**დადებით დღე: 22 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 26 აპრილი.**

## სასწორი
24 სექტ. — 23 ოქტ.

ამ პერიოდში შეეცადეთ, დაამტკიცოთ, რომ თქვენი პროექტები პერსპექტიულია და მზად ხართ თავდაუზოგავი მუშაობისთვის.

წარმატებას მიაღწევენ ის სასწორები, რომლებიც პოლიტიკის სფეროში მოღვაწეობენ.

მარტოხელა სასწორი შეიძლება, შეხვდეს საპირისპირო სქესის საინტერესო წარმომადგენელს, რომელსაც თავის მომავალს დაუკავშირებს.

დაოჯახებულ სასწორებს კი, თუ ძველი წყენა დავიწყებული არ აქვთ, ახლობელ ადამიანებთან კონფლიქტის ახალი ფაზა ელით.

ამ პერიოდში მაღალია შარდ-სასქესო სისტემის ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა. საერთოდ კი, კარგი იქნება, თუ ექიმთან მიხვალთ და გამოკვლევებს ჩაიტარებთ.

**დადებითი დღე: 24 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 27 აპრილი.**

## მორიელი
24 ოქტ. — 22 ნოემბ.

მისწრაფება, რომ ყველაფერი თქვენი სურვილის მიხედვით აკეთოთ, სირთულეებს შეგიქმნით. ხელმძღვანელთა მიერ მოცემული დავალებები ყურადღებით გაანალიზეთ და გულდასმით შეასრულეთ.

დამატებით შემოსავალი თქვენს ფინანსურ მდგომარეობას გააუმჯობესებს და ხელმომჭირნედ ცხოვრება აღარ დაგჭირდებათ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება, თუ პრობლემურ საკითხებზე გადაწყვეტილებებს კონსენსუსით მიიღებთ.

გაუფრთხილდით ნერვებს — თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს და ეცადეთ, მეტი დაისვენოთ.

**დადებითი დღე: 22 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 27 აპრილი.**

## მშვილდოსანი
23 ნოემ. — 21 დეკ.

იღბლიანი პერიოდია შემოქმედებითი პროფესიების მშვილდოსნებისთვის — მხატვრების, მუსიკოსებისა და მსახიობებისთვის. ხელმძღვანელ მშვილდოსნებს კი თანამშრომლებისადმი მეტი ყურადღება მართებთ. გააკონტროლეთ ვითარება და შეეცადეთ, კოლექტივის სუსტი რგოლები გააძლიეროთ. ფული ეკონომიურად ხარჯეთ.

სასიამოვნო სიურპრიზი გელით საყვარელი ადამიანისგან და თქვენც ვალში არ უნდა დარჩეთ.

ყურადღება მიაქციეთ თქვენს ემოციურ მდგომარეობას. ნერვული გადაღლილობის მიზეზი შეიძლება იყოს სისხლის მიმოქცევის დარღვევა, ამიტომ ორგანიზმი მეტისმეტად არ გადატვირთოთ, სრულფასოვნად დაისვენეთ და ძალები აღიდგინეთ.

**დადებითი დღე: 22 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 24 აპრილი.**

## თხის რქა
22 დეკემ. — 20 იან.

ახალი საქმის დაწყება რეკომენდებული არ არის. ამ პერიოდში თხის რქებმა თავიანთი ორგანიზატორული უნარი და ძალისხმევა საოჯახო საქმეების მოგვარებისკენ უნდა მიმართონ.

შესაძლოა, გაიცნოთ ადამიანები, რომლებიც კარიერის კიბეზე მაღლა ასვლაში დაგეხმარებიან.

მარტოხელა თხის რქები საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთა ყურადღებას მიიპყრობენ, თუმცა ურთიერთობისას ლიდერის როლს ნუ ითამაშებთ — მოთმინებით დაელოდეთ პროცესების ბუნებრივი გზით განვითარებას.

ამ პერიოდში თქვენს ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება. თუმცა კარგი იქნება, თუ კვების რეჟიმს დაიცავთ.

**დადებითი დღე: 25 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 27 აპრილი.**

## მერწყული
21 იან. — 19 თებ.

ეძებეთ თანამოაზრეები. სწორედ ისინი იქნებიან მთავარი დასაყრდენი დასახული მიზნებისკენ მიმავალ გზაზე. დახმარების ხელს, აგრეთვე, გამოგიწვდიან ძველი მეგობრებიც, თუმცა ჯერ ძველი, მივიწყებული პრობლემების მოგვარება მოგიწევთ.

წინა პლანზე წამოიწევს ოჯახის წევრების პრობლემები და ნათესავებთან ურთიერთობები, რადგან მათთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება თქვენი მხარდაჭერა.

ამ პერიოდში თქვენი იმუნიტეტი დაქვეითებულია, ამიტომ მიიღეთ ვიტამინებით მდიდარი საკვები და კარგად გამოიძინეთ.

**დადებითი დღე: 24 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 27 აპრილი.**

## თევზები
20 თებ. — 20 მარტი

აქტიური პერიოდია. სწორედ ახლა გამოიღებს ნაყოფს თქვენი თავდადებული მუშაობა, თუცმა მიღწეულით ნუ დაკმაყოფილდებით და გულმოდგინედ განაგრძეთ დასახული მიზნებისკენ სვლა. რთულ სიტუაციებში გადაწყვეტილებების მიღებისას ენდეთ ინტუიციას.

მარტოხელა თევზებმა შეიძლება გაიცნონ საპირისპირო სქესის წარმომადგენელი, რომელიც შეცვლის მათ ცხოვრებას. დაოჯახებული თევზებს კი სასიამოვნო სიურპრიზი ელით ახლობელი ადამიანების მხრიდან.

ახლა მაღალია ალერგიული დაავადებების გამწვავების ალბათობა, ამიტომ დროულად მიმართეთ სამედიცინო დაწესებულებას და ჩაატარეთ გამოკვლევები.

**დადებითი დღე: 22 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 27 აპრილი.**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ალკოჰოლურ სასმელებს შორის ყველაზე სახელგანთქმული კონიაკია. მის განსაკუთრებული სტატუსს მაღალი საგემოვნო თვისებები განსაზღვრავს. ის მხოლოდ ყურძნის სპირტისგან მზადდება და მუხის კასრებში ინახება.**



# ზოგი რამ კონიაკის შესახებ

**კონიაკს სახელი საფრანგეთის ქალაქ კონიაკის პატივსაცემად ეწოდება. ამ ქარვისფერმა სასმელმა, რომელიც თეთრი ყურძნის ორმაგი გამოხდის შედეგად მიღებული სპირტისგან მუხის კასრში დაძველების გზით მზადდება, მსოფლიო დაიპყრო. რთული ვანილის არომატისა და რბილი ჰარმონიული გემოს წყალობით კონიაკი არამხოლოდ მეტად პოპულარულ სასმელად, არამედ კანფეტების, ნამცხვრებისა და ტორტების შეუცვლელ კომპონენტად იქცა. ფრანგული ლექსიკონი კონიაკს „ცოცხალ წყალს“ უწოდებს, ფრანგები კი სამართლიანად ამაყობენ იმით, რომ მსოფლიოს დიდებული სასმელი აჩუქეს.**



ორნახადობის მეთოდით კონიაკის სპირიტს მიღების შესახებ არაერთი ლეგენდა არსებობს, რომლებიც ერთ პერსონას — ჟაკ დე ლა კრუა-მარონ შევალიეს უკავშირდება. ერთნი მას შარანტელ ალქიმიკოსად მოიხსენიებენ, რომელმაც ხელოვნური ოქროს მისაღებად საჭირო კვინტესენციის მეხუთე ელემენტის ძიებაში მეორედ გაატარა ყურძნის სპირტი სახდელ აპარატში. ფილოსოფიური ქვის საიდუმლოს ამოხსნის ნაცვლად, მან კონიაკის მიღების საიდუმლო ამოხსნა.

მეორე ვერსიით, იგივე შევალიე, ყოფილი სამხედრო პირი, ღვინის იმპორტით ყოფილა დაკავებული. ერთ ღამეს საშინელი სიზმარი უნახავს, როგორ ჩააგდო მდუღარეში მისი სულის მითვისების მიზნით ეშმაკმა 2-ჯერ. სიზმრით შეშინებული შევალიე პანიკაში არ ჩავარდნილა და მან ეს მინიშნებად მიიღო.

ყურძნის სპირიტის 2-ჯერ გამოხდით მან მშვენიერი სასმელი მიიღო და ამ სითხით სავსე 2 კასრით ნაცნობ ბერებთან გაემგზავრა. დეგუსტაციამ წარმატებით ჩაიარა და ერთი კასრი იქვე დაიცალა. მეორე



მონასტრის სარდაფში განსაკუთრებული შემთხვევისთვის შეინახეს.

ეს განსაკუთრებული დღე მხოლოდ 15 წლის შემდეგ დამდგარა, როცა შევალიეს ბერები ესტუმრნენ და თან გადანახული კასრიც მოიტანეს. გახსნისას აღმოაჩინეს, რომ კასრი ნახევრად ცარიელი იყო, ხოლო შიგ დარჩენილი სასმელი — საოცრება. სწორედ ასე მიხვდნენ, რა განსხვავებაა დაძველებულ და ახალ კონიაკს შორის და რა სარგებლობა მოაქვს მუხის კასრს.

**ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეში თანამედროვე საფრანგეთის ტერიტორიაზე რომაელებმა ვენახის გაშენება დაიწყეს. მოგვიანებით, III საუკუნის ბოლოს, რომის იმპერატორმა პრობუსმა მეღვინეობის წარმოება გააფართოვა.**

XII საუკუნეში ჰერცოგ გილიომ X და გრაფ პუატიეს წყალობით ლა-როშელის ირგვლივ გაჩნდა დიდი ვენახი, რომელსაც პუატუს ვენახი უწოდეს. შემდგომ საუკუნეში ამ ყურძნისგან აყენებდნენ ღვინოს, რომელიც არამხოლოდ საფრანგეთში, არამედ სხვა ქვეყნებშიც იყიდებოდა.

ნავების ერთ-ერთი სადგური, რომელიც მდინარე შარანტის აუზში მდებარეობდა, თავისი ვენახების ხარისხითა და სიძველით გამოირჩეოდა. ამ სადგურს კონიაკი ერქვა. XVI საუკუნის მეორე ნახევარში ჰოლანდიური გემები ამ ტერიტორიაზე ცნობილი ღვინოების — შამპანისა და ბორდოსთვის შედიოდნენ.

ადგილობრივი ყურძნისგან იმდენი ღვინის წარმოება დაიწყეს, რომ მისი შეგროვება გართულდა. სასმელის ხარისხი დაეცა. დაბალალკოჰოლური და მჟავე სასმელი ზღვით ხანგრძლივ გადატანას ვერ უძლებდა. ამასთან, სასმელის კასრებით გადატანა შრომატევადი და ეკონომიურად წამგებიანი საქმე გახდა.

1641 წელს მაგიდის თეთრ ღვინოზე გადასახადის რაოდენობა გაიზარდა. ასეთი სასმელი შარანტის დეპარტამენტის მეღვინეებს ინგლისში, შვედეთსა და ნორვეგიაში გაჰქონდათ. იმისთვის, რომ მომატებული გადასახადი არ დაეფარათ, გადაწყვიტეს პროდუქციის მოცულობა ღვინის გამოხდით შეემცირებინათ. ფიქრობდნენ, რომ ამ გზით მიღებული სასმელი მოგვიანებით წყლით გაზავდებოდა და ჩვეულებრივი ღვინო იქნებოდა, მაგრამ მიღებულმა სითხემ, რომელიც ღვინოს ნამდვილად არ ჰგავდა, თვით მწარმოებლების მოწონება დაიმსახურა.

კონიაკი განსაკუთრებულად პოპულარული მაშინ გახდა, როდესაც ლუდოვიკო XIV-მ გასინჯა და შეაფასა. სამეფო კარზე სასმელს სანახევროდ წყლით გაზავებულს და მცირე დოზით შეექცეოდნენ. 1701 წელს საფრანგეთსა და ინგლისს შორის ესპანეთის მემკვიდრეობისთვი ომი გაჩაღდა. საფრანგეთი ინგლისის ფლოტის მიერ ბლოკირებული იყო, რამაც ინგლისში კონიაკის სპირტის ტრანსპორტირებას ხელი შეუშალა.

სასმელის დიდი ნაწილი მუხის კასრებში ინახებოდა. მუხის კასრებში დაძველების შემდეგ მისი ხარისხი საგრძნობლად უმჯობესდებოდა: მცირდებოდა მისი სიმაგრე, არომატი უფრო მდიდარი გახდა.

**კონიაკის შექმნის პრიორიტეტი რომ დაემტკიცებინათ, 1909 წლის 1 იანვარს საფრანგეთში სპეციალური დეკრეტი მიიღეს. დადგენილ იქნა იმ ტერიტორიის საზღვრები, რომლის პროდუქციასაც ყურძნის ბრენდის სახით უფლება აქვს, კონიაკად იწოდებოდეს.**

არსებული კანონმდებლობის მიხედვით, მაგარი სპირტიანი სასმელები, რომლებიც ღვინის დისტილაციის გზით მიიღება, მაგრამ საფრანგეთის სხვა რაიონებში მზადდება (და არა იქ, რომელიც დეკრეტით დადგინდა), არ შეიძლება კონიაკად იწოდებოდეს. სხვადასხვა ქვეყანაში კონიაკის ტიპის სასმელს არმანიაკი, ბრენდი და ა.შ. ჰქვია.

**ალკოჰოლურ სასმელებს შორის ყველაზე სახელგანთქმული კონიაკია. მის განსაკუთრებული სტატუსს მაღალი საგემოვნო თვისებები განსაზღვრავს. ის მხოლოდ ყურძნის სპირტისგან მზადდება და მუხის კასრებში ინახება.**

სიტყვა „კონიაკი“ თავისუფლად შეიძლება ყველაზე პოპულარულ სიტყვად ჩაითვალოს მსოფლიოში. მისი მნიშვნელობა ესკიმოსებმაც კი იციან. XVII საუკუნიდან კონიაკი საფრანგეთიდან ექსპორტირდებოდა არა მხოლოდ ინგლისში, სკანდინავიის ქვეყნებსა და რუსეთში, არამედ ლუიზიანაში, გვინეაში, აზიასა და შორეულ აღმოსავლეთშიც. კონიაკის საუკეთესო პოპულარიზატორი თავის დროზე ინგლისი გახდა, ამ ქვეყნის მოქალაქეთა განსაკუთრებული სიყვარულის წყალობით დიდებული სასმელის მიმართ.

ყოველწლიურად ჩამოსხმული 200 მილიონი ბოთლიდან, 95% ექსპორტზე მოდის.

დღეს კონიაკის მთავარი მომხმარებელი მსოფლიოში ამერიკაა, შემდეგ მოდის ინგლისი, გერმანია, ჰონგ-კონგი, იაპონია. აზიაში მხოლოდ მაღალხარისხიანი პროდუქცია შედის, მაგალითად, იაპონიაში მხოლოდ საუკეთესო კონიაკი იყიდება. იაპონელები სულ უფრო აქტიურდებიან ძველ, ესე იგი ყველაზე ძვირფასი კონიაკის მოხმარებაში.

კონიაკის ხარისხის ყველაზე მთავარ, მაგრამ არაერთადერთ განმსაზღვრელად მისი ასაკი ითვლება.

კონიაკის წარმოების ტექნოლოგია რამდენიმე ასწლეულის განმავლობაში გაუმჯობესდა და სრულყოფილი გახდა. თეთრი ყურძნის შერჩეული სახეობები (უნი-ბლანი, კოლომპარი, ფოლ-ბლანში, სენტ-ემილიონი), რომლებიც ოქტომბერში იკრიფება, სპეციალური მეთოდით იწურება. მიღებული წვენის დუღილი დაახლოებით 3-4 კვირის განმავლობაში მიმდინარეობს. შედეგად, ახალგაზრდა, მშრალი ღვინო ბლან-დე-ბლანი (Blanc de Blanc) მიიღება.

კონიაკის წარმოებაში ძალიან მნიშვნელოვანია პირველი ეტაპი – ე. წ. გამოხდა. ის მოსავლის აღების შემდგომ წელს აუცილებლად 31 მარტამდე ხდება. როგორც პირველი, ისე მეორე გამოხდა ხორციელდება სპეციალური აპარატის მეშვეობით, რომელსაც alambic charentais ჰქვია. ტრადიციისამებრ, ის სპილენძისგან მზადდება, რადგან სპილენძი მდგრადია ღვინის მჟავის მიმართ. 9 ლიტრი ღვინის გამოხდა დაახლოებით 1 ლიტრ კონიაკის სპირტს გვაძლევს. საწყის დისტილანტს — ტეტეს და ბოლოს, რომელსაც გუენეს ჰქვია, ასხამენ, რადგან ის ბევრ არასახარბიელო ნივთიერებას შეიცავს.

მეორე გამოხდა განსაკუთრებულ დაკვირვებასა და ყურადღებას მოითხოვს. მას bonne chaaffe ჰქვია. სპირტი 12 საათის განმავლობაში ნელა გამოიხდება. ისევე, როგორც პირველი დისტილაციის შემთხვევაში, რჩება მხოლოდ ერთი „გული“. სითხე, რომლის სიმაგრეც 69-დან 72 გრადუსამდე მერყეობს, შემდგომში დაძველდება.

შემდგომი ეტაპი კონიაკის დაძველებაა, რაც ყველაზე მნიშვნელოვნად ითვლება. სასმელი 350 ლიტრიან მუხის კასრებში, 3-დან 5 წლამდე და მეტი ხნითაც ძველდება. მასალა, რომლისგანაც კასრია დამზადებული, არანაკლებ მნიშვნელოვანია. კონიაკის შენახვის ვადა დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე და შეიძლება 100 წელს აღწევდეს.

ამბობენ, რომ ფრანგებმა მსოფლიოს კონიაკი აჩუქეს, არმანიაკი კი თავისთვის დაიტოვეს და ამით არც არაფერი წაუგიათ. ეს ორი სასმელი ძალიან ჰგავს ერთმანეთს, თუმცა იდენტური ნამდვილად არ არის.

**არმანიაკი** მაგარი ალკოჰოლური სასმელია, რომელიც საფრანგეთის პროვინცია გასკონში მზადდება და კონიაკზე ბევრად ასაკოვანია. ვატიკანის ბიბლიოთეკაში ინახება ქალაქ ოზის მონასტრის აბატეს — ვიტალი დოფურის მიერ 1310 წელს დაწერილი „ძალზე სასარგებლო წიგნი იმაზე, თუ როგორ შევინარჩუნოთ ჯანმრთელობა და ვიყოთ შესანიშნავ ფორმაში“, სადაც ავტორი არმანიაკის წინაპრის — „ცეცხლოვანი წყლის“ 40 სასარგებლო თვისებაზე საუბრობს.

მართალია, არმანიაკი კონიაკივით პოპულარული არ არის, მაგრამ ჭეშმარიტ დამფასებელთა სიყვარული, დიდი ხანია, დაიმსახურა. ფრანგები, ძირითადად, სწორედ მას გეახლებიან.

**XIX საუკუნის შუა წლებში არმანიაკის ვენახები 100 000 ჰექტარზე იყო გაშენებული. 1879 წელს ფილოქსერას ეპიდემიამ აქაური ვაზი თითქმის მთლიანად გაანადგურა. სასმელის წარმოება მხოლოდ XX საუკუნის 20-იანი წლებიდან აღდგა. დღეს არმანიაკის ვენახთა ფართობი მხოლოდ 42 000 ჰექტარია. აქ მოყვანილი ყურძენი ადგილობრივი ღვინოების — კოტ დე გასკონის (Vin de Pays des Cotes de Gascogne) და „გასკონის ყვავილის“ სახელით ცნობილი სასმელის — ფლოკ დე გასკონის (Floc de Gascogne) დასამზადებლადაც გამოიყენება.**

არმანიაკის დასამზადებლად ყურძნის 10 ჯიშია ნებადართული, მაგრამ რეალურად მხოლოდ ოთხი გამოიყენება. ესენია: უნი ბლანი, ფოლ ბლანში, ბაკო და კოლომბარი. სწორედ ისინი აკმაყოფილებს ყველაზე მეტად მწარმოებელთა მოთხოვნებს: საკმაოდ მდგრადია ავადმყოფობათა და კლიმატური პირობების მიმართ და მაღალი მჟავიანობის გამო ისეთი ღვინის მიღების საშუალებას იძლევა, რომელიც კონცენტრირებული არომატებითა და ალკოჰოლის დაბალი შემცველობით (10-10,5%) გამოირჩევა.

აღსანიშნავია, რომ ღვინის ფერმენტაცია მხოლოდ ნატურალურ საფუარზე მიმდინარეობს, რაიმე სახის დანამატები აკრძალულია.

ორმაგი დისტილაციიდან უწყვეტ პროცესამდე არმანიაკს სპეციალურ ჭურჭელში, ალამბიკში, ხდიან, რომელიც 1818 წელს დააპატენტეს. მანამდე კონიაკის გამოსახდელ შარანტის ტიპის კუბს იყენებდნენ. მისგან განსხვავებით, ალამბიკი უწყვეტი მოქმედების აპარატია, რომელიც ნაკლებად მაგარ, თუმცა ძალზე არომატულ ო-დე-ვის იძლევა.

ალამბიკი სუფთა სპილენძისგან მზადდება და მას აუცილებლად შეშით ან ბუნებრივი აირით ახურებენ. უნდა ითქვას, რომ ეს დანადგარი მუშაობისას ძალზე შთამბეჭდავი სანახავია: ერთი კოლონა ცეცხლისგან ქშინავს და უზარმაზარ ღუმელს წააგავს, მეორე კი — გაგრილების ფუნქციას ასრულებს. მისი შიგთავსიდან უწყვეტ ნაკადად მოედინება გამჭვირვალე, არომატული სპირტი. ამბობენ, რომ თითოეული ალამბიკი განუმეორებელია, ისევე, როგორც მათგან მიღებული სასმელი.

გამოხდის შემდეგ სპირტს 400-ლიტრიან ახალი მუხის კასრებში ასხამენ და სარდაფში ათავსებენ. ტრადიციულ გასკონურ კასრს პიესო (400-420ლ) ჰქვია და მის დასამზადებლად შავი გასკონური ან ლიმუზენური მუხა გამოიყენება. თუმცა ზოგიერთი მწარმოებელი არმანიაკის დასავარგებლად სხვა ჯიშის მუხის კასრს იყენებს: ვოზეგის, ალიერის და სხვ.

საუკუნეთა განმავლობაში გასკონიის მცხოვრებთ ამ სასმელის ჯადოსნური თვისებების სჯეროდათ, რომელთა შესახებ უკვე შუა საუკუნეებში არაერთი ტრაქტატი დაიწერა.

**დღეს არმანიაკის დადებითი გავლენა ჯანმრთელობაზე მეცნიერულად დასტურდება. ბორდოს უნივერსიტეტის პროფესორის — ნიკოლას მორას კვლევებით, გასკონში სიცოცხლის ხანგრძლივობა საშუალოდ 2 წლით მეტია, ვიდრე დანარჩენ საფრანგეთში. პროფესორი ამ ფაქტს არმანიაკის რეგულარული და ზომიერი გამოყენებით ხსნის.**

საზოგადოდ, მუხის კასრში ყურძნის სპირტი არამხოლოდ არაჩვეულებრივ გემოს, არამედ მრავალ სამკურნალო თვისებასაც იძენს. კონიაკის შემადგენლობაში შემავალი ტანინი და მთრიმლავი ნივთიერებები ხელს უწყობს C ვიტამინის სწრაფ ათვისებას, აუმჯობესებს ნაღვლის წვენის სტიმულაციას და საჭმლის მონელების პროცესს. განსაკუთრებით სასარგებლოა ხუთიდან ათ წლამდე დაძველების კონიაკი. შედარებით ახალგაზრდა სასმელს ჯერ კიდევ არ გააჩნია კონიაკისთვის დამახასიათებელი ყველა აუცილებელი თვისება, ხოლო შედარებით ძველი, შესაძლოა, მთრიმლავი ნივთიერებებით იყოს გადატვირთული.

***ამერიკელი ექიმები გვირჩევენ, სტენოკარდიის შეტევის მოსახსნელად მივიღოთ 20-30 მლ კონიაკი ნატეხ შაქართან ერთად. ტკივილი მართლაც მყისიერად გაივლის.**

*ბრონქული ასთმის დროს ერთმანეთში კარგად აურიეთ თითო ჭიქა გასრესილი შტოში, თაფლი და კონიაკი. მიიღეთ დღეში 3-ჯერ ჭამამდე თითო სუფრის კოვზი. მკურნალობის კურსია 1 კვირა.

*ქრონიკული მშრალი ხველის დროს 1 კგ ნიგვზის ულელს დაასხით 0,5 ლ კონიაკი, 1 კვირით დატოვეთ მჭიდროდ თავდახურულ მინის ჭურჭელში, შემდეგ გაფილტრეთ. მიიღეთ თითო სუფრის კოვზი დღეში 3-ჯერ, ჭამამდე. მკურნალობის კურსია 14 დღე, საჭიროების შემთხვევაში შეგიძლიათ გაიმეოროთ ერთკვირიანი შესვენების შემდეგ.

*პანკრეატიტის დროს ▶



## კონიაკის წარმოებაში ქართული ბრენდის ისტორია XIX საუკუნის შუა ხანებიდან იწყება, როცა ქუთაისში გიორგი ბოლქვაძემ ალკოჰოლური სასმელების, მათ შორის კონიაკის, მცირე საწარმო გახსნა. თუმცა ქართული კონიაკის წარმოების განვითარება და ოქროს ხანა ცნობილ ქართველ მეცენატს და საზოგადო მოღვაწეს — დავით სარაჯიშვილს უკავშირდება.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ერთმანეთში აურიეთ 1 ლ კონიაკი, 1 კვერცხის ცილა და ნახევარი ლიმონის წვენი. მიიღეთ თითო სუფრის კოვზი დღეში 3-ჯერ, ჭამამდე. მკურნალობის კურსია 3-4 კვირა.

*კბილის ტკივილისას 1 სირჩა კონიაკში გახსენით 1 ჩაის კოვზი სუფრის მარილი, დაასველეთ მასში ბამბის 2 ცალი ტამპონი. ერთი მტკივანი კბილის მხარეს ყურში ჩაიდეთ, მეორე კი თავად კბილზე დაიდეთ. რამდენიმე წუთის შემდეგ შვებას იგრძნობთ.

*ფარინგიტისა და ლარინგიტის დროს 1/2 ჭიქა ანისულის მარცვალს დაასხით 1 ჭიქა წყალი, ადუღეთ 15 წუთს, გაფილტრეთ, დაამატეთ 1/4 ჭიქა ცაცხვის თაფლი და წამოადუღეთ. შემდეგ ქურიდან გადმოდგით და დაამატეთ 1 სუფრის კოვზი კონიაკი. მიიღეთ თითო სუფრის კოვზი საათში ერთხელ. მკურნალობის კურსი 4-5 დღეა. ხმის დაკარგვის დროს გამოგადგებათ შემდეგი საშუალება: აიღეთ 3-3 სუფრის კოვზი კონიაკი და თაფლი და 3 უმი კვერცხი, კარგად აურიეთ ერთმანეთში და მიიღეთ თითო ჩაის კოვზი 15-30 წუთში ერთხელ მთელი დღის განმავლობაში.

გაციებისას მომინანქრებულ ჭურჭელში ერთმანეთში აურიეთ 1 ჭიქა მაგარი ტკბილი ჩაი, 1 სუფრის კოვზი რომი და 1 ჩაის კოვზი კონიაკი, დაახურეთ თავზე და წამოადუღეთ. მიიღეთ თბილი, 100-100 მლ დღეში 1-2-ჯერ. სასურველია, მიღების შემდეგ თბილად ჩაწვეთ ლოგინში.

**კონიაკის წარმოებაში ქართული ბრენდის ისტორია XIX საუკუნის შუა ხანებიდან იწყება, როცა ქუთაისში გიორგი ბოლქვაძემ ალკოჰოლური სასმელების, მათ შორის კონიაკის, მცირე საწარმო გახსნა. თუმცა ქართული კონიაკის წარმოების განვითარება და ოქროს ხანა ცნობილ ქართველ მეცენატს და საზოგადო მოღვაწეს — დავით სარაჯიშვილს უკავშირდება.** მან არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთის მაშინდელ იმპერიაში პირველმა წამოიწყო კონიაკის მსხვილმასშტაბიანი წარმოება. სარაჯიშვილმა საწარმოები გახსნა საქართველოშიც, სომხეთშიც, დაღესტანსა და მოლდავეთშიც.

„დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი, – წერდა გაზეთი „ზაკავკაზიე", საქართველოს ერთერთი საუკეთესო შვილთაგანი, უნაკლო და კეთილშობილი საზოგადო მოღვაწე, ძველ თბილისელ მოქალაქეთა შთამომავალი, ევროპული განათლების მქონე, პატრიარქალურ ქართულ წეს-ჩვეულებებზე აღზრდილი, გერმანიის უნივერსიტეტის ქიმიის დოქტორი, იყო პიროვნება, რომელიც სამრეწველო წარმოების წამომწყები და მხატვრული ლიტერატურის ფაქიზი დამფასებელი, პრაქტიკოსი საქმის კაცი და მოაზროვნე თეორეტიკოსი გახლდათ".

დავით სარაჯიშვილის მიერ წარმოებულ ბრენდის თავდაპირველად „კავკასიური კონიაკი" ერქვა და რუსეთის იმპერიაში ფრანგულ კონიაკებსაც უწევდა კონკურენციას. 1909 წელს საფრანგეთში გამოიცა დეკრეტი, რომლის თანახმად, „კონიაკი" მარტო ფრანგულ, კონიაკის სპეციფიკურ მიკროზონაში წარმოებულ სასმელს უნდა ერქვას. ამის მიუხედავად, ქართული „კონიაკი" XX საუკუნის ბოლომდე არსებობდა, რადგან საბჭოთა პერიოდში დასავლეთის ბაზრების კაპიტალისტურ კანონებს ანგარიშს არავინ უწევდა.

საბჭოთა პერიოდის ქართული ბრენდი, რომლის წარმოებას სარაჯიშვილის მოწაფე ვახტანგ ციციშვილი და სხვა პროფესიონალი ტექნოლოგები აგრძელებდნენ, მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა. ცნობილია შემთხვევა, როცა იალტის ისტორიულ კონფერენციაზე დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრმა — უინსტონ ჩერჩილმა ციციშვილის მიერ წარმოებული „ენისელი" ფრანგული კონიაკისგან ვერ განასხვავა.

რუსეთის იმპერიაში კონიაკზე მოთხოვნა XIX საუკუნის II ნახევარში გაიზარდა. კონიაკის სრულყოფილი წარმოების შექმნამდე რუსეთში კონიაკს უწოდებდნენ ყოველგვარ არაყს, რომელიც ყურძნისგან ან მისი ნარჩენებისგან მიიღებოდა. დავით სარაჯიშვილმა სრულიად განსხვავებული წარმოება შექმნა. მან განათლება საფრანგეთში მიიღო, 1884 წელს თბილისში საკუთარი ფირმა დააარსა, 1888 წელს კი პირველი ქართული კონიაკის გამოშვება დაიწყო. დავით სარაჯიშვილის ფირმის საქმიანობამ პიკს XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში მიაღწია. ის, ეპოქის კვალობაზე, საკმაოდ მრავალმხრივი იყო: სარაჯიშვილი ხდიდა არაყს, ასუფთავებდა სპირტს, ამაგრებდა ღვინოს, ახდენდა სპირტის დენატურაციას, ამზადებდა სხვადასხვა სახის ლიქიორის ნაყენს, რომს, ხდიდა საკონიაკე სპირტს და ამზადებდა კონიაკს. დავით სარაჯიშვილის პროდუქცია საზღვარგარეთაც გადიოდა. მის ნაწარმს იცნობდნენ პარიზში, ლონდონში, ბერლინში, ვენაში, ჟენევაში, კონსტანტინოპოლში. მისი კონიაკები ბაზარზე ცნობილი იყო „კავკასიის ნატურალური კონიაკის" სახელწოდებით, რომლის ეტიკეტს კლდეზე შემდგარი ჯიხვის ემბლემა ამშვენებდა.

1911 წლის 20 ივნისს სარაჯიშვილის გარდაცვალების შემდეგ მისივე ანდერძის თანახმად, ქონების უდიდესი ნაწილი საქართველოს საკუთრებად იქცა.

30-იანი წლების დასასრულს საფუძველი ჩაეყარა თბილისის გარეუბანში, ავჭალაში კონიაკის ქარხნის მშენებლობას. მშენებლობა მეორე მსოფლიო ომის გამო შეჩერდა და საბოლოოდ მწყობრში 1954 წელს ჩადგა. ახალი ქარხნის აშენება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართული კონიაკის წარმოების ისტორიაში.

საწარმოს საცავებში, მუხის კასრებში ინახება უნიკალური ქართული საკონიაკე სპირტები, რომლებიც მიღებულია ქართული ღვინომასალებიდან კონიაკის კლასიკური ტექნოლოგიის გამოყენების გზით.

ეს სპირტები ერთმანეთისგან განსხვავდება, როგორც ასაკით, ისე გეოგრაფიული ადგილწარმოშობით, ზოგიერთი საკონიაკე სპირტის ასაკი კი 110 წელს აღემატება.

**სახელგანთქმული ქართული კონიაკების უმრავლესობა შექმნილი იყო მე-20 საუკუნის 50-60-იან წლებში. „ვარციხე" — 1954 წელს, „თბილისი" – 1958 წელს, „გრემი" — 1961 წელს და ა. შ. ბევრმა მათგანმა — „გრემმა", „ვარციხემ", „ენისელმა" — სახელწოდება მიიღეს იმ სოფლების მიხედვით, რომელთა შემოგარენშიცაა მოწეული საკონიაკე ყურძენი.**

კომპანია „სარაჯიშვილის" სამარკო კონიაკების თარო 6-




წლიანი დაძველების კონიაკ „ეგრისით" იწყება, შემდეგია „ვარციხე" 7-წლიანი დაძველებით, „არმაზი" — 8-წლიანი დაძველებით, „გრემი" — 9-წლიანი დაძველებით, „გელათი" — 10-წლიანი დაძველებით და სხვ.

კონიაკი „ძალიან ძველი" კომპანიის განსაკუთრებული მარკაა, რადგან, როგორც ბრენდი, მხოლოდ ის შემორჩა პირადად დავით სარაჯიშვილის მრავალრიცხოვანი ასორტიმენტიდან, რომელიც მან 1901 წელს 12-წლიანი დაძველების სპირტებისგან შექმნა.

ფირმის სიამაყეს წარმოადგენს კონიაკი „ენისელი", რომელსაც საერთაშორისო დეგუსტაციებზე 29 ჯილდო, მათ შორის 20 ოქროს მედალი აქვს მოპოვებული.

კომპანიის ექსკლუზიურ პროდუქციას კონიაკი „XX საუკუნე" წარმოადგენს — მის შემადგენლობაში XX საუკუნის ყოველი ათწლეულის საუკეთესო საკონიაკე სპირტები შედის.

„XX საუკუნე" სულ 500 ბოთლია ჩამოსხმული, ყოველ მათგანს საკუთარი ნომერი აქვს და თითოეულს ანალოგი არ მოეძებნება.

**კიდევ ერთი უნიკალური ბრენდია „სარაჯიშვილი-155", რომელიც დავით სარაჯიშვილის 155 წლის იუბილესთან დაკავშირებით შეიქმნა და მასში შემავალი სპირტები ასზე მეტ წელს ითვლის. სულ ჩამოსხმულია 500 ბოთლი და ყველას საკუთარი ნომერი აქვს.**

**ყველაზე ძვირფასი კონიაკი მექსიკაში ჩამოისხა და მისი ღირებულება 2 მილიონი დოლარია. კონიაკი 100 წლის დაძველებითაა**, მაგრამ მისი მთავარი ღირსება ჭურჭელია, რომელიც ოქროსა და პლატინისგანაა დამზადებული და 6500 ცალი ბრილიანტითაა გაწყობილი. როგორც ცნობილია, ის ერთ-ერთი არაბი შეიხის კოლექციას ამშვენებს.

ჰენესის კონიაკის სახლის პროდუქტი Beaute de Siecle შეზღუდული რაოდენობითაა ჩამოსხმული (მხოლოდ 100 ბოთლი) და მისი ღირებულება 105 ათას ფუნტ სტერლინგს შეადგენს. ის ოფიციალურადაა მიჩნეული ყველაზე ძვირიან სასმელად.

კონიაკი Baccarat-ი ბროლის ჭურჭელშია ჩამოსხმული, ბოთლები კი, თავის მხრივ, სარკეებიან ხის ყუთში დევს. ყუთს თან ახლავს სპეციალური გასაღები და ყუთის გახსნისას ბოთლი მექანიკურად ამოდის სიღრმიდან ხავერდის პოსტამენტზე. სხვათა შორის, ასივე ბოთლი გაყიდულია, ხოლო მყიდველებმა ინკოგნიტოდ დარჩენა ამჯობინეს, „დაუპატიჟებელი სტუმრებისგან" თავდაცვის მიზნით.

საერთოდ ფრანგული კონიაკის სახლები ხშირად სთავაზობენ კონიაკის მოყვარულებს მაცდუნებელ პროდუქციას ჭკუისდამკარგავი ფასით.

მაგალითად, Courvoisier-მა მილენიუმთან დაკავშირებით ჩამოასხა 2000 ბოთლი, თითოეულის ღირებულება 2,5 ათასი ფუნტი სტერლინგია.

**Remy Martin-ი მოყვარულებს სთავაზობს თავის ექსკლუზივს Louis XIII, რომელიც 1,5 ლიტრიან ბოთლშია ჩამოსხმული. ბოთლები 4.75-კარატიანი ბრილიანტითაა მორთული. ერთი ბოთლის ფასმა 25 000 ფუნტი შეადგინა. Remy Martin Spectaculaire-ს კონიაკი ინგლისის პრემიერმინისტრ ჩერჩილის საყვარელი სასმელი იყო.**

საერთოდ, ის მაღალ საზოგადოებაში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟულ სპირტიან სასმელადაა მიჩნეული. ამ სასმელით აღნიშნავენ წარმატებულ ბიზნეს-გარიგებას და მომგებიან კონტრაქტს. შამპანური ასეთ შემთხვევაში ძალიან მსუბუქია, ღვინოების არჩევანი კი იმდენად დიდია, რომ სხვისი გემოვნების დაკმაყოფილება ძალიან ძნელია, არაყი ასეთი შემთხვევისთვის ძალიან იაფი და უბრალოა. რჩება კონიაკი.

თუმცა სულაც არაა აუცილებელი რაიმე სერიოზული საბაბის ლოდინი, რათა ამ ბრწყინვალე სასმელით დატკბე. ის მშვენივრად უხდება მეგობრულ კამპანიასაც და ვიწრო ოჯახურ წრესაც.

**კონიაკი ცოცხალი წყალია, რომელსაც სიცოცხლის გახანგრძლივებაც შეუძლია, ხასიათის გამოსწორებაც, გულების გაცოცხლებაც და ახალგაზრდობის შენარჩუნებაც.**

L'Esprit de Courvoisier თავის თაობაში ლეგენდარულია. იგი მზადდება ედუარდ VII და ნაპოლეონ III დროინდელი სპირტით და უნიკალურ არომატს წარმოქმნის. აღნიშნული კონიაკი 7000 დოლარი ღირს.

Hennessy Ellipse გამოშვებული იყო შეზღუდული რაოდენობით, მხოლოდ 2000 ბოთლი. იგი არ არის ყველაზე ძვირადღირებული მსოფლიოში და ძალიან პოპულარულია. მისი ღირებულებაა 8000 დოლარი.

Hennessy Beautღ du Siმcle ღირს 190 000 დოლარი და მხოლოდ შეკვეთით გამოდის.

**Henri IV Dudognon-ი დღეს ყველაზე ძვირად ღირებული კონიაკია, იგი გინესის რეკორდების წიგნშიც არის შეტანილი, როგორც ყველაზე ძვირადღირებული სასმელი. მისი ღირებულება 2 მილიონ დოლარს შეადგენს.**

თუ გსურთ, შეეხოთ ისტორიას და იგემოთ ყველაზე ძვირად ღირებული კონიაკი, სჯობს, ნიუ იორკისაკენ გაეშუროთ. იქ დარეგისტრირდებით საიტზე Financial District Wine & Liquor-ი, შეუკვეთეთ 1858 წლის koniaks Croizet Cuvee Leonie და 750 მლ-იანი ბოთლის საფასურად 157 000 დოლარს გადაიხდით. ამ კონიაკს სახელი Croizet-ი სახლის დამაარსებელმა თავად შეურჩია და ქალიშვილის სახელი — ლეონი კრუაზე დაარქვა. ისედაც ძვირფას კონიაკს განსაკუთრებული ფასი მას შემდეგ დაედო, რაც ისტორიული ფაქტის „მონაწილე" გახდა – სწორედ 1858 წლის Croizet-ს მიირთმევდნენ უინსტონ ჩერჩილი და დუაიტ ეიზენჰაუერი, როცა მეორე მსოფლიო ომის საომარ კამპანიასა და სტრატეგიაზე საუბრობდნენ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში გასაყიდად გამოიტანეს იშვიათი კონიაკი The Last Drop Cognac. ეს სასმელი უნიკალურია რამდენიმე მიზეზით — ფასის (ბოთლი თითქმის 3 ათასი დოლარი ღირს), წლოვანების (60 წლის დაძველებით), და იმ ფაქტის გამო, რომ კონიაკის მუხის კასრებს საფრანგეთში, კონიაკის რეგიონის ტყეში, მიტოვებული ქარხნის ბაზაზე მიაგნეს. „ეს, უბრალოდ, ჯადოსნური კონიაკია", — აცხადებს კომპანია The Last Drop Distillers Ltd-ს პარტნიორი ტომ იაგო.



„მართალია, კასრების მოსაძიებლად დიდი დრო დაგვჭირდა, სამაგიეროდ, ელიტური კონიაკის დამფასებლებს დღეს სიამაყით წარვუდგენთ ამ ძვირფას ბოთლებს. კონიაკ Last Drop Cognac-ის ხელში ჩაგდების შანსი ძალიან მცირეა, ვინაიდან მისი მხოლოდ 478 ბოთლია ჩამოსხმული. ეს კონიაკი ბაზარზე თავის ნიშას ავსებს", — აცხადებს The Last Drop Distillers Ltd-ს იმპორტიორი და კომპანია Infinium Spirits-ის პრეზიდენტი ბილ ანდერსონი.

*კონიაკის სმის განსაკუთრებული რიტუალი არსებობს და ვიდრე მის შესრულებას შევუდგებოდეთ, აუცილებელია, ვიცოდეთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ნიუანსი, რომლებიც ამ საოცარი სასმელის არომატისა და გემოს ბოლომდე შეგრძნებაში დაგვეხმარება.

დასაწყისისთვის საჭიროა, სწორად შევარჩიოთ ბოკალი. ის გარეგნულად ტიტას უნდა ჰგავდეს. ქვევით მომრგვალებული, გაშლილი და ზემოთ შევიწროებულ ფორმას კონიაკის არომატი თანდათანობით ამოაქვს ზემოთ და ამით მისი ბუკეტი ბოლომდე იხსნება.

***ვიდრე მოსვამდეთ, ყურადღებით შეხედეთ სასმელს. მისი ფერი ბევრს გეტყვით მის ასაკზე. ახალგაზრდა კონიაკი უფრო ღია ფერისაა, ძველი კი — მუქი, თითქმის ცეცხლისფერი.**

*იმისთვის, რომ სწორად შევაფასოთ კონიაკის კონსისტენცია, აუცილებელია, წრიული მოძრაობებით ავამოძრაოთ სასმელი ბოკალში. მისი გვერდებიდან ჩამომავალი ნაკადი კონიაკის ასაკზე გამცნობთ. რაც უფრო დიდხანს რჩება მინაზე მათი კვალი (50 წლიანი კონიაკის შემთხვევაში ეს 20 წამს გრძელდება), მით უფრო მეტია მისი ასაკი.

***სასმელის ვიზუალური მხარის შეფასების შემდეგ შეგვიძლია, მისი მომხიბვლელობით დავტკბეთ. კონიაკი თითო ნოტით ხსნის საკუთარ არომატს. ამომავალი, როგორც წესი, ვანილის სურნელებაა, ყვავილების ნაზი, კლასიკური არომატი, შემდეგ მოდის ხილისა და ბალახების, ბოლოს კი ძლიერი არომატები: მუხისა და პორტვეინის.**

*სასმელის არომატის სრული გამის შეგრძნების შემდეგ კონიაკი მცირე ყლუპებით უნდა მოვსვათ.

ბოლო წლებში ამ სასმელს ევროპაში ყინულთან ერთად მიირთმევენ, როგორც აპერიტივს. აზიაში წყალში გაზავებულ კონიაკს საჭმელსაც აყოლებენ.

არსებობს უამრავი კოქტეილი კონიაკით, მაგრამ ჭეშმარიტი ჯენტლმენები მას ყოველგვარი დანამატების გარეშე მიირთმევენ. კონიაკის კლასიკური მიღების წესი მისი ტემპერატურის კონტროლია. ის 20 გრადუსს უნდა აღემატებოდეს. ამისთვის საკმარისია, ბოკალს რამდენიმე წუთით ხელები შემოვაჭდოთ და ასე გავათბოთ.

**არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება კონიაკის ბოკალის ცეცხლზე შეთბობა, თუმცა ასეთი პრაქტიკა საკმაოდ ხშირად გვხვდება რესტორნებში. ამის გაკეთება არც მაშინ ღირს, თუ კონიაკი ბოკალში ჯერ არაა ჩამოსხმული. ძლიერი შეთბობით კონიაკში არსებული და მისთვის დამახასიათებელი მსუბუქი არომატები ორთქლდება და მათ მაგივრად აქტიურდება შემთბარი სპირტის ტონები.**

ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინათ საფრანგეთში მიღებული იყო კონიაკის დალევა დღის ნებისმიერ მონაკვეთში, მას სუფთა ან გაზირებული წყლით აზავებდნენ. მხოლოდ საუკეთესო დაძველების მქონე კონიაკების შეთავაზება ხდებოდა ტრაპეზის შემდეგ, მისი ღირსეულად დასრულების მიზნით.

ასევე საინტერესოა კონიაკის შერწყმა შამპანურთან ან ვერმუტთან. რა თქმა უნდა, ასეთი ექსპერიმენტებისთვის მხოლოდ ახალგაზრდა, იაფი პროდუქტი გამოიყენება.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ნაყინის დესერტი «მარწყვი არნო»

**ეს მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული დესერტი ახალი ორლეანის რესტორან „არნოში“ შეგიძლიათ დააგემოვნოთ.** ერთი ულუფის ფასი 1 400 000 დოლარს აღწევს. საქმე ის არის, რომ თითოეულ კენკრას უიშვიათეს ღვინოში აწყობენ, ხოლო თვითონ დესერტს ერნესტ კესელის კოლექციის 5-კარატიანი ვარდისფერი ბრილიანტით რთავენ.



## მეცნიერები გამყინვარებას ელიან

**მეცნიერები ამბობენ, რომ მყინვარი მააშეი კიდევ უფრო მასიური გახდება. ამ ბუნებრივ ფენომენზე დაკვირვება წინა ასწლეულის 30-იან წლებში დაიწყო.**

მყინვარები ერთ-ერთ ყველაზე ზუსტ მეტეოროლოგიურ ინდიკატორებად ითვლება. მათი ზომების ზრდა მოწმობს, რომ ახლოვდება გლობალური გამყინვარება. თუ 2014 წლამდე მყინვარი გამუდმებით პატარავდებოდა, ახლა მეცნიერები საპირისპირო პროცესს ამჩნევენ.

მყინვარის ზომის ცვლილება ადასტურებს ჰიპოთეზას გლობალური დათბობისა და გამყინვარების ციკლური მონაცვლეობის თაობაზე. მააშეის მყინვარი ბიშ ირდუს მასივის სამხრეთ ნაწილში იმყოფება.




## დაბინძურებული საკვებით ყოველწლიურად 2 მილიონამდე ადამიანი იღუპება

**ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, დაბინძურებული და საშიში საკვები პროდუქტების მოხმარების შედეგად ყოველწლიურად დაახლოებით 2 მილიონი ადამიანი, ძირითადად, ბავშვი, იღუპება.**

საკვებში არსებული პათოგენური ბაქტერიები, ვირუსები, პარაზიტები ან ქიმიური ნივთიერებები, წარმოადგენს 200-ზე მეტი დაავადების (დიარეიდან კიბომდე) მიზეზს, ამიტომ სხვადასხვა სამთავრობო სექტორში მომუშავეებმა, ფერმერებმა, მწარმოებლებმა, საცალო ვაჭრობის, სამედიცინო სფეროს მუშაკებმა და მომხმარებლებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ საკვები პროდუქტების უვნებლობის მნიშვნელობაზე, რათა თითოეული ადამიანი დარწმუნებული იყოს, რომ მის თეფშზე არსებული საკვები ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოა.



# ყველაზე ძვირად ღირებული კერძები

ზოგჯერ ფუფუნებისკენ სწრაფვა შეიძლება ნამდვილ უგუნურებაში გადაიზარდოს. წარმოგიდგენთ კულინარიულ შედევრებს, რომლებიც ყველაზე მდიდარი გურმანების ჯიბესაც კი სერიოზულ დარტყმას მიაყენებს. საკვები, რომელთა ღირებულება არა ასობით, არამედ ათასობით დოლარით იზომება.



## ოქროს ქაფქეიქები

**ასეთი მადისაღმძვრელი კექსები 24-კარატიანი ოქროთი 1228 დოლარი დაგიჯდებათ.**



## ლეურ ბურგერ

**ალბათ, ვერასოდეს წარმოიდგენდით, რომ ფასტფუდი ამ სიაში იქნებოდა.** 5 000 დოლარად ღირებული ბურგერი, შეგიძლიათ, ლას-ვეგასის რესტორან Fleur de Lys-ში შეიძინოთ. გაინტერესებთ, რა ინგრედიენტებისგან შედგება ბურგერი? ძროხის ხორცი ვაგიუ (იგივე მარმარილოსებრი ძროხის ხორცი), ფუა-გრა, შავი ტრიუფელები და ტრიუფელის სოუსი ამ ბურგერს მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებულ ბურგერად აქცევს.



## თეთრი ტრიუფელები

**ერთ-ერთი ყველაზე იშვიათი და ძვირად ღირებული სოკო მსოფლიოში თეთრი ტრიუფელია.** 1 კილოგრამი ტრიუფელი 230 000 დოლარი დაგიჯდებათ.



## დესერტი «Fortress Stilt Fisherman Indulgence»

**ამ დესერტის ერთ-ერთი ინგრედიენტი იტალიური ოქროა. ტკბილეული 14 500 დოლარი დაგიჯდებათ.**



## სამეფო ნესვი იუბარი

**ეს ნესვი სტაფილოსფერი გულით ნესვის ორი ჯიშის ჰიბრიდს წარმოადგენს და იაპონიაში ყველაზე ძვირად ღირებულ დელიკატესად ითვლება.**

გემრიელი და ტკბილი ხილის ფასი 26 000 დოლარია.



## ანჯელიტო არანეტა უმცროსის როლები

**ამ კულინარიული შედევრის ავტორი ფილიპინელი შეფმზარეული ანგელიტო არანეტაა.** 4 როლისგან შემდგარი პორცია, რომელიც ოქროშია გახვეული, 2750 დოლარი ღირს.



## ირანული თეთრი ხიზილალა «მარგალიტი»

**როგორც აღმოჩნდა, მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ხიზილალა სულაც არაა შავი.** ალბინოსი ბელუგა ვეშაპის ხიზილალა ერთი კილოგრამი დაახლოებით 7-10 ათასი დოლარი ღირს. ასეთ ხიზილალას მსოფლიოში მხოლოდ ერთი ფირმა — House Almas-ი უშვებს და ის ირანში მდებარეობს.



## პიცა «Royale 007»

**ეს ცნობილი შეფმზარეულის — დომენიკო კოროლის ექსკლუზიური პიცაა.** 4200 დოლარად ღირებული პიცის შიგთავსი კონიაკში ჩამბალი ლობსტერის, ხიზილალის, ტომატის სოუსის, შოტლანდიური შებოლილი ორაგულისა და ირმის ხორცისგან შედგება. ზემოდან 30-სანტიმეტრიან პიცას 24-კარატიანი, საკვებადვარგისი ოქრო ამშვენებს.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ქალს მამაკაცი ქუჩაში ძაღლივით დაჰყავს

**ლონდონის ქუჩებში დილით სამსახურში მიმავალი ხალხი უჩვეულო სანახაობის მომსწრე გახდა: ქალი მამაკაცს „ასეირნებდა“ — კაცს ძაღლივით ჰქონდა სარტყელი ყელზე შემოვლებული და „ოთხით“ ცხოველივით მიჰყვებოდა ქალს.**

საქმიანი იმიჯის მქონე ქალი ქუჩაში მომღიმარი სახით სეირნობდა, თან ყავას მიირთმევდა. თვითმხილველებმა ფოტოები სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ ატვირთეს და კადრებმა დიდი გამოხმაურება გამოიწვია.

# მეცნიერებმა სოციალურ ქსელებზე დამოკიდებულების წამალი გამოიგონეს

**ტომსკის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერმა ალექსანდრ პოგოჟევმა შეიმუშავა პროგრამა, რომელიც სოციალურ ქსელებთან, ასევე ონლაინ თამაშებთან და სხვა საიტებთან წვდომას შეზღუდავს.**

ანალოგიური პროგრამებისგან განსხვავებით, პოგოჟევის გამოგონება ნებისმიერი რაოდენობის ინტერნეტპორტალებთან კავშირს ზღუდავს. „პროგრამა დაგეხმარებათ, გადაეჩვიოთ ინტერნეტში ფუჭად დროის კარგვას. ის გათვლილია იმ ადამიანებზე, რომლებსაც გააზრებულად სურთ თვითორგანიზების გაუმჯობესება“, — განაცხადა მეცნიერმა.



პოგოჟევი ყვება, რომ იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელს უფრო დიდი ხნით მოუნდება ინტერნეტში ყოფნა, მოუწევს ჯარიმის გადახდა, რადგან თავის თავთან დადებული პირობა დაარღვია. შემოსული თანხები გადაირიცხება საქველმოქმედო ფონდში.

მეცნიერის თქმით, ის გეგმავს მალე ჩაუშვას გაყიდვაში თავისი გამოგონება. ამჟამად პროგრამა მხოლოდ კომპიუტერებზე მოქმედებს, მაგრამ სამომავლოდ იგეგმება მისი ადაპტირება პლანშეტებისა და სმარტფონებისთვის.



# რა ასაკიდან ბერდება ტვინი

**ადამიანთა უმრავლესობისთვის სიბერე მეხსიერების გაუარესებასა და საღი აზროვნების დაქვეითებას ნიშნავს.** ვირჯინიის უნივერსიტეტში ახლახან ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ტვინის დაბერება გაცილებით ადრე იწყება, ვიდრე გვეგონა. პროფესორი ტიმოთი სალტჰაუსი შვიდი წლის განმავლობაში აკვირდებოდა 2 ათას ადამიანს და დაადგინა, რომ ადამიანის ტვინი შესაძლებლობათა მაქსიმუმს 22 წლის ასაკში აღწევს, ხოლო 27 წლიდან დაბერების შეუქცევადი პროცესი იწყება. მოხალისეებს, ჯანმრთელ და კარგი განათლების მქონე 18-დან 60 წლამდე ასაკის ადამიანებს, უნდა გამოეცნოთ გამოცანები, გაეხსენებინათ იშვიათი სიტყვები და ტერმინები, მოეყოლათ ადრე გაგონილი ისტორიის დეტალები.



ჟურნალ „სიბერის ნეირობიოლოგიაში“ გამოქვეყნებული კვლევის შედეგები მოწმობს, რომ 22 წლის ასაკში მიღწეული პიკის შემდეგ პირველი მნიშვნელოვანი ჩავარდნა 27 წლის ასაკში შეიმჩნევა. საშუალო სტატისტიკურ ადამიანს მეხსიერება 37 წლის ასაკში უუარესდება. კიდევ უფრო უარესი მონაცემები აღინიშნება 42 წლის შემდეგ. პროფესორი სალთჰაუსი ასკვნის, რომ ჯანმრთელ, კარგი განათლების მქონე ადამიანებს აქტიური შემეცნების უნარი 20-30 წლის ასაკში უქვეითდებათ.

მეცნიერებმა კვლევის შედეგად ერთი იმედის მომცემი დასკვნა მაინც გამოიტანეს: ცოდნის აკუმულირებაზე დაფუძნებულ შესაძლებლობებს, შეძენილი ცოდნის აქტიური გამოყენების უნარს ადამიანი მინიმუმ 60 წლამდე ინარჩუნებს.

# გერგეტის სამება მსოფლიოს ულამაზესი ეკლესიების სიაში შევიდა

**ბრიტანულმა გამოცემა „ტელეგრაფმა“ გამოაქვეყნა მსოფლიოში ყველაზე ლამაზი ეკლესიების სია, რომელშიც ყაზბეგის გერგეტის სამება მოხვდა.**

„ალბათ, სწორედ ის გარემო, რომელიც თვალისმომჭრელი სიმწვანითა და თეთრი კავკასიური მთებით გამოირჩევა, გერგეტის სამების ეკლესიას აქცევს ასეთ საოცრებად. ეკლესიის აშენების თარიღად მეთოთხმეტე საუკუნე სახელდება. მას აქვს განცალკევებული სამრეკლო კოშკი, რომელიც ხშირად იმ ხალხის ნავიგაციისთვის გამოიყენება, რომლებიც სამი საათის სავალ გზაზე ეკლესიის სანახავად ადიან. საბჭოთა პერიოდში რელიგიური რიტუალები აკრძალული იყო, ამჟამად კი თავისუფლად აღევლინება ღვთისმსახურება“, — წერს ბრიტანული გამოცემა.

# დედამიწას ვულკანების ეპოქა ელის

**დღემდე არსებულთა შორის ყველაზე ძლიერი ვულკანის ამოფრქვევა, შესაძლოა, ამ საუკუნეში მოხდეს, რაც გამოიწვევს კატასტროფულ შედეგებს და ცივილიზაციის პოტენციურ განადგურებას, — წერენ ევროპელი გეოლოგები.**

ბევრი პალეონტოლოგი და ევოლუციონისტი თვლის, რომ ვულკანების ძლიერ ამოფრქვევებს ემსხვერპლა ცხოველებისა და მცენარეების დიდი რაოდენობა. მეცნიერების შეფასებით, ასეთი კატაკლიზმური მოვლენის შანსი საკმაოდ მაღალია და 10%-ს





შეადგენს. ვინაიდან ადამიანს ჯერ არ შეუქმნია ვულკანებზე დაკვირვების გლობალური მონიტორინგის საშუალება და სეისმური ქსელი, რომელიც მიწისძვრებს აკვირდება, კატასტროფისთვის შემზადება შეუძლებელი იქნება. ამის გამო გეოლოგები მოუწოდებენ მსოფლიოს ყველა ქვეყანას, გაერთიანდნენ და შექმნან მონიტორინგის სისტემა, რომელიც საბოლოოდ საგრძნობლად შეამცირებს მსხვერპლს და ეკონომიკურ დანაკარგებს.




# როგორ ვიპოვოთ დაკარგული მობილური ტელეფონი

**ამიერიდან ადამიანებს უკვე შეუძლიათ, მარტივი გზით იპოვონ დაკარგული მობილური ტელეფონი ან სმარტფონი. ახალი პროექტის ავტორი მსოფლიო საძიებო სისტემა „გუგლია“.**

იმისათვის, რომ დაკარგული ტელეფონის ადგილმდებარეობა გაიგოთ, საჭიროა „გუგლში“ ჩაწეროთ Find my phone და მიუთითოთ თქვენი მონაცემები, რის შემდეგაც ამოგიგდებთ სპეციალურ პროგრამას, რომლის დახმარებითაც იგებთ სად, რა მისამართზე დაგრჩათ მობილური.

„გუგლი“ გაწვდით სხვა სასარგებლო ინფორმაციასაც თქვენი მობილური ტელეფონის შესახებ. მაგალითად, ბოლოს როდის იყო ჩართული ინტერნეტში მობილური და ა. შ. შესაძლებელია დაკარგულ მობილურზე ინტერნეტით დარეკვაც. ხოლო, თუ მფლობელი ფიქრობს, რომ მობილური მოჰპარეს, მას ახალი პროგრამის მეშვეობით შესაძლებლობა ეძლევა, მობილურში არსებული ყველა ინფორმაცია დისტანციურად წაშალოს.

## ნინო ბურჯანაძე:

# მეორე ძალად ამერიკელებს «ნაცმოძრაობა» უნდათ, მესამე ძალად კი — მონური ერთგულებით განმსჭვალული ალასანია



**პარტია „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარების აუცილებლობაზე საუბრობს და აცხადებს, რომ ეს შექმნილი ვითარების გამოსწორების ერთადერთი გზაა.**

„2016 წელს თუ დაველოდეთ და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევები არ ჩატარდა, ქვეყანა კიდევ უფრო მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდება,“ — მიიჩნევს ნინო ბურჯანაძე. ის „აი-რაის“ მიერ ჩატარებულ კვლევასაც გამოეხმაურა, რომლის მიხედვითაც, მის პარტიას მოსახლეობის 5%-იანი მხარდაჭრა აქვს. ნინო ბურჯანაძის თქმით, კვლევის შედეგები ამერიკაში დაიწერა და ეს ნათლად აჩვენებს, თუ რა პოლიტიკური განლაგება სურთ ამერიკელებს საქართველოში. „ამერიკა ამ დროისთვის „ქართული ოცნების“ იგნორირებას ვერ ახერხებს და მას პირველი პოლიტიკური ძალის სტატუსი აქვს. მეორე ძალად ამერიკელებს „ნაცმოძრაობა“ უნდათ, ხოლო მესამე ძალად — მონური ერთგულებით განმსჭვალული ალასანია! ამერიკელებს საქართველოში ეს სცენარი არ გამოუვათ, რადგან იმედი მაქვს, მოსახლეობა არა ვინმესგან თავსმოხვეულ, არამედ დამოუკიდებელ და თავისუფალ არჩევანს გააკეთებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანა საბოლოოდ თავზე დაგვექცევაა!“ — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ გაზეთ „ასავალ-დასავალისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

## დავით თევზაძე:

# ალასანია ცდილობს, «ნაციონალებთან» დასაახლოებლად გზები გამოძებნოს



**თავდაცვის ყოფილ მინისტრ დავით თევზაძის აზრით, ირაკლი ალასანია ცდილობს, საზოგადოების ყურადღების ცენტრში იყოს და ამიტომ ხშირად აკეთებს ხმაურიან განცხადებებს.** ასე გამოეხმაურა ის ირაკლი ალასანიას განცხადებას, „ნაციონალები“ ქვეყნისთვის დასაკარგი ხალხი არ არისო.

**„ირაკლი ალასანია, როგორც პოლიტიკოსი, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ გაზეთების პირველი გვერდებიდან არ ჩამოვიდეს. რეალურად, დღეს ალასანიას პოლიტიკური ურთიერთობა არავისთან აქვს და, ბუნებრივია, ცდილობს, „ნაციონალებთან“ დასაახლოებლად გზები გამოძებნოს და სათანამშრომლო ხიდს აგებს ყოფილ მოწინააღმდეგეებთან“,** — განაცხადა დავით თევზაძემ გაზეთ „ასავალ-დასავალისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.



# ანაკლიის პორტის ინვესტორი სექტემბერში გამოვლინდება

**საუკუნის პროექტად შეფასებული მშენებლობა სამეგრელოში — ანაკლიის ღრმაწყლიანი პორტის ინვესტორი სექტემბერში უნდა გამოვლინდეს, თუმცა მანამდე საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეული შვიდი კომპანიის წარმომადგენლები ობიექტისთვის გათვალისწინებულ ტერიტორიას ეცნობიან.**

მათ შორის ერთ-ერთია ჩინურ-ქართულ-ამერიკული კომპანია, რომლის ხელმძღვანელობაც ანაკლიაში ჩავიდა. მრავალმილიონიანი ინვესტიციის ჩადება, ადგილობრივების დასაქმება და მსხვილი ტანკერების მისაღებად შესაბამისი გარემოს შექმნა პოტენციური ინვესტორებისთვის წაყენებული მოთხოვნების არასრული ჩამონათვალია.

# ვინ შეუკვეთა «ევრონიუსს» საქართველოზე უარყოფითი სიუჟეტის მომზადება?

**„საქართველო ეკონომიკურ მორევშია გაჭედილი“ — ამ სათაურით „ევრონიუსმა“ 16 აპრილს საქართველოზე სიუჟეტი მოამზადა, რომელშიც ჟურნალისტი შეშფოთებული საუბრობს საქართველოს ეკონომიკის სტაგნაციაზე, ქვეყნის ხელისუფლების არასწორ პოლიტიკაზე, მცირე ბიზნესის კვდომასა და სხვა უარყოფით ასპექტებზე.**







ბედნიერი და გაბრწყინებული მოლდოვას შემდეგ საქართველოზე მომზადებული სიუჟეტი, სიბინძურისა და სილატაკის ამსახველი კადრებით, უცხო ადამიანებისთვის, პოტენციური ინვესტორებისა და ტურისტებისთვის ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს ჩვენი ქვეყანა ცივილიზაციისგან შორს მყოფი, პირქუში და დაქცევის პირას მისული მესამე სამყაროს წევრია. თითქოს ეს არის კარვების ქალაქი, რომელშიც მხოლოდ მშიერი და უიმედო ხალხი ცხოვრობს. სიუჟეტი ცალმხრივი და მიზანმიმართულად ნეგატივის მქონეა. კადრებში ერთი კარგი შენობაც არ ჩანს, ანუ არც ერთი პოზიტივი.

ჩნდება კითხვა — ვის უნდა შეეკვეთა „ევრონიუსისთვის“ საქართველოს შესახებ ასეთი უარყოფითი სიუჟეტის მომზადება?! ეჭვი, შეიძლება ითქვას, გონივრულიც, კადრებში ნაციონალების ე. წ. ექსპერტის — რომან გოცირიძის დანახვამ გაგვიჩინა. ისიც ფაქტია, რომ მსგავსი სიუჟეტი საქართველოში ადამიანების მხოლოდ მცირერიცხოვან ნაწილს ახარებს — „ნაციონალური მოძრაობის“ წამომადგენლებს. საგულისხმოა ისიც, რომ ექსპერტ რომან გოცირიძეს ბოლო ხანს ეროვნული ბანკის ყოფილ პრეზიდენტად მოიხსენიებენ, თუმცა ავიწყდებათ, რომ ის ამ პოსტზე 7 წლით იყო არჩეული, მაგრამ 2,5 წელიწადში თვითონ „ნაციონალებმა“ „გააბუნძულეს“ თანამდებობიდან.

ხალხში გავრცელებული ინფორმაციით კი, „ნაციონალებმა“ ეროვნული ბანკის იმჟამინდელი პრეზიდენტი რომან გოცირიძე საციხედ დიდი ხნით არ გაიმეტეს (ალბათ, საკუთარი იმიჯი რომ არ დაეზარალებინათ) და მხოლოდ 2 დღით დააპატიმრეს. ჩვენი ვარაუდით, „ნაციონალებმა“ გოცირიძეზე კომპრომატები, ალბათ, საგულდაგულოდ შეინახეს და, აქედან გამომდინარე, უკვე გასაგები ხდება, რის სანაცვლოდ იცავს ახლა იგი ამ გუნდს და ახალ ხელისუფლებაზე, ქვეყანაზე მხოლოდ ნეგატიურ ინფორმაციებს რატომ ავრცელებს მსოფლიოში.

ფაქტია, რომ წლების განმავლობაში ყველასგან მივიწყებული, ბოლო თვეებში კი საოცრად გააქტიურებული „დამოუკიდებელი“ ექსპერტი ხშირად ჩანს „რუსთავი 2“-ის, ახლა კი უკვე „ევრონიუსის“ ეთერში. მისი გააქტიურება 2 მიმართულებით ხდება — ან „ნაციონალური მოძრაობისთვის“ სასურველ თემებზე საუბრობს, ან წინა წლებში მისი საქმიანობის შესახებ დასმულ შეკითხვებზე იძლევა პასუხებს. დიდი ალბათობით, ოპოზიციონერი ექსპერტის სტატუსით იგი ხელშეუხებლობის გარანტიისა და იმუნიტეტის მოპოვებას ცდილობს.

სამწუხაროა, მაგრამ სიუჟეტი, რომელიც 16 აპრილს „ევრონიუსზე“ ვიხილეთ, სცდება შიდა კინკლაობის ზღვარს და ქვეყნისთვის საზიანო ქმედებების შინაარსს იძენს.

ბუნებით კარიერისტის, მაგრამ ყველა პოსტზე წარუმატებელი, ახალმოვლენილი ექსპერტისთვის, მისი პირმშო — კუპონიც კმარა, რომ მან ასეთ ქმედებებს თავი დაანებოს, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ახალ „პოსტზე“ გადაინაცვლა. არავინ უარყოფს, რომ საქართველოში მრავალი პრობლემაა, მაგრამ ადამიანი, რომელიც ასეთი ფორმით წარუდგენს მსოფლიოს საკუთარ ქვეყანას, სულ მცირე, მავნებელია.

postalioni.com


# მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

მკურნალობა — ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;**
**218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**
**მის.: აღმაშენებლის №154 «მწვანე ოფისი»**



# ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტური პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**


# დაღესტანში «იმარატ კავკაზის» ლიდერი მოკლეს



**რუსული მედიის მიერ გავრცელებული ცნობით, ამ ქვეყნის სპეცსამსახურის მიერ დაღესტანში ჩატარებული ოპერაციის დროს დაჯგუფება „იმარატ კავკაზის“ („კავკასიის საამირო“) ლიდერი ალიასხაბ კებეკოვი მოკლეს. კონტრტერორისტული ოპერაცია ბუინაკსკის დასახლებაში ჩატარდა.**

„როგორც გაირკვა, ის მონაწილეობდა არაერთი სერიოზული დანაშაულის ორგანიზებასა და ჩადენაში, მათ შორის შეიარაღებულ თავდასხმებსა და რესპუბლიკის მოქალაქეების მკვლელობაში“, — აღნიშნულია რუსეთის ანტიტერორისტული კომიტეტის განცხადებაში.

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894